


აფხაზეთის უძველესი
მატერიალური კულტურა

ცოფი II



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION

აღნიშნული პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

This project has been made possible by financial support from the Shota Rustaveli National Science Foundation (Grant B-07-10). All ideas expressed herewith are those of the author. and may not represent the opinion of the Foundation itself“.

www.rustaveli.org.ge

უფასო გამოცემა

**NATIONAL MUZEUM OF GEORGIA
OTAR LORTKIPANIDZE CENTRE OF ARCHAEOLOGY
SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION**

**THE ANCIENT MATERIAL
CULTURE OF ABKHAZETI**

VOL II

M.BARAMIDZE, L. TSITLANADZE, N. DOLIDZE

PUBLISHING HOUSE


„GLOBAL-PRINT+“

Tbilisi 2013

**საქართველოს ეროვნული მუზეუმი
ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი**



**უმოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდი**



**აფხაზეთის უძველესი მატერიალური კულტურა
ტომი II**

მ. ბარამიძე, ლ. წითლანაძე, ნ. დოლიძე.

გამომცემლობა „გლობალ-პრინტი“

თბილისი 2013

„აფხაზეთის უძველესი მატერიალური კულტურა“ მეორე ტომში განხილულია აფხაზეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლები: ნასახლარები, განძები, სამაროვნები და სხვ. მოცემულია მათი შესწავლის ისტორია, დახასიათება, მეცნიერული ანალიზი და ინტერპრეტაცია. განსაზღვრულია მათი ასაკი, დანიშნულება და მნიშვნელობა. ძალიან საინტერესოაა წარმოდგენილი აფხაზეთის ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის საკითხები.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისათვის, არქეოლოგებისა და ძველი ისტორიის მკვლევარებისათვის. იგი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს არქეოლოგიური მიმართულებით დაინტერესებულ სტუდენტებსაც.

პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი პასუხისმგებელი რედაქტორი

ისტ. მეცნ. დოქტ. პროფ. მ. ბარამიძე

რეცენზენტი

ისტ. მეცნ. დოქტ. პროფ. (აკად. წევრ. კორ.) ბ. ლორთქიფანიძე

II ტომის რედაქტორი: პროფ. მ. ბარამიძე

ნაშრომზე მუშაობდნენ: მ. ბარამიძე, ლ. წითლანაძე, ნ. დოლიძე.

მხატვარი თინა ყაზახიშვილი

ტექნიკური ასისტენტი ვერა ბლიაძე

გამოცემის რედაქტორი მარინე მარკოზაშვილი

ტექნიკური რედაქტორი ალექსანდრე კუზანაშვილი

გამომცემლობა

„გლობალ – პრინტი“

© აფხაზეთის უძველესი მატერიალური კულტურა. ტომი II. 2013 წელი.

ISBN 978-9941-0-5674-1 (ორივე ტომის)

ISBN 978-9941-0-5676-5 (მეორე ტომის)

ს ა რ ჩ ე პ ი

CONTENTS

თავი IV. აფხაზეთის ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის ძეგლები. მ. ბარამიძე	8
Chapter IV. The Bronze and Early Iron Age Monuments of Abkhazeti. M. Baramidze	8
§1. აფხაზეთის ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის ძეგლების შესწავლის ისტორია	8
§1. The History of Study of the Bronze and Early iron Age monuments of Abkhazeti	8
§2. აფხაზეთის ძვ. წ. II ათასწლეულისა და I ათასწლეულის პირველი ნახევრის არქეოლოგიური ძეგლები.....	34
§2. The Archaeological Sites of the II and 1 st half of I millennia BC of Abkhazeti	34
§3. აფხაზეთის ნამოსახლართა ტოპოგრაფიის და არქიტექტურის საკითხები (კოლხეთის ნასახლართა მონაცემების ფონზე)	35
§3. The Topography and Architecture of Abkhazeti Settlements	35
§4. აფხაზეთის ბრინჯაოს მეტალურგიის საკითხები.....	43
§4. The Problems of Bronze Metallurgy of Abkhazeti	43
§5. აფხაზეთის რკინის მეტალურგიის ზოგიერთი საკითხი.....	50
§5. Some Problems of Iron Metallurgy of Abkhazeti	50
ლიტერატურა	60
Bibliography	60
ტაბულების აღწერილობა	63
Description of Plates	64
ტაბულები	65
Plates	65
თავი V. აფხაზეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის განძები. ლ. წითლანაძე.....	87
Chapter V. The Late Bronze-Early Iron Ages Hoards of Abkhazeti. L. Tsitlanadze	87
§1. აფხაზეთის განძების შესწავლის ისტორია აღწერა დახასიათება.....	87
§1. The History of Study of Abkhazeti Hoards and its characteristics	87
§2. აფხაზეთის ადრეული განძები.....	100
§2. The Early Period Hoards of Abkhazeti	100
§3. აფხაზეთის გვიანი ხანის განძები	105
§3. The Late Period Hoards of Abkhazeti	105
ლიტერატურა	110
Bibliography	110
ტაბულების აღწერილობა	111
Description of Plates	112
ტაბულები	113
Plates	113
თავი VI. აფხაზეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვნები. ნ. დოლიძე.....	134
Chapter VI. The Burials of the Late Bronze-Early Iron Age of Abkhazeti. N. Dolidze	134

§1. აფხაზეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვნების შესწავლის ისტორია	134
§1. The History of Study of the Late Bronze-Early Iron Age Burials of Abkhazeti.....	134
§2. სამარხის ტიპები და დაკრძალვის წესები	135
§2. The types of graves and burial rituals	135
§3. აფხაზეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხების ქრონოლოგია-პერიოდიზაცია	138
§3. The Chronology and the periodization of the Late Bronze-Early Iron Age Burials of Abkhazeti	138
ლიტერატურა	164
Bibliography	164
ტაბულების აღწერილობა	165
Description of Plates	166
ტაბულები	168
Plates	168
ტომის II-ის რეზიუმე (ინგლისურ ენაზე)	216
The Summary of Volume II (in English)	216

თავი IV

აფხაზეთის ბრინჯაოსა და ადრეპროტოხანის ხანის კვლევები

§1. აფხაზეთის ბრინჯაოსა და ადრეპროტოხანის ხანის კვლევების შესწავლის ისტორია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია არქეოლოგიურ ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი თავისი მრავალრიცხოვანი და ნაირგვარი ძეგლებით. შეიძლება ითქვას, რომ ფაქტიურად დასავლეთ საქართველოს თითქმის არცერთი რეგიონი არ არის ისეთი სისტემატური კვლევის არეალი, როგორც აფხაზეთია. ამის მიზეზი უპირველეს ყოვლისა ისაა, რომ სადღეისოდ ამ ტერიტორიაზე გამოვლინდა სხვადასხვა პერიოდის და შინაარსის 1000-მდის არქეოლოგიური ობიექტი (ბარამიძე მ. 1935: 9-15; ბარამიძე და სხვ. 1976-1991). ბუნებრივია, რომ ყოველი მათგანი არც გამხდარა და ვერც გახდებოდა სისტემური, მეცნიერული კვლევის საგანი და მათი მხოლოდ ერთი, მცირე ნაწილი არის არქეოლოგიურად სრულყოფილად შესწავლილი.

აფხაზეთის არქეოლოგიური შესწავლა ფაქტიურად იწყება XX ს. ოცნაიანი წლებიდან. ამ დრომდის მოყვარული სიძველისმცოდნეების მიერ ხდებოდა ამ რეგიონში არსებული ძირითადად მინისზედა კულტურის ძეგლთა ფიქსირება. გაბატონებული იყო მოსაზრება, რომ ამ რეგიონში არაა ისეთი არქეოლოგიური ობიექტები, რომლებიც წინ უსწრებს ანტიკურ ხანას და უნდა განეკუთვნოს ბრინჯაოს ეპოქას. უფრო მეტიც, როდესაც შავიზღვისპირეთის და დასავლეთ კავკასიის მხარეთმცოდნეთა პირველ ყრილობაზე 1924 წ. ა. ლუკინმა წარმოადგინა გუდაუთის რაიონის ბრინჯაოს ხანის მასალა, ამ ფაქტისათვის საზოგადოებას არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. მხოლოდ 1926 წელს ვ. სტრაჟევი მოგვცა აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ბრინჯაოს ხანის ძეგლთა მოკლე მიმოხილვა. მის მიერვე დაფიქსირდა პირველი ცნობა აფხაზეთში დოლმენების არსებობის შესახებ (ჯაფარიძე ო. 1956; Стражев В. И. 1926: 105-134). 1927 წ. ლუკინმა შეისწავლა ააგსთის ორმოსამარხი, რითაც საბოლოოდ უარყოფილ იქნა მოსაზრება აფხაზეთში ადრეულ ძეგლთა არსებობის შესახებ (Лукин А. А. 1941: 17-97). მაგრამ მაინც აფხაზეთის რამდენადმე სისტემატური არქეოლოგიური შესწავლა და პირველი მეცნიერული დასკვნების მიღება დაკავშირებულია მ. ივაშჩენკოს სახელთან (Ивашенко М. М. 1935). მის მიერ მიკვლეული და შესწავლილი იქნა ეშერის დოლმენების ჯგუფი და 4 მათგანი გაითხარა კიდეც. ამასთანავე იქვე მახლობლად გაითხარა აფხაზეთისთვის ძალზე სპეციფიური ძეგლი ადრეული რკინის ხანის რამდენიმე ოსუარიუმი მეორადი დაკრძალვის რიტუალით.

ამის შემდგომ აფხაზეთის არქეოლოგიურ შესწავლაში იწყება მეორე დიდი პერიოდი, რომელიც სამი ძირითადი სამეცნიერო ცენტრის მონაწილეობით განხორციელდა. 1934 წლიდან მუშაობა დაიწყო საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აკადემიკოს ი. მეშჩანინოვის ხელმძღვანელობით (მონაწილენი: ა. იესენი, ბ. კუფტინი, მ. ივაშჩენკო, ა. ლუკინი, ლ. სოლოვიოვი). ექსპედიციის მიერ მოკვლეული ძეგლები საკმაოდ მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანია, რაც ყველაზე სრულად ბ. კუფტინის ცნობილ მონოგრაფიაში აისახა (Куфтин Б. А. 1949). საკავშირო აკადემიის ხაზით სამუშაოები შემდგომში, 70-იანი წლების დასაწყისიდან გააგრძელა არქეოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა ვ. ბუჩნიამ. მისი კვლევის ობიექტებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ადრესამინათმოქმედო კულტურის ნამოსახლართა და ბაშკაფსარას მეტალურგიული კერის შესწავლა.

მეორე მიმართულება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ცენტრების სპეციალისტების მონაწილეობით ჩამოყალიბდა. ამ მიმართებით განსაკუთრებით აღსანიშნავია ორმოცდაათიანი წლები, როდესაც აფხაზეთში სამეცნიერო კვლევით სამუშაოებს იწყებს ბიჭვინტის

(ხელმძღვანელი აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე) და შავიზღვისპირეთის (ხელმძღვანელი ნინო ბერძენიშვილი) ექსპედიციები. ორივე ეს ექსპედიცია სტაციონარული იყო და წლების განმავლობაში აგრძელებდა სამუშაოებს. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ორივე ეს ექსპედიცია გარკვეულად მიზანმიმართული იყო. ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიცია ძირითადად აქცენტირებული იყო რომაული ნაქალაქარის შესწავლით, ხოლო შავიზღვისპირეთის – ქვის ხანის კულტურის გამოვლენით. აღსანიშნავია, რომ ეს ექსპედიციები მხედველობიდან არ უშვებდნენ სხვა პერიოდების მასალებსაც. ამ თვალსაზრისით საკმარისი იქნებოდა მოგვეგონებინა ერთი ფაქტი. შავიზღვისპირეთის ექსპედიციამ გალის რაიონის სოფ. ოქუშში მიაკვლია რკინის სადნობ ქურა-სახელოსნოს (ნ. ბერძენიშვილის ცნობა). ეს იყო პირველი საბუთი აფხაზეთში რკინის ადგილობრივი წარმოების ილუსტრაციისთვის. სამწუხაროდ, აღნიშნული ძეგლი ჩვენი სამუშაოების დასაწყისისთვის უკვე განადგურებული იყო. უფრო ზუსტად გზის გაყვანის სამუშაოებისას მოხსნილი დაგვხვდა ოქუშის გამოქვაბულის ნაწილი, მათ შორის ქურა. გამოქვაბულის გადარჩენილი ნაწილი ენეოლით-ზედა პალეოლითის ნაშთებით შემდგომში შესწავლილ იქნა გ. ფხაკაძის და გ. ხუბუტიას მიერ. ამავე ექსპედიციის მიერ ჩვენი ხელმძღვანელობით გაითხარა ძვ. წ. VI-V სს. უნიკალური სამაროვნის ნაშთი სოფ. მერხეულში (ბარამიძე მ. 1975). ერთი სიტყვით ეს ექსპედიციები არ იყო ვინრო ქრონოლოგიური პრინციპის მატარებელი და ემსახურებოდა ზოგადად აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენა-შესწავლას.

ამ პერიოდის სამუშაოებიდან არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ქართველი არქეოლოგების უფროსი თაობის მიერ წარმოებული კვლევა-ძიება აფხაზეთის ტერიტორიაზე. ამ მიმართულებით აღსანიშნავია ალ. კალანდაძის და გ. ლომთათიძის მიერ მ. თრაპშთან ერთად წარმოებული სამუშაოები სოხუმის მთაზე, სადაც გაითხარა გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი, სპილენძის დასამუშავებელი სახელოსნო, წინარე და ანტიკური ხანის სამაროვანი (კალანდაძე ალ. 1953).

პირველი ცნობა აფხაზეთში სპილენძის უძველესი გამონამუშევრების შესახებ დაკავშირებულია გ. გობეჯიშვილის სახელთან, რომელმაც აფხაზეთის სვანეთში მიაკვლია ამ რიგის უაღრესად საყურადღებო ძეგლებს.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ აფხაზეთში აკადემიკოს ო. ჯაფარიძის მოღვაწეობა. მისი ხელმძღვანელობით გაითხარა ეშერის დოლმენები და გამოქვეყნდა პირველი სრული და მეცნიერული ანალიზი კავკასიის დოლმენების შესახებ (ჯაფარიძე ო. 1959). ამ ნაშრომს დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება და დოლმენების ვერცერთი კავკასიელი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის მას.

ქართველი უფროსი თაობის წარმომადგენლებს 60-იანი წლებიდან მხარში ამოუდგნენ და გააგრძელეს კიდევაც ეს მიმართულება ახალგაზრდა, შემდგომში ცნობილიმა სპეციალისტებმა: ოთ. ლორთქიფანიძემ, რ. რამიშვილმა, რ. აბრამიშვილმა, რ. ფუთურიძემ, ვ. თოლორდავამ, ო. ლამბაშიძემ, ლ. წერეთელმა, გ. ფხაკაძემ, ნ. კილურაძემ, გ. ლორთქიფანიძემ, გ. გრიგოლიამ, მ. ბარამიძემ და სხვებმა. ამ თვალსაზრისით ვფიქრობთ, უკვე გარკვეული მესამე ეტაპი დაიწყო აფხაზეთის არქეოლოგიური შესწავლის. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1976 წ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შექმნას (ხელმძღვანელი მ. ბარამიძე), რომელსაც დაევალა ახალმშენებლობათა ზონებში არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენა-შესწავლა. ექსპედიციის საქმიანობაზე ქვემოთ უფრო ვრცლად გვექნება საუბარი.

პირობითად მესამე სამეცნიერო ცენტრი, რომელიც აწარმოებდა არქეოლოგიურ სამუშაოებს აფხაზეთის ტერიტორიაზე წარმოდგენილია ადგილობრივი, აფხაზური კადრებით. მათი მეცნიერული დასპეციალება ძირითადად თბილისში ხდებოდა და სწორედ მათ მიერ შეიქმნა მძლავრი არქეოლოგიური ჯგუფი, რომელიც აფხაზეთის პრობლემებზე მუშაობს. ამ კადრების მომზადების საქმეში მონაწილეობას ლეზულობდნენ საკავშირო ცენტრები მოსკოვში (ვ. ბჟანია) და ლენინგრად-

ში (ი. ვორონოვი). საერთოდ უნდა ითქვას, რომ ადგილობრივი კადრების მომზადების საკითხში განსაკუთრებული ადგილი უკავია პირველ აფხაზ არქეოლოგს მ. თრაპსს. მისი მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი სამუშაოებიდან 50-იანი წლებიდან აღსანიშნავია ისეთი პირველხარისხოვანი ძეგლების შესწავლა, როგორცაა გუადიხუს, ყულანურხვას, წითელი შუქურას, ნებელდის სამაროვნები, ეშერის და წითელი შუქურას ნამოსახლარები და სხვა (Трапш М. М. 1970)

მ. თრაპსის უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით წარმატებით ჩამოყალიბდნენ სპეციალისტ-არქეოლოგებად გ. შამბა, ვ. ბჟანია, იგ. წვინარია, მ. გუნბა, ალ. ბლაჟბა, ი. ვორონოვი და სხვები, რომლებიც სადღეისოდ უკვე აფხაზ არქეოლოგთა უფროს თაობას წარმოადგენენ და თვითონ ხელმძღვანელობენ ახლგაზრდა კადრების აღზრდის საკითხს. აფხაზ არქეოლოგთა ამ თაობის მიერ შესწავლილი ძეგლებიდან დავასახელებთ ახაჩარხუს, ყულანურხვას, ეშერის სამაროვნებს (გ. შამბა) და მაჭარის, გუმისთის, ტამიშის ნასახლარებს (ვ. ბჟანია), გუანდრის ნასახლარს, ოთხარის და ხუაპის დოლმენებს (იგ. წვინარია), სოხუმის ციხესა და წარჩეს (მ. გუნბა), ნებელდის ციხეს და სამაროვნებს (ი. ვორონოვი) და სხვ. თითოეული ძეგლი უაღრესად საყურადღებოა და ქართული კულტურის ერთიან სივრცეში არის გასააზრებელი. ამ მიმართულებით კი შეინიშნება ერთი საერთო ნაკლი. მხედველობაში გვაქვს ქართული არქეოლოგიის მიღწევების გარკვეული უგულველყოფა, რაც განსაკუთრებით ამ უკანასკნელ წლებში შეინიშნება. ამის საილუსტრაციოდ უკანასკნელ ხანებში ინტერნეტით გავრცელებული სხვადასხვა სტატიების გადათვალიერებაც საკმარისია, სადაც ჩვეულებრივ ქართველი არქეოლოგების არცერთი ნაშრომი არაა დადასტურებული და გამოყენებული. აშკარაა, რომ აქ უფრო პოლიტიკური სიტუაციაა განმსაზღვრელი და არა მეცნიერული. აქვე აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ პერიოდში ძირითადად აფხაზეთში გამოცემული ნაშრომები ჩვენთვის ხელმისაწვდომი არაა და მათ შესახებ აზრის გამოთქმაც კი გვიჭირს. როგორც ჩანს, იგივე შეიძლება ითქვას პირუკუ პროცესზე. საეჭვოა, ჩვენი უკანასკნელი პერიოდის გამოცემები აღწევდეს აფხაზეთში. ეს კი მეცნიერული ინტერესისათვის აშკარად მიუღებელი და საზიანოა. აღარაფერს ვამბობთ იმ ერთობლივ სამუშაოებზე, რაც ქართველი და აფხაზი სპეციალისტების მიერ ხორციელდებოდა წლების განმავლობაში. ენციკლოპედია ერთობლივი სესია-კონფერენციები, რაც ხელს უწყობდა ერთობლივი კონცეფციების ჩამოყალიბებასა და ურთიერთობას. პოლიტიკური სიტუაციის გამო ეს ყველაფერი დავიწყებას არის მიცემული. ამის გამო ბევრი კარდინალური პრობლემა, რაც წარმოიქმნება დასავლეთ ამიერკავკასიის უძველესი პერიოდების კვლევის საკითხში ფაქტიურად დავიწყებულია და შეჩერებული. მაგალითად საერთოდ არქეოლოგიის უმნიშვნელოვანესი პრობლემა ქრონოლოგია-პერიოდიზაციის საკითხი, რომლის სწორი და პრინციპული ხედვა ხელს უწყობს ისტორიის სწორ და მიზანმიმართულ გააზრებას. ამ მიმართულებით დიდი სამუშაო განხორციელდა გასული საუკუნის 80-იან წლებში. სიღნაღის საკავშირო კონფერენციაზე ფაქტიურად შემუშავდა კავკასიის ცალკეული რეგიონებისათვის ქრონოლოგიური შკალები, რომელიც საჭიროებდა შემდგომ დაზუსტებას და რიგ შემთხვევებში გარკვეულ სინქრონიზაციას. ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა სიღნაღის სიმპოზიუმის მასალების გამოცემა. სწორედ ამ სიმპოზიუმზე განიხილებოდა ი. ვორონოვის ქრონოლოგიური შკალა აფხაზეთის მიმართებაში. ავტორის მიხედვით კოლხური ბრინჯაოს ხანა ძალზე ვიწრო ქრონოლოგიურ ჩარჩოებში იყო მოქცეული. მთელი რიგი ადრეული ძეგლები ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე საგრძნობლად იქნა გაახალგაზრდაებული და ძვ. წ. VIII-VI სს ჩარჩოებში მოქცეული. ამით ი. ვორონოვი სრულიად უგულველყოფდა ადგილობრივი, კოლხური კულტურის ჩამოყალიბების, განვითარებისა და გავრცელების არსებულ, რეალურ სურათს და მხოლოდ გარე, ძირითადად ჩრდილოელი იმპულსებითა და მოძრაობით ხსნიდა ისეთ მნიშვნელოვან კულტურულ მოვლენას, როგორებიცაა: ბრინჯაოს და რკინის მეტალურგია, მინათმოქმედება და სხვ. ი. ვორონოვისეული ეს "თეორია" სიღნაღის სიმპოზიუმზე მკაცრად გაკრიტიკებულ იქნა კავკასიის მცოდნეთა მიერ (მ. ბარამიძე, გ. კვიციანი, ალ. რამიშვილი, ვ.

კოტოვიჩი და სხვ.). ამით ფაქტიურად კოლხური და მისი წინარე პროტოკოლხური კულტურები ქრონოლოგიურად სინქრონიზებული იქნა აღმოსავლურ-ამიერკავკასიურ და ჩრდილო-კავკასიურ კულტურებთან. ამასთანავე ცხადი გახდა და დაისახა გზები ამ კულტურათა ფესვების ძიების ერთობლივი მიმართულებით. აშკარა გახდა, რომ მაგალითად ყობანური კულტურის გენეზისის პრობლემა სამხრეთ კავკასიის ძეგლების გარეშე უპერსპექტივოა და მხოლოდ ერთობლივი ძალებით არის შესაძლებელი ისტორიული განვითარების პროცესის სწორი, მეცნიერული გააზრება.

ამასთან დაკავშირებით აუცილებელია აღვნიშნოთ კიდევ ერთი არსებითი საკითხი. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ადრეული სამაროვნები ფაქტიურად უცნობია და ერთეული, ძირითადად ძვ. წ. III ათასწლეულის სამარხებით არის წარმოდგენილი. ამასთანავე კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი და შესწავლილია ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის 2 ათეულზე მეტი სამაროვანი. სამწუხაროდ მათი დიდი უმრავლესობა კოლექტიურია და მათში კომპლექსთა გამოყოფა შეუძლებელია. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა სწორედ აფხაზეთის ტერიტორია, სადაც ინდივიდუალური სამარხების (ე. ი. კომპლექსების) არსებობა დოკუმენტურად დადასტურებულია. სამწუხაროდ ისინი ძირითადად ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ფარგლებში ექცევა. არის მართალია ცდა ამ პერიოდის სამარხულ კომპლექსებში გამოიყოს რამდენიმე ადრეული სამარხი (მ. ბრამიძე, ნ. დოლიძე), თუმცა მკვლევართა უმრავლესობა ამ მოსაზრებას არ იზიარებს. ამ მიმართებით უდაოდ საყურადღებოა მთიანი კავკასიონის ტერიტორია, რომლის სამხრეთ კალთებზე კოლხური კულტურის 2 უაღრესად საყურადღებო სამაროვანია შესწავლილი (ბრილი, თლია). მაგრამ აქაც ერთი მომენტი ალსანიშნავი. აღნიშნული სამაროვნების ქვედა საზღვარი ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებით თარიღდება და მათი გაჩენა სამხრეთული (კოლხური) მეტალურგი ტომების მიერ მთის რეგიონების ინტენსიური ათვისებით უნდა აიხსნას. ამაზე უაღრესი სამარხები კავკასიონის მთიან ზოლში უცნობია. მეორე საკითხია რამდენად მისაღებია ამ კომპლექსების გამოყენება ქრონოლოგიური შკალების შედგენის დროს. სიძნელე უპირველეს ყოვლისა იმაშია, რომ მთა მაინც კონსერვატულია და ადრეულ ფორმებს ხშირად გვიანამდის ინახავს.

მეორე და ძირითადი სიძნელე მდგომარეობს იმაში, რომ ბრილისა და თლიას სამარხებში კერამიკა თითქმის უცნობია და ერთეული, ფრაგმენტული სახითაა წარმოდგენილი. რაც გვაქვს ისიც ძირითადად მოგვიანო (ძვ. წ. VIII-VI სს) სამარხიდან მომდინარეობს. ამდენად მასალის (ლითონი, კერამიკა) კომპლექსური შესწავლის შესაძლებლობა თითქმის არ არის. ამავე დროს კოლხეთის ბარში კოლხური კულტურის (ისევე როგორც მისი წინამორბედი კულტურების) ძეგლები ძირითადად ნამოსახლარებითაა წარმოდგენილი. ამ უკანასკნელებში კი ლითონი ან საერთოდ არ არის, ანდა ერთეულების სახითაა წარმოდგენილი. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ პროტოკოლხური და კოლხური კულტურების პირველი ქრონოლოგიური შკალები სწორედ ნასახლართა შედარებით ან ნაწილობრივ სტრატეგრაფიულ მონაცემებზე იყო დაყრდნობილი და არსებითად კერამიკულ ნაწარმის მიხედვით იყო შექმნილი (მიქელაძე თ. 1974: 14). 60-იანი წლების ბოლოს იყო პირველი ცდები ზოგადად კოლხური კერამიკის და ლითონის ერთმანეთთან დაკავშირების, მაგრამ ადრეული საამრხეული კომპლექსების და მეცნიერულად შესწავლილი სტრატეგიცირებული ნასახლარების ნაკლებობის გამო ეს სქემები მეტ არგუმენტაციას საჭიროებენ. ამ მიმართულებით ყველაზე დიდი ღვაწლი მიუძღვით პროფ. თ. მიქელაძესა და პროფ. დ. ხახუტაიშვილს. აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვ. პროფ. მ. ბრამიძე) თანამშრომლების (ლ. ჯიბლაძე, თ. ჩიგოშვილი, ნ. დოლიძე) მიერ ამ მიმართულებით გამოქვეყნებულ იქნა რამოდენიმე სტატია და გამოკვლევა.

მეორე პრობლემა პროტო- და ძველი კოლხური კულტურების ურთიერთმიმართებაა. აღნიშნულ საკითხს კოლხეთის არქეოლოგიაში სხვადასხვა დროს რიგი მეცნიერი შეეხო. აღნიშნული იყო, რომ ადრე და შუაბრინჯაოს ხანის (პროტოკოლხური) და კოლხური (გვიანბრინჯაოს ხანის) კულტურები განსაკუთრებით კერამიკული მასალის გარკვეული განსხვავების გამო ერთმანეთს

გენეტიკურად თითქმის არ უკავშირდებოდა. თუ ლითონის ნაწარმში ეს კავშირი მეტნაკლებად შესამჩნევი იყო, ამას ვერ ვამბობთ კერამიკის მიმართ. საქმე კარდინალურად შეიცვალა აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ფიჩორის სადღეისოდ კარგად ცნობილი ნასახლარის შესწავლის შემდგომ. ნასახლარის რვა სტრატოგრაფიული ფენიდან, მეოთხე აშკარად შეიცავდა შუა და გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის კერამიკას და იმთავითვე მიჩნეული იქნა ამ პერიოდებს შორის გარდამავალ საფეხურად. გაირკვა, რომ ამგვარი პლასტი მანამდე ცნობილ ძეგლებზე არ იყო დაფიქსირებული.

საყურადღებოა, რომ აღნიშნული ფენა თითქმის ერთდროულად დაფიქსირდა პროფ. თ. მიქელაძის მიერ ერგეტის ნასახლარზე, თუმცა მას ამ ძეგლის ბოლომდე შესწავლა არ დასცალდა. თუმცა ცნობილია, რომ მკვლევარმა ერგეტის ნასახლარის ეს ფენა გარდამავალი ხანით დაათარიღა. კოლხური ადრე ცნობილი ნამოსახლარების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ამ პერიოდებს უნდა მივაკუთვნოთ ანაკლია I მესამე ფენა, ნაძჭედური VI ფენა, ნოსირის II ფენა, ნაკარლალის VI ფენა (მ. ბარამიძე, ლ. ჯიბლაძე). ამგვარად აშკარაა, რომ კოლხურ ნამოსახლარებში არსებობს გარდამავალი პერიოდის კულტურული პლასტი, რომლის მასალების დეტალური შესწავლა შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის გენეზისის პრობლემას ნათელს მოჰფენს.

დასავლეთ საქართველოს ბრინჯაო-რკინის ხანაზე მომუშავე არქეოლოგთა წინაშე დგას კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი პრობლემა. მთელ ტერიტორიაზე ძირითადად ერთგვაროვანი კულტურის არსებობის მიუხედავად მასალის ანალიზი შესაძლებლობას იძლევა ამ ერთიან კულტურაში გამოიყოფოს ლოკალური რაიონები. აშკარაა, რომ ამ ერთიანი კულტურის ლოკალურ რაიონად მთელ ძვ. წ. III-I ათასწლეულების განმავლობაში ჩანს დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია. ჩვენი ექსპედიციის თანამშრომელთა მიერ (თ. ჩიგოშვილი) ამ ლოკალურ კულტურაშიც მოხერხდა მიკრორეგიონების გამოყოფა. როგორც ჩანს, ამგვარი მიკროერთეულების და კულტურის კერების გამოყოფა მომავალი არქეოლოგიის საგანია.

კოლხეთის არქეოლოგიის შემდეგი პრობლემა დაკავშირებულია ჩვენში რამდენადმე უგულველყოფილი საკითხის, მიგრაციული პროცესების შესწავლასთან. საკითხის კულტურულ-ეკონომიური თუ საგარეო ინოვაციით და იმპულსებით ახსნა ყოველთვის დამაჯერებელი არ ჩანს. ჩვენი აზრით, ხშირად უგულვებელყოფილია ხალხთა ან ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფთა გადასახლება თუ შიდა მიგრაციული პროცესები. ქართული არქეოლოგიის დღევანდელი დონე, ვფიქრობთ გვაძლევს საშუალებას ეს პროცესები სრულყოფილად იყოს შესწავლილი. მაგალითად აშკარაა, რომ საქართველოს მთიანეთის ინტენსიური ათვისება ბრინჯაოს მეტალურგიის აღმავლობის გამო ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან ხდება. ამ პერიოდამდე მთა უფრო სპორადულად და ნაკლებად ჩანს დასახლებული. ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანების მასალების გენეტიკური კავშირი ბარის წინარე პერიოდების ნაკეთობებთან, ვფიქრობთ გვაძლევს უფლებას ამ შიდა მიგრაციების კვალის ძიების. ამ მიმართულებით უდაოდ საყურადღებოა ამ საკითხთან დაკავშირებული კიდევ ერთი საკითხი, სამიმოსვლო არტერიები. ჩვენი დაკვირვებით ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში დაფიქსირებული მოძრაობა ბარიდან მთისკენ ერთი სამხრეთ-ჩრდილოეთის მიმართულებაა. საყურადღებოა, რომ შესაძლოა მეორე ასეთივე შიდა მიგრაციული პროცესი აისახოს აფხაზეთ-მესხეთის მასალებში. მხედველობაში გვაქვს რველის სამაროვანზე ო. ღამბაშიძის მიერ დაფიქსირებული სპეციფიკური დოლმენური იერის მასალის არსებობა. 1968 წ. დასავლეთ საქართველოს სადაზვერვო-არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი გ. გრიგოლია) აბაშა-სენაკის რაიონში აწარმოებდა სამუშაოებს. ექსპედიციამ დაადასტურა სოფ. წყემში გვიანბრინჯაოს ხანის დიხა-გუძუბების არსებობა, რომლებსაც ირგვლივ ხელოვნური თხრილები შემოუყვებოდა. წყემიდან თხრილი-არხი მიემართებოდა სამხრეთით. ექსპედიცია გაყვა ამ არხს და დაახლოებით 8 კმ მანძილზე მასზე სხვადასხვა პუნქტებში კიდევ 3 ბორცვი გამოავლინა. ამდენად აშკარაა, რომ ხელოვნური არხი სამიმოსვლო არ-

ტერიაა, ერთმანეთს უკავშირებს რამდენიმე ნასახლარს. ანალოგიური სურათი შეიძლება დაფიქსირდეს სავარაუდო ტრასების გამოვლენის დროს. ეს ფაქტი კი უდაოდ ხელს შეუწყობს შიდა მიგრაციული პროცესების შესწავლას.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ კიდევ ერთი პრობლემა – ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის შესწავლა. ლითონის იარაღის მრვალარიცხოვნება და ტიპოლოგიური ნაირგვარობა აშკარად გვიჩვენებს, რომ დასავლეთ საქართველოს და კერძოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე მეტალურგია მაღალ დონეზე უნდა ყოფილიყო განვითარებული. სამწუხაროდ ამ მიმართულებით რეგიონში ბევრი არაფერი იყო გაკეთებული. გ. გობეჯიშვილისა და შ. ჩართოლანის მიერ ჩატარებული სადაზვერვო სამუშაოების შემდგომ ვ. ბჟანიამ აწარმოა მცირე მასშტაბის სამუშაო ბაშკაფშარას სპილენძის გამონამუშევრების შესასწავლად. უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი შედეგების მიუხედავად რამდენადაც ცნობილია შემდგომი სამუშაოები არ წარმოებულა. სპილენძის სადნობი სახელოსნოს ნაშთები იყო გამოვლენილი ალ. კალანდაძისა და გ. ლომთათიძის მიერ სოხუმის მთაზე. ფაქტიურად ეს არის მთელი ცნობები ბრინჯაოს მეტალურგიის შესახებ, პერსპექტივა კი უდიდესია, რაც აშკარად დაადასტურა ფიჩორის ნასახლარის გათხრებმა.

რაც შეეხება რკინის მეტალურგიას, ეს საკითხი აფხაზეთის ტერიტორიაზე ნაკლებადაა შესწავლილი. ძალზე მნიშვნელოვანი სამუშაო, რაც ჩაატარა ო. ბლაჟბამ, ძირითადად რკინის ნაწარმის მეტალურგიული ანალიზით შემოიფარგლა და ნაკლები ყურადღება დაეთმო ადრეული პერიოდების ნაწარმო ნაშთებს. ამ თვალსაზრისით უდაოდ მნიშვნელოვანი იყო ჩვენი სამუშაოები გალის რაიონის სოფ. I გალში, სადაც რკინის სახელოსნო იქნა გათხრილი. დასავლეთ საქართველოს რეგიონებს შორის ყველაზე უკეთ აჭარაა შესწავლილი (დ. ხახუტაიშვილი).

პრობლემათა მთელი ეს წყება მოტანილი იყო აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სამოქმედო გეგმაში, რომელიც 1976 წ. წარუდგინეთ არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამეცნიერო საბჭოს. ამ პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ფართო საირიგაციო სამუშაოები დაგეგმა დასავლეთ საქართველოს მშენებარე ობიექტების დირექციამ. სამუშაოთა წარმოება დავალებული ჰქონდა “კოლხიდმშენის” აფხაზეთის ორგანიზაციას. ამ დროს კი მშენებლობის ზონაში მრავალი არქეოლოგიური ძეგლი ექცეოდა. ახალშექმნილ არქეოლოგიურ ექსპედიციას დაევალა აფხაზეთის არქეოლოგებთან ერთად მჭიდრო კონტაქტში შეერჩია გათხრებისათვის აუცილებელი ობიექტები. ამ მიმართულებით უპირატესობა უნდა მიგვენიჭებინა იმ ობიექტებისათვის, რომლებიც ზემოთაღნიშნული პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობას იძლეოდა. დანარჩენ ძეგლებზე კი უნდა შემოვფარგლულიყავით მხოლოდ სადაზვერვო სამუშაოებით.

ახლადშექმნილი არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელობა დაევალა პროფ. მ. ბარამიძეს. ექსპედიციის მუშაობის მთელ პერიოდში 1976-91 წწ ხელმძღვანელის მოადგილედ და რაზმის უფროსებად მუშაობდნენ შემდეგი თანამშრომლები: თ. ჩიგოშვილი, გ. ფხაკაძე, ლ. ჯიბლაძე, გ. კვიციანი, ბ. შერეზადაშვილი, რ. ხვისტანი, გ. ხუბუტია და სხვ.

ექსპედიციის შემადგენლობაში ცალკე რაზმის სახით თანამშრომლობდნენ აფხაზეთის დ. გულუას სახ. ისტორიის, ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლები გ. შამბა (ხელმძღვანელის მოადგილე), იგ. წვინარია, მ. გუნბა, ს. შამბა (რაზმის უფროსი) და სხვა. გათხრების ანგარიშები შედიოდა აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის საერთო ნაშრომში და ქვეყნდებოდა როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო არქეოლოგიურ პერიოდულ გამოცემებში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საკავშირო არქეოლოგიის ინსტიტუტის შავიზღვისპირეთის არქეოლოგიურ ექსპედიციასთან (ხელმძღვანელი ვ. ბჟანია) ჩვენი მჭიდრო თანამშრომლობა. ჩვენს მიერ გათხრილი იქნა, მნიშვნელოვანი ნამოსახლარი სოფ. ტამიშში და ელინისტური ხანის მდიდრული სამაროვანი ბაღანში (ოჩამჩირის რაიონი). ერთობლივი სამუშაოების შედეგები ქვეყნდებოდა

ორივე ექსპედიციის ხელმძღვანელთა ავტორობით, როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკურ პერიოდიკაში. საყურადღებოა, რომ ამ მონაპოვარზე დაცული იქნა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

ამას გარდა სხვადასხვა უცხოურ, საკავშირო და რესპუბლიკურ პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებულია ათეულზე მეტი გამოკვლევა-სტატია. ექსპედიციის თანამშრომლები სისტემატიურად მონაწილეობდნენ როგორც რესპუბლიკურ, ისე საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. მთელი ეს მასალა გამოქვეყნებულია, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე.

აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალები და მიკვლევული ძეგლები დაედო საფუძვლად წინამდებარე ორტომეულს – „აფხაზეთის უძველესი მატერიალური კულტურა“.

§2. აფხაზეთის კვ. წ. II ათასწლეულისა და I ათასწლეულის პირველი ნახევრის არქეოლოგიური ძეგლები.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძალზე მდიდარია საკვლევე პერიოდის ძეგლებით. შეიძლება ითქვას, რომ არცერთი არქეოლოგიური პერიოდის ძეგლები არ არის ცნობილი იმ რაოდენობით, როგორც ძვ. წ. II-I ათასწლეულების. თითქმის არ არის დასავლეთ საქართველოში მიკრორეგიონი, საიდანაც კოლხური კულტურის ესა თუ ის ობიექტი არ იყო ცნობილი. რაც შეეხება მის წინარე (II ათასწლეულის პირველი ნახევარი) პერიოდის ძეგლებს, ისინი შედარებით მცირერიცხოვანია და მათი მეცნიერული კვლევა-ძიება ფაქტიურად სულ ორ ათეულ წელს ითვლის. ამდენად გასაგებია ის ინტერესი, რასაც იწვევს სამეცნიერო წრეებში ყოველი ახალი გამოკვლევა თუ ინფორმაცია ამ პერიოდის ძეგლების შესახებ.

ჩვენ, წლების განმავლობაში გვიხდებოდა ინტენსიური მუშაობა ამ პერიოდის ძეგლთა გამოვლენა-შესწავლაზე. უშუალოდ ჩვენი ხელმძღვანელობით სადღეიდსოდ რამდენიმე ათეული ამ პერიოდის ობიექტის შესწავლილი. კვლევის სფეროში ექცევა ნამოსახლარები, სამაროვნები, განძები, სანარმოო ობიექტები. ჩვენ საჭიროდ ვცანით ნაშრომში მოკლედ მაინც მიმოგვეხილა ის ობიექტები, რომლებიც საზოგადოებისთვის ნაკლებად არის ცნობილი. მათ სრულყოფილ განხილვას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საკვლევე რეგიონის ისტორიის საკვანძო პრობლემების შესწავლისათვის. ბუნებრივია, ვიყენებთ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილ, სხვა მკვლევართა ნაშრომებს ამ პერიოდის ძეგლების შესახებ. მაგრამ ნაშრომში არ არის მოცემული ამ ძეგლების აღწერილობა, რაც კიდევ უფრო გადატვირთავდა აღწერილობით ნაწილს. ამიტომ, ჩვენ მხოლოდ ჩვენს მიერ გათხრილ და შესწავლილ ძეგლთა აღწერილობით ვიფარგლებით.

ნამოსახლარები

ფიჩორის ცენტრალური ბორცვი (ტაბ. II-XI)

ეს ძეგლები და მოპოვებული არქეოლოგიური მასალები პირველად შემოდის სრულად სამეცნიერო მიმოქცევაში¹. ფიჩორის ნამოსახლარი მდებარეობს ქ. გალის ჩრდილო-დასავლეთით 40 კმ-ზე, სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთ განაპირა მხარეს, ზღვიდან 0.5 კმ დაშორებით. კომპლექსის

¹ ბარამიძე მ. 1998, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ. წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძირითადი პრობლემები), სადოქტორო დისერტაცია, თბილისი.

აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშები, Барамидзе М., Чигოшвили Т., Пхакадзе Г. и др. ПАИ 1976, 1980, 1982, 1984-85, 1987-91, 1995. Тбилиси.

შუაში აღმართულია ელიფსური ფორმის (70 X 80 მ-ზე) ცენტრალური ბორცვი (სიმაღლე 5 მ), სადაც დასტურდება ხანგრძლივი და უწყვეტი ცხოვრების კვალი (ძვ. წ. III ათასწლეულის მიწურულიდან, ვიდრე ძვ. წ. III ს. სანყისამდის), მის ირგვლივ ორ რიგად განლაგებულია ათამდის ბორცვი, რომლებიც დროთა განმავლობაში იქმნებოდნენ ქარბი მოსახლეობის განსახლების შედეგად. თითოეულ ამ ბორცვს და მთელ ამ კომპლექსს ირგვლივ შემოუყვება 10-15 მ სიფართის ხელოვნური თხრილი, რომელიც ამჟამად მწვანე საფართოა შევსებული. ნამოსახლარის ცენტრალური ბორცვის სტრატეგრაფიულ ქრილში დადასტურდა 13 გეოლოგიური ფენა, რომელთაგან 8 მძლავრ კულტურულ ნაშთს შეიცავდა.

1. კორდოვანი ფენა (სისქე 0.15 მ).
2. ბათქაშოვანი, ელინისტური ხანის ფენა (I კულტურული, სისქე-0.35 მ).
3. კულტურული ნაშთების შემცველი, მონაზვინი ფენა (I მოზვინვა – სისქე 0.50 მ).
4. მორუხო ფერის თიხნარი – II კულტურული ფენა ნახშირებისა და ბათქაშების ჩანართებით (სისქე – 0.30 მ).
5. ნამწვი ნახშიროვან-ბათქაშოვანი – III კულტურული ფენა (სისქე-0.33 მ).
6. მოყვითალო ფერის თიხნარი – მონაზვინი ფენა (II მოზვინვა, სისქე-0.40 მ).
7. ნაცრისფერი, ნახშიროვან-ბათქაშოვანი – IV კულტურული ფენა (სისქე-0.38 მ).
8. მუქი ნაცრისფერ-მოყავისფრო – V კულტურული ფენა (სისქე-0.45 მ).
9. ნახშიროვან-ბათქაშოვანი – VI კულტურული ფენა (სისქე-0.30 მ).
10. მონაზვინი, მწვანე ფერის თიხნარი ფენა (III მოზვინვა, სისქე-0.37 მ).
11. ნახშიროვან-ნაცროვანი VII კულტურული ფენა (სისქე-0.20 მ).
12. მონაზვინი, მოშავო ფერის თიხნარი ფენა (IV მოზვინვა, სისქე-0.40 მ).
13. ნახშიროვან-ნაცროვანი ტორფნარევი VIII კულტურული ფენა (სისქე 0.20მ).

წინასწარ გვინდა აღვნიშნოთ, რომ მონაზვინი ფენები თავისუფალი იყო კულტურული ნაშთებისაგან, გარდა I მოზვინვისა. ეს ფენა იმეორებდა ძირითადად ცენტრალური ბორცვის IV კულტურული ფენის მასალებს, თუმცა გვხვდებოდა უფრო ადრეული (V ფენის სინქრონული) და მოგვიანო პერიოდის მასალებიც. აღნიშნული გარემოება გვაფიქრებინებს, რომ I მოზვინვა უშუალოდ მოხდა ადრეანტიკური ხანისათვის. ამაზე მიგვითითებს ის ფაქტიც, რომ ფენის თავში გვხვდებოდა ადრეანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი კერამიკის ერთეული ფრაგმენტები (ყურმილიანი ხელალები, სამწახნაგა ბაკოიანი ლანგრები). როგორც ჩანს, ადრეანტიკური და უშუალოდ წინარეანტიკური ხანის ფენები ბორცვზე განადგურებულია ელინისტური ხანის ნაგებობისათვის მოჭრილი მიწის ნიველირების დროს.

კორდოვანი ფენის მოხსნის შემდეგ ნამოსახლარის ცენტრალურ ნაწილში გამოიკვეთა ელინისტური ხანის ბათქაშოვანი ფენა, რომელიც მოიცავდა დაახლოებით 45 კვ. მ-ს და საკმაოდ კომპაქტური მასის სახით იყო წარმოდგენილი.

ელინისტურ ფენას ბორცვის ცენტრალურ ნაწილში უშუალოდ მოსდევდა კულტურული ნაშთების შემცველი მოყვითალო ფერის თიხნარი – I მონაზვინი ფენა. მისი გავრცელების პარამეტრი ძირითადად ემთხვეოდა ელინისტურ ფენას, თუმცა გადადიოდა ბორცვის ფერდობზეც.

II კულტურული ფენა ვრცელდებოდა მთელ შესწავლილ ფართობზე. იგი შეიცავდა უსისტემოდ მიმოხვეულ დანახშირებულ ძელებსა და ნახშიროვან-ბათქაშოვან შრეებს, რომლებიც ზოგიერთ მონაკვეთში გროვების სახით იდო. შესაძლოა ეს ნაშთები ხანძრის შედეგი იყოს, რომლის დროსაც გარედან თიხით შელესილი ხის კედლები დაინგრა და იატაკზე დაეფინა. დანახშირებულ ძელებს ზოგიერთ შემთხვევაში ლიანდაგისებრი წყობა ჰქონდა.

III კულტურული ფენა თითქმის მთლიანად მოიცავდა ბორცვს. პერიოფერიულ ნაწილში იგი თანდათან თხელდებოდა და მკრთალდებოდა. ზოგჯერ ძნელდებოდა მისი გამოყოფა ზედა, II კულ-

ტურული ფენისაგან. დაფიქსირებულია, კოლხური ჯარგვალისათვის დამახასიათებელი ძეღური ქდობით გადაბმის რამდენიმე შემთხვევა.

III-IV კულტურულ ფენებს ყოფს მომწვანო-მოყვითალო ფერის მონაზვინი ფენა (II მოზვინვა), რომელიც სტერილურ თიხნარს წარმოადგენს, ანდა იშვიათად შეიცავს ზედა ფენისათვის დამახასიათებელ კერამიკის ფრაგმენტებს. ხშირ შემთხვევაში მონაზვინ ფენას აქვს ლინზისებრ-ბალი-შისებრი ფორმა.

IV კულტურული ფენა შედგებოდა ნახშირებისა და ბათქაშების ნაშთებისაგან, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში თავმოყრილი იყო გროვების სახით. პირველად აქ დაფიქსირდა წვრილი კენჭებით მოპირკეთებული იატაკი და ნახშიროვანი ლაქები ზომით 2.5 X 2 მ-ზე.

მომდევნო, V კულტურული ფენა ვრცელდებოდა მთელ განათხარ ფართობზე, რომელიც გუძუებას ცენტრალურ ნაწილში უფრო კომპაქტურად იყო წარმოდგენილი, ხოლო პერიფერიაში კი მკრთალდებოდა. მაქსიმალური სისქე 50 სმ-ს აღემატებოდა და შედგებოდა 3-5 სამშენებლო ჰორიზონტისაგან, რომლებიც ვიწრო იატაკების ზოლით იმიჯნებოდნენ ერთმანეთისაგან. შიგადაშიგ მათ შორის შეიმჩნეოდა მომწვანო-მოყვითალო ფერის თიხნარი-მონაზვინი ფენა. აქ იატაკზე იშვიათად ჩნდებოდა დანახშირებული ძეღების ფრაგმენტებიანი ნახშიროვანი ლაქები (1.0 X 2 მ-ზე). საგულდაგულოდ მოსწორებულ გრუნტზე იკვეთებოდა სარის ბუდეები, რომელთა დიამეტრიც 10-12 სმ-ს აღწევდა.

VI კულტურული ფენა დაფენილია გუძუებას ცენტრალურ ნაწილში და შედგებოდა ნახშირებისა და ბათქაშების ნაშთებისაგან. იგი ზედა, V ფენისაგან იყოფოდა 10 სმ სისქის იატაკის ვიწრო ზოლით.

VII კულტურული ფენა მოიცავდა გუძუებას ცენტრალურ ნაწილს (25 X 25 მ-ზე). თიხის ნაწარმის გარდა შეიცავდა ნახშირებისა და ბათქაშების ნაშთებს. შედარებით მრავლად იყო შემორჩენილი ძირითადად უსისტემოდ მიმოხეული ძეღურ ნაგებობათა ნაშთები. ზოგჯერ ისინი კოლხური ჯარგვალისათვის დამახასიათებელი ძეღური ქდობის წესით იყვნენ ერთმანეთზე გადაბმული. საყურადღებოა აქ აღმოჩენილი წრიული მოშავო ფერის დამწვარი ლაქები, რომელთა შიგნით ზოგჯერ დასტურდებოდა ქაოსურად მიმოხეული ძეღების ფრაგმენტები. VII კულტურულ ფენაში მთელ განათხარ ფართობზე აღმოჩნდა ვერტიკალურად ჩასობილი სოლები, რომლებიც უმეტესად წყვილად იყო განლაგებული ერთმანეთისადმი მსუბუქი გადახრით, უნდა შევნიშნოთ, რომ VII კულტურული ფენის იატაკზე მიმოხეული იყო თეთრი ფხვიერი ნივთიერება, რომლის რაობის გარკვევა ჯერჯერობით არ ხერხდება.

VII კულტურულ ფენას უშუალოდ მოსდევდა IV მონაზვინი სტერილური ფენა, რომელიც მუქი შეფერილობით და ლინზისებრი მოყვანილობით ხასიათდებოდა და მთელ განათხარ ფართობზე არ ვრცელდებოდა. რამდენიმე კვადრატში VII ფენა უშუალოდ ედო ზემოდან VIII ფენას. აშკარაა, რომ მოზვინვა არ მომხდარა მთელ ფართობზე და ეს ფენებიც ქრონოლოგიურად ახლოს დგას ერთმანეთთან.

VIII ტორფნარევ კულტურულ ფენას სხვა ფენებთან შედარებით მუქი შეფერილობა გააჩნდა. მისი გავრცელების პარამეტრიც იფარგლებოდა ნამოსახლარის ცენტრალური ნაწილით. შეიცავდა ბათქაშოვან-ნახშიროვან ნაშთებს. აქაც მრავლად გვხვდებოდა ვერტიკალურად ჩასობილი ხის სოლები და უმრავლეს შემთხვევაში უსისტემოდ განლაგებული ხის მორების ნაშთები. დაფიქსირდა ოთხკუთხა ნაგრძელებული ნაგებობის ფრაგმენტი, რომლის საძირკვლის ნაშთები სოლებით იყო დამაგრებული.

როგორც ვხედავთ, საყოფაცხოვრებო არქიტექტურული კონსტრუქცია ჩვენს მიერ შესწავლილ ბორცვზე ფრაგმენტული სახითაა შემორჩენილი. უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვეულებრივად გავრცელებული იყო ორი ძირითადი ტიპის ნაგებობა: ჯარგვალისებრი ნყობისა (სქელი მორებითა და

ძელებით ნაშენები) და სარლასტზე გამართული ფაცხისმაგვარი, წნულკედლიანი. ორივე ტიპის ნაგებობა ბათქამით იყო შელესილი.

როგორც აღვნიშნეთ, ძელურ ნაგებობათა ნაშთები უფრო ხშირად გვხვდება II, III, VII და VIII კულტურულ ფენებში და ისიც უმრავლეს შემთხვევაში უსისტემოდ მიმოხეული, ხანდახან კი ლიანდაგისებრი ნყოფით. ყველა შემთხვევაში მათ გააჩნდათ ერთნაირი ორიენტირება სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს.

ჩვენს მიერ შესწავლილ ნამოსახლარის VII-VIII კულტურული ფენების მაგალითზე სახლის (ჯარგვალის) გამართვა შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ. ბორცვის პირველი მოსახლენი, უპირველეს ყოვლისა, ჭაობში ალაგებენ ყოველგვარი სისტემის გარეშე, ხის ტოტებსა და ნაფოტებს. შემდეგ მათზე ხდება მიწის დაზვინვა. მონაზვინ მიწაზე კვლავ ლაგდება ძელები, რომლებიც ორივე მხრიდან მაგრდება სოლებით. ამგვარად მომზადებულ სპეციალურ პლატფორმაზე ლაგდებოდა ხის ფიცრები.

ცენტრალურ ბორცვზე მონაპოვარ მასალას განვიხილავთ ზემოდან ქვემოთ ფენების მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ კერამიკული მასალა მიუხედავად სიუხვისა, მაინც ფრაგმენტული სახითაა წარმოდგენილი, რის გამოც თიხის ჭურჭლების ფორმების შესახებ საუბარი გვიხდება – ძირების, გვერდებისა და პირ-ყელის პროფილების მიხედვით. უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთ ფენაში გვხვდება მთელი ჭურჭლებიც.

I კულტურული – ელინისტური ფენა (ტაბ. III) – შემორჩენილი იყო ნამოსახლარის მხოლოდ ცენტრალურ ნაწილში, მასალა ძირითადად წარმოდგენილი იყო ბრტყელი სინოპური გვერდებაკეცილი ღარიანი კრამიტითა და დერგების პირ-გვერდის ფრაგმენტებით. ამავე ფენის საკუთრებას წარმოადგენდა ამფორის რამდენიმე ყური და მცირე აზიური იმპორტული ჭურჭლის ძირ-გვერდის ფრაგმენტი. ასევე ყურადღებას იპყრობს ერთი ხელადა აგურისფერი გამოწვით. მას ახასიათებს მაღალი, თითქმის ცილინდრული ყელი, მსუბუქად გაშლილი პირი, მსხლისებრი ტანი და ფართო ბრტყელი ძირი. მრგვალგანივკვეთიანი ყური მხარზე და პირის ქვეშ აქვს მიძერწილი. თიხის ჭურჭელი, თითქმის ზუსტად იმეორებს წითელი შუქურას სამაროვნის ხელადადების ფორმებს (სამარხი №24). თუმცა ამ უკანასკნელთა ტანი რამდენადმე უფრო დაბალი და ფართოა.

ამავე ფენაშია აღმოჩენილი რკინის თოხი, სატევარი და მასრაგახსნილი შუბისპირი. მთელი მონაპოვარი იმგვარია, რომ ეჭვს არ იწვევს მათი ადრე ელინისტური ხანით დათარიღება.

II კულტურული ფენის მონაპოვარი ძირითადად კერამიკითაა წარმოდგენილი (ტაბ. III), რომლებიც უმეტესად შავად და ნაცრისფრადაა გამომწვარი. საქმე უნდა გვექონდეს საშუალო ზომის საყოფაცხოვრებო დანიშნულების ჭურჭლებთან (ქოთნები, ქილები, სასმისები, ტოლჩები). შედარებით მცირეა დიდი ზომის სამეურნეო დანიშნულების თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (დერგები, ქვევრები), ორნამენტირებაში გაბატონებული ადგილი უკავია წერტილოვან და სავარცხლიკბილისეულ დეკორს. გვხვდება ამ ტიპის ორნამენტის დატანა კერამიკაზე, როგორც ვერტიკალური, ასევე ჰორიზონტალური რიგების სახით. ხშირად გადმოცემულია მათი შეხამება ღარულ შემკობასთან. მსგავსი ხერხით ჭურჭლის გაფორმება დამახასიათებელია ნაოხვამუს, ზურგას, ნოსირის ზედა ფენებისა და კოლხეთის დაბლობის რიგი ნამოსახლარებისათვის, ხშირია სავარცხლისებრი შტამპით, ჭდეებით, პარკეტული და ვაფლისებრი ორნამენტით ჭურჭლის გაფორმება. შავად გამომწვარ კერამიკაში იხმარება ვინრო და ფართოზოლიანი კანელურები, ამ სახის დეკორით II ფენის მასალები ახლო პარალელებს პოულობენ ნაოხვამუს, ნოსირი III-ის და აბედათის ნამოსახლარების ზედა ფენებთან.

II კულტურულ ფენაში გავრცელებულია ყურები, რომელთა რქისებრი შვერილები კარგადაა გამოკვეთილი. ზოგიერთ მათგანს ღეროს ზედა პირზე დატანებული აქვს ჰორიზონტალურად განლაგებული სავარცხლისკბილისეული ორნამენტი. გვხვდება მეორე სახეობა ზოომორფული ყურე-

ბისა, რომლებიც წაკვეთილი ხის იმიტაციის შთაბეჭდილებას ქმნიან. ხშირ შემთხვევაში აღნიშნული ყურების ნაწილი ზურგის მხრიდან შემკულია წინვოვანი და წერტილოვანი დეკორით.

III კულტურული ფენის მასალები კიდევ უფრო მრავალრიცხოვანია (ტაბ. IV). კერამიკა უფრო ხშირად შავად და ნაცრისფრადაა გამომწვარი. უმთავრესად გავრცელებულია სამზარეულო ჭურჭელი (ქოთნები, ქილები, ხელადები, კოჭები და სხვ.). ამ ფენაშიც გვხვდება ტოლჩები, ყოველგვარი კანელურების გარეშე, შვეულებრივად რქისებრშვერილიანი ყურები, თუმცა მათი შვერილები უფრო შეუმწნეველია. ხშირად ასეთი ფორმის ყურები მუხლისებრ ფორმას ღებულობს. ზედა II ფენის მასალების მსგავსად გრძელდება ჭურჭლის შემკობა წერტილოვანი ორნამენტის ვერტიკალური და ჰორიზონტალური რიგებით. ნაკლებია ჯამები მილისებრი გადმოსასხმელით. ერთ-ერთ მათგანს გააჩნია უყელო დაბალი პირი და კორპუსის დასაწყისში გამობერილი მუცელი. ზედაპირზე დატანებული აქვს სავარცხლისკბილისეული ორნამენტის რამდენიმე ჰორიზონტალური რიგი.

ორნამენტაციის სხვა სახეობებიდან – ზედა ფენიდან არსებობას განაგრძობს წერტილოვანი ორნამენტის შეხამება-კომბინირება ღაროვანთან და მათი სხვადასხვა ვარიანტებით გადმოცემა. გვხვდება ღარულისა და ნაძვისებური დეკორის შერწყმა ერთმანეთთან. შავად გამომწვარ თიხის ფრაგმენტებზე ხშირია ჰორიზონტალურად ამოღარული მოტივები. პირველად III ფენაში ჩნდება ნახევრად რკალისებრი ღარების, ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად განლაგებული ფოსოების კომბინირება ერთმანეთთან. ასეთი შემკობა დამახასიათებელია ნაოხვამუს, ზურგასა და ნოსირი III-ის ქვედა ფენების მასალებისათვის. გვხვდება ყურის ღეროზე დატანებული ურთიერთსანააღმდეგოდ მიმართული ჭდეები და წერტილოვანი ორნამენტი. იშვიათადაა წარმოდგენილი თიხის ჭურჭლის ზედაპირის მოგლუვება-მოსწორება ნაფოტით, რომელიც ქვედა ფენებში მასობრივ ხასიათს ღებულობს. ზედა ფენიდან არსებობას განაგრძობს ზოომორფული ყურების სხვადასხვა ვარიანტები. გავრცელებულია მუხლისებრი და ფრინველისმკერდისებრი ყურები.

IV კულტურული ფენის კერამიკა (ტაბ. IV) გამომწვარია რუხ-მონაცრისფროდ, იშვიათად შავად ან აგურისფრად. კეცი წვრილმარცვლოვანია, ხშირად ერთფენოვანი, კვარცისა და ქარსის მინარევებით. მასალის ძირითადი ნაწილი საშუალო და მომცრო ზომის ჭურჭელს განეკუთვნება, რომელიც ხელითაა ნაძერწი. წარმოდგენილია ქოთნები, ჯამები, კოჭები, თასები, ტოლჩები, ხელადები, პატარა დოქები და სასმისები. იშვიათად გვხვდება ღერგისა და ქვევრის ფრაგმენტები. ყველა შემთხვევაში თიხის ჭურჭლის ძირი ბრტყელია. მრავლადაა პირმოყრილი და მუცელგამობერილი ჭურჭლები. ქოთნების უმრავლესობას ახასიათებს დაბალი ცილინდრული ყელი და მომრგვალებული მუცელი. ისინი ხშირად მსუბუქად გადაშლილპირიანებია. ქილებს ოდნავ გადაშლილი სწორი პირი ახასიათებთ, ხოლო ჯამები ძირითადად პირმოყრილია. ამავე ფენიდან ყურადღებას იპყრობს ორყურა მინიატურული კოჭობი. მას აქვს ჩაღარული ყელი, გაშლილი პირი და ფართო მომრგვალებული მუცელი, რომელიც ძირისკენ სწრაფად ვიწროვდება. ყურ-მხარზე და უშუალოდ პირზე აქვს მიძერწილი ისე, რომ ყურის ღეროს პირთან მიერთებისას იქმნება სამკუთხედისებრად შებრტყელებული მოედანი. ფერად აგურისფერია, მსუბუქად ზედაპირნაპრიალები, წვრილმარცვლოვანი. ფორმით უახლოვდება არქაულ ჭურჭლებს. ყურების ფორმირების მიხედვით მასთან ახლოს დგას ანაკლიის დინა-გუძუბას ყურების ერთი ჯგუფი, რომლებიც შუა ბრინჯაოს პერიოდისა უნდა იყოს.

კერამიკის შემკობაში გვხვდება პირმოყრილი ჯამის ფრაგმენტებზე დატანილი შევრონები, შესრულებული ღარული ანდაზით, რომელთა შორის წარმოქმნილი სიცარიელე შევსებულია ირიბად დასმული წვრილი ღარებით. შევრონებითა და ფოსოებით კერამიკის გაფორმება დამახასიათებელია ნაკარღალის, ნაოხვამუს, ნამჭდეურისა და საელიოას კურზიას (II ფენა) ქვედა ფენების მასალებისათვის. ხანდახან ჯამებსა და ქოთნებს კორპუსის დასაწყისში შემოუყვება ჰორიზონტალურად დატანებული ფოსოების ორი-სამი რიგი.

ჩნდება რელიგიური სარტყელი ნათითური ან დაკბილული ორნამენტით. აღნიშნული დეკორი ფიჩორის ცენტრალური ბორცვის ქვედა ფენების და საერთოდ კოლხეთის დაბლობის პროტოკოლხური კერამიკის ნამყვან ორნამენტს წარმოადგენს.

IV ფენაში გაბატონებული ადგილი უკავია ბრტყელძირიან ჭურჭლებს. ზოგიერთი მათგანისათვის დამახასიათებელია ჭილოფის ანაბეჭდები. ანალოგიური ნიმუშები ცნობილია ოჩამჩირის, მაჭარის (III ფენა), დაბლა გომის, ნაკარლალის, ანაკლია I (II ფენა) და ანაკლია II ნამოსახლარებზე (ტაბ. IV).

გავრცელებულია ჰორიზონტალური, ნყვილადი, ორფერდა, ფართოღეროიანი ლენტური და ზონარგასაყრელი მინიატურული ყურები. გვხვდება ყურები, რომლებიც პირთან მიერთების ადგილზე ქმნიან ე. წ. სამკუთხედისებრ შებრტყელებულ მოედანს. იშვიათია ჯამები მილისებრი გადმოსასხმელით.

მომდევნო, V კულტურული ფენის კერამიკა რუხი ნაცრისფერია. იშვიათაა ჩალისფერი ან აგურისფერი. ჭარბობს სამზარეულო ნაწარმი (ქოთნები, ქილები, ჯამები, ხელადები, ყელიანი კოჭბები). თიხა ხელითაა ნაძერნი, უხეში ხაოიანი ზედაპირით. პირის პროფილების მიხედვით ყველაზე უხვადაა წარმოდგენილი ქოთნებისა და ქილების ფრაგმენტები, რომელთა დიდი ნაწილი უყელოა ან დაბალყელიანი. ქოთნების პირები ხშირად უგვირგვინოა, გარეთ გადაშლილი. გვხვდება მსუბუქად და კარგად გადაშლილპირიანი ჭურჭლები ბრტყელი ძირით. უმრავლეს შემთხვევაში ქოთნები გვხვდებიან ჰორიზონტალური ყურებით. ქილები წარმოდგენილია ნყვილადი, ზემოდან სამკუთხედისებრად დაბრტყელებული და დაკეჭნილი ყურებით. აქვე ფორმის მიხედვით ყურადღებას იპყრობს ერთი ცალყურა ხელადა. იგი საშუალო ზომისაა, ღია ნაცრისფრადაა გამომწვარი, უყელო და პირმოყრილი. ჭურჭელი ხელითაა ნაძერნი, ზედაპირი ტლანქი და ხაოიანია. აქვს ბრტყელი, ოდნავ გამოყვანილი ძირი. ვერტიკალური ყური ჭურჭლის კორპუსთან მიერთებისას ოდნავ ჩაზნექილია. ხელადა ფორმის მიხედვით გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს ანაკლიის დიხა-გუძუბა I-ის ქვედა ფენაში ფიქსირებულ თიხის ჭურჭლებთან.

V ფენაში პირველად ჩნდება შავად ნაპრიალები ლენტური ყურები, რომელთაც ხშირად ზედაპირზე ჰორიზონტალურად დატანებული აქვთ შვერილები (პატარა მეჭეჭები, ან ზიგზაგოვანი ნაკანრი ტეხილი ხაზები). საინტერესოა, რომ შავად ნაპრიალები ლენტური ყურების გვერდით გვხვდება ადგილობრივი წარმოების მინაბადი ბრტყელი ყურები. ეს ნიმუშები ძირითადად დამახასიათებელია რუხად გამომწვარი კერამიკისათვის (ტაბ. V).

ზედა ფენიდან არსებობას განაგრძობს დაკბილული და ნათითური ორნამენტები. ჩნდება თიხის ჭურჭლის კორპუსის დასაწყისში ჯიბისებრი მინაძერწები, რომლებიც ქვედა ფენებში კიდევ უფრო მრავლდება.

ფენაში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის უმრავლესობა ბრტყელძირიანია, თუმცა გვხვდება მსუბუქად ან კარგად გამოყვანილი ქუსლიანებიც. გავრცელებულია ჭილოფის ანაბეჭდიანი და ღრუქუსლიანი ძირებიც. ჩნდება მასიურძირიანი თიხის ნაწარმი. აქ გვხვდება მასიური ორკაპა შვერილიანი თიხის სადგრები. ზოგიერთს ბრტყელ ძირზე შუაში დატანებული აქვს ფოსოები.

VI ნახშიროვან-ბათქაშოვან კულტურულ ფენაში თიხის ნაწარმი შედარებით მცირეა. კერამიკა ძირითადად რუხად და ჩალისფრადაა გამომწვარი. პროფილირებული ნიმუშების მიხედვით გავრცელებული სჩანს ქოთნები, ქილები, პატარა დოქები, ჯამები. ყურადღებას იპყრობს რამდენიმე თიხის ჭურჭლის ყელიანი პირ-გვერდის ფრაგმენტი, რომელთაც კორპუსის დასაწყისში დატანებული აქვთ მრგვალი ნახვრეტები. შესაძლოა ისინი სადღვებელებს წარმოადგენდნენ. VI ფენაში არსებობას იწყებს შავად და ნაბლისფრად ნაპრიალები თხელკეციანი, პატარა ზომის თიხის ჭურჭლები (ტაბ. VI).

აღნიშნული მასალები ქვედა VII-VIII კულტურულ ფენებში პროცენტულად მრავლდებიან და

უფრო დახვეწილ ფორმას იღებენ. ისინი შემკული არიან ნაკანრი ზიგზაგოვანი ხაზებით და ბადისებრი ორნამენტით. VI ფენაში გავრცელებულია შავად ნაპრიალები ლენტური, ჰორიზონტალური, წყვილადი და ღეროდაღარული ყურები. ისევე ნამყვან დეკორს წარმოადგენს დაკბილული და ნათითური ანდაზით თიხის ჭურჭლის შემკობა. მრავლდება ოჩამჩირული ტიპის კერამიკისათვის დამახასიათებელი ჯიბისებრი მინაძერწები. ჭილოფის ანაბეჭდიანი ძირების გვერდით ჩნდება მცენარის ანაბეჭდიანი ძირებიც, რომლებიც სადღეისო მონაცემების მიხედვით გავრცელებული ჩნას მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ნამოსახლარებზე (მაჭარა, ოჩამჩირე).

VII კულტურული ფენის კერამიკა (ტაბ. VII) გამომწვარია რუხად, მუქ ნაცრისფრად, ზოგჯერ შავად და ჩალისფრად. გავრცელებულია საშუალო ზომის სამზარეულო კერამიკა – ქოთნები, ქილები, კათხები, ჯამები, სასმისები, ლანგრები, ფიალები და პატარა დოქები. ამ სახის თიხის ჭურჭლებს თან ახლავს ჰორიზონტალური, ვერტიკალური, წყვილადი და გრძელღეროიანი შავპრიალა ლენტური ყურები. VIII ფენაში მრავლად გვხვდება ყურები, რომლებიც შვერილებით ჩამაგრებულია ჭურჭლის კედელში. ყურების ამგვარი ფორმირების წესი დამახასიათებელია დაბლა გომის, ოჩამჩირის, მაჭარისა და ახრა-კაპშის ნამოსახლარების ქვედა ფენებისათვის.

განსაკუთრებით საყურადღებოა შავად და ნაბლისფრად ნაპრიალები თხელკეციანი კერამიკა, რომელიც დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან (კოჭბები, პატარა დოქები, სასმისები). მათ ახასიათებთ მსუბუქად პირგადაშლილი მაღალი ყელი. თითქმის ყველა მათგანი ლენტურყურიანია. ნაპრიალები კერამიკისათვის დამახასიათებელია ნაკანრი ორნამენტით შემკობა. გვხვდება თიხის ჭურჭლის პირის გასწვრივ და კორპუსის დასაწყისში ჰორიზონტალურად დატანებული ნაკანრი პარალელურად განლაგებული ხაზები, რომელთა შორის არსებული სიცარიელე შევსებულია ურთიერთგადამკვეთი ვერტიკალური ხაზებით. ხშირად მათთან შეხამებულია ვერტიკალურად დასმული ნაკანრი ხაზები, რომლებიც ბადისებრ ორნამენტს ქმნიან. ასეთი დეკორი ხანდახან ყურის ღეროზეც არის დატანებული. გავრცელებულია ზიგზაგოვანი ტეხილი ხაზები, რომლებიც ჭურჭელს ყელზე შემოუყვებიან. თხელკეციანი შავად და ნაბლისფრად ნაპრიალები კერამიკა კოლხეთის დაბლობის ერთეულ ნამოსახლარებზე აღმოჩენილი (ოჩამჩირე, ანაკლია II და სხვ.).

VII კულტურულ ფენაში ყურადღებას იპყრობს შიბაქისმაგვარი, მრგვალნახვრეტიანი, გაურკვეველი დანიშნულების მქონე თიხის ნივთი და ორნამენტის დასატანი თიხის შტამპი, რომლის ზედაპირი დაჭდეულია. მრავლად გვხვდება თიხისა და ქვის ბორბლისებრი ფორმის კვირისტავები.

VIII კულტურული ფენის კერამიკა გამომწვარია რუხად, შავად, ზოგჯერ კი მუქ ნაცრისფრად (ტაბ. VIII). გავრცელებულია შავად და ნაბლისფრად ნაპრიალები თხელკეციანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ამ ფენაშიც კვლავ დომინირებს სამზარეულო კერამიკა. პროცენტულად მატულობს სამეურნეო დანიშნულების, შედარებით დიდი ზომის თიხის ჭურჭლები. ყველაზე გავრცელებული ფორმა საშუალო ზომის ჰორიზონტალურყურიანი, ბრტყელძირიანი ქოთნებია, რომლებიც ხასიათდებიან ერთფენიანი კეციით ქარსისა და კვარცის მინარევებით. ქილები უფრო ხშირად სწორპირიანია, ზოგი მათგანი პირგადმოკეცილია და ხორკლიანი ზედაპირი აქვთ.

VIII ფენაში მატულობს სუფრის ჭურჭლის (პატარა დოქები, სასმისები, კოჭბები). დოქები თხელკეციანებია შავად და ნაბლისფრად ნაპრიალები. გააჩნიათ გრძელღეროიანი ლენტური ყურები. ამ ფაქტურის კერამიკიდან ყურადღებას იპყრობს შავად ბრწყინვალედ ნაპრიალები ბადის პირგვერდის ფრაგმენტი ყელზე ორრიგად ღარებით, მინიატურული ფორმის ყურით და შვერილით. გვხვდება საშუალო ზომის შავად ნაპრიალები ქუსლიანი ფიალის ფრაგმენტები. აღნიშნული ჭურჭლები გარკვეულ შეხების ნერტილებს ავლენს ბედენური კულტურის კერამიკასთან (გამონვის მიხედვით).

ამ ფაქტურისა და ფორმის ჭურჭლებს პარალელები არ მოეპოვებათ ჩვენთვის ცნობილი კოლხეთის დაბლობის ნამოსახლარებზე.

VIII კულტურულ ფენაში აღმოჩნდა ორი საშუალო ზომის დოქი. ერთი მათგანი გამომწვარია ღია ნაბლისფრად. აქვს დაბალი ყელი და მოკლე ლენტური ყური, რომელიც პირთანაა მიერთებული. ჭურჭელი სფერულმუცლიანია, ძირისკენ სწრაფად შევიწროვებული. ყელზე ორ რიგად შემოუყვება ზიგზაგოვანი ტეხილი ხაზი, რომელთა შორის არსებული სივრცე შევსებულია ტეხილი ორნამენტით. მეორე ჭურჭელი შავპირია, აქვს დაბალი ყელი, ირგვლივ ჰორიზონტალურად შემოუყვება ორი პარალელური ამოკანრული ტეხილი ხაზი. დოქს, როგორც ჩანს, ჰქონდა ლენტური ყური. კორპუსის დასაწყისში დატანებული აქვს პატარა კოპი.

VI-VII ფენებიდან აქ ტრადიციულად გრძელდება ჰორიზონტალური, წყვილადი, ლენტური და ზემოდან დაკენჭილი ყურები. გავრცელებულია ყურები, რომლებიც შვერილებით ჭურჭლის კორპუსში მაგრდება. ჩნდება საინტერესო ჯგუფი ვერტიკალური ყურებისა, რომელთაც ჭურჭლის პირთან მიერთებისას ზედა ნაწილში ამკობთ ნუშისებრი შვერილები (კოპები). ასეთი ტიპის ნიმუშები ჩვენთვის ცნობილია ოჩამჩირის ნამოსახლარიდან.

VIII კულტურულ ფენაში ფართოდაა გავრცელებული რელიეფურ სარტყელზე დატანებული დაკბილული და ნათითური ორნამენტები, რომლებიც აქ შედარებით უხემ ფორმას ღებულობენ. ჭურჭლის კორპუსის დასაწყისში ხშირად ვხვდებით ჯიბისებრ მინაძერწებს და შვერილებს. ისევე დომინირებს შავად და ნაბლისფრად ნაპრიალებ კერამიკაში ნაკანრი, ზიგზაგოვანი და ბადისებრი ორნამენტი. ამ ჯგუფის კერამიკაში იშვიათად გვხვდება ჭურჭლის მხრის ირგვლივ დატანებული ფოსოები, რომელიც ძალზე წააგავს მაიკოპური კულტურისათვის დამახასიათებელ მარგალიტისებრ ორნამენტს.

ფიჩორის ცენტრალური ბორცვის VII-VIII კულტურულ ფენებში, კერამიკული მასალის გარდა, განსაკუთრებით აღსანიშნავია ბრინჯაოს ყუამილიანი ცულებისა და თოხების ყალიბების აღმოჩენა (ტაბ. IX).

ყუამილიან ცულებს (ყალიბების მიხედვით) ახასიათებთ სწორი შევტილი ტანი და მოკლე ყუა. პირი, გორდა მომრგვალებულია. მათთან ახლოს დგანან სოფ. განთიადის (ყარა-დერეს), ისპანის, კუმბულთას, ფასკაუს, სვანეთის და კრასნოდარის მუზეუმებში დაცული ყუამილიანი ცულები. ფიჩორის ყუამილიანი ცულები სრულიად ახალი ფორმაა დღემდე ცნობილ მასალებს შორის, რის გამოც მათ “ფიჩორულ ვარიანტს” ვუნოდებთ.

ძალზე საყურადღებოა თოხის ყალიბები და ბრინჯაოს თოხები. ისინი მხრებმომრგვალებულია. მხრები ტანისგან არაა გამოყოფილი და ჩართულია მის მთლიან მოხაზულობაში..

ცენტრალურ ბორცვზე აღმოჩენილი ბრინჯაოს თოხები ჩამოსხმულია იქვე აღმოჩენილ ყალიბებში, რასაც ადასტურებს მათი ტიპოლოგიური მსგავსება და ციცხვებში შემორჩენილი ბრინჯაოს ნალვენთები. 1981 წელს მონაზვინ (1) ფენაში აღმოჩნდა ურეკული ტიპის მხრებმომრგვალებული სამკუთხაპირიანი თოხი. მისი სიგრძე 14.5 სმ-ია, ხოლო პირის ყველაზე განიერი ადგილის სიფართოე 8 სმ-ს აღწევს. შიდა ნაწილზე მასაც თოხის მსგავსად მიუყვება რელიეფური ნიბური.

1986-87 წლებში ცენტრალური ბორცვის VI-VII-VIII კულტურულ ფენებში აღმოჩნდა ბრინჯაოს 4 თოხი, რომელიც ტიპოლოგიურად თითქმის ერთი ტიპისაა. ყველა მათგანი მხრებმომრგვალებულია. სატარე ხვრელი დატანებული აქვთ ტანის ყველაზე განიერ ნაწილზე. ურეკის თოხთან შედარებით ახასიათებთ ფართო ტანი. მათი სიგრძე 11-13 სმ შორის მერყეობს. საყურადღებოა, რომ ერთ-ერთი მათგანი აქვე აღმოჩენილ ყალიბშია დამზადებული. ფიჩორში აღმოჩენილი ყალიბები და თოხები ტიპოლოგიური თვალსაზრისით ანაკლია II-ზე აღმოჩენილ ყალიბებს უახლოვდებიან, თუმცა ამ უკანასკნელს უფრო მოგვიანო პერიოდით ათარილებენ. მათ შორის განსხვავება იმაშია, რომ ანაკლიის ყალიბები უფრო სწორკუთხაპირიანია, ვიდრე ფიჩორისა.

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ტერიტორიაზე სამკუთხა თოხების აღმოჩენა იმითაც არის საყურადღებო, რომ დღემდე ისინი მომდინარეობენ მხოლოდ შემთხვევითი მონაპოვარი განძები-

დან და ვარაუდობენ, რომ მათი გავრცელების არეალი უნდა შემოფარგლულიყო მხოლოდ გურია-აჭარის ტერიტორიით. ამ აღმოჩენით ნათელი ხდება, რომ სამკუთხა პირვინრო თოხები გავრცელებული ყოფილა კოლხეთის მთელ შავიზღვისპირეთში.

ლითონის სხვა ნივთებიდან ყურადღებას იპყრობს VI ფენაში აღმოჩენილი ბრინჯაოს ისრიპირი. ამ ნივთის მოპოვებით გარკვეული შეხების წერტილები ვლინდება კიურ-დერეს №4 დოლმენში აღმოჩენილ ბრინჯაოს ისრისპირთან.

განსაკუთრებით საინტერესოა VIII კულტურულ ფენაში აღმოჩენილი თიხის კომბინირებული ყალიბი. იგი ოთხმაგია, თავისკენ ოდნავ წაწვეტიანებული. 4 ნახნაგზე გამოყვანილია სხვადასხვა იარაღის ფორმები. ერთი მათგანი ტოლფერდა სამკუთხედის მაგვარ ბრტყელ სატევარს ეკუთვნის. მეორე ნახნაგზე, მის საპირისპირო მხარეს, გაურკვეველი დანიშნულების ნივთია ამოკვეთილი, რომელსაც ოვალური ფორმის თავი ბოლოსკენ შევიწროვებული აქვს. მსუბუქად დაშვებული ვინრო მხრები ყალიბის განიერი ნაწილისაკენ სიმეტრიულად ფართოვდება. პატარა ნახნაგებზე ორ მოპირდაპირე მხარეს დატანებულია, ერთი მხრივ, მოკლე და ვინრო მხრებდაშვებული შუბისპირი, რომლის მასრის მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი, მის მოპირდაპირე მხარეს კი პატარა კოვზის ფორმის ნივთია ამოკვეთილი. ფიჩორის კომბინირებულ ყალიბს არ მოეპოვება პირდაპირი პარალელი ჩვენთვის ცნობილ არქეოლოგიურ მასალებს შორის.

VIII კულტურულ ფენაში აღმოჩნდა გიშრის, პასტისა და დომინოსებრი მძივები. გიშრის მძივები შესანიშნავადაა დაცული და ტიპოლოგიურად იყოფიან რამდენიმე ჯგუფად:

1. ბიკონისებრი მოყვანილობის, ექვსნახნაგა, ყველა მათგანს ნახვრეტი დატანებული აქვს შუა ადგილზე.
2. ცილინდრული მოყვანილობის, ბორბლისებრი ფორმის.
3. კასრისებრი ფორმის, რომელთაგან ზოგიერთ მათგანს ეტყობა ცეცხლში მოხვედრის კვალი. დომინოსებრ მძივებს გვერდებზე აქვთ სამი გამჭოლი ნახვრეტი, ხოლო ზედაპირის ორივე მხარეს აქვთ მრგვალი წრეები.

განსაკუთრებით საყურადღებო იყო VIII ფენაში ორი ხის სახენელის აღმოჩენა (ტაბ. X), რომელთაგან ერთი დამზადებულია მუხლიანი ხისგან. მისი სიმაღლე 40 სმ, ხოლო სამუშაო ქუსლის სიგრძე (ქვედა ჰორიზონტალურად გამართული ადგილის) 28 სმ-ს აღწევს.

სახენელის სამუშაო პირს შუა ნაწილში დატანილი აქვს ოთხკუთხა ნახვრეტი 2X2-ზე სმ-ზე, სადაც ალბათ ებმებოდა სხვა გასაქაჩი ნაწილი (მხარი). გარდა ამისა შემორჩენილია ხის სახენელის მეორე შემადგენელი ნაწილი, რომლის დანიშნულების გარკვევა ჭირს. მისი სიგრძეა 58 სმ. კიდეები ნათილი და დამუშავებული აქვს. ნივთის ზედაპირზე და გვერდებზე დატანილია სამი ერთმანეთისაგან დაშორებული ოთხკუთხა ნახვრეტი ზომით 1X4 სმ-ზე. მეორე ხის სახენელის სიგრძეა 1.20 მ, ხოლო სამუშაო ქუსლისა კი 36 სმ, რომელიც წინა მხარეს ოდნავ ნაკლულია. ფიჩორის ხის სახენელები გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებენ საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში ცნობილ მესხურ, მეგრულ და აფხაზურ სახენელებთან. ასევე შესაძლოა გარკვეული პარალელის გავლება ევროპაში ცნობილ ხის სახენელებთან.

განსაკუთრებით მრავლადაა წარმოდგენილი ფიჩორის ცენტრალური ბორცვის სხვადასხვა ფენებში კაჟის ისრისპირები და ნამგლის ჩასართები. კაჟის ისრისპირებში გამოიყოფა ორი ჯგუფი. გვხვდება სიმეტრიულად და ასიმეტრიულად ფუძემოლარული, ფრეთბნაგრძელებული და ფრეთბ-მომრგვალებული ისრისპირები. გავრცელებულია კაჟის ნამგლის ჩასართები. მათთვის დამახასიათებელია როგორც ცალ ასევე ორივე გვერდის დაკბილვა. ქვედა ფენებში დომინირებს ორივე მხრიდან თავებშეჭრილი ნამგლის ჩასართები, რომლებიც დამახასიათებელია აგრეთვე ოჩამჩირის ნამოსახლარისათვის. აღნიშნული იარაღებით და მათი დამუშავების ტექნიკით ცენტრალური ბორცვის მასალები ახალ შეხების წერტილებს ავლენენ ოჩამჩირის ნამოსახლართან.

გარდა ზემოთ აღნიშნული ნივთებისა, ცენტრალური ნამოსახლარის სხვადასხვა ფენებში უხვადაა გავრცელებული ქვის დამუშავებული ინვენტარი: ხელსაფქვავეები (ნავისებრი მოყვანილობის), ქვასანაყები, სანაყები, სასრესები, ქვედა ფენებისათვის (V, VI, VII, VIII) დამახასიათებელია ქვის სანაფები და ცულები.

ცენტრალური ბორცვის პროტოკოლხური ფენებისათვის დამახასიათებელი იარაღია ქვის ცულები, რომლებიც 30 ცალამდეა აღმოჩენილი. ყველა მათგანი ერთი ტიპისაა. ხასიათდებიან მომრგვალებული თავითა და წამახვილებული წვერით. მათ ეტყობათ სამუშაო წვერზე ხმარების კვალი (პირი ხმარებისაგან ატკეცილია). ქვის ცულებს მრგვალი ნახვრეტი დატანებული აქვთ ზედა ნაწილში. ფიჩორული ქვის ცულების მიახლოებითი პარალელები ცნობილია საჩხერიდან, თერეგვანიდან და ოჟორიდან. ზედაპირულად რამდენიმე ცალი ნაპოვნია ჩვენ მიერ ახალ ათონში, ივერიის მთის ჩრდილო აღმოსავლეთ ფერდზე.

ცენტრალური ბორცვის კულტურულ ფენათა დათარიღებისას ძირითად საყრდენს წარმოადგენს თვით ძეგლის სტრატოგრაფია და კერამიკული მასალა. აგრეთვე ვხვდებით იმ კარგად შესწავლილი და გამოქვეყნებული ძელებით, რომელიც ცნობილია კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე (ზურგა, ნოსირი III, ნამჭდეური, ნაოხვამუ და ნაწილობრივ ანაკლია I).

ფაქტიურად ფიჩორის ცენტრალური ბორცვი დღეისათვის ერთადერთი ძეგლია კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე, სადაც თანმიმდევრულად ვხვდებით ადრე (ოჩამჩირე), შუა (ანაკლია I და II) და გვიანი ბრინჯაოს (ნაოხვამუ, ზურგა) ხანის კერამიკას.

ცენტრალური ნამოსახლარის I კულტურული ფენა სინოპური კრამიტებით, მსხლისებრი მოყვანილობის დოქითა და მცირე აზიური თიხის ჭურჭლის იმპორტით კარგად თარიღდება ძვ. წ. IV-III საუკუნეებით.

როგორც აღვნიშნეთ, II ფენაში მრავლად აღმოჩნდა კანელუროვანი ორნამენტით შემკული თიხის ჭურჭლები და ძველი კოლხური კერამიკის განვითარების II ეტაპის ყურები (რქისებრი ნაკვეთილი და ყურები, რომლებიც ნაბეილი ორკაპა ტოტის შთაბეჭდილებას ტოვებენ).

თ. მიქელაძეს კანელურები ძველი კოლხური II ეტაპის კერამიკის განმსაზღვრელად მიაჩნია. ბ. კუფტინს ნაოხვამუს ზედა ფენა, სადაც აღმოჩნდა კანელუროვანი კერამიკა და ზოომორფული ყურები, მიაჩნდა სინქრონულად ყველაზე ადრეული ბერძნული კოლონიზაციის. ე. გოგაძე ნოსირის ნამოსახლარის IV ფენას, რომელიც შეიცავს ამ ტიპის თიხის ჭურჭელს, მუხურჩის სამაროვანზე დაყდნობით ძვ. წ. XI-IX სს ათარიღებს.

ვფიქრობთ, მოყვანილი პარალელების მიხედვით II კულტურული ფენა დავათარიღოთ ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრით. ამ მოსაზრებას რამდენადმე ამაგრებს თარიღი, რომელიც მოგვცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რადიონახშირბადის ლაბორატორიამ: 2910-50 (ძვ. წ. 960-50 წ., ხოლო შესწორებული ცხრილით 1098 წელი).

ფიჩორის ცენტრალური დიხა-გუძუბას III კულტურულ ფენაში უკვე თავს იჩენს და გაბატონებული ადგილი უკავია ძველი კოლხური I ეტაპის კერამიკის დამახასიათებელ ნიმუშებს (ნაძვისებრი, ნახევრად რკალური, ღარული ორნამენტის კომბინირებს ერთმანეთთან და მათი სხვადასხვა ვარიანტით გადმოცემა). III ფენაში ჯერ კიდევ არა ჩანს პროტოკოლხური კერამიკისათვის დამახასიათებელი ელემენტები.

ვფიქრობთ, აღნიშნული ფენა სინქრონულია, ნაოხვამუს (შუა, ქვედა), ზურგას (ძირა), აბედათისა და ნოსირი III-ის (შუა) ნამოსახლარებისა. იგი შეიძლება მიახლოებით დავათარიღოთ ძვ. წ. XIV-XII სს.

IV ნახშიროვან-ბათქაშოვან კულტურულ ფენაში თავმოყრილია ძველი კოლხური (I ეტაპის) და პროტოკოლხური კერამიკის ნიმუშები (შევრონები, ფოსოები, ჭილოფის ანაბეჭდები, ბრტყელი ლენტური, სამკუთხედისებრად შებრტყელებული ყურები). უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფენაში შე-

დარებით ჭარბობს პროტოკოლხური თიხის ნაწარმი, ვიდრე ნაოხვამუს ქვედა ფენისათვის დამახასიათებელი ნიმუშები.

IV ფენა შეიძლება ასაკობრივად რამდენადმე ადრეული იყოს, ვიდრე ნაოხვამუს (ძირა), ნოსირი III-ის (მეორე) და ანაკლიის დიხა-გუძუბას I-ის III-IV ფენები. ვფიქრობთ, ფიჩორის ბორცვის IV ფენაში არქაული იერის მქონე ელემენტები უფრო უხვადაა წარმოდგენილი, ვიდრე ზემოთ ჩამოთვლილ ძეგლებზე.

სავარაუდოა, რომ ცენტრალური ნამოსახლარის IV კულტურული ფენა ასაკობრივად თანადროულია ნოსირი III-ისა (I ფენა) და ანაკლია I-ის მეორე ფენისა. იგი შეიძლება მივიჩნიოთ გარდამავალ ეტაპად შუადან გვიან ბრინჯაოს ხანაზე. ამდენად IV ფენა შეიძლება დავათარილოთ შუა ბრინჯაოს ხანის მიწურულით და გვიანი ბრინჯაოს საწყისი ეტაპით. ჩვენს მიერ მოტანილ თარიღს რამდენადმე ამაგრებს C_{14} და თერმოლუმინისცენციის მეთოდებით დათარიღება: C_{14} მოგვცა კალიბრირებული მეთოდით 3510-110 წ., ძვ. წ. XVII სს., ხოლო არაკალიბრირებულით 3290-40 წწ., ძვ. წ. XIV სს. თერმოლუმინისცენციის მეთოდით IV ფენის ასაკი განისაზღვრა 3470 წლით.

V ნაცრისფერ-მოყავისფრო კულტურულ ფენაში უკვე მთლიანად გაბატონებული ადგილი უკავია პროტოკოლხურ კერამიკას. ამ ფენაში ვერ ვხვდებით ნაოხვამუს ქვედა ფენისათვის დამახასიათებელ თუნდაც ერთეულ ნიმუშებსაც. აქ, მართალია, გრძელდება IV კულტურული ფენის ჭურჭლის ფორმების ტრადიციები, მაგრამ შედარებით ცვლილებები ხდება ორნამენტაციაში. მრავლდება და ჩნდება ყურების სხვადასხვა ვარიანტები.

V ფენა მიგვაჩნია ანაკლია I-ისა და ფიჩორის №6 ბორცვის ფენების სინქრონულად. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის C_{14} ლაბორატორიამ ამ ფენის თარიღი კალიბრირებული მეთოდით 3830-103 (1880 წ.), ხოლო არაკალიბრირებულით 3540-55 (ძვ. წ. 1590 წ.) განსაზღვრა. მოცემული ფენა თერმოლუმინისცენციის მეთოდით დათარიღებულია 3775 წლით. თერმოლუმინისცენციის მეთოდით დათარიღება შესრულებულია ჩვენი დაკვეთით ტალინის უნივერსიტეტში (ასევე ბუდაპეშტის) ლაბორატორიაში პროფ. გალინა ჰიუტის მიერ. თარიღები იქვე შემოწმებულია და ზუსტად ემთხვევა C_{14} მეთოდით დათარიღებას არაკალიბრირებული მეთოდით.

VI ფენა ძირითადად იმეორებს V ფენის კერამიკის ფორმებს, ორნამენტაციას, მაგრამ ამასთან ერთად ჩნდება ახალი ნიმუშები, რომელიც დამახასიათებელია ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ადრეული პერიოდის ნამოსახლარებისათვის (ჯიბისებრი მინაძერწები, მცენარის ანაბეჭდიანი ძირები, შავპრიალა თიხის ჭურჭლები და ყურები, რომლებიც ჭურჭლებში მიმარებულია წინა შვერილებით), გარკვეული შეხების წერტილებია ბრინჯაოს ისრისპირით კიურ-დერეს დოლმენებთან. აღნიშნული ფენა, ვფიქრობთ, უკვე სცილდება ანაკლია I-ისა და ნოსირი II-ის ძირა ფენების ქრონოლოგიურ საზღვრებს და იგი შესაძლოა დათარიღდეს შუა ბრინჯაოს საწყისი ეტაპით.

VII-VIII კულტურულ ფენებში გავრცელებულია პროტოკოლხური I-II ეტაპის კერამიკის ნიმუშები. ჩნდება კოლხეთის დაბლობის ნამოსახლარებისათვის დღემდე უცნობი ბრინჯაოს თოხები, ყუამილიანი ცულებისა და თოხების ყალიბები და სხვა ნივთები. როგორც აღვნიშნეთ VIII კულტურულ ფენაში აღმოჩნდა ხის სახენელები, გიშრისა და დომინოსებრი მძივები. აქვე გავრცელებულია შავად და წაბლისფრად ნაპრიალები კერამიკა.

ვფიქრობთ, VII კულტურული ფენა ასაკობრივად თანადროულია ისპანის ნამოსახლარის (ზედა), კიურ-დერეს დოლმენებისა (ქვედა) და მაჭარის ნამოსახლარის III ფენისა.

რაც შეეხება VIII კულტურულ ფენას, მისი ასაკი შეიძლება მივეუახლოვოთ ოჩამჩირის, ისპანის (ქვედა) და გუმისთა I-ის ნამოსახლარებს.

ჩვენს მოსაზრებას ემთხვევა C_{14} თარიღები, VII-VIII კულტურული ფენებიდან: კალიბრირებული – 4296-109 (ძვ. წ. 2346 წ.); 4710-108 (ძვ. წ. 2710 წ.), ხოლო არაკალიბრირებული – 3915-60 (ძვ. წ. 1965 წ.) და 4245-60 (ძვ. წ. 2295 წ.).

ამრიგად, ჩვენ შევეცადეთ მოკლედ მოგვეცა ფიჩორის ნამოსახლარის ცენტრალურ ბორცვზე თითქმის ორი ათასწლეულის მანძილზე უწყვეტი ცხოვრების საერთო სურათი (ტაბ. XI).

ვფიქრობთ, ცენტრალური ნამოსახლარი, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე შესწავლილ სხვა ხელოვნურ ბორცვებთან ერთად მეტად საინტერესო მასალებს იძლევა პროტოკოლხური და ძველი კოლხური კერამიკის შემდგომი კვლევა-ძიებისათვის.

ფიჩორი, ბორცვი №2.

ნასახლარი მდებარეობს ფიჩორი I ჩრდილოეთით 100 მ მანძილზე მეორე რიგის ელიფსური ფორმის შემადგენელზე (H-1.7 მ). თხრილი ზომით 22X24 მ აღმოსავლეთ-დასავლეთი ორიენტაციით შემდეგ სურათს გვაძლევს. კორდოვანი ფენის მოხსნის შემდეგ თავი იჩინა ბათქაშოვანმა მოედანმა, რომლის ფართობი 200 მ², სისქე კი 0.5 მ-ს აღწევდა და მკვეთრად იფარგლებოდა ყოველი მხრიდან. ბათქაშები მასიურია, ატარებს ცეცხლის ძლიერ კვალს და ზოგჯერ ნიდადაა ქცეული. ბათქაშოვან მოედანს ქვემოთ უდევს 30 სმ სისქის მოყვითალო თიხნარის ფენა ნახშირის ჩანანინ-ნკლებით. თიხნარი ფენის ქვეშ დაფენილია 0.3-0.5 მ სისქის მეორე ბათქაშოვანი ფენა, რომელიც წარმოქმნილია წვრილი, ფხვიერი და მასიური ბათქაშებით. ჰორიზონტი ყველაზე ინტენსიურია ბორცვის ცენტრალურ ნაწილში, რომელიც პერიფერიისკენ თხელდება. იგი დაფენილია თხელ ნახშიროვან ფენაზე, რომელსაც მოყავისფრო თიხნარი უდევს ქვეშ (სისქე 0.4-0.5 მ). თიხნარის მოხსნის შემდეგ თავი იჩინა მესამე ბათქაშოვანმა ფენამ (სისქე 0.5-0.6 მ), რომელიც წარმოდგენილი იყო ბრტყელი, ფილისებური ბათქაშებით და ეკავა 30 მ² ფართობი. როგორც ჩანს საქმე გვაქვს ერთ ნაგებობასთან. ბათქაშოვანი კედელი ჩანოლილია დამრეცად, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და ზემოდან ადევს მართკუთხა ფორმის (5X5 მ), ხის ძელებით წარმოქმნილ კონსტრუქციას. საყურადღებოა, რომ უშუალოდ მესამე ბათქაშოვანი ფენის ქვეშ დაფენილია მოყვითალო, მონაზვინი თიხნარი (სისქე – 0.3 მ), რომელიც თავის მხრივ ადევს მონაცრისფრო თიხნარს, რომელიც შეიცავს მცირერიცხოვან მასალებს. ეს დონე უშუალოდ ადევს გრუნტს. ბორცვის ათვისების ასაკი სწორედ ამ პერიოდით (ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე მეოთხედი) უნდა განისაზღვროს. ქრონოლოგიურად ამ მასალებს მოსდევს მესამე ბათქაშოვანი ფენის მონაპოვარი. იგი ფერად მონითალოა, იშვიათად მურა. ქოთნის პროფილები წარმოდგენილია სადა ან შესქელებულბაკოიანი ნატეხებით. გვხვდება პირმოყრილი ან ბრტყელბაკოიანი დერგების, მცირე ზომის კოჭების, ნახნაგოვანპირიანი ჭურჭლის ფრაგმენტები. ეს ჭურჭლები ჩვეულებრივ მხართან შემკულია ირიბი ჭდეებით ან ღარებით. ყურები ზოომორფული, ირიბად ნაკვეთილია ან მრგვალნახვრეტიანი, სადა. ამ უკანასკნელებს ნახნაგოვანი განივკვეთი და უნაგირისებურად შეზნექილი გარეთა ზედაპირი ახასიათებს. ამ ფენაში განსაკუთრებით აღსანიშნავია თხელკეციანი, მონითალო ან მოყვითალო, მსუბუქად ნაპრიალები კარგად გამომწვარი ფრაგმენტები. კეცის მიხედვით მსგავსი ჭურჭელი არ არის დამახასიათებელი კოლხური კერამიკისათვის. ორიენტაციაში ჭარბობს ირიბი ჭდეები, ფოსოები, ტეხილხაზოვანი სახეები და ღარები.

მეორე ბათქაშოვანი ფენის მონაპოვარი ძალზე მცირეა. აღსანიშნავია ოთხკუთხაგანივკვეთიანი ქვევრისპირი, პირმოყრილი და ნახნაგოვანი. დერგები შემკული ირიბი ჭდეებით ან ბადისებრი ორნამენტით, არის ქოთნის ფრაგმენტები, ყელჩაღარული, მსუბუქად გაშლილი. ერთ მათგანს ტანზე რელიეფური კლაკნილი გველის გამოსახულება ამკობს. ყველა მათგანი ღარებითაა შენკული. ჭურჭლის ყურები ორი ტიპისაა: ზოომორფულშვერილიანი შუაში და ოვალურნახვრეტიანი და განივკვეთიანი პირისაკენ აზიდული. მასალა იმგვაროვანია, რომელიც ერთგვარ შერეულ ხასიათს ატარებს და შეიცავს ადრე და წინარეანტიკური იერის მასალებს.

ყველაზე მრავალრიცხოვანი პირველი ბათქაშოვანი ფენის მონაპოვარია. ქვევრისპირები – ოთხკუთხაგანივკვეთიანია, გარედან ბადისებრი ან ირიბი ჭდეებით შემკული. დერგისპირები ორი ვარიანტითაა წარმოდგენილი: სამკუთხაგანივკვეთიანი (ისრისებრი) და სქელკედლიანი, გარეთ

გატანილი შებრტყელებული. პირველი შემკულია სამმაგი ტეხილით, მეორე კი ირიბი ჭდეებით. ქოთნისპირები სადა, მსუბუქად შესქელებული, წახნაგოვანი ან მომრგვალებულია. ჩვეულებრივ შემკულია ღარებით ან ირიბი ჭდეებით. ერთერთ მათგანს პატარა ოვალურნახვრეტიანი ყური ამკობს. ფენაში წარმოდგენილია შავზედაპირიანი ვერტიკალური ფართო კანელურებით შემკული ქვევრის კედლები. კანელურებს შორის სივრცე ჰორიზონტალური ნაკანრი ხაზებითაა შემკული. ამ ტიპის ქვევრები ჩნდება მხოლოდ ადრეანტიკური ხანიდან და წინა პერიოდში მათი არსებობა არცერთ ძეგლზე დაფიქსირებული არ არის. სასმისების ჯგუფი წარმოდგენილია ქუსლამოყვანილი, ჭიქისებრი ან კონუსისებრი ძირებით. ხუფები მხრებჩამოშვებულია, ქუსლიანი, ზემოდან კოპისებრი შვერილით. ყველაზე მრავალრიცხოვანია ყურები. მათში შვიდი ჯგუფი გამოიყოფა. მრგვალგანივკვეთიანი და ნახვრეტიანი პატარა ყურები (1); ოვალურნახვრეტიანი და განივკვეთიანი, ზემოთ აზიდული (2); ყურები ლილვისებური, ირიბი ჭდეებით შემკული, დანაძერნებით (3); ზოომორფული, ირიბად ნაკვეთილი შვერილებით (4); მრგვალნახვრეტიანი, წახნაგოვანგანივკვეთიანი უნაგირისებრი შეზნექილობით გარეთა მხარეს (5); ჰორიზონტალური მასიური (6); ყურები პირთან უშუალოდ მიერთებული და ზემოთ აზიდული (7). ფენაში დადასტურებულია რამდენიმე საქმენი მილის ფრაგმენტი და ბრინჯაოს ნალვენთი და წიდა.

ფენის დასათარიღებლად განმსაზღვრელი ჩანს კოლხური ქვევრების ფრაგმენტები, რომელიც ბორცვის არსებობის ზედა საზღვრს ადრეანტიკური ხანით (ძვ. წ. VI-V სს) განსაზღვრავს. არ არის გამორიცხული მისი რამდენადმე გაახალგაზრდავებაც.

ფიჩორი, ბორცვი N3.

მდებარეობს ფიჩორი I ჩრდილოეთით 50 მ მანძილზე, პირველი რიგის ელიფსური ფორმის შემალღებაზე. აქ გაითხარა 400 მ² ფართობი და თითქმის მოიცვა მთელი ბორცვი. კორდოვანი ფენის მოხსნის შემდგომ თავი იჩინა მოყავისფრო ბათქაშნარევა თიხნარმა (სისქე 0.4-0.5 მ), რომელიც ზემოდან იყო დაფენილი მონაცრისფრო თიხნარზე, რომელშიც შერეული იყო ნახშირის ჩანანინწკლები (სისქე 0.6 მ). ფენის ქვედა დონე დიდი რაოდენობით შეიცავდა ბათქაშს, ნახშირს და ნახშირ-ბათქაშოვანი დონის შთაბეჭდილებას ქმნიდა. იგი ზემოდან ედო თავზე მოყვითალო-მოცისფრო თიხნარს, გრუნტს. საყურადღებოა, რომ ბათქაშოვან ფენაში (I კულტურული ფენა), ზედაპირიდან 0.7 მ სიღრმეზე დაფიქსირდა მოყვითალო თიხატკეპნილი იატაკი. აღსანიშნავია, რომ თიხატკეპნილი იატაკის ფრაგმენტები ფიქსირებული იქნა II ფენაშიც.

II ფენის კერამიკა ძირითადად წარმოდგენილია ფართო ვერტიკალურკანელურიანი ქვევრის გვერდებით, კონუსისებრძირიანი და ქუსლამოყვანილი სასმისების ძირებით, ბრტყელბაკოიანი, ბადისებრი ორნამენტით შემკული ქვევრის პირებით, კოლხური სასმისების ზედაპირორნამენტირებული ფრაგმენტებით, პირმოყრილი ჯამების და დერგების პროფილებით. ორნამენტაციაში ვხვდებით ღარებს, ფოსოებს, სავარცხლისკბილისეულ და ირიბ ჭდეებს, გადაბმულ სპირალების რიგს და სხვა. ყურები წარმოდგენილია ჩვეულებრივი მრგვალნახვრეტიანი, კედელთან უნაგირისებური შეღრმავებით, ოთხკუთხაგანივკვეთიანი, გარეთშეზნექილი, ზოომორფული ირიბი ნაკვეთილი შვერილებით, მრგვალხვრეტიანი ზემოდან ლილვაკლისებრი დანაძერნებით, ზოგჯერ ირიბი ჭდეებით. მთელი მასალა იმდაგვარია, რომ მისი მიკუთვნება ადრეანტიკური ხანისათვის ეჭვს არ იწვევს. უდაოდ აღსანიშნავია, რომ I და II ფენებს შორის გამყოფი სტერილური შრე არ შეინიშნება და 0.7-0.8 მ სიღრმეზე ამ მასალებს თანდათანობით ერევა წინარეანტიკური ხანის ფორმები. ხოლო მის ქვემოთ მხოლოდ წინარეანტიკური ხანის ტიპიური კერამიკაა გავრცელებული. სრულიად ქრება კოლხური ქვევრების ფრაგმენტები, კონუსურძირიანი სასმისები, ბრტყელბაკოიანი, ბაკოორნამენტირებული ფრაგმენტები, პირდაჭდეული დერგები და სხვა. ამასთანავე შეიმჩნევა ქვის სამეურნეო იარაღის სიმრავლე (ხელსაფქვავეები, საბეგველები, სანაყები) და ბრინჯაოს უსახური ნივთები.

აღნიშნული ფენის სიმძლავრე არაა მაინცადამაინც დიდი (დაახლოებით 0.4 მ), რის გამოც შესაძლოა იგი რამდენადმე წინ უსწრებდეს შერეული კომპლექსების არსებობის ხანას (ძვ. წ. VIII ს) და მისი ქვედა საზღვარი ძვ. წ. VIII ს სიღრმეში არ უნდა მიდიოდეს.

ფიჩორი, ბორცვი N4.

ფიჩორის ნასახლარის №4 ბორცვი მდებარეობს ცენტრალური გუძუბას ჩრდილოეთით 80 მ მანძილზე მეორე ზოლის შემალღებაზე. მას აღმოსავლეთიდან დასავლეთით წაგრძელებული ოვალის ფორმა აქვს, სიგრძით 140 მ, სიგანე 40 მ. დასავლეთის მხრივ იგი პატარა ყელით გამოყოფილია №3 ბორცვიდან. სამხრეთიდან მას №5 ბორცვიდან გამოყოფს 10 მ სიგანის არხის ნაკვალევი. ბორცვზე გავლებულ იქნა 70 მ სიგრძის და 10 მ სიგანის თხრილი, რომელმაც შემდეგი სურათი მოგვცა. კორდოვანი ფენის (0.3 მ) ქვეშ დაფენებულია მოყვითალო თიხნარი წვრილი ბათქაშნარევი (0.5 მ). მის ქვეშ მოშავო-მონაცრისფრო ბათქაშნარევი თიხნარი (0.6 მ). ორივე დონეზე ბათქაშები უსისტემოდაა გაფანტული და მხოლოდ პატარა ყრილების სახითაა წარმოდგენილი. ორივე დონეზე პრინციპში ერთგვაროვანი მასალაა წარმოდგენილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტების სახით. პროფილების მიხედვით გამოიყოფა ფართოპირიანი, ბაკოდაჭდეული დერგები მხართან ირიბი ქდეებიანი ან რელიეფურგრეხილი სარტყლით (I ტიპი), მცირე ზომის დაბალი ჩალარული ყელით, ბაკომომრგვალებული და გადმოკეცილი (II), მაღალი, სწორყელიანი მრგვალპირიანი, ჩვეულებრივ მხარზე გეომეტრიული ორნამენტი. ქვევრები ხასიათდება ბრტყელბაკოიანი ან მომრგვალებული პირით. ქოთნები წარმოდგენილია თხელკედლიანი ფრაგმენტებით და ჩვეულებრივ პირგაშლილია მომრგვალებული ბაკოთი ან დაბალყელიანი, მსუბუქად გაშლილი პირით. კოჭები წვრილი სიგრძივი კანელურებითაა შემკული და ზოგჯერ ქუსლიანი ძირით ხასიათდებიან. პროფილების მიხედვით გამოიყოფა ტოლჩების, სასმისების, ჯამების, ქილების, ხუფების და სხვა ნატეხები. შეინიშნება ჭურჭლის ყურების სიმრავლე, რომლებშიც ექვსი ძირითადი ტიპი გამოიყოფა: ზოომორფული ყურები ნაკვეთილი რქისებრი შვერილებით, უნაგირისებური, მრგვალნახვრეტიანი და განიკვეთიანი მინიატურული ყურები, მომცრო სასმისების პირთან მიერთებული ბრტყელგანიკვეთიანი, სადა ყურები, სადა, მორკალული ყურები, იშვიათად კოპებით შემკული და ყურმილიანი ფრაგმენტები. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელები გვხვდება ორივე დონეზე, რაც კარგი საბუთია მათი გამოჩენის ასაკის განსაზღვრისათვის. ძირები ორი ტიპისაა ბრტყელი, სადა, ზოგჯერ შიდა მხრიდან კოპით ან ქუსლიანი (ჩვეულებრივ სასმისის ფორმის ჭურჭლის).

საინტერესო მასალებია მოპოვებული ბრინჯაოს მეტალურგიის შესასწავლად. ქვედა დონეზე აღმოჩნდა ბრტყელი ცულის და ყუნჩიანი სატევრის 2 ნაკლული ყალიბი, გამდანრი ლითონის ჩასახმელი ჭურჭელი, საბერველი მილები.

არცერთ კოლხურ ნამოსახლარს არ მოუცია იმდენი ლითონის იარაღი, რაც №4 ბორცვზეა. უპირველეს ყოვლისა აღვნიშნავთ ორ კოლხურ ცულს (I ტიპი ო. ჯაფარიძის კლასიფიკაციით), შუბისპირს, მრავალნახნაგა სატეხს (3 ც.), სეგმენტებს (2 ც.), ეჩოსებრ 3 თოხს, ბრინჯაოს ხეიბსა, ფირფიტის და კირკალის ფრაგმენტებს. მთელი ეს მასალა კარგად არის ცნობილი კოლხური ლითონის სახით და კიდევ ერთ საბუთს წარმოადგენს კერამიკისა და ლითონის სინქრონიზაციისათვის.

ფენაში მრავლადაა ქვის ინვენტარი. მათ შორის აღვნიშნავთ ხელსაფქვავეებს, საბეგველ-სანაყ და სალეს ქვეებს, კაყის ქუსლამოლარულ ისრისპირებს, ნამგლის ჩასართებს და სხვა.

მონაპოვარი მასალის ასეთი მოკლე მიმოხილვაც კი აშკარად გვიჩვენებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვან ძეგლთან გვაქვს საქმე. მისი ქრონოლოგიის გასარკვევად უპირველეს ყოვლისა კოლხეთის ცნობილ ნამოსახლართა მონაცემებს ვითვალისწინებთ. ზედა დონის მასალების (სამწახნაგა-ნიკვეთიანი ლანგრები, ყურმილიანი დოქები, ქვევრები და სხვა) მსგავსება ადრეანტიკურ ძეგლ-

ბთან, განსაკუთრებით “სიმაგრის” ნამოსახლართან, უფლებას გვაძლევს ნამოსახლარის არსებობის ზედა ზღვარი ძვ. წ. V ს-ით იყოს განსაზღვრული. არ არის გამორიცხული ამ თარიღის რამდენადმე გაახალგაზრდავება. რაც შეეხება ნამოსახლარის ქვედა საზღვარს იგი ლითონის იარაღის გათვალისწინებით ძვ. წ. VIII ს მაინც უნდა განისაზღვროს. შესაძლოა ქვედა თარიღი ძვ. წ. IX ს-ის მეორე ნახევარსაც კი მოიცავდეს.

ფიჩორი, ბორცვი N6.

მდებარეობს ფიჩორი I ჩრდილოეთით უშუალოდ მიმდებარე ტერიტორიაზე. მათ ერთმანეთისგან მხოლოდ 10 მ-მდის სიფართის თხრილი ყოფთ. ბორცვი ნასახლარის მთელ სისტემაში განცალკევებით დგას. იგი ფაქტიურად ერთადერთია, რომელიც ერთფენიანია და ამასთანავე ქრონოლოგიურად საკმაოდ ადრეული და ძვ. წ. I ათასწლეულის მასალა აქ არ ჩანს.

ბორცვი დაბალია 1 მ სიმაღლის, მომრგვალებული ფორმის. წარმოდგენილია უშუალოდ გრუნტზე დაფენილი უსისტემო, ბათქაშოვანი გროვების სახით, რომელიც შეიცავს ნახშირის ჩანანინკლებს და ნაცროვან შრეს. მონაპოვარი მასალა ძალზე მრავალრიცხოვანია და წარმოდგენილია პროტოკოლხური II ეტაპის დამახასიათებელი ფორმებით და ორნამენტით. ეს არის მოზრდილი დერგები მხარზე რელიეფური სარტყლებით ნათითური და ჭრილი ანაბეჭდებით, ჰორიზონტალური და ვერტიკალური ყურები, კოპისებრი თუ ჯიბისებრი მინაძერწები, ჭილოფის ანაბეჭდიანი მასიური ძირები და სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია შავპრიალა ჭურჭლის ადგილობრივი მინაბაძები ბრტყელი, მოგრძო ლენტური ყურების სახით. მასალა ფაქტიურად ზუსტად იმეორებს ფიჩორი I-ის V ფენის მონაპოვარს და ქრონოლოგიურად ძვ. წ. XVII-XVI სს უნდა ეკუთვნოდეს.

ბორცვი №6 კიდევ ერთი მომენტით იმსახურებს ჩვენს ყურადღებას. ნასახლარი გამართულია უშუალოდ გრუნტზე, რაც შეეფარდება ფიჩორი I-ის VIII ფენის იატაკის დონეს. აშკარაა, რომ №6 ბორცვზე მოსახლეობის გაჩენის პერიოდისათვის არის მშრალი ადგილი, რომელიც არ საჭიროებს დამატებით სამუშაოებს მოზინვის თუ სამშენებლო მოედნის მომზადების თვალსაზრისით. ამავდროს ამგვარი, ძალზე შრომატევადი სამუშაო შესრულებულია ცენტრალურ ბორცვზე. თუ რატომ არ იქნა გამოყენებული თავდაპირველი დასახლებისათვის, ეს მშრალი ადგილი ძნელი ასახსნელია. ძალზე ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს მშრალი ადგილი გაჩნდა რამდენადმე გვიან პერიოდში.

ფიჩორი, ბორცვი N8.

ფიჩორის ნამოსახლარის №8 ბორცვი მდებარეობს ცენტრალური ბორცვიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 160 მ. მისი სიმაღლე 1 მ-ს აღწევს, ფართობი კი 35X30 მ². ბორცვს გარს უვლის ნამოსახლარის ირგვლივ გამავალი ხელოვნური თხრილი, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ ნასახლარის უკიდურეს აღმოსავლეთ მონაკვეთთან გვაქვს საქმე. ბორცვზე გავლებულმა თხრილმა (10X10 მ2) გვიჩვენა, რომ საქმე გვაქვს ფაქტიურად ერთფენიან ძეგლთან, რომელიც წარმოდგენილია 15 სმ სისქის მონითალო ბათქაშოვანი ფენის სახით. ფენაში შესულია ნახშირის ჩანანინკლებიც.

მონაპოვარი მასალა საკმაოდ მცირერიცხოვანია და წარმოდგენილია საშუალო და მცირე ზომის ჭურჭლების ფრაგმენტებით. ფერად მურა-მოვარდისფროა, იშვიათად მოვარდისფრო. დამზადებულია ჩარხზე წვრილმარცვლოვანი, ქვიშანარევი თიხისგან. ვხვდებით ჭურჭლის ძირებს, უპირატესად ბრტყელი, ტანზე კუთხოვანი გადასვლით. იშვიათია ქუსლიანი, კოჭბისებრი სასმისების ძირები. აღსანიშნავია, რომ მთლიანად აღსდგა ამგვარი ჭურჭლის პროფილი, მხარზე ყურით. ყურები რამდენიმე ტიპისაა. ვხვდებით ყურმილიან ფრაგმენტებს, ოვალურ ან მრგვალნახვრეტიან ყურებს, ჩვეულებრივ ზემოდან დაძერწილი რელიეფური ირიბი ქდეებით შემკული ლილვაკით. არის მრგვალნახვრეტიანი, გვერდზე უნაგირისებურად ჩაზნექილი ყურები. ეს უკანასკნელი ანალოგიურია პალურის “საძვლისა” და დაბლაგომის ზედა ფენაში ცნობილი მასალების. განსაკუთრე-

ბით აღსანიშნავია ტაფის ფორმის ჭურჭლის სწორმხრიანი, ოვალურნახვრეტიანი ყური, რომლის ანალოგებს უფრო ელინისტური ხანის საქორქიოს ბათქაშოვანი მოედნების მასალებში ვხვდებით. როგორც ჩანს ამავე პერიოდის შეიძლება იყოს სამი ფოლაქისებრი ძირი, რომლებიც პატარა ამფორისკებს უნდა ეკუთვნოდეს.

მოზრდილი ჭურჭელი წარმოდგენილია ბრტყელი, სამნახნაგგანივკვეთიანი პირგადმოკეცილი დერგის პროფილებით, რომელთა ბაკო ირიბი სავარცხლისკბილისეული ნაჭდევებითაა შემკული. ანალოგიური ჭურჭელი სპეციფიურია ადრეანტიკური ხანის კოლხეთისათვის. როგორც ჩანს ამავე პერიოდს უნდა დაუკავშირდეს მოზრდილი პირქობიანი, მკვეთრტეხილიანი ფრაგმენტებიც და შავი ფერის კოლხური ქვევრების ნატეხები.

საშუალო ზომის ჭურჭელი უპირატესად მაღალცილინდრულყელიან ჭურჭელს ეკუთვნის, რომელსაც ქობიანი პირი ახასიათებს, ერთ მათგანს რელსისებური პირი აქვს, რითაც ასევე ადრეანტიკურ ნაწარმს მოგვაგონებს. არის მსუბუქად პირმოყრილი ჯამის და პატარა ქოთნის პროფილები. მსგავსი პროფილები წინარე და ადრეანტიკურ კერამიკას ახასიათებს.

მონაპოვარში რამდენიმე არქაულად გამოიყურება სოლისებურპირიანი, ხეხვით მიღებული მრგვალნახვრეტიანი ორი ქვის ცული, რომლებიც ფიჩორი I მეხუთე და ფიჩორი VI მასალებს უკავშირდება და შუა ბრინჯაოს ხანას უნდა მიეკუთვნებოდეს. შესაძლოა ისინი მოხვედრილი არიან ფენაში, სხვა, ადრეული ფენებიდან, თუმცა ძეგლზე არქაული ფენები არ ჩანს. საყურადღებოა, რომ მსგავსი სურათი გვაქვს განმუხურის ბორცვზეც, სადაც ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ფენაში ასევე ვხვდებით მსგავს ქვის ცულებს და რამდენიმე არქაული კერამიკის ფრაგმენტებს.

პარალელური მასალების გათვალისწინებით ბორცვზე ცხოვრება, როგორც ჩანს იწყება ძვ. წ. VI ს-თვის და მთავრდება ძვ. წ. IV ს-ის დასაწყისისთვის.

ფიჩორი, ბორცვი N5, 7, 9, 10.

ბორცვები განლაგებულია ფიჩორი I სამხრეთით და აღმოსავლეთით 100 მ მანძილზე მიმდებარე ტერიტორიაზე. ყველა მათგანი შემონმებული იქნა შურფებით (2X2 მ). გაირკვა, რომ ყველა ბორცვზე ფაქტიურად ერთგვაროვანი სურათი გვაქვს და დასტურდება ძვ. წ. I ათასწლეულის სამი ქრონოლოგიური პერიოდის არსებობა – ელინისტური ხანა, ადრეანტიკური და წინარეანტიკური. ამ უკანასკნელ ფენაში ორი ჰორიზონტის მასალები გამოიყოფა. ზედა ჰპრიზონტი შეიცავს ე. წ. შერეულ კომპლექსებს, რომელიც წინ უსწრებს ადრეანტიკურ ხანას. ამკარაა, რომ ნამოსახლარი ბორცვები ფაქტიურად სინქრონულადაა აღმოცენებული ცენტრალური ბორცვიდან ჭარბი მოსახლეობის განსახლების გზით. ეს პროცესი ძვ. წ. I ათასწლეულის საწყის საუკუნეებზე მოდის.

მონაპოვარი მასლა ტიპიურია ფიჩორის ნასახლარის სხვა ბორცვების ინვენტარის. ამდენად განმეორებისაგან თავს ვიკავებთ და მასალის დახასიათებას აღარ ვიძლევი. დამატებით აღვნიშნავთ, რომ მეხუთე ბორცვის ბათქაშოვან ფენებში შეინიშნება განსაკუთრებით ძლიერი ხანძრის კვალი. ამ ბორცვის ქვედა ფენაში აღმოჩენილია ბრინჯაოს ორი სეგმენტი და შუბისპირის (?) ფრაგმენტები.

ნაკარბალის ნამოსახლარი.

მდებარეობს ქ. გალის სამხრეთ-აღმოსავლეთით 45 კმ-ზე, ზღვიდან 5 კმ-ზე ჩრდილოეთით, სოფ. ფიჩორის განაპირა ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. მიკვლეულია ხელოვნური ბორცვების სისტემა, რომელიც შედგება ექვსი ბორცვისაგან, ცენტრალური გუძუბა (სიმაღლე 4.5 მ) დაზიანებულია სანახევროდ, თუმცა შეინიშნება ბორცვის ირგვლივ გამავალი ხელოვნური თხრილის კვალი. აღსანიშნავია, რომ ნაკარბალი მდებარეობს ფიჩორის ნასახლარიდან მომდინარე არხის პირზე და როგორც ჩანს, ერთი არტერიის ნაწილს წარმოადგენს. ბორცვზე გავლებული იქნა სადაზვერვო

თხრილი ზომით 4X6 მ-ზე. დაფიქსირდა ცხრა გეოლოგიური ფენა, რომელთაგან ექვსი კულტურულ ნაშთებს შეიცავს, სამი კი სტერილური, მონაზვინი შრეებია.

ბორცვის I, II და III ფენების კერამიკა (ნუმერაცია მიღებულია ზემოდან ქვემოთ) ხელითაა ნაძერწი, წვრილმარცვლოვანი, ხრეშნარევი თიხისაგან. ფერად რუხი ან ნაცრისფერია. გავრცელებული ჩანს ვერტიკალური, წყვილადი და ჰორიზონტალური, ბრტყელი ყურებიანი ქილები, ქოთნები, ჯამები. შემკობაში ვხვდებით ჰორიზონტალურ ფოსოებს, თითის ანაბეჭდიან რელიეფურ სარტყლებს და წინვოვან, ნაკანრ ორნამენტს. არის ქილოფის ანაბეჭდიანი ძირებიც. ანალოგიური მასალა ძირითადად ფიჩორის IV და V ფენებშია წარმოდგენილი, როს გამოც ჩანს, რომ I-II ფენების მასალა გარდამავალი ეტაპის კუთვნილი უნდა იყოს, ხოლო II ფენისა კი პროტოკოლხური II დასასრულს უნდა მიეკუთვნოს.

IV-VI ფენების კერამიკაც ხელითაა ნაძერწი, თუმცა შედარებით ტლანქია და უხეში. ზედაპირი ხაოიანია და ემჩნევა ნაფოტით მოსწორების კვალი ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზების სახით. ამ დონეებზე განაგრძობს არსებობას ნათითური ფოსოები და ჯიბისებრი დანაძერწები, ჭარბობს ჰორიზონტალური, წყვილადი და გრძელღეროიანი ლენტური ყურები. იშვიათია შავპრიალა ნანარმი. ფენაში აღმოჩენილია თიხის კვირისტავეები და შურდულის ქვები.

აღნიშნული ფენების მასალა ყველაზე ახლოს დგას ფიჩორი I-ის V ფენის მონაპოვართან. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ აქ ვერ ვხვდებით ფიჩორი I-ის VI ფენის შესატყვის მასალებს. აქედან აშკარაა, რომ ძეგლის ქვედა საზღვარი პროტოკოლხურის II ეტაპს ვერ გასცდება.

ბორცვი “აბაჟუ”.

მდებარეობს გალის რაიონის სოფ. პირველი გალის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. იგი ფაქტიურად ყველაზე მაღალი ადგილია მომიჯნავე ტერასებს შორის და აქედან იშლება ხედი მთელი კოლხეთის დაბლობის ზღვის სანაპირო ზოლამდის (მანძილი ზღვამდის 35 კმ). აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ტერიტორიაზე მდ. ერისწყლის და ოქუმის ხეობებით გადადიოდა გზები სვანეთსა და ჩრდილო კავკასიის მიმართულებით. როგორც ჩანს სწორედ ამ გზას აკონტროლებდა ბორცვის თხემზე შემორჩენილი გვიანფეოდალური ხანის მოზრდილი ციხის ნაშთები. თვით სახელწოდება “აბაჟუ”, რაც საბაჟოს ნიშნავს, ამ ფაქტის დამდასტურებელი ჩანს.

ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ნამოსახლარი მდებარეობს “აბაჟუს” დასავლეთ კალთაზე, შევაკებულ ტერასაზე, რომელიც ბორცვის თხემიდან ჩამოშლილი ფენით და მოგვიანო, უინვენტარო სამარხების ჩაშვების შედეგად ნაწილობრივ აზვინებს ნამოსახლარს. მართალია ძეგლი ბოლომდე გათხრილი არ არის, მაგრამ სადღეისო მონაცემებით უაღრესად საყურადღებოა და საინტერესო. მსგავსი არქიტექტურის მქონე ნამოსახლარი ჯეჯერობით უცნობია.

როგორც ჩანს ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისისთვის “აბაჟუს” ტერასაზე თიროვან ნიადაგში ჩაჭრილია მოზრდილი სათავსო. გამოვლენილია სათავსოს ჩრდილოეთი, სამხრეთი და აღმოსავლეთი კედლები. ჩრდილოეთის და სამხრეთის კედლები ერთმანეთის პარალელურად არის კლდეში ამოკვეთილი. ჩრდილოეთის კედლის სიმაღლე 3.8 მ აღწევს, სამხრეთის კი 1.95 მ. მათ შორის მანძილი 12 მ-ს აღწევს. გამოვლინდა მათი შემაერთებელი აღმოსავლეთის კედელიც, რომელსაც ტეხილხაზოვანი მოყვანილობა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ სადღეისოდ სათავსოს შიდა ფართი 600 მ² აღემატება (15.5X22X12 მ-ზე) დასავლეთის კედელი ჯერჯერობით არ ფიქსირდება. შესაძლებელია ამ მხრიდან სათავსოს ღია შესასვლელი ქონებოდა. კედლების თავზე წარმოქმნილ სპეციალურად მოსწორებულ მოედნებზე შეინიშნება ხის ბოძების და სარების ბუდეები. როგორც ჩანს სათავსოს ზედა ნაწილი ხის არქიტექტურით იყო წარმოდგენილი. იატაკი თიროვანია საკმაოდ მოსწორებული. მასზე დაფენებულია მოშავო-მონაცრისფრო, ნახშირის ჩანანინკლებით კულტურული ფენა. მასში არქეოლოგიური მასალა ერთეული, უსახური ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი. ისინი მოშავო-

მონაცრისფრო და იერთ უკავშირდება ძვ. წ. I ათასწლეულის სანყისი საუკუნეების კოლხურ ნაწარმს. როგორც ჩანს, ეს პერიოდი უნდა განსაზღვრავდეს სათავსოს გამართვის ასაკს. ძეგლის ზომები, ორიგინალობა თითქოს იქითკენ მიგვანიშნებს, რომ საქმე გვაქვს საკულტო-სარიტუალო ნაგებობასთან.

აღნიშნული ფენის თავზე, სათავსოს პირამდის ფიქსირდება რამდენიმე ბათქაშ-ნახშიროვანი დონე. აღსანიშნავია, რომ ერთ შემთხვევაში გამოვლინდა რიყის ქვარგვალეების ფენილი, შესაძლოა იატაკის მომზადება. მონაპოვარი მასალა ძალზე მრავალრიცხოვანია და წარმოდგენილია წინარე და ადრეანტიკური ხანის ტიპური ნაწარმით: კოლხური პითოსები, ბრტყელბაკიანი ლანგრები და დერგები, სასმისები, სხვადასხვა ტიპის ყურები და სხვა.

აღსანიშნავია, რომ სათავსოსგან სამხრეთით 50 მ-ზე გავლებულმა თხრილის ზედა ფენამ ადრეელისტიკური ხანის მასალებიც გამოავლინა, თუმცა ძირითად უბანზე ამგავრი ქრონოლოგიის განსაზღვრა ჭირს.

ტამიშის ნასახლარი.

მდებარეობს ოჩამჩირის რაიონის სოფ. ტამიშის დასავლეთ ნაწილში, ადგილ ტამიშ-აგუს ტერიტორიაზე, ზღვის თანამედროვე ნაპირთან 300 მ ჩრდილოეთით, მდ. ტოუმიშის მარცხენა ნაპირიდან 200 მ-ის აღმოსავლეთით. ბორცვი წარმოადგენს ტიპურ კოლხურ გუძუბას, რომლის სიმაღლე 2 მ-ს, დიამეტრი კი 50 მ-ს აღწევს. სამხრეთ-დასავლეთით და ჩრდილოეთით ბორცვი შემოზღუდულია ჭაობიანი ტყით. სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრივ ემჩნევა ხელოვნური თხრილის კვალი დაჭაობებული ზოლის სახით. ბორცვის სამხრეთით და დასავლეთით უშუალოდ მიმდებარე ტერიტორიაზე შეინიშნება კიდევ ორი შემადლება კულტურული ნაშთებით. მთელ ამ ტერიტორიას ამჟამად უკავია 90X100 მ ფართობი, თუმცა ნასახლარის გავრცელება შეინიშნება მის გარეთაც, დასავლეთით, მდ. ტოუმიშამდის.

ძირითადი გათხრითი სამუშაოები წარმოებდა ცენტრალურ ბორცვზე, სადაც დაფიქსირდა შემდეგი სურათი. ბორცვის ზედაპირი 0.3 მ სიღრმემდის ძალზე დაზიანებულია მიწის სამუშაოების დროს. უძრავი ფენა შეინიშნება მხოლოდ მის ქვეშ. 0.3-0.6 მ სიღრმეზე ფიქსირდება ბათქაშოვანი, უსისტემოდ განლაგებული გროვები, რომლებიც არავითარ კანონზომიერებას არ ექვემდებარება. მის ქვეშ 0.6-0.8 მ სიღრმეზე განფენილია მოშავო ნახშიროვანი შრე, რომლის ქვეშ ვრცელდება 0.4 სიმაღლის მონაცრისფრო-მოშავო თიხნარი. 1.2 მ სიღრმეზე უკვე ჩანს მოყვითალო თიხნარი გრუნტი. აღსანიშნავია, რომ გრუნტში ვერტიკალურად ჩაჭრილია ორი ტიპის ორმოები. პირველი ტიპის ორმოები მრგვალია და სამეურნეო დანიშნულების ჩანს. მათი დიამეტრი 1.2 მ არ აღემატება. მეორე რიგის ორმოები ოვალური ან ნახევრადოვალური ფორმისაა, სიგრძით 3-3.5 მ, სიღრმე 0.5-0.6 მ. აღსანიშნავია, რომ ერთერთი ორმოს ფსკერზე დაფიქსირდა მრგვალი ფორმის (დიამეტრიც 0.3 მ) ორმო, ავსებული ნაცრით – ცეცხლის ნთების აშკარა ნიშანი. ამგვარი კერები არაა ტიპური კოლხური ნასახლარებისათვის. მეორე ორმოს ფსკერი მოფენილი იყო რიყის პატარა ქვარგვალეებით. ეს ელემენტიც უცხოა ცენტრალური კოლხეთის ნამოსახლარებისათვის. ვხვდებით იატაკის გამართვის ანალოგიურ სურათს მხოლოდ აფხაზეთში (მოქვის, “აბაჟუს”, ფიჩორის ნამოსახლარებზე, წითელი შუქურას სამაროვანზე) და შესაძლოა ამ რეგიონის ლოკალური კულტურის ერთერთ სპეციფიურ ელემენტად იქნას მიჩნეული.

ამ რიგის ზოგიერთი ორმოს პირზე დაფიქსირდა ხის ბოძების ბუდეები დიამეტრით 3-5 სმ. აღნიშნული გარემოება გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს ნახევრადმინურ სადგომებთან, რომლის ზედა ნაწილი სარ-ლასტით იყო ამოყვანილი და შემდგომ თიხით შელესილი.

მონაპოვარი მასალა ძირითადად კერამიკითაა წარმოდგენილი და იგი ჰორიზონტების შესაბამისად ორ ქრონოლოგიურ ჯგუფს შეესატყვისება: ქვედა მონაცრისფრო თიხნარს და ორმოების

მასალა ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს და I ათასწლეულის საწყისს განეკუთვნება, ზედა ჰორიზონტის მონაპოვარი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედით უნდა დათარიღდეს. ქვემოთ, კერამიკული მასალების მიმოხილვის დროს ჩვენ დეტალურად განვიხილავთ ამ მონაპოვარს.

მოქვის ნასახლარი.

მდებარეობს მდ. მოქვის მარჯვენა ნაპირზე, ზღვიდან 150 მ-ზე, მდინარის შესართავთან. იგი წარმოადგენს მალალ, ბუნებრივ გორას, რომლის ფერდობი ზღვისა და მდინარის მიმართულებით ციცაბოა და ძნელად მისადგომი. მხოლოდ ჩრდილოეთით ბორცვი ერწყმის ვაკე ტერასას, თუმცა ამ მხრიდან ბორცვი ხელოვნური (?) ყელით არის მოჭრილი გარემოსაგან. ამდენად სტრატეგიულად ძალზე მოხერხებული და გაბატონებული მდგომარეობა უკავია. ნასახლარი ჯერ კიდევ 30-იან წლებში ისწავლებოდა ლ. სოლოვიოვის, ხოლო 70-იანი წლების მინურულში აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (რაზმის უფროსი გ. კვირკველია).

კორდოვანი ფენის ქვეშ დაფენილია 20 სმ სიმძლავრის მოყვითალო თიხნარი, რომელიც შეიცავს მცირერიცხოვან კერამიკულ ფრაგმენტებს, საწაფებს და ქვის ხელსაფქვავეებს. მის ქვეშ მოდის ბათქაშნარევი მოყავისფრო თიხნარი, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს კერამიკას. მესამე დონე წარმოდგენილია მუქი მოყავისფრო თიხნარით, ნახშირნარევი, სამზარეულო და ე. წ. დიუნური კერამიკის შემცველი. რამდენიმე შემთხვევაში დაფიქსირდა წვრილი რიყის ქვის ფენილები, იატაკის მომზადება. აღსანიშნავია, რომ მოხერხდა 0.2-0.3 მ სიღრმის ნახევრადმინური საცხოვრებელი ნაგებობის ქვედა ნაწილის გამოვლენა.

სამივე დონის კერამიკა პრინციპში ერთგვაროვანია და სინქრონულია კოლხეთის ძვ. წ. VIII-VII სს ნამოსახლარების მასალებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ოთხნახნაგბაკოიანი, ჭდეული ორნამენტით შემკული პითოსები, კანელურებიანი კერამიკა, ირიბადნაკვეთილშვერილებიანი ზოომორფული ყურები, ირიბი ჭდეებით და ბადისებრი სახეებით შემკული რელიეფური სარტყლები, სწორ ან მსუბუქად პირმოყრილი ჯამები, ბრინჯაოს სეგმენტი, რიყის ქვის სალესები, საბეგველები და სხვა. აღსანიშნავია, რომ ზედა ჰორიზონტში ამ მასალაში ჩნდება ფრაგმენტები ტალღოვანი ორნამენტით და სამნახნაგბაკოიანი პროფილები, რომლებიც ტიპიურია ადრეანტიკური ხანის კოლხური კერამიკისათვის. ამგვარად, ეს დონე ე. წ. შერეული კომპლექსების სინქრონული ჩანს. ნასახლარი ნადგურდება ხანძრისაგან ძვ. წ. VII ს, როგორც ჩანს დასასრულში, თუმცა მცირე ხნით მასზე ცხოვრება ხანძრის შემდგომაც გრძელდება.

უშაქეთის დისა-გუშუბა.

მდებარეობს გალის რაიონის სოფ. შეშელეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, გალი-ჩაის მეურნეობის ტერიტორიაზე, ტბიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 600 მ, ტყეში. ბორცვი ოვალური ფორმისაა (სიგრძე 70 მ; სიმაღლე 10 მ). ბორცვს ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან ემჩნევა 3-3.5 მ სიგანის თხრილი. ამ თხრილით იგი გამოყოფილია მეორე ბორცვისაგან, რომელიც რამდენადმე პატარაა და დაბალი. მათ სამხრეთით შეინიშნება კიდევ რამდენიმე (სამი მაინც) შემალღება. მათ გარეთ ჩრდილოეთის მხრიდან ჩამოუდის ხელოვნური თხრილი (სიგანე 2-2.5 მ), რომელიც დღესაც გამდინარე წყლით არის შევსილი. სოფ. რეფის მიმართულებით “კოლხიდმშენის” მიერ 50-იან წლებში გაჭრილმა სადრენაჟო თხრილებმა ფაქტიურად შეცვალა არხის ძველი კალაპოტი და წყალი მხოლოდ ერთი მიმართულებით დარჩა. ადგილობრივ მოსახლეობას კარგად ახსოვს, რომ ეს წყალი გარს უვლიდა ბორცვების მთელ ამ სისტემას.

№1 ბორცვზე გავლებულმა სადაზვერვო თხრილმა (2X8 მ) შემდეგი სტრატეგრაფიული სურათი მოგვცა: 1. კორდოვანი ფენა (0.1-0.15 მ); 2. რუხი მონაცრისფრო თიხნარი (0.1-0.5 მ); 3. ლია ნაცრისფერი თიხნარი (0.10-0.2 მ); 4. მოყვითალო-მონაცრისფრო თიხნარი, ნარევი ფენა, მონა-

ზვინი (1.8-2 მ). ხის ძელების შემცველი; 5.გრუნტი, მოყვითალო თიხნარი. არქეოლოგიურ მასალას შეიცავს მხოლოდ მეორე ფენა და წარმოდგენილია მცირერიცხოვანი, უპირატესად მონითალოდ გამომწვარი უსახური ფრაგმენტები. მათ შორის აღსანიშნავია, მხოლოდ მცირეაზიური (?) თხელკედლიანი ლანგრის პირი და ორი გვერდის ფრაგმენტი. აგრეთვე ადგილობრივი სწორყელიანი დერგის და სასმისის რამოდენიმე პროფილი. მასალა ელინისტური ხანის იერისაა.

რამდენიმე განსხვავებული სურათი მოგვცა ბორცვის ჩრდილოეთ ფერდზე გავლებულმა მეორე თხრილმა (4X4 მ). მეორე, რუხ-მონაცრისფრო თიხნარში დაფიქსირდა ბათქაშოვანი თხელი ფენა, რომელიც ზემოდან დაფენილია 1.2 მ სისქის მონაზვინ ფენაზე. მონაზვინის ქვეშ, 2.05 მ სიღმეზე იწყება 15-20 სმ სისქის მოშავო-მონაცრისფრო თიხნარი, რომელიც შეიცავს წინაანტიკური ხანის ძალზე მცირე და უსახურ კერამიკას. ესაა სწორყელიანი ფრაგმენტი, ერთი ოვალურხვერელიანი ყური და რამდენიმე კანელურიანი ნატეხი. აშკარაა, რომ ბორცვზე ცხოვრება ხანგრძლივი და ინტენსიური არ იყო და მოსახლეობა, როგორც ჩანს, მალე სტოვებს მას. ფაქტიურად იგივე სურათი მოგვცა მეორე ბორცვზე გავლებულმა თხრილმაც. საყურადღებოა მხოლოდ ის ფაქტი, რომ აქაც ელინისტურ ხანაში ხანმოკლე ცხოვრების კვალი ჩანს და ისევე როგორც სხვა კოლხურ ნასახლარებზე მოსახლეობა აქაც ტოვებს თავის საცხოვრისს.

რევის ნამოსახლარი.

მდებარეობს სოფლის განაპირა სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, გალი-ფიჩორის სამანქანო გზის მარჯვენა მხარეს 50-100 მეტრში. ერთმანეთის გვერდზე აღმართულია სამი ბორცვი, სიმაღლით 3-4 მ და დიამეტრით 25-30 მ. შეინიშნება ბორცვების ირგვლივ თხრილის კვალი, რამდენიმე დაჭაობებული, მომწვანო საფარი წარმოქმნილი ზოლების სახით. ეს თხრილები მიმართულების მიხედვით შემეღეთის ბორცვებთან უნდა იყოს დაკავშირებული, მაგრამ მიწის ინტენსიური დამუშავების გამო ფაქტიურად დღეს კვალი ნაშლილია. სამივე ბორცვზე გავლებულმა თხრილებმა ფაქტიურად ერთგვაროვანი სურათი მოგვცა. კორდოვანი ფენა, რომელიც შეიცავს ელინისტური ხანის იერის უსახო ფრაგმენტებს დაფენილია მოშავო-მოყავისფრო თიხნარისა და რიყის ქვების შემცველ მონაზვინ სტერილურ შრეზე, რომლის სიმძლავრე 1.5-2 მ აღწევს. მონაზვინი ფენის ქვეშ დევს გრუნტი და რაიმე ცხოვრების კვალი ბორცვზე არ ჩანს.

გულაგა I – დიუნური ნასახლარი.

ნამოსახლარი მდებარეობს გალის რაიონის სოფ. გუდავას ტერიტორიაზე, პრიმორსკის დასახლებაში. ერისწყლის არხის გაყვანის დროს მშენებლებმა შუაზე გაჭრეს დიუნა. ამჟამად არხის მარცხენა ნაპირზე გაშენებულია დასახლება “პრიმორსკი”, მარჯვენა ნაპირზე კი შემორჩენილია დიუნის დიდი ნაწილი. ძეგლი თავდაპირველად მიკვლეული იყო ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერვო რაზმის მიერ 1965 წელს (გ. გრიგოლია, მ. ბარამიძე). 1968 წელს ამ ტერიტორიაზე ზედაპირული დაზვერვის დროს მიკვლეული იყო ბრინჯაოს რვა მოზრდილი ზოდი, წონით 32-52 კგ. აფხაზეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1978 წელს ძეგლის გადარჩენილ ნაწილში, მდინარის მარჯვენა ნაპირზე გაავლო თხრილი, რომელშიც დაფიქსირდა შვიდი დამწვარი დონე (თხრილის სიღრმე 3.8 მ), რომელიც ერთმანეთისგან იმიჯნებოდა მაგნეტიტური ქვიშის ფენებით. აღსანიშნავია, რომ ზემოდან 1-2 დონეებზე გაიწმინდა 70 მ² ფართობის სწორკუთხა გადამწვარი მოედნები. მონაპოვარი მასალა ტიპურია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის დიუნურ ნასახლარებისათვის. ესაა რქისებური სადგრები და ქსოვილის ანაბეჭდიანი აბაზანისებრი ჭურჭელი. მასთან ერთად ვხვდებით წინარეანტიკური ხანის ტიპური კოლხური ჭურჭლების (ქოთანის, ჯამის, ყურმილიანი ხელადა) პროფილებს. აქვე შემთხვევით ნაპოვნი ბრინჯაოს მასრაგახსნილი, გრძელმასრიანი, ფოთლისებურპირიანი შუბისპირი გადაცემული იყო გალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. არქე-

მაგნიტური მეთოდით გეოფიზიკური გამოკვლევების დროს, გაირკვა, რომ გუდავა I სინქრონულია ფიჩორი II-V, მოქვის და ტამიშის ნასახლარის ზედა ჰორიზონტის. აშკარაა, რომ ძეგლი არსებობას იწყებს ძვ. წ. VIII საუკუნეში და წყვეტს არსებობას ძვ. წ. VI საუკუნეში, სავარაუდოა ძვ. წ. VI ს შუა ხანებში.

ბუდავა II – ბუჟუბა.

მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში, მდ. გუდავას მარცხენა ნაპირზე, ზღვიდან 2.2 კმ ჩრდილოეთით. წარმოადგენს ტიპურ ხელოვნურ ბორცვს, რომლის სიმაღლე 3 მ-ს აღწევს, დიამეტრიც დაახლოებით 15 მ-ს. ბორცვის ნახევარი წაღებულია მდინარის მიერ. ბორცვის თხემზე შემორჩენილია ფეოდალური ხანის ნაგებობის (ეკლესია?) ნაშთები. ენგურის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (გ. გრიგოლია, მ. ბარამიძე) ბორცვზე გაავლო სადაზვერვო შურფი (1X2 მ-ზე), რომელმაც უაღრესად საყურადღებო სურათი მოგვცა. ბორცვი წარმოქმნილია ქვიშაზვინულისაგან და მასზე დაფიქსირდა 11 ნახშიროვანი დონე, ოთხ შემთხვევაში ერთმანეთისგან გამიჯნული 20-25 სმ სისქის მონაზვინი მოყვითალო-მოყავისფრო თიხნარით. განსაკუთრებით საინტერესო ჩანს მე-6-ე დონე (ზემოდან), რომელიც წარმოდგენილია 4 სმ სისქის, მკვრივი თიხატკეპნილი იატაკის სახით. მასზე აშკარად შეინიშნება ცეცხლის კვალი.

საყურადღებოა აღვნიშნოთ, რომ ყველა 11 დონის მონაპოვარი კერამიკა აბსოლიტურად ერთგვაროვანია და წარმოდგენილია დიუნებისათვის ტიპური ქსოვილიანი კერამიკით (აბაზანისებური ჭურჭელი, რქისებური სადგრები). არის სულ რამდენიმე ფრაგმენტი წინარეანტიკური ხანის კოლხური კერამიკის.

მსგავსი ძეგლი ჩვენთვის ცნობილ კოლხეთის ძეგლებში არ გვეგულება. საერთოდ დიუნური დასახლებები ზღვის გასწვრივ, ნაპირთან არის განლაგებული და უზარმაზარი ფართობები უკავია. აქ კი სურათი სრულიად სანინააღმდეგოა. ზღვამდის მანძილი დიდა და გეოლოგიურად არ დასტურდება ზღვიური დანალექების არსებობა ამ ტერიტორიაზე. ამასთანავე, ბორცვი, კოლხური გუძულების მასშტაბითაც კი ძალზე პატარაა. აქ გამოყენებული ქვიშა აშკარად მდინარეული წარმოშობისაა. ჩვენის აზრით, გუდავა II შესაძლოა აღმოჩნდეს დიუნურ დასახლებათა რაობის გარკვევის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ეტალონური ძეგლი.

მზიური I – რკინის საღნობი ქურა-სახელოსნო (ტაბ. XII).

ძეგლი მდებარეობს ქ. გალის ტერიტორიაზე, მზიურის ჩაის მეურნეობის ჩრდილოეთ ნაწილში, პირველ გალისკენ მიმავალ სასოფლო გზაზე, ვერტმფრენის სადგომიდან 2.5 კმ ჩრდილოეთით. გზის გაფართოების მიზნით მოჭრილ იქნა ბორცვის ფერდი, 3 მ სისქის ფენა. ნვიმებმა შემდგომ გადარეცხეს მიწის ზედაპირი და გამოჩნდა ქურის ზედა ნაწილები და დამწვარი ფენა. საყურადღებოა, რომ ქურები მშენებლების მიერ დაზიანებული არ ყოფილა და გაშიშვლებული იყო 4 ქურის ზედა ნაწილი. კიდევ რამდენიმე ქურა შედის გზის მარჯვენა ნაპირის, 5 მ სიმაღლის ფლატეში და მათ გამოსავლენად დიდი მიწის სამუშაოა ჩასატარებელი. გზის მარცხენა ნაპირი მიუყვება ღრმა (სიმაღლე 25 მ) ხევს, რომლის ფერდზე აკრეფილ იქნა წიდის უფორმო მასები.

თვით გზაზე შეინიშნება რამდენიმე ნახანძრალი, განითლებული მოედანი, რომელიც ერთ ვერტიკალურ ხაზზეა განლაგებული. 10 მ სიგრძეზე 4 ქურაა ფიქსირებული. ყველა მათგანი გრუნტშია ჩაჭრილი ვერტიკალურად, ძირისკენ ოდნავი შევიწროვებით, ისე რომ მისი ზედა ნაწილი, დიამეტრით 0.8 მ, დაახლოებით 20 მ სიმაღლეზე მიწის ზედაპირს იყო აცილებული. ქურის ძირი მსუბუქად მომრგვალებულია. კედლებზე ზოგიერთ ადგილზე შეინიშნება შელესილობის კვალი. არ ჩანს სასულე ხერელის კვალიც კი. ყველა მათგანში აღმოჩნდა რკინის წიდეები, ხის ნახშირი, თუმცა რაიმე არქეოლოგიური მასალა სამწუხაროდ ნაპოვნი არ ყოფილა. რამდენიმე ფრაგმენტი, რომ-

ლებიც მოპოვებულია გაუთხრელი ქურების თავზე არსებული მიწის ფენაში, საკმაოდ უსახურია, თუმცა ზოგადად ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის იერს ატარებს.

ძეგლის ასაკის გარკვევისათვის გადამწყვეტი უნდა გახდეს არქეომაგნიტურ და რადიონახშირბადული დათარიღება. სამწუხაროდ, ხის ნახშირი ძალზე მცირეა და არ არის საკმარისი C_{14} დათარიღებისათვის. რაც შეეხება არქეომაგნიტურ კვლევას, რასაც გ. ინანიშვილი და ზ. ჭელიძე აწარმოებდნენ სპეციალური ტექნოლოგიით, სამუშაო შეჩერებულია ცენტრის ლაბორატორიების მდგომარეობის გამო. არსებობს მხოლოდ ზ. ჭელიძის წინასწარული დასკვნა, რომლის მიხედვით მზიური I უფრო ძვ. წ. I ათასწლეულის უნდა იყოს, ვიდრე მასზე ადრეული. ბუნებრივია, ამგვარი თარიღი არაა დამაკმაყოფილებელი. საქმეს ვერ შევლის ვერც ქურების ტიპოლოგიური კვლევა, რადგან ეს ადრეული ქურა-სახელოსნოები ფაქტიურად ერთ, ზემოთაღწერილ ტიპს განეკუთვნება და მათი ქრონოლოგიური გამიჯვნა ვერ ხერხდება.

§3. აფხაზეთის ნამოსახლართა ტოპოგრაფიის და არქიტექტურის საკითხები

(კოლხეთის ნასახლართა მონაცემების ფონზე)

(ტაბ. XIII-XVI)

შავიზღვისპირეთის თითქმის მთელ ტერიტორიაზე ძველი ნელთალრიცხვის III-I ათასწლეულებში სამოსახლოდ ძირითადად ხელოვნური გორა-ნამოსახლარებია გამოყენებული. მათი ძირითადი კონცენტრაცია შეინიშნება კოლხეთის დაბლობის ზოლში მდინარეების ან ძველი ნამდინარევი კალაპოტის (განსაკუთრებით მდ. რიონის) გასწვრივ რიონ-ფიჩორის, აბაშა-ნოღელას და ენგურ-ერისწყლის აუზებში. ამ ტერიტორიებზე ზედაპირული დაზვერვების თუ სტაციონარული გათხრების შედეგად რამდენიმე ათეული ბორცვ-ნამოსახლარია ფიქსირებული. ამ ხელოვნურ ბორცვთა ყველაზე გავრცელებული ტოპონიმი დიხა-გუძუბას (ამობურცული მიწა) სახელითაა ცნობილი, თუმცა ვხვდებით მთელ რიგ სხვა დასახელებებსაც: ნაოხვამუ (ნაეკლესიარი), ნაზონარე (მიწა-ნაყარი), ნაძღეური, ნანდეგუ (დეგების სადგომი), დიხა ზურგა, ზურგა, ზუგა (ამობურცული მიწა), ნაკარლალი (ნანისქვილარი), ჟი-სუკი, სვიკი (მაღალი ბორცვი) და სხვა. ამკარაა, რომ ტოპონიმები მხოლოდ მეგრული და ნაწილობრივ სვანური ენით იხსნება და სხვა ენის კვალი აფხაზეთის ტერიტორიაზეც არ ფიქსირდება.

ნამოსახლარები ძირითადად წარმოდგენილია ხელოვნური ბორცვების სახით, რომლებიც მკვეთრად გამოიყოფა კოლხეთის დაბლობის სწორი ზედაპირისაგან. მათი სიმაღლე მერყეობს 0,8-5-6 მ შორის, თუმცა გვხვდება უფრო მაღალი ბორცვებიც (საელიაო, შეშელეთის ცენტრალური გუძუბა). სადღეისო მონაცემებით ნაკლებად გამოყენებული ჩანს ბორცვოვანი ზოლის შემადგენლები და ტერასები, ისიც ძირითადად აფხაზეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ხელოვნურ ბორცვთა გამართვის ეს ტრადიცია იმდენად ძლიერი და მყარი ჩანს, რომ ისეთ რეგიონშიც კი, როგორც სამეგრელოს ბორცვოვანი ზოლია, და სადაც ამგვარი ნასახლარების გამართვის არავითარი საჭიროება არ არსებობს, ვხვდებით მათ. მაგალითად, საელიაოს გუძუბა (მარტვილის რაიონი) აღმართულია ბუნებრივ მაღალ ბორცვზე, რომელიც ოთხი მხრივ მკვეთრად გამოიყოფა გარემოსაგან. სწორედ ამ ბორცვზე დასტურდება ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის კულტურული ფენა. სწორედ ამ ფენაზე არის მომდევნო ხანაში აღმართული ხელოვნური გუძუბა, რომლის საერთო სიმაღლე თითქმის 16 მ აღწევს. ბორცვის სადაზვერვო თხრილმა გვიჩვენა, რომ იგი გამართულია ადრებრინჯაოს ხანის დასასრულისათვის.

ამ ფენას თავზე ადევს 4-5 მ სიმძლავრის სტერილური შრე, რომლის შემდგომ ფიქსირდება

გვიანი ბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანის ფენები (ბარამიძე მ., გრიგოლია გ. 1965: 102; Барамидзе М., Микеладзе Т. 1981: 96). შუა ბრინჯაოს მასალა ბორცვზე არ ჩანს, მაგრამ აშკარაა, რომ იქაც კი, სადაც ხელოვნური მოზინვის არავითარი საჭიროება არ არსებობს, ტრადიცია იმდენად ძლიერია, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ზვინავს მათ და სახლდება მასზე. როგორც ჩანს, მსგავსი სურათი უნდა გვექონდეს იმავე რეგიონში გამოვლენილ კიდევ რამდენიმე ძეგლზე (სერგიეთის, აბედათის და ლიხაინდრაოს გუძუბები) (5, გვ. 102). თუ რატომ არ ჩანს ამ ბორცვებზე საკუთრივ შუა ბრინჯაოს ხანის მასალა ეს საკითხის მეორე მხარეა. ანალოგიურ სურათთან გვაქვს საქმე აღმოსავლეთ საქართველოს მასალებშიც, სადაც ქვემო და შიდა ქართლის ძეგლებზე ეს პერიოდი არ არის წარმოდგენილი. მკვლევარები ამ გარემოებას ხსნიან ბარიდან მოსახლეობის დენადობით მთის რეგიონებში. მაგრამ კოლხეთის სინამდვილეში ეს ახსნა არ გამოდგება. დაბლობის მთელ რიგ ბორცვებზე შუა ბრინჯაოს ფენები კარგადაა წარმოდგენილი და არავითარი კვალი მოსახლეობის შემცირების არ ჩანს. შესაძლოა კოლხეთის დაბლობის ძირითადი მოსახლეობა რჩება ადგილზე და მისი მხოლოდ ნაწილი ინაცვლებს მთის ზოლისაკენ, ისიც დროის გარკვეულ მონაკვეთში (იხ. ქვემოთ). ამ ტიპის ძეგლების სიმცირე ჯერჯერობით არ იძლევა საფუძველს ამ საკითხის გადასაწყვეტად.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება კოლხეთის დაბლობის ხელოვნურ ბორცვთა ორგვარი წარმოშობის შესახებ. პირველი წარმოქმნილია კულტურულ ფენათა დაფენების შედეგად და ასახავს ისტორიული ცხოვრების სხვადასხვა საფეხურს. მეორე რიგის ბორცვები ასევე ხელოვნური წარმოშობისაა, მხოლოდ მისი ძირითადი ფენა, არავითარ კავშირში არ არის მის ზემოთ დაფენილ მასალასთან (Микеладзе Т. 1990: 16). ამ მეორე რიგის ნამოსახლართა კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს ბორცვი “სიმაგრე” ჭალადიდთან. მასში დაფიქსირდა ძვ. წ. VI-V სს მძლავრი კულტურული ფენის არსებობა. ამ ფენის თავზე წარმოქმნილი ბორცვის ზვინული შეიცავს უფრო ადრეულ მასალას, ვიდრე თვით ფენა, ე. ი. საქმე გვაქვს ე. წ. “უკულმა სტრატეგრაფიასთან”. აშკარაა, რომ ბორცვის ზვინული შექმნილია მოგვიანო ხანაში და მის გასამართად გამოყენებულია უფრო ადრეული ცხოვრების იქვე არსებული ფენები. საყურადღებოა, რომ ამგვარი შემთხვევები კოლხეთის სინამდვილეში სხვა ძეგლებზეც გვხვდება. მაგალითად, ნოსირის ნამოსახლარის მდინარისპირა ტერასაზე კულტურული ფენები უფრო მოგვიანოა (ადრერკინის ხანის), ხოლო მის ზემოთ მოზინული გვიანბრინჯაოს განეკუთვნება (ბარამიძე მ., გრიგოლია გ. 1965: 97). როგორც ჩანს, მსგავსი უკულმა სტრატეგრაფიასთან უნდა გვექონდეს საქმე ყულევის ნამოსახლარზეც, მდ. ხობის შესართავთან. ნასახლარის ზედა ფენებში სხვა პერიოდების კერამიკასთან ერთად გვხვდება შუა ბრინჯაოს ხანის ტიპური მასალა, ძირითადი ფენა კი ადრეფეოდალურ ხანას (?) განეკუთვნება (8). ფიჩორის ნასახლარის ცენტრალური ბორცვის I ფენის (ელინისტური ხანა) ქვეშ თავს იჩენს 1 მ სიძღვარის მონაზინი ფენა, რომელიც ძირითადად შეიცავს შუადან გვიანბრინჯაოზე გარდამავალი პერიოდის მასალას. მის ქვეშ კი (II) დაფენებულია ადრეული რკინის ხანის მძლავრი შრე. ამგვარი “უკულმა სტრატეგრაფია” ხშირად დააბნევს კიდევ მკვლევარს და საჭიროა სწორედ იქნას გარკვეული თვითოეული ბორცვის სპეციფიკა.

პირველი ჯგუფის ბორცვები განსაკუთრებით მრავლადაა ცნობილი. მათ რიგში დავასახელებთ ფიჩორის ცენტრალურ ბორცვს, მზიურის, ნაკარღალის, განმუხურის გუძუბებს, ანაკლია I და II, ნაოხვამუ, ზურგა, აბედათი, ნყემი, საელიაო, ნამჭდეური, პატრიკეთი და სხვა. მართალია ეს ბორცვები ქრონოლოგიურად სხვადასხვა პერიოდების ფენებს მოიცავს, მაგრამ დონეთა სტრატეგრაფიული განლაგება, მათი ურთიერთშეჯერება საშუალებას იძლევა სრულად იქნას აღდგენილი კოლხეთის უძველეს ნამოსახლართა ისტორიის ეტაპები.

კოლხეთის ხელოვნური ბორცვების ჯგუფში საკმაოდ უცნაურად გამოიყურება კიდევ ერთი ჯგუფი. საქმე ეხება ასევე ხელოვნურ შემალღებებს, რომლებიც არაფრით გამოირჩევა ტიპური გუძუბებისაგან. მათი განსაკუთრებული სიმრავლე შეინიშნება ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის

ტერიტორიაზე (ფიჩორის ესართიას ბორცვი, განმუხურის გუძუბა, მზიურის, შეშელეთის და რეფის 3 შემაღლებები. მათზე არავითარი ცხოვრების კვალი არ დასტურდება. არის მოზვინული ბორცვი, ხშირად 4-5 მ სიმაღლის (შეშელეთი, მზიური) და არა ჩანს კულტურული ფენები. მაგ., ფიჩორში, როგორც ცნობილია ყველა შემაღლება (დაახლოებით 20 ბორცვი) ათვისებულია სამოსახლოდ, გამონაკლისია, მხოლოდ ესართიას ბორცვი. განმუხურში აღმართულია გვერდიგვერდ ორი გუძუბა. აქედან უფრო დაბალზე (სიმაღლე 1,8 მ) დასტურდება ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის მძლავრი 1,5 მ სისქის ფენა, მეორეზე კი (სიმაღლე 265 მ) არავითარი ფენა არ ჩანს. ასევე სრულიად სტერილურია რეფის სამი ხელოვნური ბორცვი. შეშელეთის კომპლექსში შემაღალი სამი ბორცვიდან ერთი სრულიად სტერილურია, ორზე შეინიშნება ადრეელინისტური ხანის ძალზე სუსტი შრე. ამ უკანასკნელიდან მხოლოდ ერთზე, ქვედა დონეში 3,5 მ სიღრმეზე დადასტურდა წინარეანტიკური ხანის ფენა 0,4 მ სიმძლავრის. აშკარაა, რომ ეს ბორცვები ფაქტიურად სამოსახლოდ არ არის გამოყენებული, თუმცა მათ ასაგებად მოზვინულია რამდენიმე ასეული ტონა მინა. რით ავხსნათ ეს გარემოება, ძნელი სათქმელია. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ამგვარი ბორცვები სამეურნეო მოედნებს წარმოადგენდნენ (თ. მიქელაძე, ლ. ჯიბლაძე), მაგრამ ეს ჩვენი აზრით ვერ ხსნის ამ მოვლენას. თუნდაც დავუშვათ მათი სამეურნეო სავარგულებად გამოყენება, ძნელი დასაჯერებელია ზედა ჰორიზონტებში მაინც არ აღმოჩენილიყო რამდენიმე უსახური ფრაგმენტი, მით უფრო, რომ გვერდით ბორცვები ამ მასალას შეიცავენ. ან რაში დასჭირდებოდათ ამ სიმაღლის ბორცვის აღმართვა, როდესაც სამეურნეო საჭიროებისათვის საკმარისი იქნებოდა შედარებით მცირე სიმაღლე. ასევე სრულიად გაუგებარია შეშელეთის მაგალითზე არხების გაჭრა. როგორც ჩანს ეს მოვლენა ჯერჯერობით მაინც, ღიად უნდა დარჩეს. ვარაუდის სახით არ არის გამორიცხული ამ ბორცვთა გამოყენება საკულტო რიტუალების დროს, როგორც ღია ცისქვეშ კულტმსახურების ჩატარების ადგილად.

შესაძლებელია ეს ბორცვები ძირითადად გამართულია ადრეელინისტური ხანისათვის და მისი სამოსახლოდ გამოყენება არ მომხდარა. შავი ზღვის ტრანსგრესიული მოვლენების გავლენით ამ პერიოდთან კოლხეთის დაბლობის მოსახლეობა დროებით ტოვებს ამ რეგიონს და ბორცვიანი ზოლისაკენ ინაცვლებს. სადღეისოდ ამ მოვლენის ამგვარი ახსნა ყველაზე რეალური ჩანს.

კოლხური ნამოსახლარები ხელოვნური წარმომავლობისაა და ბევრ საყურადღებო მონაცემებს შეიცავს, როგორც მატერიალური კულტურის, ისე ნამოსახლართა გეგმარების შესახებ. ჩვეულებრივ ნამოსახლარის ქვედა დონეები თითქმის ერთ დონეზეა თანადროული მიწის ზედაპირისაგან, ოდნავი შემაღლებით. ამ ფენებში შემორჩენილია ხის არქიტექტურის ნაშთები, რაც ძალზე სპეციფიკურია კოლხეთში, თითქმის ყველა პერიოდში. ხის ნაგებობები გამართულია შემდეგნაირად. ჩვეულებრივ დღის ზედაპირზე საგულდაგულოდ იტკეპნებოდა მონაცრისფრო-მოცისფრო თიხნარი გრუნტი. მასზე იდებოდა ხის მორები, ისე, რომ წარმოქმნილიყო სწორკუთხა უჯრედები. ხშირად ეს უჯრედები ივსებოდა და შემდგომ იტკეპნებოდა თიხით. მათში ხშირად შერეულია ხის ნაფოტები, ტოტები, ორგანული ნაშთი. ანალოგიური სურათი ჩანს მაგ. დიხა-გუძუბა II-ზე, ნოსირში და რამდენადმე მოგვიანო ნაოხვამუს ქვედა ფენაში (Барамидзе М., Микеладзе Т. 1981: 47; გოგაძე ე. 1982: 16; Куфтин Б. 1950: 172). ხშირად ამ უჯრედების კედლების გასწვრივ დაფიქსირებულია რიგებად განლაგებული ბოძკინტები ან მორები. მათი სიგრძე 0,3-0,7 მ შორის მერყეობს. ბ. კუფტინის აზრით, მათი დანიშნულება რამდენადმე პრობლემატურია და არ არის საფუძველი ჩაითვალოს ისინი ხიმინჯებიან ნაგებობად. ამგვარ საკმაოდ მყარ საფუძველზე იდებოდა ხის ფენილი ან ნნული. ეს ნაფენი წარმოადგენდა უძველეს ძელურ ნაგებობათა იატაკს. ზოგჯერ იატაკის ეს დონე მოტკეპნილი იყო მოშავო ან მოყვითალო ფერის თიხით და მასზე აყვანილი იყო ხის მორებისაგან ძელური ნაგებობა, რომელთა ჩვეულებრივ 2-3 რიგილია შემორჩენილი.

რამდენადმე განსხვავებული სურათი ჩანს ფიჩორის ცენტრალურ ბორცვზე. თითქმის სრულად

იმეორებს რა ზემოაღწერილ სურათს, ფიჩორში არ დასტურდება სწორკუთხა უჯრედების არსებობა. გვხვდება ხის მორები და მათი გამაგრება ბოძკინტებით და რაც მთავარია თითქოს არსებობს საფუძველი სხვა რიგის ნაგებობათა პარალელურად ხის ხიმინჯებიანი ნაგებობის არსებობაც იქნას ნავარაუდები. ამის საფუძველს იძლევა შემდეგი. მოზინულ და მოტკეპნილ თიხნარში ჩასობილია ხის მოზრდილი ბოძები, რომელიც რამდენადმე აცილებულია თიხის ფენას. უშუალოდ მასზე დევს ხის რამდენიმე ფიცარი (იატაკი?). ეს გარემოება აქ სწორედ ხიმინჯიან ნაგებობათა არსებობაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

ფიჩორის ნასახლარზე დადასტურდა კოლხურ ნამოსახლარებისათვის სრულიად უცხო ერთი ფაქტიც. ცენტრალური ბორცვის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩრდილოეთის მხრიდან გაითხარა ბორცვი №6, რომელიც ერთფენოვანია, შეიცავს ცენტრალური ბორცვის VI-IV ფენის სინქრონულ, ე. ი. შუა ბრინჯაოს ხანის მასალას, რითაც იგი განსხვავდება ყველა სხვა თანამგზავრი ბორცვებისაგან. ნასახლარი განფენილია უშუალოდ გრუნტზე, რომელიც მოყვითალო თიხნარით არის წარმოდგენილი და არავითარი დამატებითი შემაგრება ან მოზინვა არ ჩანს. აშკარაა, რომ საქმე გვაქვს ხისნულ, ბათქაშოვან ნაგებობებთან, რომლებიც აგებულია მყარ გრუნტზე. დონეთა სხვაობა №6 და ცენტრალური ბორცვის VIII ფენებს შორის არ ჩანს, ე. ი. ირკვევა, რომ ბორცვის თავდაპირველი ათვისების ეპოქაში იქვე არსებობს მშრალი ადგილი, რომელსაც იგი რატომღაც არ აქცევს ყურადღებას და არჩევს ჩაატაროს ძალზე შრომატევადი სამუშაო მოზინვის და ხის მორებით გამაგრების გზით. რით ავხსნათ ამგავრი ალოგიკურობა, ძნელი სათქმელია. შესაძლოა, იმდენად ძლიერია ნამოსახლართა გამართვის ტრადიცია, რომ იგი აიძულებს მას აწარმოოს ამგავრი სამუშაო.

ხის ჯარგვალური ტიპის ნაგებობანი ბოძების ჯაჭვური გადაბმით გავრცელებულია და როგორც ჩანს ძირითადი, კოლხეთის ისტორიულ სინამდვილეში ყველა არქეოლოგიურ პერიოდში და შემორჩენილია დღევანდლამდის. მათი ზომები არა ჩანს დიდი. მაგ. ანაკლია II გათხრილია ორი ამ ტიპის ნაგებობა, რომელთა ფართობი 20 მ² არ აღემატება (Микеладзе Т. 1990: 19, ტაბ. II). კიდევ უფრო პატარაა ფიჩორის ცენტრალურ ბორცვზე გამოვლენილი ჯარგვალური ნაგებობანი. ისინი დაფიქსირებულია ცენტრალური ბორცვის II, III, VII და VIII ფენებში. არის მისი ფრაგმენტები ფიჩორი III და IV, ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ბორცვებზეც. სამწუხაროდ, შემორჩენილია ფრაგმენტულად და ფართობის ზუსტი განსაზღვრა ქირს, თუმცა ფიჩორი I-ის II ფენაში დადასტურებული ორი ურთიერთდაკავშირებული და ერთმანეთში გამავალი სწორკუთხა ნაგებობის საერთო ფართობი 20 მ² არ აღემატება.

კიდევ ერთი ფაქტი, რაც განასხვავებს ფიჩორის ნასახლარს, ამ რიგის სხვა ძეგლებისაგან. ჯარგვალური ნაგებობების პარალელურად IV, V და VI ფენებში გვხვდება “ფაცხის” ტიპის ნაგებობანიც. ამ უკანასკნელებს წნული, ბათქაშით შელესილი კედლებიც ქონია. მათი ზომებია 2,5X2მ-ზე და 2,5X4მ-ზე. ამაზე უნდა მიგვითითებდეს მომრგვალებული, თუ ოვალური ფორმის თიხატკეპნილი მოედნები გარემოსაგან მკვეთრად გამოყოფილი მოშავო ფერის ლაქებით, რომელთა ირგვლივ შეინიშნება უსისტიემოდ განლაგებული ხის ბოძების ღრმულები და ჩანს ბათქაშის სიმრავლე. აშკარაა, რომ აქ საქმე გვაქვს “ჯარგვალურ” ნაგებობათაგან განსხვავებულ ტიპთან.¹

უნდა შევხვით ნაგებობათა კიდევ ერთ ტიპს. ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის რიგ ძეგლებზე (ტამიში, მოქვი, აბაჟუ) ვხვდებით თიხნარ გრუნტში თუ თიროვან ნიადაგში ჩაჭრილ, ძირითადად ოვალური ფორმის, ნახევრადმინურებს. მათი ფართობი 1,6X2 მ-დან 3X3,5 მ შორის მერყეობს. განსაკუთრებით კარგად ისინი ჩანს ტამიშის ნასალარის ქვედა დონეზე, სადაც გაითხარა ამ ტიპის 4 ნაგებობა-სათავსო. მათი სიმაღლე 0,5-0,6 მ აღწევს.

1 ფენები, სადაც წარმოდგენილია ფაცხისებური ნაგებობების ნაშთები და არ არის ჯარგვალური ნაგებობანი, არ გულისხმობს იმას თითქოს ისინი დროის სხვადასხვა მონაკვეთში იყოს გავრცელებული. ფაცხის ტიპის ნაგებობანი, ისევე როგორც ჯარგვალური ტიპური კოლხეთისთვის თითქმის ყველა პერიოდისათვის.

ორმოს ირგვლივ შეინიშნება ხის ბოძების კვალი ღრმულების სახით, რომელთა დიამეტრიც 5 სმ არ აღემატება. ამკარაა, რომ ამგვარი ორმოების თავზე აღმართულია ხის წნული ბათქაშით შეკრული კედლები. აღსანიშნავია, რომ მკვლევართა ნაწილი (ვ. ბუჩია, ი. ცვინარია) ამ ტიპის ნაგებობათა არსებობას ვარაუდობს უკვე ადრე ბრინჯაოს ხანიდან. მაგ. მაჭარის ნასახლარის ქვედა ფენაში დაფიქსირებულია ოვალური ფორმის ლაქები, რომლებიც ქვიშნარ-თიხანარევი გრუნტში ჩადის. გვანდრის ნასახლარზე მსგავსი ლაქები ზღვისპირა ქვიშებშია დაფიქსირებული (Цвинария И. 1978: 38-39). როგორც ჩანს ანალოგიური სურათი ჩანს კისტრიკის ნასახლარზეც.

რომ აღნიშნული ნახევრადმინურების სახით ნამდვილად სამოსახლო ნაგებობასთან გვაქვს საქმე იქიდანაც დგინდება, რომ ტამიშის ერთერთ ორმოში დადასტურდა კერის არსებობა. მის ფსკერზე გაითხარა მრგვალი 0,3 მ დიამეტრის 0,15 მ სიღრმის ორმო, რომელიც შევსილი იყო ნაცრიტა და ნახშირის პატარა ნამცეცებით. ამკარაა, რომ საქმე გვაქვს შუა ცეცხლის არსებობის ფაქტთან. ამ მიზნით გამოყენებული იყო მინაში არსებული უბრალო ჩაღრმავებული ადგილები (Микеладзе Т. 1990: 19). აღსანიშნავია, რომ ჯარგვალურ ნაგებობებში შუა ცეცხლის არსებობა დადასტურებულია კოლხეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც.

ზემოაღნიშნული ფაქტები ამკარად გვიჩვენებს, რომ ნახევრადმინური ნაგებობების კონცენტრაცია შეინიშნება ძირითადად ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ტერიტორიაზე და შესაძლოა რეგიონის ერთერთ დამახასიათებელ ელემენტად იქნას მიჩნეული. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს გარემოება უნდა აიხსნას ამ რეგიონის შედარებით მშრალი კლიმატით და ბუნებრივი შემალღებული ადგილების არსებობით (ჯიბლაძე ლ. 1990: 8). ეს უკანასკნელი ძალზე საეჭვოა, რადგან გუანდრისა, ტამიშის თუ მაჭარის ნასახლართა სიახლოვეს არავითარი შემალღება ჩანს.

კიდევ ერთი არქიტექტურული დეტალი, რომელიც ძირითადად ახასიათებს ჩრდილო-დასავლეთი კოლხეთის რეგიონს. ფიჩორის ცენტრალური ბორცვის III და IV ფენებში დასტურდება იატაკის მოკირწყვლა რიყის პატარა ქვარგვალებით. მათი სინქრონულია ნაკარგალის ბორცვის ზედა ფენებში გამოვლენილი ქვარგვალების იატაკი. ანალოგიური სურათი ჩანს აბაჟუს ნასახლარზე წინარეანტიკური ხანის ფენაში, მოქვის და ოჩამჩირის ნასახლარების ადრე ანტიკური ხანის ფენებში; ცენტრალურ კოლხეთში მსგავსი სურათი ჩანს ჟირსუკზე, ნოსირი III და ნამჭედურის V ფენაში. ეს უკანასკნელი ძვ. წ. II ათასწლეულის მინურულით თარიღდება (Микеладзе Т., Хахутаიшвили Д. 1985: 23). საყურადღებოა აღვნიშნოთ, რომ იატაკის მოკირწყვლა ქვარგვალებით დადასტურებულია წითელ შუქურას ზოგიერთ ორმოსამარხში, რაც ჩვენი აზრით სათავეს სწორედ ნამოსახლართა ამგვარი ელემენტისაგან იღებს (იქვე: 23). ეს გარემოება თითქოს იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ აღნიშნული არქიტექტურული დეტალი ძირითადად ჩრდილო-დასავლეთი კოლხეთისათვის დამახასიათებელ ნიშნად იყოს მიჩნეული.

საინტერესოდ დგება საკითხი კოლხეთის ხელოვნურ ნამოსახლართა განსახლების სურათის შესახებ. ზოგადად თვითოეული ადრეული ბორცვი არ შეიცავს დიდ ფართობს. მათი უდიდესი ფართობი 2000 მ² არ აღემატება. ჩვეულებრივ ეს ადრეული ბორცვები (ფიჩორი, ნაკარგალი, ანაკლია I-II, ნოსირი, ნამჭედური, წყემი, ზურგა და სხვა) წარმოდგენილია თითო შემალღებით. მათ უშუალო სიახლოვეს სინქრონული ბორცვები არ ჩანს. მაგალითად ანაკლია I და ანაკლია II შორის მანძილი დაახლოებით 2 კმ აღწევს, ფიჩორის ცენტრალურ ბორცვსა და ნაკარგალის გუძუბას შორის 4 კმ-ია. ძვ. წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები ერთმანეთისგან თითქოს მოწყვეტილია და მხოლოდ ერთი, შედარებით პატარა ჯგუფის, შესაძლოა გვარის კუთვნილი. დროთა განმავლობაში ამ ცენტრალური ბორცვის ირგვლივ თავ იყრის ე. წ. თანამგზავრი ბორცვები, რომლებიც მოსახლეობის მოჭარბებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით დიდ ფართობებს მოიცავენ. მაგ. ფიჩორის ნასახლარის ცენტრალური ბორცვის ირგვლივ ორ რიგად, წრიულად განლაგებულია კიდევ 11 შემალღება, რომელთა საერთო ფართი 7 ჰა შეადგენს. ყველა ეს შემალღება შემონმებულია

სადაზვერვო თხრილებით და თითქმის ყველგან (№6 ბორცვის გარდა) ერთგვაროვანი სურათი ჩანს. ეს ბორცვები არსებობას იწყებენ ძვ. წ. I ათასწლეულის საწყის პერიოდში, ე. ი. ხდება რა-ღაც დემოგრაფიული აფეთქება, როდესაც მოსახლეობა გადადის ცენტრალური ბორცვის გარეთ და იკავებს უშუალოდ მიმდებარე ტერიტორიას. ამ ბორცვებზე ცხოვრება გრძელდება ძვ. წ. III ს დასაწყისამდე, ე. ი. ნამოსახლარზე ცხოვრების სრულ შეწყვეტამდე.¹

საყურადღებოა აღვნიშნოთ, რომ ფიჩორის ბორცვების სისტემის გარეთ, სრულიად ვაკე ადგილზე გავლებულმა სადაზვერვო თხრილებმა გვიჩვენა ადრეანტიკური და ელინისტური ხანის მძლავრი დანაშრეების არსებობა. ამკარაა, რომ აქ კიდევ უფრო მოგვიანო პერიოდში ხდება მოსახლეობის განსახლება და ამ პერიოდისათვის ფიჩორის ნასახლარი დაახლოებით 10 ჰა ფართობს მოიცავს. ამკარაა, რომ საქმე გვაქვს ე. წ. პროტოურბანისტულ დასახლებასთან, რომელსაც ბუნებრივი კატაკლიზმების გამო არ დასცალდა ქალაქად ჩამოყალიბება. საყურადღებოა აღვნიშნოთ, რომ ამ პროცესის დასრულებისათვის ნამოსახლარის ზედა (ელინისტური ხანის) ფენებში თითქოს ზოგიერთი ნიშანი შეინიშნება. ესაა ნამოსახლარის მასშტაბურობა, ერთიანი გამაგრების სისტემა არხების სახით (რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი), იმპორტული მასალის (წითელკეციანი მცირეაზიური კერამიკა, სინოპური ამფორები და კრამიტი) გამოჩენა და სხვა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა, სინოპური კრამიტების აღმოჩენის ფაქტი, რაც მიჩნეულია ქალაქური ტიპის დასახლებათა არსებობის ერთერთ ნიშნად (აფაქიძე ან. 1960: 21). ამგვარად ამკარაა, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლო საუკუნეებიდან მოყოლებული, ვიდრე ელინისტური ხანის ჩათვლით ნასახლარზე უწყვეტი ცხოვრების ნიშნები დასტურდება, რაც ამკარად გვიჩვენებს კოლხეთის დემოგრაფიული სურათის უცვლელობას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ადრეული ერთი ბორცვიდან ბორცვების მთელ სისტემაზე და შემდგომ მის გარეთაც ადამიანის განსახლების პროცესზე.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებისათვის მთელ რიგ დარგებში ხელოსნური წარმოება უკვე სრულიად ჩამოყალიბებულია, რაც ურბანისტული ცივილიზაციის ძირითადი დამახასიათებელია. მაგალითად ამ პერიოდში კერამიკულ წარმოებაში ამკარად ფიქსირდება თიხის ნაწარმის სერიული წარმოების ნიშნები, რაც სწორედ ხელოსნურ წარმოებაზე მიუთითებს. (ბარამიძე მ., ოქროპირიძე ნ. 1974). ხელოსნური წარმოების ნიშნები ამკარად იკვეთება სამკაულის, იარაღის წარმოებაში, რაც მეტ საფუძველს აძლევს პროტოურბანისტული ცივილიზაციის ფაქტის არსებობას.

საყურადღებოა აღვნიშნოთ, რომ განსახლების ამგვარი სურათი შეინიშნება კოლხეთის რიგ ბორცვებზეც. მაგ. ნამჭედურის ბორცვების სისტემაში ნამოსახლართა კონცენტრაცია შეინიშნება ნამჭედური III ე.ი. ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედის ბოლო პერიოდიდან (Микеладзе Т., Хахутаишвили Д. 1985: 15, 20). ანალოგიური სურათი ჩანს აბედათის დიხა-გუძუბას ირგვლივაც, სადაც ბორცვიდან განსახლება ძვ. წ. VII ს უადრესი არ ჩანს (ფხაკაძე გ. 1974: 137-138). მსგავსი სურათია ნაკარგალის ბორცვზეც. თითქოს ანალოგიური სურათი შეინიშნება მზიური ბორცვების ჯგუფშიც.² საინტერესო სურათს გვაძლევს ნამარნუსნამოსახლარის ბორცვების სისტემა, სადაც

1 თუ რასთან არის დაკავშირებული ასეთი დიდი და მძლავრი ნამოსახლარის ცხოვრების შეწყვეტა, ეს საკითხის ერთი მხარეა. გარეშე ძალის მიერ ნასახლარის განადგურება სრულიად გამორიცხულია. ჩვენი აზრით საქმე უნდა გვქონდეს ბუნებრივ მოვლენებთან, კერძოდ შავი ზღვის დონის მკვეთრ აწევასთან, ახალ შავზღვურ ტრანსგრესიასთან. მართალია ამ პროცესს გეოლოგები რამდენადმე ადრე ვარაუდობენ (თ. ჯანელიძე) და ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებით განსაზღვრავენ, მაგრამ არქეოლოგიური მასალების გათვალისწინება რამდენადმე აკონკრეტებს ამ თარიღს. ყოველ შემთხვევაში ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ნაწილში (დღევანდელი გალი – ოჩამჩირის რაიონებში) ადრეელინისტურ ხანაში მოსახლეობა, თითქოს ტოვებს ამ ტერიტორიას და მთისწინა ზოლში ინაცვლებს.

2 მზიურის ბორცვების ჯგუფი 5 შემადგენელია წარმოდგენილი. მის ცენტრალურ ბორცვზე დაფიქსირე-

ცენტრალური ბორცვის ფენების სინქრონულობა გარეშე მიმდებარე ბორცვების მასალებთან ჯერ-ჯერობით თითქოს არ დასტურდება (Микеладзе Т. 1990: 19). ამასთან დაკავშირებით კოლხეთის სინამდვილეში საყურადღებოა აღვნიშნოთ, რომ ამ ძეგლის ზედაპირული დაზვერვის დროს შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ცენტრალური ბორცვი შეიცავდა უფრო ადრეულ ფენებს და მიმდებარე ბორცვები კი რამდენადმე გვიან არის წარმოქმნილი (ბარამიძე მ., გრიგოლია გ. 1965: 42). გამთხრელი აქედანვე წინასწარულად ვარაუდობს, რომ ნამარნუს ბორცვებიც სხვადასხვა დროს უნდა იყოს წარმოშობილი (Микеладзе Т. 1990: 19).

ცენტრალური ბორცვიდან მიმდებარე ტერიტორიაზე განსახლების სურათი კარგად ჩანს ნოსირის ნასახლარის მაგალითზე, სადაც მდინარისპირა ტერასაზე წარმოდგენილია ძვ. წ. I ათასწლეულის, ხოლო თვით ბორცვზე მისი შესატყვისი და არქაული ფენები.

რამდენადმე განსხვავებულ სურათს იძლევა საგვიჩიოს ბორცვების წყება, მდ. ფიჩორის ნაპირზე, რომელიც დაზვერილი და ნაწილობრივ სადაზვერვო თხრილებით იქნა შესწავლილი დასავლეთ საქართველოს ექსპედიციის (ხელმძღვანელი გ. გრიგოლია) მიერ 1966 წელს. სისტემის ცენტრში აღმართულია ბორცვი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა “პატარა კონძა” უწოდებს. მის ირგვლივ კიდევ რამდენიმე შემალღებაა, რომელთა შორის გამოირჩევა ერთი 3,5 მ სიმაღლის “დიდი კონძა”. თავდაპირველად სწორედ იგი იქნა მიჩნეული ცენტრალურ გუძუბად. გაირკვა, რომ მასზე მხოლოდ ელინისტური და ნაწილობრივ ადრეანტიკური ხანის ფენებია წარმოდგენილი. ამავე პერიოდის მასალა ჩანს სხვა ბორცვებზეც და მდ. ფიჩორის ფლატეში და თვით მდინარის თანამედროვე კალაპოტში. განსხვავებული აღმოჩნდა მხოლოდ “პატარა კონძა”. მასზე ზემოთაღნიშნული პერიოდების გარდა დადასტურდა უფრო არქაული მასალაც, ყოველ შემთხვევაში ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან მაინც მოყოლებული. ამგვარად აშკარაა, რომ კოლხეთის სინამდვილეში არ არის აუცილებელი ცენტრალურ ბორცვად ყოველთვის ყველაზე მაღალი ბორცვი იქნას მიჩნეული. საგვიჩიოს მიხედვით არის შემთხვევები ამგვარ ცენტრად უფრო პატარა ნამოსახლარებიც ვიგულისხმობთ. ერთი რამ კი აქაც აშკარაა. ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებისათვის მაინც აშკარაა დემოგრაფიული აფეთქების კვალი.

ამგვარად, კოლხეთის ნამოსახლართა მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის საწყისისათვის ხდება მოსახლეობის მოჭარბება. იგი იკავებს ფართო ტერიტორიას, ქმნის ერთიან სამოსახლო სისტემას ერთიანი გამაგრებით. წარმოიქმნება პროტოურბანისტული დასახლებანი, რაც ყოველმხრივ ამზადებს საფუძველს ურბანისტული ცივილიზაციისა და აქედან გამომდინარე კლასობრივი საზოგადოების საბოლოო გაფორმებისათვის.

საინტერესოდ დგება საკითხი კოლხურ ნამოსახლართა საარხო სისტემებით გამაგრების შესახებ. სადღეისო მონაცემებით შეიძლება ითქვას, რომ კოლხეთის ყველა ხელოვნურ ბორცვს ირგვლივ უვლიდა თხრილი, თუმცა ხშირ შემთხვევაში დღეს ამგვარი თხრილები ან ავსილია, ან დაჭაობებული და თითქმის არ გამოირჩევა გარემოსაგან. ასეთ შემთხვევაში ხშირად თხრილების არსებობის დამადასტურებლად გვევლინება მწვანე მცენარეული საფარი, რომელიც ამ ადგილებში განსაკუთრებული ინტენსივობით და ხასხასა მწვანე ფერით ხასიათდება. ეს გარემოება მონაკვეთის განსაკუთრებული ტენიანობით უნდა აიხსნას. ანალოგიური სურათი შეინიშნება მაგ. ტამიშის და მზიურის ნამოსახლარებზე. არის შემთხვევები, რომ მიწის სამეურნეო დამუშავების დროს თხრილი სრულად არის მიწით შევსებული და არაფრით არ გამოირჩევა თანამედროვე ზედაპირისაგან. ამგვარ ბორცვთა რიცხვს მიეკუთვნება განმუხურის გუძუბა, აბედათის დიხა-გუძუბა, ნაკარ-

ბულია ელინისტური-ადრერკინის ხანის ფენები (სამწუხაროდ თხრილის დაყვანა ბოლომდე არ მოხერხდა და ფენები სიღრმეში გრძელდება). მიმდებარე ბორცვებზე კი მხოლოდ ძვ. წ. I ათასწლეულის მასალა ჩანს. გათხრებს აწარმოებდა აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის რაზმი ი. წვინარის ხელმძღვანელობით. სამუშაო შეწყდა აფხაზეთის ასსრ პოლიტიკური სიტუაციის გამო.

გალის ბორცვი და სხვა. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ თვალსაზრისით ნაკარგალის ბორცვი, რომელიც დასავლეთის და ჩრდილოეთის მხრიდან არაფრით გამოიყოფა გარემოსაგან. ბორცვის აღმოსავლეთი ნაწილი ჩამოჭრილია “კოლხიდმშენის” მიერ წარმოებული სადრენაჟო სამუშაოების დროს. მხოლოდ სამხრეთის მხრიდან ბორცვს შემორჩენილი აქვს დაახლოებით 4-5 მ სიფართის არხი. ამკარაა, რომ იგი ირგვლივ უვლიდა მთელ ნასახლარს.

საბედნიეროდ არის მთელი რიგი ძეგლები, სადაც ეს საარხო სისტემები შედარებით კარგად არის დაცული. ამ თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი ჩანს ფიჩორის ნასახლარი, სადაც თითოეულ ბორცვს და ბორცვების მთელ სისტემას ირგვლივ უვლის ფართო, 3-10 მ სიგანის თხრილი. კარგად ჩანს იგი მზიურის და ნამარნუს ნამოსახლარებზეც და სხვა. საყურადღებოა აღვნიშნოთ, რომ ფიჩორის ნასახლარიდან არხის კვალი მიემართება ჩრდილოეთის მიმართულებით, სადაც 4 კმ მანძილზე მის ტრასაზე ორი ნამოსახლარი კომპლექსი ფიქსირდება (2 კმ მანძილზე “ჯვარალები” და 4 კმ – ნაკარგალი). სავარაუდოა, რომ ამ არხის ერთი შტო უხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთით და დაახლოებით 3 კმ მანძილზე მიადგება განმუხურის ნასახლარს. სამხრეთით ეს საარხო სისტემა მიემართება ზღვის მიმართულებით. ამგვარად გვაქვს მთელი სისტემა ხელოვნური არხებით ნამოსახლართა დაკავშირებისა. ამგვარი სურათი ჩანს მზიურის და შეშელეთის ნასახლარებზე. ეს უკანასკნელი იმით გამოირჩევა დანარჩენებისაგან, რომ ნასახლარის ჩრდილოეთ ნაწილში გამდინარე წყალიც კი მიედინება. ამგვარი სისტემები ჩანს აბაშა-სენაკის რაიონებშიც, სადაც ერთ სანყალოსნო არტერიაზე ვხვდებით წყემი, ძიგურა, კეთილარის ერთი მხრივ და საგვიჩიოს ბორცვების ჯგუფების განლაგებას. ამგვარად ამკარაა, რომ სახეზე გვაქვს ერთიანი სანყალოსნო არტერიები, რომელზეც რამდენიმე სოფელი (ხუტორი) არის განლაგებული.¹ არქეოლოგიურად დადასტურებული ეს ფაქტი პირდაპირ ეხმაურება ძვ. წ. IV ს-ის ბერძენი ავტორის ჰიპოკრატეს ცნობას, რომელიც ამბობს: “მათი სახლები გაკეთებულია წყალზე და მასალად გამოყენებულია ხეები ან ლერწამი. ისინი ცოტას დადიან ფეხით და ისიც მხოლოდ ქალაქში ან ბაზარში. ჩვეულებრივ მოგზაურობენ ნავებით, რომლებითაც ზემოთ და ქვემოთ მიუყვებიან არხებს. არხები კი იქ ბევრია” (Латышев В. 1895: 58). ამ თვალსაზრისით უდაოდ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დასავლეთ საქართველოს სადაზვერვო ექსპედიციის მიერ საგვიჩიოს ტერიტორიაზე, არხის ფსკერზე ადრეანტიკურ მასალასთან ერთად აღმოჩნდა ხის ნიჩაბის ნაწილი, პირდაპირი საბუთი კოლხეთში სანაოსნო ტრანსპორტის განვითარების შესახებ.

ამგვარად ამკარაა, რომ კოლხეთის არხების სისტემები ძირითადად სამიმოსვლო არტერიებია. პარალელურად და შესაძლოა უპირატესადაც ისინი ასრულებენ სადრენაჟო ფუნქციებს. ის გარემოება, რომ ფიჩორში და მზიურში თითოეულ ბორცვს და შემდგომ ბორცვების მთელ სისტემას ირგვლივ შემოუყვება თხრილი – არხი თითქოს იმისკენაც მიგვანიშნებს, რომ მათ თავდაცვის ფუნქციაც ქონდათ მინიჭებული; არ არის გამორიცხული სამეურნეო თვალსაზრისით (წყლის მოპოვება, თევზჭერა) მათი გამოყენებაც. ამგვარად ამკარაა, რომ კოლხეთის არხები მრავალმხრივი ფუნქციის მატარებელი მელიორაციული ნაგებობებია.

საყურადღებოდ დგას საკითხი ამ არხების დათარიღების შესახებ. პირდაპირი საბუთი მათი ასაკის გასარკვევად არ მოგვეპოვება. აფხაზეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ რამდენიმე ადგილზე გადაჭრა იგი, თუმცა ყოველგვარი წარმატების გარეშე. ამდენად, გაურკვეველია კოლხურ უძველეს ნამოსახლარებს ამგვარი რამ ჰქონდათ თუ არა. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ მაინც ცხადია. წყემი-ძიგურა-კეთილარის სისტემაში შემავალი ბორცვები ძირითადად ერთი პერიოდისაა

1 დასავლეთ საქართველოს სადაზვერვო-არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1966 წელს მიკველეული იქნა წყემის ნამოსახლარი კომპლექსი შემდგარი 3 ბორცვისაგან. შემჩნეული იქნა, რომ თვითოეულს ირგვლივ უვლის არხი და შემდეგ იგი მიემართება სამხრეთ-დასავლეთით. სწორედ ამ არხის გაყოლებაზე ექსპედიციამ დააფიქსირა ძიგურის და შემდგომ კეთილარის ბორცვები. მანძილი პირველ და ბოლო პუნქტს შორის 6 კმ.

გვიანი ბრინჯაოს ხანის. სადაზვერვო შურფებით ირკვევა, რომ წყემში შუა ბრინჯაოს დასასრულიდან ძვ. წ. I ათასწლეულის სანყისამდე ოთხი კულტურული ფენაა წარმოდგენილი (2, გვ. 71). ძიგურას ბორცვზე მხოლოდ ერთი ფენა ჩანს, რომელზეც ზოგადად ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის მასალები იქნა აკრეფილი (სადაზვერვო თხრილი გავლებული არ ყოფილა). კეთილარის ბორცვზე დაფიქსირებულ იქნა მძლავრი ბათქაშოვანი ფენა, რომელიც შეიცავს ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრისა და II-ს ათასწლეულების მიჯნის კერამიკას. ამგვარად აშკარაა, რომ ერთ საწყალოსნო არტერიაზე განლაგებული სამი ნამოსახლარი ერთმანეთის სინქრონული უნდა იყოს, რაც გარკვეულ საბუთს იძლევა არხების დასათარიღებლად. როგორც ჩანს რთული საარხო სისტემები ძვ. წ. II-ს ათასწლეულის მიჯნის მოგვიანო მაინც არ უნდა იყოს. აქედან გამომდინარე სრულიად ლოგიკური გვეჩვენება დასკვნა ბორცვის ირგვლივ არსებული თხრილების თარიღი მასზე უფრო ადრეულად იქნას მიჩნეული. თუ კონკრეტულად რომელ პერიოდს მივაკუთვნოთ მათი გამართვა ჯერჯერობით თავს ვიკავებთ.

§4. აფხაზეთის ბრინჯაოს მეტალურგიის საკითხები

სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგია კაცობრიობის ისტორიის უდიდეს მონაპოვართა შორის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და კულტურის დონის განმსაზღვრელია. საწარმოო იარაღის ტიპოლოგიური სიმრავლე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის არქეოლოგიურ კულტურათა შესახებ. ძვ. წ. III ათასწლეულიდან მაინც საქართველოს ტერიტორიაზე უკვე ჩამოყალიბებული ჩანს ლითონის სამეურნეო თუ საბრძოლო იარაღის ყველა ფორმა, რომელიც შემდგომ პერიოდებში ფორმათა დახვეწის თუ ახალ სახეობათა შემუშავება-ჩამოყალიბების გზით წარიმართა. სპეციალურ, არქეოლოგიურ ლიტერატურაში კვლევის ერთერთი ძირითადი მიმართულება სწორედ ლითონის სხვადასხვა იარაღის ჩამოყალიბების ჩვენების გზით არის მიმართული. ფაქტიურად არ არის არცერთი ნაშრომი, რომელიც გარკვეული მიმართულებით მაინც არ ეხებოდეს ამ საკითხებს. ნაშრომის შესაბამის ნაწილში ლითონის იარაღისადმი ტრადიციულ მიდგომას არც ჩვენ უარყოფთ და ვცდილობთ ვაჩვენოთ ლითონის ძირითადი ფორმების იარაღის განვითარების ზოგადი სურათი. ამჟამად კი ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ მეტალურგიის განვითარების იმ საწარმოო ბაზაზე, რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარება. საქმე ეხება უძველეს სამთომომპოვებელ გამონამუშევრებს, რომლებიც დადასტურებული და ნაწილობრივ შესწავლილია კოლხეთის მთიან ნაწილში.

მეტალურგიის ჩასახვის და განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ნედლეულის პრობლემას. ეს უკანასკნელი კი მოიცავს რამდენიმე კომპონენტს: მეტალის, სათბობის და წყლის მარაგი. საქართველოს ტერიტორიაზე ამ მხრივ განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობებია. კავკასიონის მთიანი მასივი, ისევე როგორც სამხრეთ კავკასიის მთიანეთი, მდიდარია ყველა ამ კომპონენტით. მათ შორის მთავარი და გადამწყვეტი სპილენძის მადანი ძირითადად სულფიდური მადნებით არის წარმოდგენილი. წყლის, ჟანგბადის თუ ნახშირმჟავის მოქმედებით ეს სულფიდური მადნები გარდაიქმნება მეორად მინერალად, რომელიც წარმოდგენილია ზეჟანგებით, კარბონატებით ან ამ რიგის სხვა შენაერთებით. აქედან გამომდინარე სპილენძის სულფიდური მადნებიდან ამიერკავკასიაში ვხვდებით მალაქიტს, აზურიტს, კუპრიტს, ხრიზოკოლას და სხვა მინერალებს (Тавაძე Ф., Сакварелидзе Т. 1959: 11-13). გვხვდება თვითნაბადი სპილენძიც, ძალზე მცირე სხვადასხვა სახის მინარევით. აღსანიშნავია, რომ კავკასიონის სამხრეთ კალთებზე თვითნაბადი სპილენძის დიდი მარაგი არ არის დაფიქსირებული, რაც შეიძლება ბუნებრივი გარემო პირობებით აიხსნას. საპირისპირო სურათი ჩანს მცირე კავკასიონის ზონაში (გურია-აჭარის მთიანეთი), სადაც

თვითნაბადი სპილენძის დიდი მასივებია დაფიქსირებული (ართვინის ოლქი, სოფ. ხოდ-ელია, ენი-რაბათი, ლონგათი, ქედა), რომლებიც წარმოქმნილია ძირითადად ხალკოპირიტის დაშლის შედეგად (ჯაფარიძე ო., აბესაძე ც., ბახტაძე რ. 1958). აღსანიშნავია, რომ მინარევის სახით კავკასიის სპილენძის მადნებისათვის ყველაზე ხშირად დარიშხანის შემცველობა ფიქსირდება, რაც დადასტურებულია არქეოლოგიურ ნაკეთობათა ქიმიური ანალიზებით. კავკასიონის სამხრეთი კალთების ტერიტორიაზე სპილენძის გამოსავლები მრავალ პუნქტშია დადასტურებული. ამ თვალსაზრისით განსკუთრებით საყურადღებოა ზემო და ქვემო რაჭის, სვანეთის, ლეჩხუმის, აფხაზეთის სვანეთის და სხვა რეგიონები, სადაც ხშირად სპილენძის გამოსავლების მახლობლად წილების ნაყარაც ჩანს (ტოგონიძე გ., რეხვიაშვილი აკ., სურგულაძე ს., ანგარიშები 1954-60, გეოლოგიის დეპარტამენტის ფონდები). ამგვარად ამკარაა, რომ დასავლეთ საქართველოს ბრინჯაოს მეტალურგია ვითარდებოდა ადგილობრივ საფუძვლებზე. ეს მშვენივრად დასტურდება კავკასიონის სამხრეთ კალთებზე გამოვლენილი ისეთი სპეციფიური ძეგლებით, როგორცაა ანტიმონის და სპილენძის უძველესი სამთო გამონამუშევრები. სადღესოდ ამ რიგის ძეგლები ძირითადად თავმოყრილია მთის რაჭის, სვანეთის და ე. წ. აფხაზეთის სვანეთის რეგიონებში (ტაბ. XVII). მათ შორის ყველაზე სრულად შესწავლილი ჩანს რაჭის სამთომადნო მეტალურგიული კერა მდ. რიონის ზემო წელის და მისი შენაკადების ზოფხითურას, ჩვეშურას და ლეხურის მიდამოებში (გობეჯიშვილი გ., 1952; აფაქიძე ან., გობეჯიშვილი გ. და სხვ. 1959: 53-57). აქ ზღვის დონიდან 1300-1200 მ სიმაღლეზე მიკვლეულია რამდენიმე რამდენიმე ათეული სპილენძის (ხალკოპირიტი, პირიტი, მალაქიტი, აზურიტი) გამონამუშევარი, რომელთაგან უძველესებს გ. გობეჯიშვილი ადრე და შუა ბრინჯაოს ხანას მიაკუთვნებს. ეს გამონამუშევრები წარმოდგენილია ძირითადად ორი ტიპის მალაროებით. ესაა რთული პროფილის, რამდენიმესართულიანი მალაროები და მარტივი ნოლხვრელები. როგორც ირკვევა ეს უკანასკნელები ძირითადად საძიებო შტოლნებია, რომლის მიზანია მოხვედნენ სპილენძის ძარღვზე. ამ თვალსაზრისით სოფ. გონას მიდამოებში დასტურდება რამდენიმე ნოლხვრელი, რომლებიც შეჭრილია მთაში 10-15 მ მანძილზე და შემდგომ მუშაობა შეწყვეტილია, ვინაიდან ვერ მოხვედრილან ძარღვზე. არის შტოლნები, რომლებსაც მიუღწევიათ სპილენძის მადნადის და შემდგომ ისინი მიყვება უკვე ძარღვს. ჩვეულებრივ ამგვარი შტოლნები ბოლოვდება მოზრდილი კამერებით, საიდანაც მთლიანად არის ამოღებული მადანი. ამგვარი კამერების ზომები სხვადასხვაა და მერყეობს 2-5 მ სიმაღლის და 6-7 მ სიგანის ფართამდის. ამგვარი კამერები დასტურდება რთული პროფილის რამდენიმესართულიან მალაროებშიც, რომლებიც ნოლხვრელებისა და შტრეკების მიერ არის წარმოქმნილი. სამთომადნო გამონამუშევართა სიმრავლე და ძალზე უხეში გაანგარიშება, თუ რა რაოდენობის მადანია გამოტანილი მარტო გონის მეტალურგიული კერიდან რამდენიმე ათეულ ათას ტონას გვიჩვენებს, რაც არათუ მარტო რეგიონს, არამედ უფრო ფართო ტერიტორიასაც დააკმაყოფილებდა. აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ რაჭის მალაროები ძირითადად სპილენძის სულფიდური მადნების მოპოვებისთვისაა გამოყენებული, თუმცა ვხვდებით ანტიმონის მალაროებსაც (ადგილი კირტიშო, ხვარძახეთი). სწორედ ამ უკანასკნელებში დასტურდება მადნის მოპოვება გახურებით და შემდგომ წყლის დასხმით. ამგვარი ტემპერატურული ცვლილება იწვევდა კლდის ქანების დანაპრალებას. ჩანს გამოიყენებდნენ ხის სოლებსაც. მადნის მონგრევა ხდებოდა ქვის მოზრდილი უროებით, რომლებიც ძირითადად, მაგარი ჯიშის ქვის, გრანიტის ან გაბროდიაბაზისგან არის დამზადებული. ამგვარ უროს შუა ნაწილში ხეხვით მიღებული 2-3 სმ სიფართის ღარი შემოუყვება. სწორედ ამ ღარის მეშვეობით მაგრდებოდა ურო ხის ტარზე და შეიკვრებოდა ღვედით (ტაბ. XXI). ამგვარი უროები მრავლადაა თითქმის ყველა ცნობილ გამონამუშევრებში, მაგრამ სამწუხაროდ მათი ზუსტი დათარიღება არ ხერხდება, რადგან გამოყენებული ჩანს ადრებრინჯაოს ხანიდან ადრერკინის ხანის ჩათვლით.

მადნის მოპოვების აღწერილი წესი ძირითადად ადრეულ მალაროებშია დადასტურებული, თუმცა

გვხვდება მოგვიანო ხანაშიც. აღსანიშნავია, რომ სპილენძის ძველი გამონამუშევრები დაფიქსირდა აფხაზეთში (სულ 20 გამონამუშევარი) მდ. ბზიფის და კოდორის ხეობებში. მაგრამ საყურადღებოა, რომ ეს გამონამუშევრები შედარებით პატარებია და უფრო მცირე რაოდენობის მადნის მოსაპოვებლად არის გამოყენებული. აფხაზეთის ტერიტორიის დაზვერვების შედეგად ირკვევა, რომ ბზიფი-კოდორის ორმდინარეთში ძველი გამონამუშევრები გამართულია ზღვის დონიდან 2000 მ სიმაღლეზე, ადგილ შხაბზიადან ტვიბრაშერამდის (ტაბ. XIX-XX). მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებო და სადღეისოდ ყველაზე კარგად შესწავლილი ბაშკაფცარას გამოქვაბულია (გათხრებს ანარმოებდა არქეოლოგი ვ. ბჟანია). ბაშკაფცარა აფხაზეთის გამონამუშევრებში ყველაზე დიდია (სიგრძე 35 მ) და განეკუთვნება დახურული ტიპის გამონამუშევარს (Бжания В. 1985) (ტაბ. XVIII). აქ აშკარად ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულის და I ათასწლეულის პირველი ნახევრის გამონამუშევრებში ცეცხლისა და წყლის გამოყენება მადნის მოსაპოვებლად ექსპერიმენტალურად იქნა დადასტურებული. საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ 1 მ³ მადნის შემცველი კლდის მონგრევა ცეცხლისა და წყლის მეშვეობით ოთხი მუშის მონაწილეობით მოხერხდა ორი, შვიდსაათიანი სამუშაო დღის განმავლობაში და შემდეგ მათი პირველადი დამუშავება. საყურადღებოა, რომ მალაროდან გამოტანილი ქანების გადანაყარში აღმოჩნდა მოყავისფროდ გამომწვარი, თხელკედლიანი, ნვრილმარცვლოვანი, კვარცნარევი ცომისგან დამზადებული პირგაშლილი, ყელჩალარული სფერულმუცლიანი ნატეხები. მისი მხარი შემკულია ჭრილი სამკუთხა და თევზიფხური სახეებით და ირიბი ჭდეების სარტყლით. ანალოგიური კერამიკა ცნობილია ტამიშის ნასახლარის ქვედა და ფიჩორი I-ის II კულტურულ ფენებში, რომლებიც ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულით და I ათასწლეულის საწყისით თარიღდება. ეს მომენტი განსაკუთრებით აღსანიშნავია, რადგან კავკასიის სამთომეტალურგიულ ცენტრებში დამათარილებელი არქეოლოგიური მასალა ძალზე ცოტაა.

რაჭის მალაროების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მოგვიანო გამონამუშევრებში ცეცხლისა და წყლის გამოყენება ნაკლებად შეინიშნება. სამაგიეროდ ამ მალაროების კედლებზე ხშირია ლითონის სატეხისებური, სოლისებური იარაღის ანაბეჭდები (ჭყორნალიანი, ჩვეშო). სამწუხაროდ, ამგვარი იარაღი თვით მალაროში არ ყოფილა აღმოჩენილი, თუმცა მსგავსი ნოვთის ყალიბი დადასტურდა ჭყორნალიანი №1 მალაროდან გამოტანილი მადნის ფუჭე ქანების გადანაყარში.

ამგვარად აშკარაა, რომ რაჭის მალაროები არსებობს დროის ძალზე დიდი მონაკვეთის განმავლობაში ადრებრინჯაოს ხანის დასასრულიდან, ვიდრე ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებამდის. მართალია, ჯერჯერობით თითოეული მალაროს კონკრეტული დათარიღება არ ხერხდება, მაგრამ მთიანი რაჭის ამ რეგიონში აღმოჩენილი მეტალის იარაღი, განსაკუთრებით ბრილის სამაროვანზე, აშკარად ადასტურებს რიონის სათავეების სამთომეტალურგიული ცენტრის სიმძლავრეს და მის უაღრესად მნიშვნელოვან როლს კოლხური და პროტოკოლხური კულტურებისათვის.

არ შეიძლება ორიოდე სიტყვა არ ითქვას მალაროების დათარიღების სიძნელესთან დაკავშირებით. როგორც აღვნიშნეთ ამ გამონამუშევრებში არქეოლოგიური მასალა თითქმის არ არის. გამონაკლისია მხოლოდ ქვის უროები და რამდენიმე შემთხვევაში ხის გობების ნაშთები, რომლებითაც ხდებოდა მადნის გამოტანა. მაგრამ შედარებით ზუსტ დათარიღებას არცერთი მათგანი არ ექვემდებარება. რაჭის მალაროებში ხშირია ხის მორებით შტოლნების გამაგრება, ისე რომ თითქოს იქმნება საფუძველი მათში რადიონახშირბადის შემცველობის განსაზღვრით გავარკვიოთ მალაროების გაყვანის ასაკი. მაგრამ დათარიღების ეს მეთოდი რაჭის მალაროებისათვის სრულიად გამოუსადეგარი აღმოჩნდა. ჩვეულებრივ ყველა ძველ მარაროში მოედინება წყლები. გამდინარე წყლის არსებობა კი სრულიად ცვლის ხის მასალაში რადიონახშირბადის შემცველობას და ინვეს მის ხელოვნურ გაახალგაზრდავებას. მაგ. ჩვეშოს №2 მალაროდან აღებული ნიმუშები ლენინგრადის C₁₄ ლაბორატორიის განსაზღვრით დათარიღდა ახ. წ. XVI-XVIII სს, მაშინ როდესაც იგი ერთერთი უძველესი მალაროთაგანია მთელ ამ სისტემაში და მისგან გამოტანილი ფუჭე ქანების გადანაყარი

არქეოლოგიურად ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულზე უახლესი არ ჩანს.¹

ჭყორნალიანის ორსართულიანი გამონამუშევარი ერთერთი სრულიად უნიკალური მაღარო-თაგანია. კავკასიონის სამხრეთის კალთების შემსწავლელმა ექსპედიციამ (გობეჯიშვილი გ.) იგი შეისწავლა 1960 წელს. გაირკვა, რომ მაღაროდან გამოტანილი მადანი და ფუჭი ქანი ჩამოტანილია დაბლა, დაახლოებით 1 კმ მანძილზე, ადგილ ქვაცხურაში. ამ ორ პუნქტს ერთმანეთთან აკავშირებს კლდეში გაჭრილი ბილიკი (ზოგ ადგილას გზის სიფართე 1.2 მ აღწევს), რომელიც იწყება მაღაროს შესასვლელთან და მთავრდება ფუჭე ქანების გადაწყართან. ე. ი. საქმე გვაქვს ერთ სინქრონულ კომპლექსთან. მაღაროს განმედიის პარალელურად ექსპედიცია სწავლობდა სწორედ ამ გადაწყართ ფენას (ლამბაშიძე ოთ., ბარამიძე მ.). ამ ფენის საშუალო სისქე 4-4.5 მ-ია, სიგრძე – 120 მ, სიგანე კი 80 მ-ს აღწევს. აღნიშნულ ნაყარში დიდი რაოდენობით ხვდება ხის ნახშირი; ცეცხლში ყოფნის კვალი ემჩნევა ზოგიერთ მადნისეულ ნატეხს. როგორც ჩანს აქ წარმოებდა მადნის პირველადი გამოხურება, მისგან ცეცხლზე დაჟანგვის გზით გოგირდოვანი მინარევების მოცილება. სწორედ ამ ნაყარში აღმოჩნდა ბრინჯაოს ალისებრი სატევარი, ბრტყელქედიანი, ორნამენტირებული ურთიერთ-მკვეთი ხაზებისგან შექმნილი რომბებით. ვადა ბრტყელია, მომრგვალებული ტანისაგან მკვეთრად გამოყოფილი. თავი ანტენისებრია. ტიპოლოგიურად იგი კარგად უკავშირდება კოლხურ-ყობანურ სამყაროში ცნობილ სატევრებს, რის საფუძველზე ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულით თუ I ათასწლეულის საწყისით უნდა დათარიღდეს. ზუსტად ანალოგიური ფორმის, მხოლოდ ორნამენტით განსხვავებული სატევარი აღმოჩენილია ზემო ყობანის სამაროვანზე, რომელსაც ვ. კოზენკოვა ძვ. წ. X-VII სს ჯგუფში აქცევს (Козенкова В. 1996: 98-99, სურ. 96). აქვე მახლობლად იქნა აღმოჩენილი ვარდისფერი ქვიშაქვის სამი ნატეხი, რომელიც ერთი კომბინირებული ყალიბის კუთვნილი ჩანს. მასზე შეიმჩნევა სატეხის, ბრტყელი ცულის (თუ სეგმენტის) ფორმები. ეს ნივთები კი სწორედ ნიშანდობლივია ზემოხსენებული პერიოდისათვის. ამ თარიღს ერთგვარად ამაგრებს მოყავისფროდ გამომწვარი რამდენიმე კერამიკული ფრაგმენტი, რომლებიც ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულის და I-ის საწყისის ჩანს. ამგვარად აშკარაა, რომ ჭყორნალიანის მაღარო, ისევე როგორც მისგან გამოტანილი ქანების გადაწყართი უნდა დათარიღდეს ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულიდან I ათასწლეულის პირველი ნახევრით. თუ ეს ამოსავალი სწორია და ამგვარი დათარიღება მისაღები, და ეს თარიღი ეხება ერთერთი ყველაზე მოგვიანო მაღაროს, აშკარაა, რომ დანარჩენი გამონამუშევრები, უფრო არქაული ხანით უნდა დათარიღდეს.

ძალზე ძნელია რაჭის სამთომადნო გამონამუშევრების ზედა ქრონოლოგიური საზღვრის დადგენა. ყოველ შემთხვევაში ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებამდის მაინც ეს საწარმო კერა უდაოდ ფუნქციონირებს. რაზეც ზემოთმოყვანილი ჭყორნალიანის მაღაროც უნდა მიგვითითებდეს. ზემოთმოყვანილი ნივთები ნაყარი ფენის ქვედა დონეზეა გამოვლენილი და ბუნებრივია მის თავზე წარმოქმნილი 4 მ სისქის ფენა გარკვეულ დროს მოითხოვს. აღსანიშნავია, რომ ჭყორნალიანის მაღაროს გადაწყართი არ არის ყველაზე მძლავრი. ჩვეუო II მაღაროდან გამოტანილი ფუჭე ქანის სისქე 16 მ-ია, სიგანე – 100 მ და სიგრძე 75 მ-ს აღწევს. ტიპოლოგიურად ჩვეუო II, ჭყორნალიანი I სინქრონული ჩანს.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული რაჭის მაღაროებიდან რამდენიმე ათეული ათასი ტონა მადანია გამოტანილი. გ. გობეჯიშვილი ამ რაოდენობას რამდენიმე 100000 ტონით განსაზღვრავს (გობეჯიშვილი გ. 1952: 54). სადღეისოდ ამ მაღაროთა რაოდენობა კიდევ უფრო გაზრდილია. აქედან გამომდინარე აშკარაა, რომ აქაური სამთომეტალურგი ტომები ამ რაოდენობის მადანს მარ-

1 ჩვენის აზრით, მაღაროების დასათარიღებლად შესაძლოა გამოყენებულ იქნას თერმოლუმინისცენციის მეთოდი, რომელიც მოგვცემდა ფუჭი ქანების ცეცხლში მოხვედრის (გამოხურების) ასაკს. ამ მიმართულებით კვლევა სამომავლო პერსპექტივაშია.

თო თავის საჭიროებისათვის არ აწარმოებდნენ. ბუნებრივია მაღანი ხდება ექსპორტის ძირითადი წყარო. ის გარემოება, რომ უკვე შუა და განსაკუთრებით გვიანი ბრინჯაოს ხანისათვის კოლხეთში შეინიშნება ცალკეული მეტალდამამუშავებელი კერების არსებობა, ძალზე ნიშანობლივია. ერთიანი კულტურის შიგნით ყალიბდება სახელოსნოები, რომლებიც შემოტანილ მაღანზე მუშაობს. ეს მით უფრო ამკარაა, რომ კოლხეთის დაბლობზე, სადაც შეინიშნება მთელი რიგი ამგვარი კერები, არ არის სპილენძის რაიმე საბადო. ეს პროცესი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე უფრო ადრეც არის საგულისხმებელი. ყოველ შემთხვევაში ფიჩორის ნასახლარის ცენტრალური ბორცვის გათხრებმა ამკარად გვიჩვენა, რომ საქმე გვაქვს მძლავრ მეტალდამამუშავებელ სახელოსნოსთან, რომელიც შემოტანილი მაღნის ბაზაზე მუშაობს (Барамидзе М., Джинладзе Л. 1985). სადღეისოდ ძნელია ვამტკიცოთ, რომ იგი მაღნით მარაგდებოდა სწორედ რაჭის საბადოებიდან. შესაძლოა გამოყენებული იყო სვანეთის ან აფხაზეთის სვანეთის საბადოები. ეს საკითხის მეორე მხარეა და საკვლევი, ერთი რამ კი მაინც ამკარაა – რაჭის სამთომადნო გამონამუშევარი კერის სიმძლავრე ისეთი მასშტაბებისაა, რომ იგი მთლიანად დააკმაყოფილებდა მთელ იმდროინდელ კოლხურ სამყაროს მაღნით. არ არის გამორიცხული მაღნის ექსპორტირება უფრო შორეულ რეგიონებშიც. ამ თვალსაზრისით უდაოდ თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ რაჭაში ბრილის სამაროვნის I ათასწლეულის შუა ხანების სამარხებში ძალზე დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი იმპორტული ნაწარმი – ეგვიპტური (ნავკრატისი) წარმოშობის მინის თვალაღი მძივები, სკარაბეები, ამფორისკები, ფინიკიური მონეტები თევზის გამოსახულებით. დასავლეთ საქართველოს ჩვენთვის ცნობილ ამ პერიოდის არცერთ ძეგლზე არ ვხვდებით ამდენ იმპორტულ, ეგვიპტურ სამკაულს, რაც ბრილშია. თითოეული მძივი კოლხეთის დაბლობ ზოლში და კილოგრამობით (3 კგ-12 კგ) იგივე ნივთები (ე. წ. თვალაღი მძივები) ბრილის სამარხებში. ამავე სამარხებში ვხვდებით ეგვიპტურ (ალექსანდრიულ) ჰერმეტულად დახურულ სანელსაცხებლებს სუნამოთი. საყურადღებოა, რომ 70-იან წლებში ორი სანელსაცხებლე გაიხსნა და მათ სურნელი ძალზე მძაფრი ქონდა და არ იყო დაკარგული. არქეოლოგიური მასალიდან, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ეგვიპტური სკარაბეები იეროგლიფური წარწერებით, რაც მხოლოდ ეგვიპტური ნაწარმისათვის არის სპეციფიური და დამახასიათებელი. ეს გარემოება შემთხვევითი არ უნდა იყოს. ჩვენი აზრით, ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის და განსაკუთრებით შუა ხანების პერიოდისათვის რაჭის სამთომადნო კერა გადის მსოფლიო არენაზე და მისი მაღანი შესაძლოა აღწევს ეგვიპტემდისაც კი. სხვანაირად ძნელი ასახსნელი იქნებოდა ეგვიპტური ნაწარმის ამგვარი მოჭარბება რაჭაში.

ამ მოსაზრების შესამაგრებლად არსებობს კიდევ რამდენიმე, არაპირდაპირი საბუთი. სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულია, რომ ეგვიპტეში სპილენძის საბადოები არის სინაის ნახევარკუნძულზე და აღმოსავლეთ უდაბნოში. მაგრამ აქაური საბადოები არ არის მდიდარი, და ეგვიპტის ბრინჯაოს მეტალურგია ძირითადად შემოტანილი მაღნის ბაზაზე განვითარებული. პირველი მოხსენიება ეგვიპტეში სპილენძის მაღნის შემოტანის შესახებ XVIII დინასტიის ეპოქას (ძვ. წ. 1580-1350 წწ) განეკუთვნება. XIX დინასტიის (ძვ. წ. 1350-1200 წწ) პერიოდში კი სპილენძი შემოჰქონდათ სირიიდან (რეჩენუ და ჯახი), დასავლეთ აზიიდან (არაპახიტი – თანამედროვე კირკუკი?), ჩრდილოეთ სირიიდან (ისი) (Лукас А. 1958: 332). აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს ტოპონიმი რეჩენუ, რომლის ლოკალიზება სირიის ტერიტორიაზე ვერ ხერხდება. ხომ არ გვაქვს აქ დაცული უძველესი ცნობა რაჭის შესახებ? ამგვარი ახსნის შესაძლებლობას ხელს უშლის ის გარემოება, რომ რაჭა, როგორც ტოპონიმი გვიანი წარმონაქმნი ჩანს. ყოველ შემთხვევაში წერილობით იგი XII ს-ზე უადრეს ხანაში დაფიქსირებული არ ჩანს.¹ საყურადღებოა აღვნიშნოთ, რომ ამ ცნობას მაინც აქვს

1 საყურადღებოა, რომ უკანასკნელ ხანებში ქვაცხიურას ნაყარის ქვედა დონის ქვეშ არქეოლოგებმა (ირ. ლამბაშიძე, გ. გობეჯიშვილი, ბ. მაისურაძე, გ. ინაიშვილი) მიაკვლიეს უფრო წინარე ხანის გამონამუშევარს.

გარკვეული მნიშვნელობა. ცნობილია, რომ სირიის სპილენძის მადნები მინარევის სახით ხშირად შეიცავს ნიკელს, რაც არ ახასიათებს კავკასიის საბადოებს. თუ ჩვენ ავიღებთ ეგვიპტურ ნაკეთობათა ქიმიური ანალიზის ცხრილებს (Лукас А. 1958: 710-715), თვალშისაცემია მთელ რიგ შემთხვევებში სპილენძის გვერდით ნიკელის მინარევების არსებობა. ესკი პირდაპირ უნდა მიუთითებდეს მადნის სირიულ წარმომავლობაზე. მაგრამ იმავე ცხრილებში ვხვდებით სხვაგვარ სურათსაც. არის შემთხვევები დარიშხანნარევი სპილენძისაგან იარაღის დამზადების. ხომ არ მიუთითებს ეს ფაქტი მათ კავკასიურ, კერძოდ ცენტრალური კავკასიონის რეგიონიდან მომდინარეობაზე. ჩვენის აზრით საკითხის ამგვარი დასმის შესაძლებლობა ნამდვილად არსებობს. კიდევ უფრო სარწმუნოდ გვეჩვენება ის შემთხვევები, როდესაც მინარევში ანთიმონია ჩართული. ეს ელემენტი არ ეგვიპტისთვის და არც სირიისთვის დამახასიათებელი არ არის (Лукас А. 1958: 308).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ანთიმონის გამოსავლები არ არის დაფიქსირებული ბევრ ქვეყანაში. დიდი რაოდენობით გვხვდება იგი ირანში, მცირე რაოდენობით ბერძნულ კუნძულებზე – ლესბოსსა და ხიოსზე. ანთიმონის კვალი დასტურდება ნიკელის მადნებში სენტ-ჯონის კუნძულზე წითელ ზღვაში. ეს უკანასკნელი კავკასიურ მადნებთან მიმართებაში ირიცხება ნიკელის შემცველობის გამო. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ანთიმონის მიღება მადნიდან ძალზე რთული პროცესია და ადრეული პერიოდისათვის თითქმის შეუძლებელი. ამ წესით ანთიმონის მიღება მხოლოდ XV-XVI სს-ში გახდა შესაძლებელი. ეს გარემოება ერთგვარ საბუთს წარმოადგენს ეგვიპტური ანთიმონის ნაკეთობების მასალად დასავლურ-კავკასიური წყაროს სავარაუდოდ. ეს მით უფრო შესაძლებელი გვეჩვენება, რომ ზემო რაჭაში დაფიქსირებულია ანთიმონის რამდენიმე ძველი გამონამუშევარი (ადგ. ხვარდახეთი, კირტიშო, ზოფხითო), საიდანაც რამდენიმე ათასი ტონა მადანია გამოტანილი. საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ ეგვიპტეში უძველესი ანთიმონის მძივები დადასტურებულია XXII დინასტიის (ძვ. წ. 945-745 წწ) მასალებში. ფაქტიურად ეს ის პერიოდია, როდესაც კოლხეთში უმაღლეს დონეზეა ბრინჯაოს მეტალურგია და გვაქვს საფუძველი ვილაპარაკოთ აქედან მადნის ექსპორტზე.

ბუნებრივია დგება საკითხი ამ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ხასიათის შესახებ. არის ეს პირდაპირი, უშუალო კავშირი თუ საქმე გვაქვს სატრანზიტო, საშუამავლო ურთიერთობებთან. ჩვენის აზრით ამგვარი უშუალო კავშირი ფაქტობრივად უნდა გამოირიცხოს ვინაიდან თუნდაც ძვ. წ. I ათასწლეულისათვის შეუძლებელი ჩანს ასეთი შორეული, თუნდაც საზღვაოსნო კავშირები. საქმე უნდა გვექონდეს სწორედ საშუამავლო ურთიერთობასთან, რაზეც შემდეგი გარემოებაც მიგვანიშნებს (ბარამიძე მ. 1998: 173). თუ თვალს გადავაავლებთ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიას, აშკარა ხდება მათი მჭიდრო, თითქმის რეგულარული ეკონომიკური კავშირები ეგვიპტესთან. ამ თვალსაზრისით, უპირველესი ადგილი სწორედ სირიასა და ფინიკიას უკავია. ამ ვაჭრობის ცენტრი ძველი ფინიკიური ქალაქი ბიბლი იყო, რომელიც ჯერ კიდევ ეგვიპტის ძველი სამეფოს პერიოდისა და გვევლინება, როგორც ძირითადი პუნქტი, საიდანაც შედის ეგვიპტეში ხის მასალა, ლითონი, მუშახელი (Авдеев, 1953: 318). სავარაუდოა, რომ იყო სხვა ცენტრებიც.¹ ჩვენის აზრით, შესაძლებელია კავკასიური ლითონი ზოდების სახით სწორედ ამ ცენტრების მეშვეობით გადის ეგვიპტესა და მესოპოტამიაში². ეს განსაკუთრებით III-I ათასწლეულების განმავლობაში არის სავარაუდო. არ არის გამორიცხული ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში (კოლხეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბების პირველივე ეტაპზე) უშუალო კავშირურთიერთობა, რაზეც თითქოს მთის რაჭაში ეგვიპტური ნაწარმის მოჭარბება მიუთითებს. საყურადღებოა, რომ ძველი მეტალურგიის ისეთი ცნობილი მკვლევარი, როგორიც ფორბესია, ქიმიური ანალიზების საფუძველზე თვლიდა, რომ ანთიმონი და

1 აკადემიკოს დ. მუსხელიშვილის ინფორმაცია.

2 სილნალის 1996 წლის საერთაშორისო კოლოკვიუმზე, რომელიც ბრინჯაოს მეტალურგიის საკითხებს მიეძღვნა კ. კუმნარიოვამ ამგვარ ცენტრად ანატოლიის ქალაქი პუნეუი მიიჩნია. მისგან დამოუკიდებლად იგივე მოსაზრება გამოთქმული აქვს მ. ბარამიძეს.

სპილენძი ეგვიპტესა და მესოპოტამიაში შეტანილია კავკასიიდან, თუმცა არ აკონკრეტებდა თუ რომელი რეგიონი ჰქონდა მხედველობაში. არქეოლოგიური შესწავლილობის დღევანდელ ეტაპზე კი ყველაზე მძლავრი კერა რაჭის ტერიტორიაზეა დაფიქსირებული, რაც სწორედ ამ რეგიონიდან ლითონის ექსპორტირებაზე უნდა მიგვითითებდეს.

ამკარაა, რომ სოფ. გონას სამთომეტალურული კერიდან ბრინჯაოს ხანაში სულ მცირე 150000 ტ სპილენძის მადანია საუკუნეთა განმავლობაში ამოღებული. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სპილენძის ძველი გამონამუშევრები მთის რაჭის სხვა ადგილებშიც არის დაფიქსირებული (ლები, ბრილი, კირტიშო), მაგრამ ის ექსპედიციის მიერ სამუშაოები არ წარმოებულა და მასზე არ ვჩერდებით. ჩვენი წინასწარული მონაცემები გაეცნო რაჭის გეოლოგიური პარტიის ხელმძღვანელს აკ. რეხვიაშვილს, მის მოადგილეს ს. სურგულაძეს, რომლებმაც გაიზიარეს იგი და აღნიშნეს პარტიის წინასწარულ ანგარიშში.

ზემოთხსენებული გაანგარიშებები 1960 წელს ჩვენს მიერ გაცნობილი ჰქონდათ სამთო ინჟინერ გეოლოგებს მოსკოვიდან აკადემიკოს ელ. მინდელს და მის ვაჟს, რომლებმაც მოიწონეს გაანგარიშებანი და მხარი დაუჭირეს მას. იგივე აზრი გამოთქვეს ქვემო რაჭის გეოლოგიური პარტიის ხელმძღვანელებმა პროფესორებმა გიორგი და თამაზ ტოგონიძეებმა.

იგივე მოსაზრებამდის მივიდნენ 70-იან წლებში ცნობილი ქართველი გეოლოგები გურამ აბესაძე და ბორის ხორავა.

სამთო გამონამუშევრების თვალსაზრისით, უკანასკნელ ხანებში დიდი სამუშაოები წარმოებს სვანეთის ტერიტორიაზეც, სადაც რამდენიმე ასეთი ტიპის მაღარო იქნა მიკვლეული. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ იმ სამუშაოების შესახებ, რაც წარმოებს აფხაზეთის სვანეთის ტერიტორიაზე ბაშკაპ-ცარას გამონამუშევარში. არის გარკვეული მონაცემები ჩრდილოეთ ქართლში, თლის სიახლოვეს სამთოგამონამუშევართა არსებობის შესახებ.

კოლხეთის მთიანეთში სამთომეტალურული წარმოების მეტად მაღალ დონეზე კიდევ ერთი, უდაოდ საყურადღებო ფაქტი მიგვითითებს. ანთიმონის ძარღვებთან ხშირად დაკავშირებულია ძალზე ძვირფასი მეტალი, ვოლფრამი. თანამედროვე წარმოებაში იგი გამოიყენება, როგორც მინარევი მაღალხარისხოვანი ფოლადის მისაღებად, მაგრამ იგი გამოდნობისათვის ძალზე მაღალ, 3410° ტემპერატურას მოითხოვს, რაც იმ პერიოდში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ამასთანავე, ვოლფრამი 400° გახურებისას ძალზე ადვილად უერთდება ჟანგბადს, ქლორს და გამოყოფს მავნე გაზებს, რომლის გამოცალკევება დღესაც კი ურთულეს პროცესებთანაა დაკავშირებული. ამიტომ უძველესი მეტალურგები, მიხვდნენ რა, რომ საქმე აქვთ მეტალთან, მაგრამ მისი დამუშავებისათვის არ ეყოთ საწარმოო გამოცდილების და ტექნიკის დონე, მოიქცნენ უაღრესად პრაქტიკულად. ადგილ “კორობში”, კირტიშოს მყინვარის მიდამოებში, მოპოვებულია ვოლფრამის მადანი და იგი კი არ გადაუყრიათ, არამედ ანთიმონის ძველი გამონამუშევრების გვერდით წესიერ, კუბურ ფორმებად დაუნყვიათ და ისე შეუნახავთ მომავალი დამუშავებისათვის. მსგავსი ფაქტი ჩვენთვის ცნობილ სპეციალურ ლიტერატურაში ფიქსირებული არ არის.

ამგვარად, თუ შევაჯამებთ ძირითადად რაჭის სამთომეტალურული კერის კვლევის შედეგებს შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მისი სახით საქმე გვაქვს მძლავრ საწარმო ცენტრებთან, რომელიც ძალზე აქტიურ საგარეო კავშირურთიერთობებშია ჩართული ძველი მსოფლიოს რიგ დაწინაურებულ ცენტრებთან. ეს მოსაზრება კიდევ უფრო მაგრდება ცენტრალური კავკასიონის სამხრეთი კალთების მთელ რიგ პუნქტებში გამოვლენილი ბრინჯაოს ბრწყინვალე ნაკეთობებით, რომელიც ტოლს არ უდებს ნებისმიერი არქეოლოგიური პერიოდის კულტურებს. ამასთანავე ეს მასალები ორგანულ კავშირშია კოლხეთის დაბლობის ნაკეთობებთან და ამ უკანასკნელთან ერთად ერთიან, მძლავრ კოლხურ კულტურას ქმნის.

§5. აფხაზეთის რკინის მეტალურგიის ზოგიერთი საკითხი.

უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში კოლხეთის არქეოლოგიის ბევრი კარდინალური საკითხი სრულიად ახლებურად იქნა გაშუქებული. ერთ-ერთ ასეთ საკითხს რკინის მეტალურგია და მისი ჩასახვა-განვითარების ეტაპები, ნაკეთობათა ტიპოლოგიური და რეგიონალური გავრცელება და სხვა წარმოადგენს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რკინის მეტალურგიის ქრონოლოგიის საკითხს და ეს სრულიად ბუნებრივია. ამ ინტერესს აღვივებდა ანტიკურ წყაროთა ცნობები, რომლის მიხედვით რკინის, როგორც სანარმოო მეტალის, გამოგონების პრიორიტეტი ეკუთვნით ხალიბებს და შესაძლოა სწორედ აქედან მარაგდებოდა ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნები (Деген-Ковалевский Б. 1925: 242). სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმულია ხეთების განსაკუთრებული როლიც შავი მეტალურგიის განვითარების საკითხში (Blinkenberg C. 1935: 870). ჩვენ არ შევუდგებით ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული მრავალრიცხოვანი ლიტერატურის და თეორიების განხილვას. იგი სრულად მოცემულია პროფ. დ. ხახუტაიშვილის სპეციალურ ნაშრომში (Хахутаишвили Д. А. 1987: 6-39). როგორც ჩანს გარკვეული საფუძველი ქართველი ტომების (ხალიბების) მიერ მიღწეული განსაკუთრებული წარმატებების დასაბუთებულად მატერიალურ კულტურაში მართლაც არსებობს. ამიტომ შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ გაჩნდა სპეციალური ტერმინი კოლხეთის რკინის წარმოების სამთომეტალურგიული ცენტრი (Хахутаишвили Д. А. 1987: 2)., რომელიც ეფუძნებოდა ცეცხლაური, ასკანა და პირველი ჭოლას ტერიტორიებზე გამოვლენილ მძლავრ სამრეწველო ობიექტების არქეოლოგიურ შესწავლას. ფაქტიურად ამ ტერიტორიის ქვეშ გაერთიანდა გურია-აჭარის და სამეგრელოს რეგიონები, სადაც წარმოებდა სპეციალური კვლევა ამ მიმართულებით. უკვე ამ პერიოდში შესაძლებელი იყო ამ ტერიტორიის გაფართოება, რადგან არსებობდა ცნობა აფხაზეთში ოქუმის ხეობაში მძლავრი რკინის სანარმოო ობიექტის არსებობის შესახებ (ბერძენიშვილი ნ. 1968), რაც უკანასკნელ ხანებში დადასტურდა ჩვენი სამუშაოებით აფხაზეთში, კერძოდ ნაწილობრივ შესწავლილ იქნა საკმაოდ მძლავრი კერა გალის რაიონის სოფ. პირველი გალის ტერიტორიაზე, მზიური I სანარმოო სახელოსნოს ნაშთები. აღსანიშნავია, რომ 60-იანი წლების დასაწყისში ენგურჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით გაგზავნილმა სადაზვერვო ექსპედიციამ წალენჯიხის რაიონის სოფ. ლიას ტერიტორიაზე ადგილ “ჯოლორიაშ ნყურგილში” და “ოყანჭეში” მიაკვლია მძლავრ რკინის სანარმო უბანს (გრიგოლია გ., ბარამიძე მ. 1964: ანგარიში), რომელიც ნაწილობრივ გათხრილ იქნა 1984-85 წწ ჩვენს მიერ (აბრამიშვილი რ., მიქელაძე თ., ბარამიძე მ.: 1963; ბარამიძე მ., რამიშვილი რ. 1965). მართლია, აქ უშუალოდ სადნობი ქურის მხოლოდ ნიშნები იქნა დაფიქსირებული, მაგრამ საქმე გვაქვს წიდეების და არქეოლოგიური მასალის მძლავრ გადანაყართან, რომლის ფართობი არასრული მონაცემებით 300X200 მ, სისქით საშუალოდ 0.8 მ-მდეა. მონაპოვარ მასალაში განსაკუთრებით აღსანიშნავია სხვადასხვა ფორმის რამდენიმე ასეული საბერველი მილის ნატეხები, რომელთა ნაწილს თავთან ხელოსნის ნიშნები აქვს დატანილი. აქვე მოპოვებული მთელი არქეოლოგიური მასალა ტიპიური დიუნური ფორმებისაა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მრავალრიცხოვანი რქიანი მილები, რომლებიც ნაწვეტებული ბოლოთი ერთმენეთში ჯდებოდა. თავთან თითქმის ყველა მათგანს ჰქონდა რკინის წიდის ნაშთები, როგორც ჩანს ისინი საბერველის როლს ასრულებდნენ. უმრავლესობაზე ჩანს ხელოსნის სხვადასხვა ნიშნები (გეომეტრიული სახეები): კვადრატი, სამკუთხედი, ოთკუთხედი, წერტილი, რგოლები და სხვა. ხელოსნის ასეთი ნიშნები ფაქტიურად ამ ტიპის ნივთებზე პირველად იყო დაფიქსირებული ნაყარში აღმოჩენილი კერამიკის ფრაგმენტების და ჩაშვებული სამარხის ინვენტარის მიხედვით სანარმოო ობიექტი თარიღდება წელთაღრიცხვების მიჯნით, თუმც არ არის გამორიცხული ამ ტერიტორიაზე უფრო ადრეული ქურების აღმოჩენის შესაძლებლობა. ამაზე უნდა მიგვითითებდეს აქვე შემთხვევით აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლებისათვის ტიპიური

ბრინჯაოს ბრტყელი ცული. სამწუხაროდ, ამ უაღრესად საყურადღებო ძეგლის გათხრები აღარ გაგრძელებულა მისი მასშტაბურობისა და ფინანსური სიძნელეების გამო.

აფხაზეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1991 წელს ქ. გალში, მზიურის ციტრუსების მეურნეობის ტერიტორიაზე შეისწავლა გზის გაყვანისა და სტიქიური მოვლენებისაგან გაშიშვლებული რკინის სანარმო უბნის ერთი ნაწილი. გათხრილი და განმდინილი იქნა ერთ ვერტიკალზე განლაგებული რკინის 4 სადნობი ქურა და მისი ირგვლივი ტერიტორია (ტაბ. XII). ქურების ძირითადი ნაწილი შედის გაუთხრელ ფართობში, რომელთა შესწავლა საჭიროებდა მინის დიდ სამუშაოებს ტექნიკის დახმარებით, რის გამოც ძეგლის სრული გამოვლენა გათვალისწინებულ იქნა 1992 წელს. სამწუხაროდ, აფხაზეთში პოლიტიკური სიტუაციის გამწვავებამ საშუალება არ მოგვცა აღნიშნული ძეგლი სრულად ყოფილიყო შესწავლილი. ამასთანავე ვერ მოხერხდა გეოფიზიკური მონაცემების ლაბორატორიული კვლევის დასრულება და სადღეისოდ მხოლოდ ზოგადად შეგვიძლია ვიმსჯელოთ ძეგლის ასაკზე. კულტურულ ფენაში აღმოჩენილი რამდენიმე კერამიკული ფრაგმენტი კეცის მიხედვით უფრო წინარეანტიკური იერისაა ვიდრე სხვა რომელიმე პერიოდის. თითქოს ამავე პერიოდის ჩანს ერთი მრგვალქობიანი, პირგადმოკეცილი პროფილიც. თვით წიდეების მონაცრისფრო ნაფენი სწორედ ამ დროისთვისაა დამახასიათებელი, რაც არაერთგზის დადასტურდა დ. ხახუტაიშვილის გამოკვლევების მიხედვით (Хакхуцаишвили Д. А. 1987: 39). თვით ქურის ტიპი კარგად უკავშირდება გურია-აჭარის ტერიტორიებზე შესწავლილ ქურებს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მზიური I სახელოსნოს ქურების კედლები არაა ქვით მოპირკეთებული და კედლები მხოლოდ ცეცხლგამძლე თიხით არის შელესილი, რაც ჩვენი აზრით ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხური კულტურის აფხაზეთის ლოკალური რეგიონისათვის შესაძლოა იყოს დამახასიათებელი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩვენ შესაძლოდ მიგვაჩნია მზიური I წინასწარულად წინარეანტიკური ხანით იქნას დათარიღებული.

რკინის მეტალურგიის უაღრესი საფეხურების ძიების და შესწავლის საფეხურების გამოსავლენად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დიუნურ დასახლებებს. ისინი განფენილია შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე აჭარიდან აფხაზეთის ტერიტორიის გასწვრივ, გაგრის ჩათვლით. ქვიშაზვინულები ჩვეულებრივ სხვადასხვა სიმაღლისაა – 1,5-7 მ. მათზე ფიქსირდება რამდენიმე დონე 2-დან 7 ფენამდის. ჩვეულებრივ ისინი წარმოდგენილია მოშაო-მონითალო შრეების სახით, ზოგჯერ თიხატკეპნილი სახით. მათში მოპოვებულია მრავალრიცხოვანი თიხის ჭურჭელი, რომლებიც წარმოდგენილია აგურისფერი ხრემნარევი ქსოვილიანი კერამიკა აბაზანისებური ფორმის ბრტყელპირა ჭურჭლის, 25 სმ სიმაღლის ზოომორფულშვერილიანი ბოლოწანვეტებული მილისებრი ბოძკინტები და წინარეანტიკური ხანის სპეციფიური წინარეანტიკური (ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი) კერამიკა – ყუამილიანი დოქები, ზოომორფულშვერილიანი ყურები, კანელურიანი პატარა ქოთნები და სხვა. კერამიკა ძალზე სპეციფიურია და თარიღდება ძვ. წ. IX-VI სს.

საინტერესოდ დგას საკითხი აღნიშნული დიუნების დანიშნულების შესახებ. ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით რუს და ზოგიერთ აფხაზ მეცნიერებს შორის გავრცელებულია მოსაზრება ზღვის წყლის აორთქლების გზით მარილის სარეწად მათ დანიშნულებაზე (Иессен А. А. 1937: 251-252; Соловьев Л. 1950: 279-282; Куфтин Б. А. 1950: 247). დიუნების დანიშნულების შესახებ უკანასკნელ ათწლეულებში განსხვავებული მოსაზრება იქნა გამოთქმული. გასული საუკუნის 60-იან წლებში პროფ. ამ. კახიძემ ზღვისპირა დიუნები ადგილობრივი მოსახლეობის საკულტო ადგილებად მიიჩნია, რომლებიც დაკავშირებული იყო ხარის, ზღვის ღვთაების და ლერწმის კულტთან. ჩვენი აზრით არქეოლოგიური მასალის დაბალი, მდარე ხარისხი, უჩვეულო ფორმები უარყოფენ საკულტო ნაგებობად მათი მიჩნევის შესაძლებლობას. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ 60-70 წლებში გამოთქმული იქნა სრულიად განსხვავებული მოსაზრება დიუნთა დანიშნულების შესახებ. ნ. ხომტარიამ დასაშვებად მიიჩნია ქვიშებიდან რკინის მადნის (მაგნეტიტის) მიღების შესაძლებლობა,

რაც ერთგვარად უკავშირდება სხვადასხვა ისტორიულ წყაროებში ქართველ ტომთა წარმატებას რკინის წარმოებაში. ამ მოსაზრებას გარკვეულად დაუჭირა მხარი ალ. რამიშვილმა (Рамишвили А. Т. 1975: 31) და ი. გრძელიშვილმა. ამ მოსაზრების დამადასტურებელი ძეგლი ნაპოვნი იქნა გ. გრიგოლიასა და მ. ბარამიძის მიერ გალის რაიონის სოფ. გუდავასთან დიუნური ნასახლარის მახლობლად. ზღვისპირა სადგომი სოფ. გუდავაში დიდ ტერიტორიაზე გავრცელებული მდ. ერისწყლის არხის ორივე ნაპირზე. მის ჩრდილოეთით, 3 კმ მანძილზე, გუდაყვის ისტორიული ნასახლარის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. გუდავის მარცხენა ნაპირზე აღმართულია ტიპიური ბორცვი (გუძუბა), რომელზეც ფიქსირდება 11 შრე, მათ შორის ერთი (მე-6-ე დონე) თიხატყეპნილი, 4 სმ სისქის, დამწვარი ფენა. ბორცვის სიმაღლე 3 მ-ია, დიამეტრიც – 15 მ. ბორცვის ნახევარი წაღებულია მდინარის მიერ. თხემზე შემორჩენილია ფეოდალური ხანის ეკლესიის (?) ნანგრევები. ჩვენს მიერ გაკეთებულმა სადაზვერვო შურფმა (2მX2მ) მოგვცა საინტერესო სურათი. ბორცვი მთლიანად წარმოქმნილია ქვიშაზვინულისაგან და 11 შრეს შეიცავს. ოთხ შემთხვევაში შრეები ერთმანეთისაგან გამიჯნულია 20-25 სმ სისქის მოყვითალო-მოყავისფრო თიხნარით. უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა 11 დონეზე მოპოვებული კერამიკა ერთგვაროვანია და წარმოდგენილია დიუნებისათვის ტიპიური ქსოვილიანი კერამიკით (ბოძკინტები, აბაზანისებური ჭურჭელი).

მსგავსი ძეგლი არც კოლხეთის და არც აფხაზეთის სიძველეებს შორის არ გვეგულება. ჩვეულებრივ დიუნები ზღვის ნაპირის გასწვრივ არის განფენილი, აქ კი სრულიად სანინაალმდეგო სურათი გვაქვს. ზღვა შორსაა 2.5-3 კმ-ზე და გეოლოგიურადაც არ დასტურდება ზღვიური დანალექის არსებობა. აქ გამოყენებული ქვიშა აშკარად მდინარეული წარმონაქმნია. მდინარე მტკნარია, ამდენად მარილის მისაღებად წყალი სრულიად უვარგისია და მისი ამ მიზნით გამოყენება უსარგებლოა. სამაგიეროდ ქვიშა შეიცავს მაგნეტიტს და დასტურდება ქვიშის ფენის შემონმებით. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიერ ფეხით გავლილი იქნა მთელი ტერიტორია აჭარიდან გაგრის ჩათვლით, რამაც აშკარად აჩვენა ზღვისპირა ქვიშაზვინულებში მაგნეტიტის არსებობა, რაც უნდა მიუთითებდეს დიუნურ ნასახლართან რკინის სანარმოო ნასახლართა არსებობას. ამგვარად, მადნისეული ჩანართი, ერთგვაროვანი სპეციფიური კერამიკა უნდა მიგვითითებდეს ზღვისპირა დიუნების სანარმოო დანიშნულებაზე. მათ დანიშნულებაზე პირდაპირ უნდა მიგვივითებდეს დიუნებზე აღმოჩენილი კერამიკული ნანარმი, რომლის ანალოგიური მასალა აღმოჩენილია როგორც მზიურის, ისე აჭარისა და სამეგრელოს (ლიას) სახელოსნოებზე. რქისებური სადგრები წვერით ხშირადაა ერთმანეთში ჩასმული 2-4 ცალი და წვერი დაფარულია რკინის გამომწვარი წილით. ამასთანავე ზოგიერთზე შემორჩენილია თიხის შელესილობის ნატეხები. სწორედ თიხით არის შელესილი რკინის გამოსაწვავი ქურები. აღნიშნული გარემოება გვაფიქრებინებს, რომ რქისებური სადგრები გამოიყენებოდა ქურათა საბერველებისათვის. ასევე მადნის შეგროვებისა და წინასწარული გარეცხვისათვის გამოიყენებოდა აბაზანისებური ჭურჭლები. ისინი მხოლოდ რკინის მოგვიანო სახელოსნოებზე ჩანს და არ გვხვდება დიუნებზე. საყურადღებოა ერთი ფაქტი. დიუნები არსებობას წყვეტენ ძვ. წ. VI ს ბოლოს და ზემოთნახსენები სანარმოები რამდენადმე მოგვიანო არის. როგორც ჩანს ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ჩათვლით გამოყენებული ჩანს მხოლოდ მაგნეტიტური მადანი. ძვ. წ. VI ს შემდგომ, მომდევნო ხანაში გამოყენებული უნდა იყოს მეორენაირი, ე. წ. ჭაობისეული რკინის მადანი. ამაზე უნდა მიგვათითებინებდეს ის გარემოება, რომ დიუნური წიდა ჩვეულებრივ მოყავისფრო-მოყვითალო ფერისაა, ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან კი მონაცრისფრო, რაც შესაძლოა მთლიანად კოლხეთის სპეციფიური ჭაობისეული რკინის მადნის მასალაა.

რკინის წარმოების ადგილობრივი საფეხურის შესახებ ზემოთმოყვანილი საფუძველი საკმაოდ ძლიერია და საფუძვლიანი. არსებობს მოსაზრება, რომელიც ძირითადად რუს და აფხაზ არქეოლოგებს შორისაა გავრცელებული, რომ რკინის წარმოება აფხაზეთში შედის ჩრდილოეთიდან სკვი-

თური ტომების სამხრეთ ანატოლიისაკენ მოძრაობის დროს. აღნიშნული მოსაზრება ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული. უპირველეს ყოვლისა ჩრდილოკავკასიაში რკინის იარაღი ჩანს მხოლოდ ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე მეოთხედიდან. მასზე ადრე რკინა სკვითებთანაც არ ჩანს. ამ დროს აშკარაა, რომ კოლხეთში და ქვემო ქართლში რკინის წარმოება ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან ვრცელდება და შემდგომ აქედან უნდა იყოს იგი შესული დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში (აფხაზეთი, რაჭა, იმერეთი, შიდა ქართლი). ეს მოსაზრება რომ სწორია იქიდანაც ჩანს, რომ ამ რეგიონებში (კერძოდ აფხაზეთშიც) აღმოჩენილი რკინის იარაღ-საჭურველი ტიპოლოგიურად იმეორებს კოლხურ ნაწარმს (ცული, თოხი, სატევარი, შუბისპირი, სამკაული, ბალთა და სხვა), რაც პირდაპირ მიუთითებს მათ ადგილობრივ წარმომავლობას და წარმოებას.

საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რკინის სადნობი ქურების დათარიღება ძალზე რთული საკითხია. ჩვეულებრივ ამ ტიპის ძეგლებზე არქეოლოგიური მასალა ძალზე ცოტაა და მათი დათარიღება ჭირს. ამდენად, ჩვენი აზრით გამართლებულია მათი შესწავლისათვის გეოფიზიკური მეთოდების გამოყენება, მაგრამ ამ შემთხვევაში დიდი სიფრთხილეა საჭირო. არქეომაგნიტური მეთოდის გამოყენება რთულდება საქართველოსათვის მიღებული მაგნიტური მრუდის ფაქტიურად არარსებობის გამო. რადიონახშირბადით დათარიღება ყოველთვის არ იძლევა სასურველ შედეგს, რადგან ქურებში ჩაჟონილი წყალი ხშირად გარკვეულად ზემოქმედებს ისეც მცირე რაოდენობის ნახშირზე. უფრო პერსპექტიული უნდა იყოს ამ რიგის ძეგლების დათარიღებისათვის თერმოლუმინისცენციის მეთოდის გამოყენება, მაგრამ სამწუხაროდ ამ მიმართულებით საქართველოში კვლევა არ წარმოებს. ბუნებრივია ყველას მაინც კომპლექსური კვლევა სჯობს, მაგრამ ამის საშუალება ყოველთვის არ არის. ამ თვალსაზრისით უდაოდ აღსანიშნავია რკინის სადნობი მთელი რიგი სახელოსნოების შესწავლის შედეგები, რაც წლების განმავლობაში ხორციელდება სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე.

აქ გამოვლენილი რამდენიმე ათეული ქურა-სახელოსნო საინტერესოა არამარტო კულტურის განვითარების ზოგადი სურათის საჩვენებლად, არამედ კონკრეტულად რკინის წარმოების ადრეული საფეხურების კვლევისათვის. სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის გამოთქმულია მოსაზრება სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე რკინის წარმოების ადრეულ პერიოდებში გაჩენასთან დაკავშირებით (რ. აბრამიშვილი და დ. ხახუტაიშვილი). ჩვენ პრინციპში ვიზიარებთ ამ მოსაზრებას და მიგვაჩნია, რომ ქვემო ქართლი და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი იყო ის რეგიონები, სადაც შესაძლებელია ხდებოდა რკინის წარმოების ჩასახვა და აქედან შემდგომ საქართველოს სხვა რაიონებში მისი გავრცელება. მაგრამ ჩვენ ვერ დავეთანხმებით პატივცემულ მკვლევარებს რკინის გაჩენის იმ მაღალ თარიღებთან დაკავშირებით, რაც არსებობს ზემოთხსენებულ ნაშრომებში. ქვემო ქართლში რკინის გაჩენის ადრეული თარიღების შესახებ ჩვენი დამოკიდებულება გამოთქმული გვაქვს ჯერ კიდევ 60-იან წლებში და მას აღარ გავიმეორებთ. დღეს ჩვენ გვინდა შევეხოთ მხოლოდ ზემოხსენებულ ქურა-სახელოსნოების დათარიღების კონკრეტულ საკითხებს. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ სავსებით გამართლებული გვეჩვენება ამ რიგის საკითხების კვლევის საკითხში ინტერდისციპლინარული მეთოდების გამოყენების აუცილებლობა, მაგრამ ჩვენ ვერ ვიზიარებთ კალიბრირებული თარიღებისადმი ზედმეტი ნდობის გამოცხადებას. საქმე იმაშია, რომ უკანასკნელ ათწლეულებში პ. დაიმონისა და მისი მოწაფეების მიერ რადიონახშირბადის დაშლის ციკლის განსაზღვრაში შეტანილი იქნა ცვლილებები, რაც საერთო ჯამში იძლევა 1-დან 4-5 საუკუნემდის თარიღთა დაძველებას. ამის გასამართლებელ არგუმენტად მოტანილია დებულება კავკასიის, ევროპისა და წინა აზია-ანატოლიის უძველეს კულტურათა ერთმანეთთან სინქრონიზაციაში მოყვანის აუცილებლობა (Арсланов X. 1978: 17). წინააზია-ანატოლია განვითარების ტემპებით ყოველთვის წინ უსწრებდა კავკასიას, მით უფრო ევროპას და ამ კულტურათა ქრონოლოგიური განონასწორების არავითარი საფუძველი არ არსებობს. ამასთანავე მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ რადიონახ-

შირბადის დაშლის ციკლი ყველგან ერთნაირი არ არის და მისი საყოველთაოდ გამოცხადება აუცილებლად იწვევს ცდომილებას. პ. დაიმონი და მისი მოწაფეები შესაძლოა საცხებით სამართლიანად რადიონახშირბადის დაშლის ციკლის გაზრდას გულისხმობენ ევროპისათვის, მაგრამ არის თუ არა ეს მისაღები კავკასიისათვის, ჯერ ნათელი არ არის (Кавтарадзе Г., К. 1983: 127).

ფიზიკოსთა შორის ამ საკითხის ირგვლივ ერთიანი აზრი არ არის, თუმცა როგორც ჩანს უმრავლესობა მაინც აღიარებს თავდაპირველ ვარიანტს, ყოველგვარი დაშლის ციკლის გაზრდის გარეშე. აქედან გამომდინარე, კალიბრაციის მეთოდით მიღებული თარიღები ერთგვარად ეჭვის ქვეშ დგება. თუ გავითვალისწინებთ შედარებითი მეთოდებით მიღებულ არქეოლოგიურ თარიღებს, ეს შეუსაბამობა მით უფრო თვალშისაცემია. აქვე გვინდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი გარემოება. ფიზიკოსთა I სტრატეგრაფიული ქრილი, სადღეისოდ ალბათ ყველაზე სრულყოფილად შესწავლილი ძეგლი, ზედა I-V ფენები არქეოლოგიური დათარიღების გარდა, შემონახულია ყველა არსებული მეთოდით (არქეომაგნეტიზმი, რადიონახშირბადი, თერმოლუმინისცენცია) და სრულ შესატყვისობაშია შედარებით-ქრონოლოგიურ მეთოდთან. უფრო მეტიც, კალიბრაციის მეთოდით მიღებული თარიღები ამკარად მიუღებელია ამ ფენების დათარიღებისათვის. აქედან გამომდინარე ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჯერჯერობით მაინც ტრადიციული მეთოდებით დათარიღების მეტი საფუძველი არსებობს, ვიდრე ახალი ქრონოლოგიური შკალების შემოღების.

ყოველივე ზემოთქმული საჭიროებს გარკვეულ მიდგომას რკინის ქურა-სახელოსნობის დათარიღების საკითხშიც. მზიური I სახელოსნო ცენტრი არქეომაგნეტიზმითა და ძალზე მცირე მასალების მიხედვით წინარეანტიკური ხანით უნდა განისაზღვროს. ამგვარი თარიღის სისწორეზე უნდა მიუთითებდეს სწორედ ტიპოლოგიური მსგავსება ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრის ქურა-სახელოსნობებთან სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან (Хахутаიшвили Д. А., 1987: სურ. 2, 3, 6, 8 და სხვა). განსხვავება მათ შორის მხოლოდ ქურის კედლის მოპირკეთებაშია. მზიურში ქვის გამოყენების კვალი არ დასტურდება და კედლები უშუალოდ ცეცხლგამძლე თიხითაა მოპირკეთებული. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ შესაძლოა, ეს მომენტი რეგიონის ლოკალური თავისებურებების ამსახველი იყოს.

სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რკინის ქურა-სახელოსნობის დეტალური განხილვა ვფიქრობთ გვაძლევს საშუალებას ზოგიერთი დასკვნის გაკეთებისათვის. ჩვენი აზრით, აღნიშნული ქურა-სახელოსნობის ერთი ნაწილი უფრო მოგვიანო ხანის უნდა იყოს, ვიდრე ეს ძეგლის შემსწავლელს აქვს მოცემული. უპირველეს ყოვლისა საქმე ეხება ადრეულ ქურებს. ბ-ნი დ. ხახუტაიშვილი, როგორც ჩანს უფრო მეტი ნდობით ეკიდება კალიბრირებულ თარიღებს, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ნაშრომში ამაზე პირდაპირი მითითება არ არის და ჩვეულებრივ ორივე თარიღია მოტანილი (Хахутаიшвили Д. А., 1987: 150). ჩვენი ყურადღება მიიქცია უპირველეს ყოვლისა იმ გარემოებამ, რომ ამ ადრეულ ქურებში არა გვაქვს არქეოლოგიური მასალა, რომელიც უარყოფდა ან დააზუსტებდა ფიზიკოსთა კვლევის შედეგებს. მაგრამ აქ ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება. მაგ. მშვიდობაური II არის მოცემული ორი თარიღი, ორმოს ძირზე აღებული ნიმუში იძლევა 3483 ± 125 , კალიბრირებული 3760 ± 103 , ორმოს თითქმის ზედა ნაწილში აღებული ნიმუში კი 3270 ± 80 , კალიბრირებული 3491 ± 125 (Хахутаიшвили Д. А., 1987: 180). ამდენად გამოდის, რომ ქურა ფუნქციონირებს 213-269 წელს, რაც ჩვენ საკმაოდ არარეალური გვეჩვენება. 2-2.5 საუკუნე ერთი ქურის არსებობისათვის ძალზე საეჭვოა. აღსანიშნავია, რომ ამავე ქურიდან არის კიდევ ერთი ნიმუშის თარიღიც, როგორც ჩანს მიღებული თერმოლუმინისცენციის მეთოდით – ძვ. წ. 1207 ± 100 (Хахутаიшвили Д. А., 1987: 180). ამდენად ამ ორი მეთოდით მიღებული თარიღები ნაწილობრივ ემთხვევა ზედა დონეზე მიღებულ დათარიღებას და ერთგვარად ამაგრებს მას. მაგრამ მეორეს მხრივ სრულიად გამორიცხავს კალიბრირებულ თარიღს (ცდომილება აბსოლიტურ ასაკთან 284 წ. მიუღებელი ჩანს).

საინტერესო სურათს იძლევა მშვიდობაური IV არსებული თარიღები. ორმოს ძირზე აღებული ნიმუშის ასაკი განსაზღვრულია 3149 ± 45 , კალიბრირებული 3390 ± 125 . აბსოლიტური ასაკი ძვ. წ. 1241 და 1440. სხვაობა 2 საუკუნე საგრძნობია, მით უფრო, რომ თერმოლუმინისცენცია იგივე ქურისათვის იძლევა 1180 ± 100 , რაც თითქმის თანხვედბა არაკალიბრირებულ თარიღს (Хахутаიшвили Д. А., 1987: 155, 180). აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ ქურიდან მოიპოვება საკმაო რაოდენობით კერამიკა: შვერილიანი და ზომორფული ყურები, ფართო კანელურებიანი ჭურჭელი (Хахутаიш-ვილი Д. А., 1987: 154), რაც ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულზე მიუთითებს და არცერთ წინარე ძეგლზე ეს ფორმები არ გვხვდება.

მსგავსი სურათია ნაგომარი I-2-ის ქურის ასაკთან დაკავშირებით. აქ ორი ნიმუშია განსაზღვრული. ისინი 3410 ± 50 და 3450 ± 50 იძლევა. კალიბრირებული მეთოდით თარიღი განისაზღვრა 3670 ± 103 და 3724 ± 103 . ცდომილება აქაც 2.5-3 საუკუნის ფარგლებშია. თერმოლუმინისცენციით ქურა დათარიღდა ძვ. წ. 1377 ± 100 (Хахутаიшвили Д. А., 1987: 162, 180). სხვათაშორის ეს არის ყველაზე ძველი თარიღი მიღებული ამ მეთოდით და თითქმის იმეორებს არაკალიბრირებულ თარიღს. სამწუხაროდ არქეოლოგიური მასალაც ამ ქურიდან არა გვაქვს.

ჩვენ არ შევუდგებით ყველა ქურის თარიღების განხილვას. თითქმის ყველა შემთხვევაში ერთნაირ სურათთან გვაქვს საქმე. არაკალიბრირებული თარიღები მეტნაკლებად ემთხვევა არქეომაგნეტიზმითა და თერმოლუმინისცენციით მიღებულ ასაკს. ამდენად, კალიბრირებული მონაცემები რკინის სადნობი ქურა-სახელოსნობისათვის სრულიად მიუღებელი ჩანს. ეს მით უფრო ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ამ რიგის ძეგლებს ეხება, საიდანაც გვაქვს არქეოლოგიური მასალებიც, რომლებიც ძირითადად სწორედ ათარიღებენ ამ ქურებს. ჩვენ მხოლოდ რამდენადმე დაძველებული გვეჩვენება მხოლოდ ასკანის ჯგუფის ქურების თარიღი. მაგ. ასკანა I არის, როგორც ჩანს არქეომაგნეტიკური მეთოდით მიღებული თარიღი ძვ. წ. 1092 ± 100 , თვით გამთხრელი კი მასალაზე დაყრდნობით მას ძვ. წ. X-IX სს ათარიღებს (Хахутаიшвили Д. А., 1987: 102-106, 180). აქ აღმოჩენილი კერამიკული ფრაგმენტები რამდენადმე მოგვიანო იერის ჩანს. ამ ტიპის კანელურები და ყურები ძირითადად წინარეანტიკური ხანისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა ჩნდება მის წინარე კომპლექსებშიც. ასევე შეიძლება არ გავიზიაროთ ასკანა II-ის თარიღიც, რომლის შესახებ გამთხრელი თვითონ აღნიშნავს, რომ აქ აღმოჩენილი კერამიკული ფრაგმენტები წინარეანტიკური ხანისაა (Хахутаიшвили Д. А., 1987: 106-109, 180). აღსანიშნავია, რომ ამ ქურიდან არის განსაზღვრული ერთი ნიმუში, რომლის ასაკი 3175 ± 45 (კალიბრირებული 3370 ± 125). არქეომაგნეტიკური მეთოდით ქურა დათარიღებულია XIV-XIII სს. ეს არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც კალიბრირებული თარიღი გარკვეულად ეხმიანება სხვა მეთოდით მიღებულ დასკვნას. მაგრამ აქ უკვე მეორე მომენტი ჩვენი აზრით განმსაზღვრელი, თვით არქეოლოგიური მასალა, რომელიც აშკარად გვიანია. დაშვება იმისა, რომ ქურა ფუნქციონირებდა 7-8 საუკუნის განმავლობაში ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ასკანის ჯგუფის ქურებში რამდენადმე მოგვიანოდ ჩანს ასკანა III, რომელშიც ადრეანტიკური იერის კერამიკაა დაფიქსირებული (Хахутаიшвили Д. А., 1987: 119). აღნიშნული გარემოება ერთგვარ საბუთს წარმოადგენს ამ ჯგუფის ქურების მოგვიანო ხანით დათარიღებისათვის.

ასევე საკამათო ჩანს ასკანა IV თარიღიც. საქმე იმაშია, რომ არსებობს ქურის მხოლოდ არქეომაგნეტიკური მეთოდით მიღებული თარიღი. ზ. ჭელიძის აზრით ასკანა IV ეკუთვნის IX ან XIV-XIII სს (Хахутаიшвили Д. А., 1987: 122). განსხვავება 4 საუკუნის ფარგლებში აშკარად მიუღებელია. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ასკანის მთელი კომპლექსი გარკვეულად სინქრონულია, უნდა დავუშვათ, რომ ეს ქურაც უფრო ძვ. წ. I ათასწლეულის ფარგლებში უნდა იქნას მოქცეული.

ამგვარად, კოლხეთის ქურა-სახელოსნოთა თარიღების ასეთი მოკლე განხილვაც აშკარად გვიჩვენებს იმ საერთო სიძნელეს, რაც ახლავს ამ რიგის ძეგლების შესწავლას. გეოფიზიკურ

მეთოდთა არასრულყოფილება ერთგვარად ეჭვს ქვეშ აყენებს მათი გამოყენების შესაძლებლობას, თუმცა გარკვეული სიფრთხილე, მეთოდთა დამთხვევა და რაც ყველაზე არსებითია არქეოლოგიური მასალა წარმოადგენს იმ ამოსავალს, რომლითაც ვხელმძღვანელობთ ამ ქურათა დათარიღების საკითხში. აქედან გამომდინარე აშკარაა, რომ კოლხეთის რკინის საწარმოო ქურა-სახელოსნოები ვერ განეკუთვნება ძვ. წ. II ათასწლეულის ვერც პირველ ნახევარს და ვერც შუა ხანებს. სადღეისო მონაცემებით მათი ყველაზე ადრეული ნიმუშები ძვ. წ. XII ს სიღრმეში არ უნდა მიდიოდეს. ამ თვალსაზრისით ყველაზე ადრეული ჩანს მშვიდობაური II და ნაგომარი I, თუმცა მათი ასაკიც II ათასწლეულის მესამე მეოთხედში არ უნდა გადადიოდეს.

რკინის სადნობ ქურა-სახელოსნოთა დათარიღების სიძნელე დაკავშირებულია კოლხეთის არქეოლოგიისათვის ერთერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემასთან. საქმე ეხება თვით რკინის ნაწარმს, რომელიც კოლხეთის ადრეულ ძეგლებზე საერთოდ არ ჩანს. უფრო მეტიც კოლხეთის დაბლობში და ნაწილობრივ მთისწინა ზოლში ჩვენ არა გვაქვს ფაქტიურად არცერთი სამაროვანი, რომელიც ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის და I ათასწლეულის საწყის კომპლექსებს შეიცავდეს. ეს გარემოება ძალზე ართულებს რკინის წარმოების ადრეული საფეხურების კვლევის საკითხს. რაც შეეხება მთის ზოლში განლაგებულ სამაროვნებს (ბრილი, თლი) და აფხაზეთის წითელი შუქურას სამაროვანზე რკინის იარაღი ძვ. წ. I ათასწლეულის საწყისის უადრეს ხანაში არ ჩანს გავრცელებული. დაბლობის ზოლის ე. წ. კოლხურ სამაროვნებზე რკინის იარაღი ერთბაშად ჩნდება და თანაც საკმაოდ მოგვიანო ხანისათვის. ამდენად, მათი მონაცემების გამოყენება ადრეული საფეხურების რკინის წარმოების ასაკის განსასაზღვრად ფაქტიურად შეუძლებელია.

ასევე ძალზე საფრთხილია ამ მიმართებით, აღმოსავლეთ საქართველოს რკინის ინვენტარის შემცველი სამარხების თარიღების მოშველიება კოლხური მასალების დათარიღებისათვის. მაგალითად, ი. გრძელიშვილმა ლეღვა I რკინის სადნობი ქურა-სახელოსნო სამთავროს სამაროვანზე გავრცელებული პირმოყრილი ჭურჭლის ანალოგიებით ძვ. წ. XII ს-ით დაათარიღა (Грдзелишвили И. 1964: 51), მაგრამ შემდეგი კვლევებით გაირკვა, რომ ეს თარიღი ძალზე დაძველებული იყო, სულ ცოტა 2-3 საუკუნით. პირმოყრილი ჭურჭელი აღმოსავლეთ საქართველოში დამახასიათებელია გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურისა და მის უშუალოდ მომდევნო ხანისათვის. შემდგომ ეტაპზე იგი უკვე აღარ გვხვდება. საპირისპირო სურათია კოლხეთის ძეგლებზე. ამ ტიპის პირმოყრილი ჭურჭელი კოლხეთში გავრცელებას იწყებს ძვ. წ. I ათასწლეულის საწყისიდან და ძირითადად განმსაზღვრელია წინარეანტიკური ხანისათვის. ამდენად, კოლხური კერამიკის დათარიღებისათვის აღმოსავლური ფორმები თითქმის გამოუსადეგარია. ამას ადასტურებს თვით ლეღვა I აღმოჩენილი სხვა ფრაგმენტებიც, კერძოდ დაპტრისხული სამკუთხედებით შემკული ჭურჭელი და ზოომორფულშვერილიანი ყური, რომლებიც ტიპიურია ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის კოლხური კერამიკისათვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ რკინის ნივთების შემცველი ადრეული კომპლექსები კოლხეთიდან ფაქტიურად არა გვაქვს. ის რამდენიმე სამაროვანი, რომლებზეც ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევრისა და I ათასწლეულის საწყისის სამარხებია წარმოდგენილი, ამ მიმართულებით ფაქტიურად არაფერს იძლევა. თლის სამაროვანზე იყო მცდელობა გამოყოფილიყო მთელი რიგი სამარხული კომპლექსები, რომლებშიც რკინის ადრეული იარაღები იყო წარმოდგენილი. ძეგლის გამთხრელი სამაროვანზე რკინის პირველი ნივთების გაჩენას ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულიდან გულისხმობს (Техов Б. 1981: 5), თუმცა როგორც ჩანს უძველესი კომპლექსების გამოყოფა მაინც უჭირს და მათაც IX-VII სს ფარგლებში აქცევს, რაც სავსებით სწორად ასახავს ვითარებას.

ანალოგიური სურათია ბრილის სამაროვანზეც. აქ გათხრილია დიდი კოლექტიური სამარხი მოედანი ბრინჯაო-რკინის ინვენტარით, რომელსაც გ. გობეჯიშვილი ძვ. წ. X-VII სს ათარიღებს (გობეჯიშვილი გ. 1983). შესაძლოა ქვედა თარიღი რამდენადმე დაზუსტებას საჭიროებდეს, რადგან

ძირითადი მასალა (ბრინჯაოს სიტულები, ცულები, რკინის იარაღი) აშკარად მოგვიანო იერისაა. ყოველ შემთხვევაში ინდივიდუალურ სამარხებში ბრილი რკინის იარაღი ძვ. წ. VIII ს-ზე უადრეს კომპლექსებში არ ჩანს.

საინტერესო სამაროვანი ითხრებოდა ქ. სოხუმში, წითელი შუქურას ტერიტორიაზე, რომლის გამთხრელი მ. ტრაპში სამაროვნისთვის იძლევა ზოგად თარიღს ძვ. წ. IX ან VIII ს-დან ვიდრე II ს ჩათვლით (Трапш М., 1969: 38). აღსანიშნავია, რომ ერთ ადგილზე იგი სამაროვნის ქვედა საზღვრად ძვ. წ. XII ს იხსენიებს (Трапш М., 1969: 82, 208). როგორც ჩანს სამაროვნის ასაკი მისთვისაც რამდენადმე გაურკვეველი იყო, რაც დათარიღების ამგვარ განსხვავებაში აისახა. ჩვენ შეძლებისდაგვარად გავიცანით წითელი შუქურას სამაროვნის კომპლექსები და შესაძლებლად მივიჩინეთ ზოგიერთი მათგანი (სამარხები №№44, 47, 64, 90, 93) ძვ. წ. II ათასწლეულის მინურულით დაგვეთარიღებინა (Трапш М., 1969: 38). ამჟამად ჩვენთვის რკინის მეტალურგიასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით საყურადღებო გვეჩვენება №93 სამარხი, რომელშიც აღმოჩენილია ბრინჯაოს კოლხური ცული, გრძელმასრიანი შუბისპირი და რკინის იარაღები – სამი შუბისპირი და სატევარი. ერთი შეხედვით კომპლექსი აშკარად მოგვიანო იერისაა, მაგრამ არის ერთი საყურადღებო მომენტი, რომელიც ჩვენი აზრით რამდენადმე აძველებს სამარხის თარიღს. საქმე ეხება სამარხში აღმოჩენილ კოლხურ ცულს. იგი დ. ქორიძის კლასიფიკაციით კოლხური ცულების II და IV სახეობებს შორის ერთგვარ გარდამავალ ფორმას წარმოადგენს. II სახეობის ცულებთან მას აკავშირებს ტანის მოყვანილობა, ხოლო IV-სთან დაწახნაგებული ყუა. სწორედ ყუის ფორმირება არის ის ელემენტი, რაც აღნიშნულ ცულს უფრო არქაულ იერს აძლევს. თუ ეს სწორია, მაშინ აშკარაა, რომ ცული გარდამავალი ფორმა უნდა იყოს ამ ორ სახეობას შორის. II სახეობის ცულების გავრცელების ასაკი ძვ. წ. XIV-XII სს მოდის, ხოლო IV სახეობა გავრცელებული ჩანს ძვ. წ. II ათასწლეულის მინურულიდან I ათასწლეულის პირველ მეოთხედში (ქორიძე დ. 1965: 154). ამგვარად, წითელი შუქურას ცული ძვ. წ. II ათასწლეულის მინურულით უნდა დათარიღდეს. აქედან გამომდინარე ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია წითელი შუქურას №93 კომპლექსი ძვ. წ. II ათასწლეულის სულ მინურულით ან I ათასწლეულის საწყისით დათარიღდეს. კომპლექსში შემავალი ბრინჯაოს შუბისპირი ხელს არ უშლის ამგვარ დათარიღებას. ამგვარად ჩვენს შესაძლებლად მიგვაჩნია წითელი შუქურას სამაროვნის №93 სამარხი კოლხეთის ტერიტორიაზე ერთერთ უადრეს რკინის იარაღთა შემცველ კომპლექსად მივიჩნიოთ. თავისთავად რკინის იარაღის სიმრავლე ამგვარ თარიღს ხელს არ უნდა უშლიდეს. ქრონოლოგიურად ამ კომპლექსთან ახლოს უნდა იდგეს №44 სამარხის მასალა, რომელშიც აღმოჩენილია ბრინჯაოს დუბლირებული, გაურკვეველი ფორმის საკიდი, ბრინჯაოს ფირფიტოვანი ღრუ მძივები და რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია ნახევრადოვალური ბალთა, ზედაპირზე ქრილი, სოლისებური ორნამენტით და რკინის მასით ინსკრუსტირებული. ბრინჯაოს ღრუ მძივები ტიპიურია დოლმენური კულტურის უკანასკნელი საფეხურისათვის, თუმცა გვხვდება მის უშუალოდ მომდევნო ხანაშიც (ეშერის კრომლები, გაგრის ადრეული ოსიუარიუმები). ბრინჯაოს ნახევრადოვალური ბალთები გამოჩენას იწყებენ აღმოსავლეთ საქართველოს მასალებში გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის დასასრულისათვის (სამთავრო, ჯავა, მეღვრეკისი) (ჩუბინიშვილი ტ. 1957: 90). ცნობილია ისინი აფხაზეთის სხვა პუნქტებშიც. განსაკუთრებით მრავლადაა ისინი აღმოჩენილი ჩრდილო კავკასიაში (Стражев В. 1926: 112), სადაც გვხვდება დროის დიდ მონაკვეთში. აღსანიშნავია, რომ მათი დიდი ნაწილი, რკინით, ძვლით ან ხის მასალით არის ინკრუსტირებული (Крупнов Е. И. 1957: 147). და ფაქტიურად ეს არის კოლხეთში რკინის მასალის გამოყენების ერთერთი უადრესი შემთხვევა. ზემოთხსენებული კომპლექსიც ამ პროცესის მაჩვენებელი უნდა იყოს. მისი თარიღის განსასაზღვრად ამოსავალ წერტილად ბრინჯაოს მძივები მიგვაჩნია, რომლებიც თითქოს ძვ. წ. II ათასწლეულის მინურულის შემდგომ კოლხურ მასალებში აღარ გვხვდება. აქედან გამომდინარე ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია №44 და 93 სამარხების გარკვეული სინქრონიზაცია და ვუშვათ

და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მასალებში (სამარხეულ კომპლექსებში) რკინის პირველი ნივთების გაჩენის თარიღად ძვ. წ. II ათასწლეულის მინურული და I ათასწლეულის პირველი მეოთხედი განვსაზღვროთ. ამრიგად, კოლხეთში გამოვლენილი ადრეული ქურა-სახელოსნობები ქრონოლოგიურადაც შეიძლება ამ ეტაპთან იყოს რამდენადმე მიახლოებული.

რაც შეეხება მომდევნო ეტაპებს, კოლხური სამაროვნების მიხედვით აშკარაა, რომ ძვ. წ. VII ს-დან რკინა უკვე ძირითადი საწარმოო საშუალებაა. მისგან არის დამზადებული ყველა, საბრძოლო თუ სამეურნეო იარაღი, თუმცა ჯერ კიდევ ხმარებაშია ბრინჯაოს ნაკეთობანიც (ცულები, სატევარი, თოხი). აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ძვ. წ. VII ს დასასრულიდან სამარხეულ კომპლექსებში თავს იჩენს რკინის სამკაულიც (სამაჯური, რგოლი, კირკალი), თუმცა ამ რიგის ნაკეთობები ძირითადად მაინც ბრინჯაოსგანაა ნაკეთები. შეიძლება ითქვას, რომ ადრეული რკინის იარაღი და რიგი ნივთები ფაქტიურად იმეორებენ ბრინჯაოს ნაკეთობათა ფორმებს (ცული, სატევარი, შუბისპირი, ისრისპირი, სეგმენტური იარაღი, სამაჯურები, ფიბულები და სხვ.), რაც მათი ადგილობრივი წარმომავლობის უდაო საბუთს უნდა წარმოადგენდეს (ტაბ. II).

ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ რ. აბრამიშვილის მოსაზრებას დასავლეთ საქართველოს რეგიონებში რკინის იარაღის შეღწევის სხვადასხვა პერიოდების შესახებ. ეს განსაკუთრებით ეხება მთის ზოლსა და კოლხეთის დაბლობს. ასეთ შემთხვევაში სავსებით დასაშვებია სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რეგიონის რამდენადმე უპირატესი როლი რკინის მეტალურგიის ადრეული საფეხურების კვლევის საკითხში, რაც ზემოხსენებული ქურა-სახელოსნობის მაგალითზეც კარგად ჩანს. შესაძლოა, სწორედ ეს ტერიტორია იყო ის ძირითადი რეგიონი, საიდანც მოხდა რკინის მეტალურგიის გავრცელება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დროის განსხვავებულ პერიოდებში. რკინის შემცველი სამარხეული კომპლექსების გამოვლენა ვფიქრობთ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს მოფენს ნათელს.

საინტერესოდ დგება საკითხი რკინის მეტალურგიის მადნით მომარაგების შესახებ, რაც უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის არქეოლოგიის კვლევის ერთერთი ძირითადი პრობლემაა. ამ მიმართებით აუცილებელია კოლხური კულტურის ერთერთი საინტერესო ძეგლის ე. წ. დიუნური ნასახლარების დანიშნულების საკითხი. დიუნური დასახლებანი წარმოადგენს ქვიშაზვინულებს, რომლებიც ვრცელდება შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ და აჭარიდან გაგრის ჩათვლით. ჩვეულებრივი ქვიშაზვინულები სხვადასხვა სიმაღლისაა – 1.5-7 მ. მათში რამდენიმე დონე 2-3-დან 7-8-მდე ფიქსირდება: ჩვეულებრივ ისინი წარმოადგენილია მოშაო-მონითალო ზოლებით, რომლებშიც ზოგჯერ შეინიშნება თიხატკეპნილი ზოლები. არქეოლოგიური მასალა მრავალფეროვანია და მრავალრიცხოვანი და წარმოადგენილია სპეციფიური ქსოვილიანი აგურისფერი კერამიკით, რომელშიც გამოიყოფა ე. წ. აბაზანისებური ჭურჭელი, შვერილიანი ბოლონანვეტებული 25 სმ სიმაღლის ბოძკინტები და წინარეანტიკური ხანის სპეციფიური კოლხური ნაწარმი – კანელურიანი კერამიკა, ყურმილიანი დოქები, ზოომორფულშვერილიანი ყურები და სხვ. მასალა ძალზე ტიპიურია და ზუსტად ათარიღებს ქვიშაზვინულებს ძვ. წ. IX-VI სს-ით. აშკარაა, რომ დიუნური დასახლებანი წყვეტენ არსებობას ძვ. წ. VI ს-ის შუა ხანებისათვის. დგება საკითხი ამ ძეგლების დანიშნულების შესახებ. დასაწყისში მათი დანიშნულების შესახებ ქართველ და რუს მეცნიერთა შორის შეინიშნებოდა ერთიანი აზრი და ისინი ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით ზღვის წყლიდან აორთქლების გზით მარილის სარეწებად იქნა მიჩნეული.

გასული საუკუნის 60-იან წლებში ამ. კახიძემ ზღვისპირა დიუნური სადგომები ადგილობრივი მოსახლეობის საკულტო ადგილებად მიიჩნია, რომლებიც დაკავშირებული იყო ხარის, ზღვის ღვთაებათა და ლერწამის კულტთან. ჩვენი აზრით არქეოლოგიური მასალის დაბალი ხარისხი, ფორმათა უჩვეულო სახეები უარყოფენ საკულტო ნაკეთობებად მათი მიჩნევის შესაძლებლობას. ამავე დროს აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 60-70-იან წლებში გამოთქმული იქნა სრულიად

განსხვავებული შეხედულება დიუნათა დანიშნულების შესახებ. ნ. ხომტარიამ დასაშვებად მიიჩნია ქვიშებიდან რკინის მაგნეტიტური მადნების მიღების შესაძლებლობა, რაც ერთგვარად უკავშირდება სხვადასხვა ისტორიულ წყაროებში ქართველ ტომთა წარმატებას რკინის წარმოებაში. ამ თვალსაზრისს გარკვეულად მხარი დაუჭირა ალ. რამიშვილმა და ი. გრძელიშვილმა. ძეგლი დაშორებულია ზღვის ნაპირს დაახლოებით 3 კმ-ით და ამდენად ზღვასთან არავითარ კავშირში არ ჩანს. ბორცვის ქვიშა არ არის ზღვიური დანალექი და წარმოქმნილია მდინარის მონაზვინით. მდინარე კი მტკნარ წყალს წარმოადგენს, რომელიც დღესაც გამოიყენება სასმელად. ამგვარად ბორცვის დანიშნულება არ შეიძლება იყოს მარილის სარენი. აქედან გამომდინარე ვივარაუდეთ, რომ შესაძლოა გამოყენებოდა ქვიშიდან რკინის მადნის (მაგნეტიტის) მისაღებად. ჩვენ ალ. რამიშვილთან ერთად ფეხით გავიარეთ ზღვისპირა ყველა დიუნა აჭარიდან გაგრის ჩათვლით და გაირკვა, რომ ყოველი მათგანი უკლებლივ შეიცავს მაგნეტიტს. აქედან გამომდინარე აშკარაა, რომ დიუნური ნამოსახლარები რკინის მადნის მისაღებად იყო გამოყენებული.

რით ავსნათ ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში დიუნაზე ცხოვრების შეწყვეტა, მით უფრო, რომ რკინა ამ პერიოდიდან უკვე ძირითადი საწარმოო მეტალია. ამ შემთხვევაში ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის რკინის საწარმოო ქურებთან დაკავშირებული ნიდეები კოლხეთის მთელ ტერიტორიაზე ერთგვაროვანია. პირველ ადრეულ პერიოდში მოყავისფრო-მონითალო, ხოლო ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან მონაცრისფრო, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ პერიოდიდან მასალად გამოყენებულია სხვა ჯგუფი (შესაძლოა კოლხეთისათვის ტიპიური ე. წ. ჭაობისეული რკინის მადანი).

ლიტერატურა

1. აბესაძე ც., ბახტაძე რ., ჯაფარიძე ო. და სხვ. 1958, ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიისათვის საქართველოში. თბილისი.
2. აბესაძე ც. 1969, ლითონის წარმოება საქართველოში. თბილისი.
3. ადამია გ. კოლხური წნული სახლები. ძეგლის მეგობარი, №499. თბილისი. 1979.
4. აბრამიშვილი რ. 1957, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის. სსმ XIXA-XXIB. თბილისი.
5. აბრამიშვილი რ. 1961, რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ. წ. XIV-VI სს). სსმ XXII-B. თბილისი.
6. აბრამიშვილი რ. და სხვ., 1965, არქეოლოგიური სამუშაოები ენგურის ხეობაში. ისტორიის ინსტიტუტის და ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ერთობლივი სამეცნიერო სესია, მოკლე შინაარსი. ზუგდიდი. 1966
7. აბრამიშვილი რ. და სხვ., 1965, ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები. სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1964 წ შედეგებისადმი, ანოტაციები. თბილისი. 1965.
8. ავალიშვილი გ. 1994, საქართველოს მოსახლეობის სტრუქტურა და სატომთაშორისო ურთიერთობანი ლითონის ხანაში. სადოქტორო დისერტაცია. ხელნაწერი. თბილისი. 1994.
9. აფაქიძე ან. 1959, მცხეთა – ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი. თბილისი.
10. აფაქიძე ან. და სხვა. 1959, საქართველოს არქეოლოგია. სახელმძღვანელო. თბილისი.
11. აფაქიძე ჯ. კოლხური ბრინჯაოს და ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლართა შესწავლისათვის. სმკმ, ტ. 149, №2. თბილისი. 1994.
12. აფაქიძე ჯ. 2006, აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის და ანატოლიის ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის არქეოლოგიური კულტურების ურთიერთობის პრობლემები. აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, №1. თბილისი.
13. ბარამიძე მ. 1969, ბრილის აკლდამა. სამეცნიერო სესია. თბილისი.
14. ბარამიძე მ. 1975, მერხეულის სამაროვანი. თბილისი.
15. ბარამიძე მ. 1997, ფიჩორის ნასახლარი და კავკასიის არქეოლოგიის უახლესი აღმოჩენები და პერსპექტივები. საერთაშორისო სესია. თბილისი.
16. ბარამიძე მ. 1998, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ. წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძირითადი პრობლემები). სადოქტორო დისერტაცია (ავტორეფერატი ქართულ და რუსულ ენებზე). თბილისი.
17. ბარამიძე მ. 1999, ძვ. წ. III ათასწლეულის არქეოლოგიური კულტურები და მათი ეთნიკური ატრიბუცია (აფხაზეთის მასალების მიხედვით). აფხაზეთის მოამბე, №2-3; 1999.
18. ბარამიძე მ. 2006, აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიცია 1976-1991 წწ და კოლხეთის ძირითადი პრობლემები. აფხაზეთი I, არქეოლოგიური ძეგლები და პრობლემები. თბილისი.
19. ბარამიძე მ. 2006, კოლხურ-ყობანურ კულტურათა ურთიერთობის საკითხებისთვის კერამიკული ნაწარმის მიხედვით. აფხაზეთი I. თბილისი.
20. ბარამიძე მ. 2011, ჩრდილო-დასავლეთი კოლხეთის ნამოსახლართა ტოპოგრაფიის და არქიტექტურის საკითხები. აფხაზეთი II, არქეოლოგიური ძეგლები და პრობლემები. თბილისი.
21. ბარამიძე მ., გრიგოლია გ. და სხვა. ენგურჰესის არქეოლოგიური ექსპედიციის 1966-1971 წწ ანგარიშები ისტორიის ინსტიტუტის ყოველწლიურ სესიაზე. თბილისი.
22. ბარამიძე მ., გრიგოლია გ., ფხაკაძე გ. და სხვა. 1973, დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წ მუშაობის ანგარიში. მსკა ტ. V. თბილისი. 1975.
23. ბარამიძე მ., ოქროპირიძე ნ. 1974, პალურის “საძვალე”. მსკა IX, თბილისი.

24. ბარამიძე მ., ფხაკაძე გ., გამახარია ჯ. და სხვა. 2007, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, აფხაზეთი. თბილისი.
25. ბარამიძე მ., ფხაკაძე გ. 2009, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა. აფხაზეთი, ნაწილი II, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. თბილისი.
26. გობეჯიშვილი გ. 1952, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. თბილისი.
27. გობეჯიშვილი გ. 1956, ღების უძველესი სამთომეტალურგიული კერა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XIII, №3. თბილისი.
28. გობეჯიშვილი გ. და სხვა. 1959, საქართველოს არქეოლოგია. თბილისი.
29. გობეჯიშვილი გ., მუჯირი გ., ინანიშვილი გ., მაისურაძე ბ. 1983, მთიანი რაჭის უძველესი ბრინჯაოს წარმოების ისტორიისთვის. სმამ III, №2. თბილისი. 1984.
30. გოგაძე ე. 1987, კოლხური კულტურის გენეზისის ერთი ასპექტის შესახებ. გურია II. თბილისი.
31. გოგაძე ე. 1982, კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა, თბილისი.
32. ქორიძე დ. 1965, კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბილისი.
33. ქორიძე დ., გოგაძე ელ. 1971, ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის 1968 წ. მუშაობის შედეგები. საველე სესია. თბილისი.
34. ლამბაშიძე ოთ. 1963, თხმორის განძი. თბილისი.
35. ყაუხჩიშვილი თ. 1965, ჰიპოკრატე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი.
36. ყაუხჩიშვილი თ. 1969, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი.
37. ჩართოლანი შ. 1971, სპილენძის ძველი გამონამუშევრები მდ. ბზიფის და კოდორის ხეობაში. კვლევა-ძიება 1969 წ. თბილისი.
38. ჩართოლანი შ. 1996, ძველი სვანეთი. თბილისი.
39. ჯაფარიძე ო. 1950, კოლხური ცული. სსმმ XVI-B. თბილისი.
40. ჯაფარიძე ო. 1953, მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ ქართულ კულტურაში თსუ შრომები. ტ. 49. თბილისი.
41. ჯაფარიძე ო. 1961, ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში. თბილისი.
42. ჯაფარიძე ო. საქართველოს ისტორიის სათავეებთან. თბილისი 2003.
43. ჯიბლაძე ლ. 1990, კოლხეთის დაბლობის ნასახლართა სტრატეგრაფია, ქრონოლოგია, პერიოდიზაცია. თბილისი.
44. ჯიბლაძე ლ. 1995, ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოება ძვ.წ. III-II ათასწლეულებში კოლხეთის ნასახლარია ნივთთა მიხედვით. თბილისი.
45. ჯიბლაძე ლ. 2002, კოლხეთის დაბლობის ძვ. წ. II-II ათასწლეულების ნამოსახლარები, სადოქტორო ავტორეფერატი. თბილისი.
46. Авдеев В. И. 1953, История древнего Востока.
47. Барамидзе М., Микеладзе Т. 1981, О некоторых итогах полевых исследований Колхидской

- низменности, АИН ГССР, т. I, Тбилиси.
48. Бжания В. Отчеты археологической экспедиции в 1983 г.
 49. Воронов Ю. Н. 1969, Археологическая карта абхазии, Сухуми.
 50. Воронов Ю. Н., Гунба М. М. 1976, Новые данные колхидской культуры. Москва.
 51. Деген-Ковалевский Б. Е. 1941, Курганы в Кабардинском парке. МИА-3. Москва.
 52. Иессен А. А. 1941, Археологические памятники Кабардино-Балкарии. МИА-3. Москва.
 53. Козенкова В. И. 1966, Культурно-исторические процессы на Северном Кавказе. Москва.
 54. Козенкова В. И. 1977, Кобанская культура. Восточный вариант. САИ, вып. В 2-5 Москва.
 55. Козенкова В. И. 1989, Кобанская культура. Западный вариант. САИ, вып. В 2-5 Москва.
 56. Крупнов Е. И. 1951, Материалы по археологии Северной Осетии. МИА-23, М. Л.
 57. Куфтин Б. А. 1949, Материалы к археологии Колхиды, т. I. Тбилиси.
 58. Куфтин Б. А. 1950, Материалы к археологии Колхиды, т. II. Тбилиси.
 59. Латышев В. 1895, Известия древних писателей о Скифии и Кавказе, т. I, вып. I, Санкт-Петербург.
 60. Лордкипанидзе О. 1966 Древняя Колхида. Тбилиси.
 61. Лукас А. 1958, Материалы и ремесленные производства древнего Египта. Москва.
 62. Микеладзе Т. 1990, К археологическому исследованию Колхиды, Тбилиси.
 63. Микеладзе Т., Хахутаишвили Д. 1985, Древнеколхидское поселение Намчедури, Тбилиси.
 64. Муджири Т. Рачииский горнометалургический центр, Башкапцарский семинар.
 65. Рамишвили А. Т. 1975, О дотировке стоянок с текстильной керамикой. СА-3, Москва.
 66. Рамишвили А. Т. 1975, О (назначении) стоянок с текстильной керамикой Восточного Причерноморья, СА-4, Москва.
 67. Соловьев Л. 1939, Энеолитическое селище у Очамчирского порта в Абхазии. Материалы по истории Абхазии, вып. XV. Сухуми.
 68. Стражев В. 1926, Бронзовая культура в Абхазии, Из. АНО, вып. IV.
 69. Тавадзе Ф., Сакварелидзе Т. 1959, Бронзы древней Грузии. Тбилиси.
 70. Трапш М. М. 1970, Труды. т. 1. Сухуми.
 71. Трапш М. М. 1969, Труды. т. 2. Сухуми.
 72. Хоштария Н. В. 1955, Археологические исследования Уреки, МСК т. I. Тбилиси.
 73. Черных Е. Н. 1987, Культурные контакты в Цинкум-понтийской области. Тбилиси.
 74. Шамба Г. 1971, Эшерские кромлехи. Сухуми.
 75. M. Baramidze, Letablissement de Pichori, le pontevican par les Greca. Simposium de Vani, annales litteraires de Yniversite de Besanson vol 100, paris 1990
 76. M. Baramidze, L. Dzibladze, les site de Pichori, Chronologie et periodisation. sul les traces de argonavtes, siymposium de Vani, annules litteraires de univerite de Bezancon , paris 1996.
 77. M. Baramidze Main questions of the history of the bronze metalurgy of the esetern black Sea littorall Unesco conference Tbilisi 1995
 78. M. Baramidze G. Pkhakadze the settlement at pichori end cholchian bronze age chronology. Archeology in southern caucasus: Perspectives from Georgia, Peters Leven Paris-Dadley M.A. 2008.
 79. Godard A. 1931, Les bronzes des Paris.


ტაბულების აღწერილობა

- ტაბ. I** აფხაზეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლების გავრცელების რუკა.
- ტაბ. II** ფიჩორის ნასახლარი ბორცვების კომპლექსის ტოპოგრაფიული გეგმა.
- ტაბ. III** ფიჩორი ცენტრალური ბორცვი. I და II კულტურული ფენის მასალები.
- ტაბ. IV** ფიჩორი, ცენტრალური ბორცვი. III და IV კულტურული ფენის მასალები.
- ტაბ. V** ფიჩორი, ცენტრალური ბორცვი. V ფენის მასალები.
- ტაბ. VI** ფიჩორი, ცენტრალური ბორცვი. VI კულტურული ფენის მასალები.
- ტაბ. VII** ფიჩორი, ცენტრალური ბორცვი. VII კულტურული ფენის მასალები.
- ტაბ. VIII** ფიჩორი, ცენტრალური ბორცვი. VIII კულტურული ფენის მასალები.
- ტაბ. IX** ფიჩორი, ცენტრალური ბორცვი. VII-VIII კულტურულ ფენაში აღმოჩენილი ყალიბები და ლითონის წარმოებასთან დაკავშირებული ნივთები.
- ტაბ. X** ოთხმხრივი ყალიბი და ორი ტიპის ხის სახენელი VIII კულტურული ფენიდან.
- ტაბ. XI** აფხაზეთისა და კოლხეთის ბრინჯაოს ხანის ძეგლების ქრონოლოგია და პერიოდიზაცია.
- ტაბ. XII** გალი, მზიურის რკინის ქურა-სახელოსნო. ჭრილი, გეგმა.
- ტაბ. XIII** ფიჩორის ნამოსახლართა საირიგაციო სისტემის სქემატური გეგმა.
- ტაბ. XIV** ტამიშის საირიგაციო სისტემის სქემატური გეგმა.
- ტაბ. XV** წყემი-დიგურა-კეთილარის ნამოსახლარების საირიგაციო სისტემის სქემატური გეგმა.
- ტაბ. XVI** საგვიჩიო-ფიჩორის ნამოსახლარების საირიგაციო სისტემის სქემატური გეგმა.
- ტაბ. XVII** ბრინჯაოს ხანის სამთომადნო ძეგლების გავრცელების რუკა.
- ტაბ. XVIII** ბაშკაფცარას გამონამუშევარი, გეგმა, ჭრილი.
- ტაბ. XIX** ზაარგამის 1, 2 მაღარო, გეგმა, ჭრილი.
- ტაბ. XX** ტვიბრაშერას გამონამუშევარი, ჭრილი.
- ტაბ. XXI** ქვის უროები.
- ტაბ. XXII** ბრინჯაოსა და რკინის იარაღების ნიმუშები.


DESCRIPTION OF PLATES

- Pl. I** The map of distribution of Bronze-Early Iron age monuments of Abkhazeti.
- Pl. II** The topographical plan of Pichori mound-settlements complex.
- Pl. III** Pichori, central mound. The archaeological material from I and II cultural layers.
- Pl. IV** Pichori, central mound. The archaeological material from III and IV cultural layers.
- Pl. V.** Pichori, central mound. The archaeological material from V cultural layer.
- Pl. VI** Pichori, central mound. The archaeological material from VI cultural layer.
- Pl. VII** Pichori, central mound. The archaeological material from VII cultural layer.
- Pl. VIII** Pichori, central mound. The archaeological material from VIII cultural layer.
- Pl. IX** Pichori, central mound. The clay moulds and the objects related to the metallurgical process discovered in III and IV cultural layers.
- Pl. X** Pichori, central mound. The foursided mould and the wooden ploughs from VIII cultural layer.
- Pl. XI** The periodization and chronology of Abkhazeti and Colchian Bronze age sites.
- Pl. XII** Gali, Mziuri. The iron furnace-workshop. Section.
- Pl. XIII** The schematic plan of irrigation system of Pichori settlements.
- Pl. XIV** The schematic plan of irrigation system of Tamishi settlements.
- Pl. XV** The schematic plan of irrigation system of Tskemi-Dzigura-Ketilari settlements.
- Pl. XVI** The schematic plan of irrigation system of Sagvichio-Pichori settlements.
- Pl. XVII** The map of distribution of mining centres of Bronze age.
- Pl. XVIII** Pashkapsara mine. The plan and the section.
- Pl. XIX** Zaargashi mine. The plan and the section.
- Pl. XX** Tvibrashera mine. The plan and the section.
- Pl. XXI** The stone hammers.
- Pl. XXII** The bronze and iron tools.


აფხაზეთის ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის ნამოსახლარების
გავრცელების არქეოლოგიური რუკა




- △ — ზელოთენური ბორცვ-ნამოსახლარები
- ▲ — ბუნებრივ ბორცვზე (შთის ფერდზე, ტერასაზე) გამართული ნამოსახლარები
- — დიუნური სადგომები
- — ზღვისპირა და მდინარიბშირა ტერასაზე ვაკე ადგილზე გამართული ნამოსახლარები
- — მღვიმეში (ფარდული, უხი, გამოქვებული) გამართული ნამოსახლარები
- — საწარმოო ნამოსახლარები
- — გაურკვეველი ტიპის ნამოსახლარები
- — ტორფქვეშ მოქცეული ნამოსახლარები




I




II







III




IV





V





VII










	Pichori central mound cultural layers	Chronological period	Radiocarbon (uncalibrated)	Radiocarbon (calibrated)		Sites in Colchis
Early Hellenistic	I	4-3 cent BC.	-	-	-	Pichori 3, "Abaju", Mokvi, Sagvichio, Sakorkio, "Tsiteli Shukura", Vani (early Hellenistic level), Namcheduri (stratum I).
	II	11-9 cent BC.	TB 421 2910±50	3050±80	-	Pichori N 2, 3, 4, 5, 8, mounds (low. lev.), Tamishi, Saeliao (upp. lev.), Sokhumi mountain, Naokhvamu (upp. lev.), Namcheduri stratum III.
Late Bronze Age	III	14-12 cent BC.	TB 449 3380±50	3630±130	3400 BC.	Chaladidi "Surga", Naokhvamu (low. lev.), Dikha Gudzuba strata III-IV, Abedati, Kodori-I, Nosiri (upp. lev.).
	IV	16-15 cent BC.	-	-	3470 BC.	Namcheduri IV, Anaklia I-III strata, Nosiri (upp.lev.), Ergeta IV-V strata, Brili (tomb).
Middle Bronze Age	V	18-17 cent BC.	TB 450 3540±55	3830±103	3775 BC.	Machara II stratum, Nakargaki (IV-VI levels), Anaklia II (upp. lev.), Nosiri (low. lev.), Large dolmens, Dikha Gudzuba stratum II
	VI	20-19 cent BC.	-	-	-	Guandra B, Machara stratum III, Saeliao (low. lev.), Akha-Kampsh, Pal caves.
Early Bronze Age	VII	21-20 cent BC.	TB 459 3915±60	4296±109	-	Dikha Gudzuba stratum I, Ispani (upp. lev.), middle dolmens.
	VIII	23-22 cent BC.	TB 460 4245±60	4710±108	-	Ochamchire, Gumista I, Achandara, small dolmens, Ispani (low. lev.), Kolorauri (tomb).


The periodisation and chronology of Colchian Bronze Age sites.

გალი, მზიური. რკინის ქურების გეგმა და ჭრილი






ფინორის ნასახლართა საირიგაციო სისტემის
სქემატური გეგმა







ტაფრის ნაგოსახლარის
საირიგაციო სისტემის
სქემატური გეგმა

-  სულუველი თხრილი
-  ბრუნების გზა
-  თხრილის კვალი


შპპი ზღვა




საგვირგოლის ნაშთსახლართა საირიბავციო სისტემის
სქემატური გეგმა



ბრინჯაოს ხანის სამთავრო კომპლექსის გავრცელების რუკა
კავკასიის ძირის აფხაზეთ-სვანეთის მონაკვეთზე




- ბზიფის ხეობა- 1. შხაბშია (3მტოლნა), 2.ბაშკარა(9მტოლნა), 3. სობუმის მთა;
- კოდორის ხეობა -4. ბტიში-ჩხალოა (4მტოლნა), 5 ტვიბრაშენა (1მტოლნა), 6. აჭარა (2მტოლნა);
- ენგურის ხეობა- 7. ნენოფრა-დალარი (3მტოლნა), 8. ნაკრა (2მტოლნა), 9. ჭუბუნი (6მტოლნა), 10. მესტია-ზაარგაში (4მტოლნა), 11. დიში-ფგარი (2მტოლნა), 12. რცხეკლური-ლაშკილი (4მტოლნა), 13. ლასკადულა (2მტოლნა);
- ხცენისწყლის ხეობა- 14. ცანა-ლაპური (5მტოლნა);




ბაშკაცარას გამონამუშევრის გეგმა და ჭრილები



შესასვლელი ბაშკაცარას გამონამუშევარში




სურ. 11. ზაარგაშის № 1 მალაროს ჭრილი და გეგმა.




სურ. 12. ზაარგაში №2 მალაროს გეგმა ჭრილები.


ტვიბრაშერას გამონამუშევარი №1
ჭრილი




ტვიბრაშერას გამონამუშევრის ჭრილი



ტვიბრაშერას გამონამუშევრის შესასვლელის ჭრილები





პრინჯაოს და რკინის იარაღის ნიმუშები

თავი V

აფხაზეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძები.

§1. აფხაზეთის განძების შესწავლის ისტორია. განძების აღწერა დახასიათება

აფხაზეთის ტერიტორიაზე განძები დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი. განძების გაჩენასა და მათი დანიშნულების შესახებ მკვლევართა მიერ მრავალი განსხვავებული მოსაზრება გამოთქმული.

აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნივთიერი კულტურის ძეგლებზე ყურადღება პირველმა მ. ივაშჩენკომ გაამახვილა (Ивашенко М.М. 1935) და აღნიშნა, რომ აქ მოპოვებული ლითონის მასალა აღემატება ყობანურს და რომ ამ კულტურის ცენტრი კოლხეთში უნდა ყოფილიყო და არა ყობანში.

1935 წელს გამოქვეყნდა ა. იესენის შესანიშნავი ნაშრომი „К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе“ (Иессен 1935: 120). ნაშრომი ეძღვნება კავკასიის ბრინჯაოს მეტალურგიის საკითხებს. აქ თავმოყრილი იყო ყველა იმ დროისათვის ცნობილი განძი, რომელიც აღმოჩენილი იყო დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. განხილული იყო ის ძეგლებიც, რომლებიც ფიზიკურად აღარ არსებობდა, მაგრამ შემორჩენილი ცნობების მიხედვით დაიკავებდა თავის ადგილს. ამ ნაშრომში იესენი გამოყოფდა საკუთრივ კოლხურ და კოლხურ-ყობანურ ძეგლებს.

თავის მეორე ნაშრომში, რომელიც მიეძღვნა უძველესი მეტალურგიის საკითხებს, იესენმა კავკასია ლითონის წარმოების ერთ-ერთ პირველ ბაზად მიიჩნია (იესენი 3, 1939).

აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოვლენილ ძვ. წ. II-I ათასწლეულის მიჯნის მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლას მიეძღვნა ლუკინის ვრცელი სტატია „Археология Бзидской Абхазии“ (Лукин 1941, ПКТЭ).

საყურადღებოა მ. ტრაპშის მონოგრაფია მიძღვნილი კოლხური მეტალურგიის საკითხებისადმი (Трапш М. 1970: ტ I). ნაშრომი ოთხ ტომად იყო წარმოდგენილი. მის მიერ გათხრილი და შესწავლილი იყო ყულანურხვას სამაროვანი და გაშუქებული იყო აფხაზეთის უძველეს კულტურასთან დაკავშირებული საკითხები.

1951 წელს სოხუმის მთის სამხრეთ ნეკრზე მიწის სამუშაოების დროს აღმოჩენილი იყო განძი, რომელიც შედგება II სახეობის და II ქვესახეობის 12 დიდი და 1 მომცრო კოლხური ცულისაგან, უცნობი დანიშნულების ორი ინსტრუმენტისაგან, ცულის ორი ნატეხით და სეგმენტური იარაღის ფრაგმენტისაგან, აგრეთვე 3 სპილენძის ზოდისაგან (კალანდაძე ალ. 1954: ტ. I). ალ. კალანდაძემ აქ მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა და მასალა გამოაქვეყნა. უდიდესია კოლხური კულტურის და აფხაზური ძეგლების შესწავლაში ბ. კუფტინის როლი. მან ორი მონუმენტალური ტომი მიუძღვნა კოლხეთის უძველესი წარსულის კვლევას. სხვა საკითხებს შორის იგი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძებსაც განიხილავს. მას დათარიღებული და განხილული აქვს „ბომბორის განძში“ შემავალი ნივთები, აგრეთვე სხვა სამარხეული წარმოშობის ნივთებიც და დოლმენური მასალები. იგი ეხება პრობლემურ საკითხებსაც, კერძოდ ყობანისა და კოლხური კულტურის ურთიერთობებშიც (Куфтин Б. А. 1959: I).

დიდი დამსახურება აქვს კოლხური კულტურის, განსაკუთრებით განძების, შესწავლის საქმეში აკად. ო. ჯაფარიძეს, რომელმაც სპეციალური შრომა მიუძღვნა კოლხურ ცულებს და კოლხურ სამინათმოქმედო იარაღებს, რომლებიც ბრინჯაოს ხანის განძების უმთავრეს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ. იგი შეეხო განძების მიკუთვნების საკითხს და არ დაეთანხმა თეიმურაზ მიქელაძის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კოლხური განძებით ასახავენ სიმდიდრის დაგროვების, დაცვის და

გადამალვის ტენდენციას, რაც განსაკუთრებულ ხასიათს გვიანბრინჯაოს ხანაში იღებს. ო. ჯაფარიძის მტკიცებით „კოლხური განძების უმრავლესობას შეადგენს ხმარებიდან გამოსული დამტვრეული ნივთები ე. წ. მდნობელთა განძები“ (ჯაფარიძე ო. 1975). მას არ ჰგონია, რომ განძების საგანგებო დამალვა სჭირდებოდა და ისინი სიმდიდრის წყაროს არ წარმოადგენდნენ.

დასავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურის შესწავლისას არქეოლოგმა გერმანე გობეჯიშვილმა ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი აზრი გამოთქვა. იგი იშველიებს ზოგიერთ მეცნიერთა მოსაზრებას, რომ კოლხური კულტურის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი სოჭსა და ბზიფს შორის უნდა ყოფილიყო. გ. გობეჯიშვილი აფხაზეთის მასალათა შორის ორი ტიპის განძებს არჩევს: ერთი რომელიც შედგება ხმარებიდან გამოსული ნივთებიდან, ზოდებისაგან და სხვა მეორე კი უმთავრესად უხმარ ნივთებს შეიცავს. პირველი რიგის განძებს „მდნობელთა განძებს უწოდებენ“. ახალი ნივთების შემცველი განძები შესაძლოა ლითონით მოვაჭრეთა კუთვნილება ყოფილიყო, რომელმაც ეს ნივთები მიწაში დამალა.

გ. გობეჯიშვილის აზრით გვიანბრინჯაოს ხანაში დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში უნდა ყოფილიყო კოლხური კულტურის მეტად თავისებური ლოკალური ვარიანტი. ამ ვარიანტს კოლხურ კულტურასთან მთელი რიგი საერთო ნიშნები აახლოებს, მაგრამ ამავე დროს იგი უთუოდ მეტად განსხვავებული ხასიათისაა. ეს გარემოება შეიძლება გამომწვეული იყოს მეურნეობის ხასიათის თავისებურებით. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში კულტურის ამა თუ იმ ვარიანტის თავისებურებაზე გავლენას ახდენს ბუნებრივი პირობები, გეოგრაფიული პირობების სხვადასხვაობა (ბარი, მთის ძირი, მთა და სხვა). უთუოდ ეს იწვევს სხვაობას კულტურის შიგნითაც, ეს კი შედარებით ნვრილ და მსხვილ ლოკალურ ვარიანტებს აჩენს (გობეჯიშვილი გ. 1959: 146). არქეოლოგი ელგუჯა გოგაძე განძებს ე. წ. მდნობელთა და ლითონის ნივთების მოვაჭრეთა განძებად იხსენიებს (გოგაძე ე. 1980: 81).

პროფესორ გურამ ლორთქიფანიძის აზრით გვიანბრინჯაოს ხანის კოლხეთისათვის დამახასიათებელი მრავალრიცხოვან ვაჭართა განძები, ჩამომსხმელთა განძები, უდაოდ წარმოადგენენ სიმდიდრის დაგროვების საგანს და განკუთვნილი იყვნენ გაცვლისათვის (Лордкиपანიძე Г. 1977).

კოლხური განძების შესახებ თავისი მოსაზრება აქვს გამოთქმული არქეოლოგ ოთარ ღამბაშიძეს, განძების არსებობა მას სოციალურ მოვლენად მიაჩნია. ის, რომ განძი უნდა წარმოადგენდეს პატრიარქალურ საფუძველზე განვითარებულ მინათმფლობელობის საუძველზე მიღწეულ დიდი ოჯახის საკუთრებას. განძების ასეთი დიდი რაოდენობით არსებობა არ შეიძლება მხოლოდ მეტალურგიის განვითარებით აიხსნას. იგი გარკვეულ სოციალურ მოვლენებთან უნდა იყოს დაკავშირებული (ღამბაშიძე ო. 1963). გვ. 83.

ასეთი საოჯახო თემების წარმოქმნა გვიანბრინჯაოს ხანის საოჯახო თემში შრომის განაწილებას მიუთითებს, ამასვე მიუთითებს თვით განძთა ხასიათი, იარაღთა მრავალფეროვნება.

კოლხურ მთაში, კერძოდ ლეჩხუმში აღმოჩენილი განძები შესწავლილი იყო ლ. სახაროვას მიერ. ამ ტერიტორიიდან ცნობილია 10 განძი. სამი სოფ. ლარილარშია აღმოჩენილი, ორი სოფ. სურმუშში, თითო თითო სოფლებში ცაგერში, ლეხვანში, ხოჯში, ლუხუმში, ლაჯობის ძირში. საოცარია ერთ არც თუ ისე დიდ ტერიტორიაზე, ამდენი განძის არსებობა (სახაროვა ლ. 1970). გვ. 3.

ვრცელი ნაშრომი კოლხეთის კულტურის ისტორიას მიუძღვნა არქეოლოგმა დომენტი ქორიძემ (ქორიძე დ. 1965). ეს პირველი შემთხვევა იყო კოლხეთის და საერთოდ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი განძების ერთიანი შესწავლისა, სადაც თავებად იყო განაწილებული და განხილული სპილენძ-ბრინჯაოს ნივთებისა და ზოდების განძები. ცალკეა ლიტერატურისა და წყაროების მიხედვით ცნობილი განძები. განხილულია აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილი განძებიც. მოცემული და განხილულია განძებში შემავალი სამეურნეო იარაღების ზოგიერთი ტიპები. წარმოდგენილია კოლხეთში მეტალურგიის საწარმო რაიონები. ძალზე მნიშვნელოვანია რომ იგი იძლ-

ევა განძების დათარიღებას. იგი კოლხეთის ლითონის ინვენტარით ცნობილ განძებს ძვ. წ. XVIII და ძვ. წ. VIII საუკუნეებით ათარიღებს. ნაშრომს თან ახლავს საილუსტრაციო მასალები.

აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი განძები და სხვა არქეოლოგიური მონაპოვრები აღნუსხა იური ვორონოვმა ნაშრომში „Археологическая Карта Абхазии“. 1969 ნაშრომის მეორე თავში წარმოდგენილია ნეოლით-ბრინჯაოს ხანის მასალების 310 დასახელება. მასალა მომდინარეობს სამარხებიდან, ნამოსახლარებიდან, განძებიდან. თან ახლავს მცირე ანოტაციები აღმოჩენის ადგილის აღნიშვნით და თარიღით.

წარმოდგენილია დოღმენების შემცველი ინვენტარიც. არის შემთხვევები, როცა ვორონოვი განძისა და სამარხის მასალას ვერ არჩევს. მაგ. ბომბარას განძის ინვენტარს აიგივებს სამაროვნის აღმოჩენებთან.

აფხაზეთში აღმოჩენილი განძების შესწავლას და მათ თავმოყრას დიდი ღვაწლი დასდო ჯონი აფაქიძემ. მან შესძლო სპეციალურ ლიტერატურაში და მუზეუმებში დაცული მასალების ანალიზი და შეჯერება. 2001 წელს მან გამოსცა სტატია, რომელშიც შესულია აფხაზური განძების სია და მოცემულია მათი გავრცელების რუკა, სადაც ჯერ 36 პუნქტი იყო შესული რეგიონების მიხედვით, ხოლო შემდეგ მათი რიცხვი 65-მდე გაიზარდა. მის მიერ მოცემულია განძების შემადგენლობის მასალის აღწერილობა, აღმოჩენის ადგილი და წელი, აღმოჩენის ვითარება, მუზეუმის დასახელება, სადაც ინახება განძი. ჯ. აფაქიძეს შესწავლილი აქვს ახლად აღმოჩენილი კოლხური განძებიც.

კოლხური განძების შესასწავლად მნიშვნელოვანი კვლევა ჩაატარა ოთარ ლორთქიფანიძემ. მისი ნაშრომი „განძები“ კოლხურ ბრინჯაოს კულტურაში (ფუნქციის დიფერენციაციის და კულტურულ-სოციალურ ინტერპრეტაციის ცდა) მეტად მნიშვნელოვანი და ახლებურად ხსნის განძების არსს.

ო. ლორთქიფანიძე კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ „განძი“ ეს ორი ან მეტი ნივთის ერთსა და იმავე ადგილზე ერთდროული განთავსებაა. განძი გვიან ბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტთაგანია. ამ ნივთების მიწაში მოხვედრის მოტივის შესახებ მეცნიერებაში დაახლოებით ერთი და იგივე აზრი არსებობს, რომ ეს მდნობელის, მოვაჭრის და ვოტივური ხასიათის განძია.

ო. ლორთქიფანიძის აზრით კოლხური კულტურის წიაღში გავრცელებული „განძები“ ძირითადად საკრალური დანიშნულებისაა. ისინი ღვთაებისადმი შეწირულობებს უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ არა მხოლოდ „განძები“ (ე. ი. ბრინჯაოს რამდენიმე ნივთის ერთობლიობა), არამედ ცალკეული აღმოჩენები. მაგალითად: ცულები, თოხები, ასევე შეწირულობას უნდა წარმოადგენდნენ (ლორთქიფანიძე ო. 2001: 178).

როგორც აფხაზური, ისე კოლხური გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძების აღმოჩენა და შესწავლა კვლავ გრძელდება. ახალგაზრდა მკვლევარის რ. ხვისტანის მიერ გალის რაიონში შესწავლილი იყო მახუნჯიის განძი, რომელიც გალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კრებულში დაიბეჭდა (ხვისტანი რ. 2002: 53-67).

ურეკის არქეოლოგიური ძეგლების შესახებ გამოკვლევა ეკუთვნის ვაჟა სადრაძეს და ჯუანშერ ამირანაშვილს (სადრაძე ვ., ამირანაშვილი ჯ. 2005: 8).

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხური კულტურის განუყოფელ ნაწილს ლითონის ნივთების შემცველი განძების არსებობა წარმოადგენს, განძების აღმოჩენას ადგილი აქვს კოლხეთის მთელ ტერიტორიაზე, როგორც დაბლობში, ისე მთისპირა ზოლში. ისინი წარმოადგენენ ძირითადად ლითონის სამეურნეო ხასიათის ბრინჯაოს ნივთების ჯგუფს ჩანყობილს რაიმე ჭურჭელში, ან გახვეულს სახვევში და ჩაფლულს არც თუ ისე ღრმად მიწაში.

მოგვიანო ხანაში განძებში სხვა ხასიათის ნივთებსაც ვხვდებით: იარაღს, სამკაულებს, სულიერ სამყაროსთან და ხელოვნებასთან დაკავშირებულ ნიმუშებს. „კოლხური ბრინჯაოს კულ-

ტურის „განძები“ უაღრესად საინტერესო და მრავალმხრივი რელიგიური, სოციალ ეკონომიური, ეთნოკულტურული, ინფორმაციის შემცველი სპეციფიკური ფენომენია. ამიტომ ის იმსახურებს სპეციალური პრექტით კვლევას, კერძოდ პირველ რიგში აუცილებელი იქნება უკვე ცნობილი „განძების“ და ასევე ცალკეული ნივთების აღმოჩენათა ხელახალი სრული პუბლიკაცია თვითოეული ნივთის წონისა და ზომების ზუსტი ფიქსაციით, აგრეთვე აღმოჩენათა პირობების შესახებ საარქივო მონაცემების სკრუპულოზური გაანალიზებით (ლორთქიფანიძე ო. 2001: 189).

ვეთანხმებით რა ო. ლორთქიფანიძის ამ მოწოდებას, გადავწყვიტეთ კოლხეთის ტერიტორიაზე არსებული განძების კიდევ ერთხელ შესწავლა, ცნობილი მეცნიერების ნაშრომების გამოყენებით. სამწუხაროა, რომ საქართველოს გარეთ და აფხაზეთის მუზეუმში დაცული მასალების გაცნობა შეუძლებელია.

აფხაზეთში აღმოჩენილი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძები სადღეისოდ ასე გამოიყურება (ტაბ. I).

პილენკოვოს (განთიადის) განძი შეიცავდა ორ ბრინჯაოს ცულს. ერთი ცული დაქანებულყუიანი იყო ოვალური სატარე ნახვრეტით, ექვსად დაწახნაგებული ტანით და მომრგვალებული დაბალი პირით. მეორე ცული მორფოლოგიული ნიშნებით იგივეა, განსხვავებულია სიდიდესა და ნიბურების განლაგებაში, აღმოჩენილია 1917 წელს სოფ. პილენკოვოში, განთიადში, გაგრის რაიონში ერთი ცული დაცულია ნოვოროსიისკის მუზეუმში, მეორე – სოჭის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (Иессен А. А. 1935: 121; ქორიძე დ. 1965: ტაბ. II, 6, 7; Воронов Ю. Н. 1969: 17 ტაბ. XXX V, 15; აფაქიძე ჯ. 2006: 66).

გაგრის განძი ბ. კუფტინის გადმოცემით შედგებოდა ათი ცულისაგან, ა. იესენი კი ცხრა ცულს ახსენებს. დღეისათვის შემორჩენილია ერთი ცული. ცული ორფერდა დაქანებული ყუით, ოვალური სატარე ხვრელით, სატარის ძირზე ქიმისებური შვერილით, სწორი და ექვსად დაწახნაგებული ტანით და მკვეთრი მომრგვალებული პირით. აღმოჩენილია 1935 წელს პილენკოვოში, გაგრის რაიონში მშენებლობის დროს. შემორჩენილი ცული დაცულია აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში (Куфтин Б. А. 1941: 17-18; Иессен А. А. 1951: სურ. 3; ქორიძე დ. 1965: ტაბ. II; Воронов Ю. Н. 1969: 18; აფაქიძე ჯ. 2006: 66).

ლიძავას (ლიძაას) განძი თავდაპირველად შედგებოდა ბრინჯაოს შვიდი ცულისაგან, სადღეისოდ შემორჩენილია ხუთი ცული. ცული ორფერდა დამრეცად გადაკვეთილი ყუით, ოვალური სატარე ხვრელით, სატარის ძირებზე მეტ-ნაკლები სიდიდის თითო ქიმისებრი გამონაზარდით, სწორი ექვსად დაწახნაგებული ტანით და დაბალი მომრგვალებული პირით. ცული მახვილი ორფერდა ყუით, შვერილი ტანით წვეტიანი ოვალური სატარე ხვრელით, ტანი ექვსად დაწახნაგებული, პირი დაბალი, გორდა და ასიმეტრიულად მორკალული. ცული ორფერდა დაქანებული ყუით, მრგვალი სატარე ხვრელით და სამუშაო ნაწილთან გაფართოებული მომრგვალო დაბალი პირით. ცული ჩაქუჩისებური ყუით, სატარის კედლებზე სამი მკვეთრი ნიბურით, რომელთა შორის ორი ფართო ღარია მოთავსებული ხასიათდებიან ოთხნახნაგა ტანით და დაბალი სამუშაო ნაწილში ოდნავ გაფართოებული პირით. აღმოჩენილია 1935 წელს სოფ. ლიძააში, ბიჭვინთის ახლოს, გაგრის რაიონში. ცულები დაცულია აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში (Куфтин Б. А. 1941: 17-18; Иессен А. А. 1951: 108; ქორიძე დ. 1965: 11, ტაბ I; Воронов Ю. Н. 1969: 18, ტაბ. XXXV; აფაქიძე ჯ. 2006: 67).

კოლხიდის განძიდან დღეისათვის შემორჩენილია მხოლოდ ერთი ცული. ცული ორფერდაა ნინ დაქანებული ყუით, ოვალური სატარე ხვრელით, სატარეს ნინ, ძირზე მკვეთრად გამოხატული ქიმისებური შვერილით, სწორი ექვსად დაწახნაგებული ტანით და დაბალი, ასიმეტრიულად მომრგვალებული პირით. ცული აღმოჩენილია კოლხიდაში, გაგრის რაიონში. დაცულია გაგრის საშუალო სკოლაში (Воронов Ю. Н. 1969: 18; აფაქიძე ჯ. 2006: 66).

ქვემო ემერას განძი. აქ აღმოჩნდა ორი ოვალური ბეჭედი, სისქე-0.7-0.9 სმ, შიდა დმ-5.0-6.5

სმ. მოპოვებული იყო 1934 წელს სოფ. ეშერაში, სოხუმის რაიონში. დაცულია აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში (№22-27-30) (Воронов. Ю. Н. 1969: 28; აფაქიძე ჯ. 2006: 81).

ლერქოფის განძი შედგება ბრინჯაოს ორი ცულისაგან. ცული ორფერდა დაქანებული მახვილი ყუით, მრგვალი სატარე ნახვრეტით, დაბალი და ოდნავ მორკალული პირით. სიგრძე-16.0 სმ, პირის სიგანე-5.0 სმ. მეორე ცული დაზიანებული ყუით და სატარე ნახვრეტით, რომელიც მრგვალი უნდა ყოფილიყო. აღმოჩენილი იყო ადგილ ლერქოფში, სოხუმის დასავლეთ ნაწილში, 1961-1962 წლებში. დაცულია აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში (Воронов. Ю. Н. 1969: 31, ტაბ. XXXIV, 56; აფაქიძე ჯ. 2006: 81).

ეშერა. ცული ბრინჯაოსი და სხვა ნივთები ეშერადან: ფეხის რგოლები, ვინრო ბრინჯაოს სარტყლის აბზინდა, კონუსისებრი სარტყლის სამკაულები, შუბისპირები ბრინჯაოს მასრაგახსნილი და ფურცლის სწორკუთხა ფუძით, ვინრო ბრინჯაოს ხანჯლები ქედიანები და პირის გასწვრივ ღარით, ცილინდრული, ქედიანი ფართო სამაჯური, ორი ნატეხი ღია მეტალის, რამდენიმე ქვის მძივი, წვერნაკვეთილი პირამიდის ფორმის მუქი ლურჯი მძივის საკიდი 0.7 სმ ფუძით, 14 სმ სიმაღლის. ცულის სიგრძე ტარითურთ 29.1 მ-ია. აღმოჩენილია 1930 წელს. მასალა დაცულია აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში (1309) (Воронов. Ю. Н. 1969: 28).

სოხუმის მთის განძი აღმოჩნდა 1951 წელს შემთხვევით სოხუმის მთის წვერზე. აღმოჩენილია 13 ცული ბრინჯაოსი, ერთი სეგმენტისებური იარაღი, უცნობი დანიშნულების ორი ინსტრუმენტი და რომელიღაცა ნივთის ორი ნატეხი, სპილენძის სამი ზოდი. ცულები ძირითადად ერთი ტიპისაა: რამდენადმე უკან დაქანებული ყუით, სწორი შუბლით, მრგვალი სატარე ხვრელით. სეგმენტისებურ იარაღს აქვს ჰორიზონტალურად გაშვერილი მხრები.

სოხუმი, ბოტანიკური ბაღი. ბრინჯაოს ცული, დაღურსმულ სოლისებური ყუით, აღმოჩენილი იყო ბოტანიკურ ბაღში 1929 წელს. დაცულია აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში.

სოხუმში რამდენიმე ადგილზე სხვადასხვა განძი იყო აღმოჩენილი (Воронов Ю. Н. 1969: 31).

სოხუმის განძი. განძი შედგება ბრინჯაოს სეგმენტისებური იარაღებისაგან. სეგმენტის ზუსტი რაოდენობა უცნობია, სადღეისოდ შემორჩენილია 1 ეგ ზემპლარი. გამოქვეყნებულია მხოლოდ ერთი, მას ბარისებრი მოყვანილობა აქვს. აღმოჩენილია 1912 წელს. ქ. სოხუმში, შემთხვევით რ. კაკუბას ნაკვეთზე. „სეგმენტები“ თიხის ჭურჭელში ყოფილა ჩანყობილი. განძის შვიდი „სეგმენტი“ 1926 წელს შესულია აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში. ერთი „სეგმენტი“ ინახება აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახლში ქ. სოხუმში (Иессен А. А. 1935: 126-127; Куфтин Б. А. 1949: სურ. 49; ქორიძე დ. 1965: 25, 28; Воронов Ю. Н. 1969: 31; აფაქიძე ჯ. 2006: 71).

ფშაფ-ბოგოფოშთას განძი შეიცავს 52 ნივთს. მათ შორის ორ ცულს, ცხრა მთელს და ათ ფრაგმენტირებულ სეგმენტისებურ იარაღს. ოთხ აბზინდას, 27 პატარა ზომის ზოდს და მათ ნატეხებს. ნატეხები მოთავსებული ყოფილა თიხის ჭურჭელში, რომელსაც კარგად დამუშავებული ნითელი და შავი ფერის ზედაპირი და ნითელი შიდაპირი აქვს. ჭურჭლის ძირის დმ-8.6 სმ-ია. ცული წარმოდგენილია ორფერდა ყუით, ოვალური სატარე ხვრელით, ექვსად დაწახნაგებული ტანით და მომრგვალებული დაბალი პირით, სიგრძე-18 სმ, პირის სიგრძე-6.5 სმ. შემდეგი ცული იგივე მორფოლოგიური ნიშნებითაა წარმოდგენილი. პირის სიგანე-6.8 სმ, ზედა ნაწილი მოტეხილი აქვს. სეგმენტისებური იარაღი ორი ტიპისაა, პირველ ტიპს ახასიათებს სიმეტრიულად მორკალული სეგმენტური პირი, ლამაზად აწვდილი ნიღრები, მართკუთხა ან ტრაპეციისებური ტარდასაგები. მეორე ტიპს ახასიათებს, მომრგვალებული თითქმის ნახევრად წვერისებური ბარისებრი პირი, ლამაზად აწვდილი ნიღრები ან მართკუთხა ან ტრაპეციისებური ტარდასაგები. ერთ ეგ ზემპლარს, პატარა პირიანს, ყუნწი ზედ მარჯვენა მხარეში გამონაზარდი ახლავს. დანარჩენი ათი მხოლოდ ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი. ცალკე აღსანიშნავია სეგმენტისებური იარაღის მსგავსი მინიატურული საკაფი. სიგრძე-1-1.8 სმ, პირის სიფართე-3.8 სმ. აღმოჩენილია 1963 წელს. სოფლე-

ბის ფშაფისა და ბოგოფომთას საზღვარზე, გულრიფშის რაიონში. დაცულია აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში (Воронов Ю. Н. 1969: 36; აფაქიძე დ. 2006: 72).

ლემსას განძი განძის შემადგენლობაში შედიოდა ბრინჯაოს ცულები, ბრინჯაოს სატეხი, ბრინჯაოს ზოდები, რომელთაგანაც ერთი 30 კგ-ს იწონის. ცული ორფერდა ყუიანია, წვეტიანი ოვალური სატარე ხვრელით, ექვსად დაწახნაგებული წელით, დაბალი გორდა ასიმეტრიული პირით. წინა წახნაგის ნიბურები გამოდის ყუიდან და წინა ნილრამდე აღწევს. ილლის წახნაგები წარმოქმნილია ილლიდანვე მომდინარე ნიბურების მეშვეობით, რომლებიც ჯერ მალა მიემართება, შემდეგ უხვევს პირისაკენ და უკანა ნილრამდე აღწევს. სიგრძე-16.0 სმ, პირის სიგანე-6.4 სმ, სატარე წახვრეტის დმ-2.3 სმ. ცული იგივე მორფოლოგიური ნიშნებითაა. სიგრძე-16.3 სმ, პირის სიგანე-6.3 სმ, სატარე წახვრეტის დმ-2.4-4 სმ, სატეხის სიგრძე-21 სმ, პირის სიგანე-5.5 სმ. ოდნავ გაფართოებული უკანა ნაწილის სიფართე-2.5 სმ. აღმოჩენილია 1964 წელს სოფ. ლემსადან დასავლეთით დაახლოებით 1.5 კმ-ზე. ეს ტერიტორია გულრიფშის რაიონს ეკუთვნის. დაცულია აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში (Воронов Ю. Н. 1969: 37, ტაბ. XXXIV 21, 22; აფაქიძე ჯ. 2006: 71, 72).

ლატას განძი გადმოცემით შეიცავდა მხოლოდ ერთ 30-35 კგ-იან ზოდს. აღმოჩენილია 1956 წელს სოფ. ლათაში, გულრიფშის რაიონში. დაცულია აფხაზეთის სახელობის მუზეუმში (Воронов Ю. Н. 1969: 39; აფაქიძე ჯ. 2006: 72).

კვიტოულის (კუტოლის) განძის შემადგენლობიდან ი. ვორონოვი გაკვრით ახსენებს სეგმენტისებურ იარაღს. აღმოჩენილია მდ. კეტვანარვის ნაპირზე, სოფ. კვიტოულთან, გულრიფშის რაიონში. დაცულია აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში (Воронов Ю. Н. 1969: 39; აფაქიძე ჯ. 2006: 73).

ბარნაუთის განძი განძი შედგებოდა ბრინჯაოს ხუთი და რვა პატარა ზომის ცულისაგან. გამოქვეყნებულია მხოლოდ ერთი ცული, რომელიც კოლხური ცულების სახესხვაობას წარმოადგენს. აღმოჩენილია დაბა ბარნაუთში, 3 კმ-ის დაშორებით გულრიფშიდან. დაცულია აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში (3-66,1) (Воронов Ю. Н. 1969: 36, ტაბ. XXXV 30; აფაქიძე ჯ. 2006: 66).

წებელდის განძი შედგება ბრინჯაოს ზოდებისგან, რაოდენობა უცნობია. აღმოჩენილია 1979 წელს წებელდის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი ი. ვორონოვი) სოფ. წებელდაში (Воронов Ю. Н. 1980: 406; აფაქიძე ჯ. 2006: 72).

ათარა-აფხაზსკაიას განძში შედიოდა ბრინჯაოს 3 ცული, რომელსაც ორფერდა ყუა, ასიმეტრიული პირი და სატარის კედლებზე ნიბურები აქვს. აღმოჩენილია სოფ. ათარა აფხაზსკაიაში, ოჩამჩირის რაიონში 1962 წელს (Воронов Ю. Н. 1969: 39; აფაქიძე ჯ. 2006: 72).

კოჩარას განძი შეიცავდა დიდი ზომის სპილენძის ზოდებს, ზოგიერთი 8-10 კგ-საც კი იწონიდა. სადღეისოდ ყველა ზოდი დაკარგულია. აღმოჩენილია 1930 წელს კოჩარაში, ოჩამჩირის რაიონში, შემთხვევით მოქალაქე იულონ შენგელიას ნაკვეთზე (Ивашенко М.М. 1935: 55; ქორიძე დ. 1965: 77; აფაქიძე ჯ. 2006: 73).

მოქვის განძი შედგებოდა ბრინჯაოს ერთი სეგმენტისებური იარაღის და ხუთი ზოდისგან, რომელთა სიდიდე მერყეობს 10,0X9,0X8,0სმ და 3,5X2,5X1,5 შორის. ეს ნივთები თიხის ჭურჭელში ყოფილა მოთავსებული. აღმოჩენილი იყო 1935 წელს სოფ. მოქვის პერიფერიაზე, რკინიგზის სადგურთან, ოჩამჩირის რაიონში. გადაეცა აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმს (Воронов Ю. Н. 1969: 40; აფაქიძე ჯ. 2006: 73).

არადუს განძი შედგება ბრინჯაოს ცულის, ცულის გაღუნული ფრაგმენტის ნატეხისა და შვიდი თიხისგან. მათ შორის ორი ლაროვანი ორნამენტითაა წარმოდგენილი. ორი დამტვრეულია, ერთი კი მხოლოდ ყუითაა წარმოდგენილი. იქვეა ნამგლის ორი ფრაგმენტი და ორი გაურკვეველი ნივთის ფრაგმენტი. აღმოჩენილია 1965 წელს, სოფ. არადუში, მდ. მოქვისა და გზიდან ერთი კილომეტრის დაშორებით მინდორში, დაცულია აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში (Воронов Ю. Н. 1969: 40).

მერკულას განძში შედიოდა ბრინჯაოს ერთი ზოდი, რომლის წინა 30კგ-ზე მეტია. აღმოჩენი-

ლია 1964 წელს სოფ. მერკულაში, ოჩამჩირის რაიონში. დაცულია აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში (აფაქიძე ჯ. 2006: 73).

ჭლოუს განძი შეიცავდა ერთი ბრინჯაოს ზოდს, რომელიც 30კგ-ზე მეტს იწონიდა. აღმოჩენილი იყო 1964 წელს სოფ. მერკულაში, ოჩამჩირის რაიონში. დაცულია აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში (აფაქიძე ჯ. 2006: 73).

ოჩამჩირის განძი შეიცავდა ერთ მთელს და სამ დაზიანებულ ცულს, ერთ თოხს, რვა სეგმენტისებურ იარაღს, ერთ სატეხს და სხვადასხვა ფორმის ოც ზოდს. ცული ორფერდა ლურსმანისებური ორფერდა ყუიანი, ოვალური სატარე ხვრელით, ექვსად დანახნაგებული, პირი ასიმეტრიულია. სატარე კედლებს გარედან არამკვეთრი ნიბურები დაუყვება, ნიბურების სიგრძე-19.4 სმ, პირის სიგანე-6,3 სმ. მეორე ცულს შემორჩენილი აქვს მხოლოდ ზედა ნაწილი. ყუა ორფერდაა. სატარის კედლებს გარედან სამი ნიბური დაუყვება. მესამე ცულს შემორჩენილი ჰქონდა მხოლოდ ზედა ნაწილი, ყუა ორფერდაა. სატარის კედლებს გარედან სამი ნიბური დაუყვება. თოხი, ფოთლისებური, წელში მოხრილი, მრგვალი სატარე ხვრელით, სიგრძე-11.7 სმ-ია, პირის სიგანე-5.5 სმ, სატარე ხვრელის დმ-2.5 სმ. სეგმენტისებური იარაღი არის სიმეტრიულად მორკალული სეგმენტისებური პირით, ლამაზად აწვდილი ნიღრით (მარჯვენა ნიღრი მოტეხილია), მართკუთხა ან ტრაპეციისებური ტარსადაგებით. ოთხკუთხა სეგმენტისებური იარაღი ხასიათდება სიმეტრიულად მორკალული დაბალი სეგმენტისებური პირით, აწვდილი ნიღრებით. ორი მათგანის ყუნწის თავი შუაში უნაგირისებურადაა ჩაღრმავებული, ერთის კი პირიქით შუაში ამოზურცულია, ხოლო მეოთხეში კი შედარებით სწორია. სიგრძე-11.7 სმ, პირის სიგანე-5.5 სმ, სატარე ხვრელის დმ-2.5 სმ. ოთხი სეგმენტი დაზიანებულია. აღწერილი სეგმენტის ზომები ასეთია: სიგრძე მერყეობს 8.8-9.6 სმ-ს შორის. პირის სიფართე-9.3-10 სმ, ხოლო სისქე-0.2-0.4 სმ-ს შორის მერყეობს. ოთხი ნამგლის ჩანართი ფრაგმენტირებული. სატეხი გვერდდაღარულია, სიგრძე-6 სმ, სიფართე-2.0 სმ, სიგანე-3.0 სმ. 20 ცალი გადაჭრილი, კონუსისებური, დისკოსებური და ამორფული ზოდებია, რომელთა საერთო წონა 20 კგ-ს აღწევს. აღმოჩენილია 1957 წელს ქ. ოჩამჩირის ჩრდილო დასავლეთ განაპირა ნაწილში, ჩაის ფაბრიკასთან. განძი უპოვია ა. კაციას და დ. ქარდავას. დაცულია აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში (Воронов Ю. Н. 1969: 40; Трапш М. М. 1970: 84; აფაქიძე ჯ. 2006: 73).

ოჩამჩირის განძი აღმოჩენილია 1958 წელს ოჩამჩირის ჩრდილო დასავლეთ განაპირა ნაწილში ჩაის ფაბრიკასთან. მ. ტრაფშის მიხედვით განძი აღმოჩენილი იყო გ. საჯაიას ნაკვეთზე. დაცულია აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში (Трапш М. М. 1970: 184; აფაქიძე ჯ. 2006: 66).

ოჩამჩირის განძი შედგება 5 ბრინჯაოს ცულისაგან და სპილენძ-ბრინჯაოს ორი მთელი და რვა უფორმო ზოდისაგან. ეს განძი აღმოჩენილი იყო ოჩამჩირის განაპირას არადუს მიდამოებში, ჩაის ფაბრიკის პირდაპირ, მოქ. ე. ფიფიას ნაკვეთზე. ბრინჯაოს ორი სფერული ფორმის ზოდი. ერთი მათგანი ნახვრეტებიანია და შუა ნაწილში მრგვალი ფართო ნახვრეტები აქვს. მეორე შუაში გატეხილია და ერთ მხარეს მოგრძო ოვალური ნახვრეტი აქვს. დარჩენილი რვა უფორმო ზოდების ნატეხებია. აღმოჩენილია 1961 წელს, 3 იანვარს, აღმოჩენის ადგილი ოჩამჩირე. განძი აღმოჩენილ იქნა ქალაქ ოჩამჩირის ჩრდ. დასავლეთ განაპირა ნაწილში. ჩაის ფაბრიკა პირდაპირ მოქ. ე. ფიფიას ნაკვეთზე, ვენახისათვის მიწის დამუშავების დროს 0.50-0.60 მ სიღრმეზე. 1961 წელს 5 იანვარს არქეოლოგებმა მ. ტრაფშმა და მ. გუნბამ დათვალიერებისას აღმოაჩინეს ადგილი. მათი დასკვნით, განძი დაკავშირებული უნდა ყოფილიყო იქვე მდებარე მეტალურგიულ საწარმოსთან. 6X6 მ ფართობზე მიწა გადატვირთული ყოფილა შლაკით, გადამწვარი ნიადაგით, ნახშირით. ასევე ბევრი აღმოჩნდა გახვრეტილი და დამტვრეული ქვები. განძი ინახებოდა აფხაზეთის ენის, ლიტერატურის და ისტორიის ინსტიტუტში. 1993 წლის ომის დროს ინსტიტუტი დაინვა. განძის ბედი უცნობია (Трапш М. М. 1970: 184-186. ტაბ. IX.)

კვეზანის განძის შემადგენლობაში ვორონოვი ასახელებს სამ ცულს, ბრტყელ ზოდს (დმ-20 სმ)

და უფრო პატარა ზოდის ნატეხს, მეოთხედს. აღმოჩენილია სოფ. კვეზანში, ოჩამჩირის რაიონში. დაცულია აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში (Воронов Ю. Н. 1969: 41; აფაქიძე ჯ. 2006: 75).

კვეზანის განძში შემორჩენილია ერთი ზოდი. ვორონოვი იმონებს მუშებს, რომელთა თანახმად კირის კარიერზე ასაფეთქებელი სამუშაოების დროს ამგვარი სხვა ზოდიც „გამოვარდნილა“. აღმოჩენილია 1946 წელს სოფ. კვეზანში, ოჩამჩირის რაიონში. აღმოჩენილია კირის კარიერზე ასაფეთქებელი სამუშაოების დროს. დაცულია აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში (Воронов Ю. Н. 1969: 41; აფაქიძე ჯ. 2006: 75).

ათარა-არმიანსკაიას განძი შედგება ბრინჯაოს 7 კგ-იანი ერთი ზოდისაგან. ოჩამჩირის რაიონი. დაცულია აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში.

ლაბრის განძი. ოჩამჩირიდან ჩრდილო-დასავლეთით 15 კმ-ის დაშორებით თხრილის ამოღების დროს ნაპოვნი ყოფილა 9 ცული (?). მათგან ორი მთელი და ორიც ნამტვრევების სახით მოხვედრილა სოხუმის მუზეუმში. სოხუმის მუზეუმში დაცული ოთხივე ცული ა. იესენისა და გ. ივამჩინკოს მიხედვით კოლხური ცულების IV სახეობას მიეკუთვნება. ისინი მასიურია და უორნამენტო (ჯაფარიძე ო. 1950: 48; Ивашенко М. М. 1953: 55; ქორიძე დ. 1965: 46; აფაქიძე ჯ. 2006: 72).

ზვანდრიპში. ორი ბრინჯაოს ცული, მახვილი ყუით სოფ. ზვანდრიპშიდან. პირველი ცულის გვერდითი ნაწილი შემკულია ფრინველის სქემატიური გამოსახულებით. ცულის ყელი ასევე შემკულია პუნქტირებით შექმნილი ზიგზიგებით. მეორე ცული დაზიანებულია, ყელზე აქვს ირიბი ჭდეები, რომელსაც სპირალი აქვს შემორტყმული. გვერდითი ნაწილი ცულისა შემკულია მზის გამოსახულებით, რომელსაც რვა დაშტრიხული სხივი ახლავს. ნივთი აღმოჩენილია 1939 წელს (Воронов Ю. Н. 1969: ტაბ. XXXV, 2; აფაქიძე ჯ. 2006: 66). ბრინჯაოს ცული და სატევარი ზვანდრაპშიდან. ცულს ახლავს მახვილი ყუა და ორნამენტი, ზედა ნაწილში სიგრძე-14.8 სმ, პირის სიფართე-4.6 სმ. სატევრის სიგრძე-18.2 სმ, პირის სიფართე-1.6-2.8 სმ. (JIGM, KJI - 122).

ბომბორა. ბრინჯაოს 25 მინიატურული ქანდაკება: ცხენის ფიგურები 15 ცალი, ძაღლების 5 ცალი, თიკნის, ცხვრის, ფრინველის, ქალის და მამაკაცის. ქანდაკებების სიმაღლე მერყეობს 6.4 და 7.6 სმ-ს შორის, ხოლო სიგრძე 5.5 და 6.7 სმ-ია. ყველა ქანდაკებას ახლდა აწურული ძენკვი, რომელთა სიგრძე 10.0 და 13.0 სმ-ს შორის მერყეობს, სიგრძე – 1.5 და 2 სმ შორის. აქვეა მტაცებელი ცხოველის თავი, რომელსაც პირში ბატკანი ჰყავს მომწყვდეული, „ტახტზე“ მჯდომი „ღვინისმსმელის“ ქანდაკება (სიმაღლე-4.8 სმ), თხელი ძენკვისებური ჯაჭვის ფრაგმენტები, ორი სამკუთხედის ფორმის ნივთი (საკიდი?), სხვადასხვა ფორმის და ზომის სამი ზარაკი, მწვანე ფერის მინის ორი მძივი, ოქროს „სამპირა“ ღარიანი ფირფიტოვანი გარსაკრავი, გველის თავებით დაბოლოებული სამაჯური, გაურკვეველი ფორმის ნივთის ორი ფირფიტა, ბრინჯაოს ერთი აწურული ფირფიტა, სხვადასხვა ფორმის ორი სამაჯური, გაურკვეველი ნივთის ხუთი ფრაგმენტი. აღმოჩენილია 1910 წელს სოფ. ბომბორაში, გუდაუთის რაიონში, ზღვის სანაპიროდან ერთი კილომეტრის დაშორებით, ბორბორის მინდვრის დასავლეთ ნაწილში, მინის სამუშაოების დროს, ზედაპირიდან 1-1.2 მ სიღრმეზე. ერთი ნაწილი დაზიანდა. ამოღებული იყო ლუკინის მიერ 35 ნივთი. მასალა დაცულია აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში (ლუკინის კოლექცია, კატ. №4,36) და მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში (Лукин Л. А. 1941: 62-69, ტაბ. XVI-XX; Воронов Ю. Н. 1969: 20; აფაქიძე ჯ. 2006: 66).

„ახალი ათონი“. სამი ცული ბრინჯაოსი, დაზიანებული, ერთი დუგმა, ერთი ფიბულა, ერთი სამაჯური და თიხის თასი. პირველი ცული დაზიანებულია, მაგრამ ყუამახვილი უნდა ყოფილიყო, პირი მაღალი და სიმეტრიული უნდა ჰქონოდა, ტანი ექვსად დაწახნაგებული, პირზე ცხოველის სტილიზებული გამოსახულება, ცულის წვერი გეომეტრიული ორნამენტითაა შემკული. შემორჩენილი ნაწილის სიგრძე 12.1 სმ-ია, პირის სიგანე 5.5 სმ. მეორე ცულიც დაზიანებულია, მახვილი ყუა და სატარის უდიდესი ნაწილი მოტეხილია. პირი მაღალი და სიმეტრიულად მორკალულია, ტანი ექვსად დაწახნაგებული, პირი შემკულია ირიბი გრძივი ხაზებით, რომელსაც ორმაგ ხაზებში ჩას-

მული ირიბი ქედები შემოუყვება. გეომეტრიული ორნამენტით შემკული ცულის წვერი და ნახნაგები. შემორჩენილი ნაწილის სიმაღლე 12.2 სმ-ია, პირის სიგანე-5.4 სმ. შუბისპირი ორმხრივი პირი ლესილი, პირის შუა ნაწილში ერთი მკვეთრი ქედით, მასრა გახსნილი და გრძელი აქვს. შუბისპირი ორი მკვეთრქედიანი, დაფნისფოთლისპირიანი, დაზიანებული. დუგმა, შემორჩენილია მხოლოდ ნახევარი, სიგრძე-10.5 სმ, ხვიის სიგანე-5.0 სმ. ფიბულა რკალისებურ მშვილდიანი. რკალის ნაწილი რომბისებურად გაბრტყელებულია, საერთო სიგრძე-9 სმ, სიფართე-4.4 სმ, სამაჯური მსხვილგანივკვეთიანი, თავშეუკრავი, შიდა დმ-6.7-7.0 სმ, კვეთის დმ-0.5 სმ. გაურკვეველი დანიშნულების ნივთი, ნააგავს მომრგვალო ფორმის მცირე სასმისს, თხელკედლიანი. ნივთები აღმოჩენილია 1928 წელს ახალ ათონში, გუდაუთის რაიონში. დაცულია აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში (ლუკინის კოლექცია კატ. №39, 9/1-9) (Лукин Л. А. 1941: 43, ტაბ. VIII-IX, 1-3)

თაშრაცვას განძი. ბრინჯაოს ორი ცული. ერთი ცული ორფერდაა, აქვს დაქანებული მახვილი ყუა, წვეტიან ოვალური სატარე ხვრელი, ექვსად დანახნაგებული ტანი. სიმეტრიულად მომრგვალებული პირი, სატარის კედლებს ზამბარისებრი ორნამენტი დაუყვება. გვერდებზე დატანილი წრეები მზის გამოსახულებას გვაგონებს. ახლავს ცხენის გამოსახულება. პირი შემკულია ირიბი ჯვრისებრი გამოსახულებით. მეორე ცული ზემოთ აღწერილის მსგავსია, მაგრამ ყუა ოდნავაა დაქანებული. გვერდების ზედა ნაწილი შემკულია წინვისებური ორნამენტით. ქვედას კი შუა ნაწილში ერთ რიგად პატარა რომბები აქვს დატანებული. პირზე მოცემულია ფანტასტიკური ცხოველის, ე. წ. „გვერას“ გამოსახულება. აღმოჩენილია 1950 წელს ადგილ თაშრაცვაში, გუდაუთის რაიონში. დაცულია აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში ლუკინის კოლექციაში (Воронов Ю. Н. 1969: 22-23, ტაბ. XXXV, 1-4; აფაქიძე ჯ. 2006: 80).

ანუხვას განძი. ბრინჯაოს ორი საკისრე რგოლი, სიმეტრიულად დახვეული ბოლოებით. აღმოჩენილია სოფ. ანუხვაში, გუდაუთის რაიონში (Лукин Л. А. 1941: 51; Воронов Ю. Н. 1969, 26; აფაქიძე ჯ. 2006: 60)

გალის განძი. განძი შედგება ხუთი ცულისაგან, ერთი თოხისაგან, ოთხი მთელი და ექვსი ამორფული ზოდისაგან. ორ ცულს ორფერდა ოდნავ დაქანებული ყუა, წვეტიანი ოვალური სატარე ხვრელი, ექვსად დანახნაგებული ტანი და მრგვალი, თითქმის სიმეტრიული პირი აქვს. ბოლო დანახნაგებული ინყება შუა ყუისაგან და უკანა ნიღრამდე აღწევს. წინა ნახნაგების წიბური გამოდის ყუის მარჯვენა მხრიდან და წინა ნიღრამდე აღწევს. სამ ცულს დანახნაგებული ყუა, წვეტიან-ოვალური სატარე ხვრელი, ექვსად დანახნაგებული ტანი და მრგვალი, ასიმეტრიული და გორდა პირი აქვს. სატარის კედლებს გარედან ერთი რელიეფური წიბური დაუყვება. წვეტიან-ოვალური სატარე ხვრელი, ექვსად დანახნაგებული ტანი და მრგვალი, თითქმის სიმეტრიული პირი აქვს. თოხი პირფართოა, მხრებდაქანებული, მრგვალი სატარე ნახვრეტით, სწორტანიანი, სამუშაო პირთან მოხრილი. სეგმენტისებურ იარაღებს ტრაპეციის ფორმის ყუნწი აქვთ, ჰორიზონტალურად გაშლილი მხრები, თანაბრად მომრგვალებული ნახევრად წრიული ფორმის პირი. ერთი სეგმენტი ხასიათდება დაბალი ტრაპეციისებრი ფორმის ყუნწით, არათანაბრად გაშლილი მხრებით და თითქმის თანაბრად მორკალული პირი. ამორფული ფორმის ზოდები, მათი საერთო წონა 5 კგ-ია. აღმოჩენილია 1979 წელს ქ. გალის რკინიგზის სადგურთან.

გალის განძი შედგებოდა 2 ცულისაგან, ბრინჯაოს რვა სეგმენტისებური იარაღისაგან, ბრინჯაოს სხვადასხვა ფორმისა და ზომის ოთხი ზოდისაგან. ერთი ცული მახვილ ყუიანია, წვეტიანი ოვალური სატარე ხვრელით, ექვსად დანახნაგებული ტანით და გორდა ასიმეტრიული, დაბალი პირით. სიგრძე-14.1 სმ, პირის სიგანე-5.6 სმ. მეორე ცული ზევით აღწერილის მსგავსია და მისგან მხოლოდ წიბურების განლაგებით და მომრგვალებული, თითქმის სიმეტრიული პირით განსხვავდება. ეს ცული შავი პატინით იყო დაფარული და პირი ოდნავ დაზიანებული ქონდა. სიგრძე-15.6 სმ, პირის სიგანე-6.8 სმ. სეგმენტისებური იარაღი ყველა ერთი ტიპისაა. მათ ბარისებური, ტრაპე-

ციისებრი თუ წაგრძელებულ მართკუთხედისებური ყუნწი, გაშლილი მხრები და მომრგვალებული და ნახევრად წრიული და სამუშაო პირი აქვთ. ორი დაზიანებული სეგმენტიც იმავე ტიპისა. სეგმენტები უფორმოა, მხოლოდ ერთს აქვს სფერული ფორმა. აღმოჩენილია 1982 წელს ქ. გალის ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილში, ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა „მზიურის“ ტერიტორიაზე, გალის რაიონში. განძი ინახებოდა გალის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

თაგილონის განძი შედგებოდა ბრინჯაოს ერთი ცულისგან, სეგმენტისებურ იარაღისაგან, ბრინჯაოს ხვიისაგან, ბრინჯაოს ფირფიტისაგან, ბრინჯაოს ცულის სასხმელი ყალიბისაგან და ასეთივე ყალიბის ნატეხისაგან. განძი მოთავსებული ყოფილა ბრინჯაოს ქვაბში. ცული ყუაკვერია-ნია, წვეტიანი ოვალური სატარე ხვრელით, ექვსად დაწახნაგებული ტანით, დაბალი მომრგვალო სიმეტრიული პირით. სეგმენტისებური იარაღი დაზიანებულია, დიდი ზომის ბარისებური ფორმის, ტრაპეციის მაგვარი ყუნწით, მომრგვალებული, თითქმის ნახევრად წრიული სამუშაო პირით. ხვია მსხვილი მავთულისაგან დამზადებული, სიგრძე-2.8 სმ. ბრინჯაოს ფირფიტა, შესაძლოა ჭურჭლის ფრაგმენტი. ბრინჯაოს ცულის წითელი სპილენძის სასხმელი ორმხრი ყალიბი. ბრინჯაოს ცულის სპილენძის სასხმელი ორმხრივი ყალიბის ორი ფრაგმენტი. აღმოჩენილია 1922 წელს სოფ. თაგილონში, გალის რაიონში, შემთხვევით 48 სმ სიგრძეზე ზედაპირიდან, მასალა ინახება ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ ეთნოგრაფიულ მუზეუმში (კოლექცია №46-50) (Иессен А. А. 1935; ქორიძე დ. 1965: 32; Воронов Ю. Н. 1949: 41).

თაგილონიდან მეორე განძიც მომდინარეობს (Воронов Ю. Н. 1949: ტაბ. XXXVI, 21, XXXVIII, 14, 16; აფაქიძე ჯ. 2006: 78).

საბერიოს განძში შედიოდა რვა ცული. მათგან შვიდი დაკარგულია, მხოლოდ ერთი ცული მოხვედრილა ე. ნ. კომაროვის კოლექციაში. აღმოჩენილია 1881 წელს სოფ. საბერიოში, გალის რაიონში შემთხვევით (Иессен А. А. 1935: 126; ქორიძე დ. 1965: 48; Воронов Ю. Н. 1969: 41).

ჭუბუხინჯის განძი აღმოჩნდა წითელი სპილენძისაგან დამზადებული სამი ლურსმნით დამაგრებულ სახურავიან ჭურჭელში (სიგრძე-7-8 სმ, დმ-9.5-11 სმ) და სამი ფირფიტა ოქროსი, ორი სპირალური საყურე, ერთი საკიდი (აგრაფი), ერთი ორნამენტირებული ფირფიტა ორ მხარეზე ნაჭედი, სამი ზოდი ოქროსი და ვერცხლის ოთხკუთხა განივკვეთიანი „ჯოხები“ (სიგრძე-6.5 სმ, სისქე-1.25 სმ) ვერცხლის პატარა უფორმო ზოდი, ბრინჯაოს ორი ზეოდა, ერთი პატარა ნატეხი „უცნობი ლითონისა“ და „უცნობი ლითონის“ სადაფის ნატეხი. აღმოჩენილია 1890 წელს სოფელ ჭუბურხინჯში, გალის რაიონში, შემთხვევით ბავშვის მიერ. ამ ნივთების ნაწილი ინახება სანკტ-პეტერბურგში, ნაწილი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში (Иессен А. А. 1935: 126; ქორიძე დ. 1965: 46; Воронов Ю. Н. 1969: 41).

გალის განძში შედიოდა ბრინჯაოს ორი მომრგვალებული ზოდი. აღმოჩენილია ადგილ ნარინჯოვანში ქალაქ გალთან.

აჭანდარას განძი. ორი ცული ბრინჯაოსი, სამი შუბისპირი, ერთი ბეჭედი და ხარის თავის ქანდაკება. 1. ცული მახვილყუიანია, წვეტიან-ოვალური სატარე ნახვრეტით, ექვსად დაწახნაგებული ტანით და სიმეტრიული პირით, ცულის პირზე მოცემულია ძაღლის სტილიზებული გამოსახულება. ძაღლის თავს ზემოთ მოცემულია ნაძვისებური ნაკანრი, წელზე კი დატანილია პატარა წრეების სამი რიგი, სატარე კედლის უკანა მხარეს დატანილია ზიგზიგი, წინა მხარეს კი – თევზისებრი ცხოველის გამოსახულება. 2. ცული ზემოთ აღწერილის მსგავსია. ცულის პირი შემკულია ჯვრის გამოსახულებით, რომელიც შედგენილია ოთხკუთხედებისა და მართკუთხედებისაგან. წელი და სატარის ქვედა ნაწილი შემკულია წინვისებური ორნამენტით, ხოლო ყუასა და სატარის ზედა ნაწილში დატანილია პატარა წრეები, რომელიც წერტილებითაა შევსებული. შუბისპირები დაფნისფოთლის მოყვანილობის პირით აღმოჩენილია 1909 წელს სოფ. აჭანდარაში, გუდაუთის რაიონში, ნაპოვნია შემთხვევით აჭანდარის ერთ-ერთი მოსახლის მიერ, დაცულია აფხაზეთის სახელმწიფო

მუზეუმში (ლუკინის კოლექცია, კატ. 3) (Стражев В. И. 1926: 105-124; Ивашенко М. М. 1935; Лукин Л. А. 1941: рис. 5; Воронов Ю. Н. 1969: 23; აფაქიძე ჯ. 2006: 66).

ეშერა, სამი ბრინჯაოს ცული, აღმოჩენილი 1963 წელს. დაცულია აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში (АГМ) 708 (Воронов Ю. Н. 1969: 28; აფაქიძე ჯ. 2006: 66).

ეშერა, ბრინჯაოს მახვილი, ფართო პირიანი, პირის გასწვრივ ღარით. მახვილის ზემოთ ნაწილში ტარის დასაგებად განკუთვნილი ორი ხვრელით. დაცულია აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში (1243) (Воронов Ю. Н. 1969: 28; აფაქიძე ჯ. 2006: 66).

ნარჩეს განძი. მის შემადგენლობაში იყო ექვსი ამორფული და მრგვალი ზოდი. აღმოჩენილია 1959 წელს სოფ. ნარჩეში, გალის რაიონში. ნაპოვნია ნარჩეს მკვიდრის ნ. ჯობავას მიერ მიწის სამუშაოების დროს. დაცულია აფხაზეთის მუზეუმში (Воронов Ю. Н. 1969: 28; აფაქიძე ჯ. 2006: 66).

ლეკუმხარეს (პირველი გალის) განძი შედგება ბრინჯაოს ორი ცულის, ბრინჯაოს თოხის, ბრინჯაოს თერთმეტი სეგმენტისებური იარაღის, ბრინჯაოს სამი ფირფიტის და ბრინჯაოს სხვადასხვა ფორმისა და ზომის ცხრა ზოდისაგან. ცული ორფერდა დაქანებულყუიანი, წვეტიანი ოვალური სატარე ხვრელით ექვსად დანახნაგებული ტანით და მრგვალი თითქმის სიმეტრიული პირით. მეორე ცული ორფერდა დაქანებული ყუით, წვეტიანი ოვალური სატარე ხვრელით, ექვსად დანახნაგებული ტანით და გორდა ასიმეტრიული დაბალი პირით გამოირჩევა. თოხი თითქმის სწორმხრებიანია, სწორი ტანით, ფართო პირით, პირის საფართო აღემატება იარაღის სიმაღლეს. სეგმენტისებური იარაღი ყველა თითქმის ერთნაირია. მათ ბარისებური ფორმა, ტრაპეციის მაგვარი ყუნწი, ძირითადად ჰორიზონტალურად გაშლილი, ზოგჯერ დანახნაგებული მხრები და ყუნწი აქვთ. სამუშაო პირი მომრგვალებული და თითქმის ნახევრადწრიულია. ზოდები სხვადასხვა ზომისა და ფორმისაა. მათგან სამს სფერული ფორმა აქვს. ერთი სფერული ფორმის ზოდის მხოლოდ ნახევარია შემორჩენილი. დანარჩენი უფორმოა. აღმოჩენილია სოფ. ლეკუმხარაში (იგივე პირველი გალი), გალის რაიონში. აღმოჩენილია შემთხვევით, ქალაქ გალიდან ჩრდილო დასავლეთით სამ კილომეტრზე დაშორებულ სოფ. ლეკუმხარაში, ძველ სასაფლაოსთან, ერთ მეტრ სიღრმეზე. ინახებოდა გალის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში (კატ. 1-26). მაგრამ 1993 წლის სექტემბერში სეპარატისტული ბანდების აგრესიის დროს დაიკარგა (აფაქიძე ჯ. 1985: 653-656; აფაქიძე ჯ. 1991: 21-33, ტაბ. XI; რ. ხვისტანი 2000: 59, 60).

რეჩხის განძი, შედგება ორი ბრინჯაოს ცულისაგან. პირველი ცული ორფერდა დაქანებულ ყუიანი, წვეტიანი ოვალური სატარე ხვრელით, ექვსად დანახნაგებული ტანით და მრგვალი თითქმის სიმეტრიული პირით. მეორე ცული ანალოგიურია. აღმოჩენილია 1945 წელს სოფ. ლეკუმხარაში, გალის რაიონში. რეჩხის მკვიდრის თ. ჯობავას მიერ საკუთარი საკარმიდამო ნაკვეთზე მიწის სამუშაოების დროს. დაცულია ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ ეთნოგრაფიულ მუზეუმში (კოლექცია 102, 103).

გალის განძი (1) განძი შედგება ბრინჯაოს ცულების რვა ნატეხისაგან, ფირფიტის (სეგმენტისებური იარაღის) ნატეხის, ზოდების ნატეხებისაგან. არც ი. ვორონოვი და არც მ. ტრაპში ზოდების ზუსტ რაოდენობას არ ასახელებენ. იქვე აღმოჩნდა ოქროსფერი ჭურჭელი, რომლის ყელი ერთმანეთის მონაცვლე სამკუთხედებით ყოფილა შემკული. განძის აღმოჩენის ადგილზე მრავლად აღმოჩნდა ბრინჯაოს ზოდები და ნაგლეჯები, კერამიკა, ნახშირი, ნითლად გამომწვარი ქვები, რაც სპილენძის სადნობ ქურის არსებობაზე მიუთითებს. მ. ტრაპშის ცნობით განძის აღმოჩენის ადგილზე ნაპოვნი იყო სპილენძის ზოდები. აღმოჩენას, 1956 წელს გალის ჩრდ. აღმოსავლეთ ნაწილში, კეცხოვლის ქუჩაზე, მოქალაქე გვარჯიას სახლის პირდაპირ მდებარე რუმი ქონდა ადგილი. განძი ბულდოზერის მიერ იყო აღმოჩენილი. ინახება აფხაზეთის და გალის სახელობის ენისა და ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში. 1993 წელს ეს ინსტიტუტი დაინვა, განძის ბედი უცნობია.

გალის განძი (2) შედგება: ბრინჯაოს რვა მეტ-ნაკლებად დაზიანებული ცულისაგან, ძალზე

დაზიანებული ცულების ათი ნატეხისაგან, უფორმო ფირფიტებისაგან, სპილენძის (?) ნახევარსფეროსებულ ფორმის შვიდი ზოდისაგან, სპილენძის ათი უფორმო ზოდისაგან (ნაგლეჯი), ზოდების ნახევარფაბრიკატებისა და ერთი გაურკვეველი ნივთის (სატეხის ?) ნატეხისაგან. განძი (50-ზე მეტი ნივთი) ჩალაგებული ყოფილა თიხის ქოთანში. აღმოჩენილია 1959 წელს გალის რაიონში, მიწის სამუშაოების დროს, სიმინდების ქვეშ, რ. გვაგვილავას ნაკვეთზე.

ლაზრის განძი. სხვადასხვა ტიპის ბრინჯაოს 9 ცული. შემოინახა 2 დაზიანებული ცული. ცულს ორფერდა ყუა აქვს, ოვალური სატარე ხვრელი, ექვსად დანახნაგებული ტანი და მომრგვალო დაბალი პირი. მეორე ცული ზუსტად ისეთივეა. აღმოჩენილია 1926 წელს, ადგილ ლეჩქოფში, სოხუმის დასავლეთ ნაწილში, მიწის სამუშაოების დროს მოქალაქე პ. მამფორიას ნაკვეთზე, თამბაქოს პლანტაციისათვის მიწის დამუშავების დროს. შემორჩენილი ორი ცული ინახება აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში (ჯაფარიძე ო. 1950: 48; Ивашенко М. М. 1953: 55; ქორიძე დ. 1965: 48; აფაქიძე ჯ. 2006: 72-73).

ლეჩქოფის განძი აღმოჩენილი იყო ბრინჯაოს 15 ცული, შემორჩენილია მხოლოდ ორი ცული. პირველ ცულს ორფერდა დაქანებული ყუა აქვს, ოვალური სატარე ხვრელი, ექვსად დანახნაგებული ტანი და მომრგვალებული, დაბალი პირი. მეორე პირველის ანალოგიურია, მხოლოდ ყუა აქვს დაზიანებული. აღმოჩენილია 1930 წელს, ადგილ ლეჩქოფში სოხუმის დასავლეთ ნაწილში. აღმოჩენილია შემთხვევით მიწის სამუშაოების დროს მოქალაქე პ. მამფორიას ნაკვეთზე თამბაქოს პლანტაციისათვის მიწის დამუშავების დროს. შემორჩენილი ორი ცული ინახება აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში (ჯაფარიძე ო. 1950: 35-39; Ивашенко М. М. 1935: 78; Воронов. Ю. Н. 1969: 31; ქორიძე დ. 1965; აფაქიძე ჯ. 2006: 69).

ოჩამჩირის განძში შედიოდა ბრინჯაოს ერთი მთელი და სამი დაზიანებული ცული, ერთი თოხი, რვა სეგმენტისებური იარაღი, ერთი სატეხი და სხვადასხვა ფორმის ოცი ზოდი.

ანუხვა. ბრინჯაოს სამი ცული, ორი საკისრე რგოლი, ხელის სამი სამაჯური, ერთი სარტყელი აბზინდებთან ერთად, ჯაჭვები, სასმისი, ქვის ცულის ფრაგმენტები. 40 ნივთი დაცულია პეტერბურგის სახელმწიფო ერმიტაჟში.

ახალი ათონი. დაზიანებული სამი შუბისპირი, ბრინჯაოს ერთი დუგმა, ერთი ფიბულა, ერთი სამაჯური და ერთი თიხის თასი. ცული ექვსად არის დანახნაგებული, პირზე ცხოველის გამოსახულებაა მოცემული. ცულის წელი გეომეტრიული ორნამენტითაა შემკული. ცულის შემორჩენილი ტანი ექვსადაა დანახნაგებული, პირი შემკულია ირიბი გრძელი ხაზებით, რომლებსაც ორმაგ ხაზებში ჩასმული ირიბი ჭდეები შემოუყვებიან, გეომეტრიული ორნამენტით შემკული ცულის წვერი და უკანა ნახნაგები. შუბისპირი ლანცეტისებურპირიანი, შუა ნაწილში ერთი მკვეთრი ქედი მიუყვება. მასრა გრძელი და გახსნილია. შუბისპირები ორი მკვეთრქედიანი დაფნისფოთლისებურპირიანი, შემორჩენილია მხოლოდ ზედა ნაწილი. ასევე დუგმის მხოლოდ ნახევარია შემორჩენილი. ხვიის სიგანე-5.0 სმ. ფიბულა რკალისებური მშვილდიანი, რკალის ნაწილი რომბისებურად არის გაბრტყელებული. სიგრძე-9 სმ. სამაჯური მრგვალგანიკვეთიანია, ბოლოებგახსნილი. ლუკინის კოლექცია №399. აფხაზეთის მუზეუმი.

აბგარხუკის განძი. განძი შედგება ბრინჯაოს ექვსი სამაჯურისაგან. აღმოჩენის წელი 1930 (ნივთი №38). ლუკინის კოლექცია კატ. 38. აღმოჩენის ადგილი სოფ. აბგარხუკი, გუდაუთის რაიონი.

აბგარხუკის განძი. ბრინჯაოს ცული და საკისრე რგოლი, აღმოჩენის წელი 1908, სოფ. აბგარხუკი, გუდაუთის რაიონი. ნაპოვნია მიწის სამუშაოების დროს. დაცულია აფხაზეთის მუზეუმში (ლუკინის კოლექცია კატალოგი №2) (Лукин Л. Н. 1941: ტაბ. XV, 3-4).

აბგარხუკის განძი. ბრინჯაოს ორი სამაჯური. აღმოჩენის თარიღი 1909 წელი. დაცულია აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში (ლუკინის კოლექცია კატ. №3) (Лукин Л. Н. 1941: 48, ტაბ. XIV, 2; Воронов Ю. Н. 1969: 23; აფაქიძე ჯ. 2006: 78).

ლიხნი-აბგარხუკის განძი. განძში შედიოდა 35 ბრინჯაოს ცული. ი. ვორონოვის მიერ ეს ცულები ცხრა ტიპადაა დაყოფილი. ხოლო მ. ტრაფმი ოთხ ტიპს და ერთ ქვეტიპს გამოყოფს. ჯ. აფაქიძის აზრით ლიხნის განძის ცულები რვა ტიპად უნდა დაჯგუფდეს.

1. ტიპის სიგრძე-13.1 სმ, პირის სიგანე-7.1 სმ, სატარე ხვრელის დმ-2.9 სმ, წონა-560 გრ (ამ ტიპის ცული ერთ ეგზემპლარად არის წარმოდგენილი და ზომები ტრაფმსა და ვორონოვს განსხვავებული აქვს მოცემული).

2. შემდეგი ცული მოკლეა, ჩაქურჩისებური ყუით, მრგვალი სატარე ხვრელით, ექვსად დაწახნაგებული ტანით, სიმეტრიულად მომრგვალებული სამუშაო პირით. სიგრძე-19.2 სმ, პირის დმ-7.6 სმ, სატარე ნახვრეტის დმ-3 სმ, წონა-780 გრ.

3. ცული ჩაქურჩისებური ყუით, სატარის კედლებზე სამი მკვეთრი ნიბურით, რომელთა შორის ორი ფართო ღარია მოთავსებული, ოთხწახნაგა ტანით და დაბალი, სამუშაო ნაწილში ოდნავ გაფართოებული პირით. ზომები: 20.0-21.0 სმ, პირის სიგრძე-6.0 სმ, სატარე ნახვრეტის დმ-3.0-3.8 სმ.

4. ცულები ორფერდა წახნაგოვანი დაქანებული ყუით, მრგვალი სატარე ხვრელით, წინა უკანა და სატარე ძირებზე ქიმისებური წამონაზარდებით, შედარებით მოკლე ექვსწახნაგა ტანით და დაბალი გორდა ასიმეტრიული პირით. ზომები: სიგრძე 16.2-18.3 სმ, პირის სიგანე-7.7-8.6 სმ. წონა დაახლოებით-650 გრ.

5. ცული ორფერდა, შესამჩნევად დაშვებული ყუით, ექვსად დაწახნაგებული ტანით, თითქმის სიმეტრიულად მომრგვალებული პირით. ცულს შემდეგი ზომები აქვს: სიგრძე-17.1 სმ, პირის სიგანე-8.4 სმ, სატარე ხვრელის დმ-2.9 სმ.

ცულის ორფერდა ყუის უკანა ნაწილი შესქელებულია, სატარე ნახვრეტები წვეტიან-ოვალურია, დაბალი და გორდა, პირი ასიმეტრიულია. ცულის ზომები: სიგრძე-17.7 სმ, პირის სიგანე-8.8 სმ, სატარე ხვრელის დმ-5.5X2.0 სმ.

ცულები მაღალი ორფერდა ყუით, ჩამოყალიბებული უპირველესად ოვალისებური ფორმის ქიმისებური შვერილებით, სატარე ხვრელის უკანა მხარეს დაბალი ასიმეტრიული გორდა პირით. ზომები: სიგრძე-17,7 სმ, პირის სიგანე-7.5-9.0 სმ, სატარე ხვრელის დმ-2.5-4.2 სმ. ცულების წონა მერყეობს, საშუალოდ-650 გრ.

ამგვარად ცულები ცხრა ეგზემპლიარითაა წარმოდგენილი. აღმოჩენილია 1952 წელს, დასახლება აბგარხუკში, სოფ. ლიხნის სამხრეთ გარეუბანში, გუდაუთის რაიონში. განძი ნაპოვნია მინის სამუშაოების დროს. საკარმიდამო ნაკვეთზე ლ. არჯანიას მიერ. არქეოლოგიური სამუშაოები შემდგომ ჩატარებული იყო მ. ტრაფმის მიერ, მაგრამ უშედეგოდ. სულ აქ აღმოჩნდა 40 ცული, მაგრამ ნაწილი დაიკარგა. მასალა დაცულია აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში (ქორიძე დ. 1965: 12; Воронов Ю. Н. 1969: 21, ტაბ. XXXIV, 9, 12-14, 16, 17; Трапш М. М. 1970: 174-183, ტაბ. VIII, სურ 12-15; აფაქიძე ჯ. 2006: 68).

ქვემო ეშერა. ვერეშჩაგინის ბორცვის განძი. განძი შედგებოდა სამი ცულისაგან, ოთხი შუბისპირისაგან, 18 მძივისაგან. გარდა ამისა აღმოჩნდა რკინის თერთმეტი შუბისპირი და ერთი სატევარი.

1. ცული მახვილი, ოდნავ დაქანებული ყუით, წვეტიანი ოვალური სატარე ხვრელით, ექვსად დაწახნაგებული ტანით, სიმეტრიულად მომრგვალებული პირით, სიგრძე-18.8 სმ, წონა-500 გრ.

2. ცული დაწახნაგებული ყუით, სწორი შუბლით, წვეტიანი ოვალური სატარე ხვრელით, ექვსად დაწახნაგებული ტანით და გორდა ასიმეტრიული პირით, სიგრძე-17 სმ, პირის სიგანე-6.3 სმ, წონა-415 გრ. 3. ბრინჯაოს შუბისპირი ორი ტიპის. ერთს ლანცეტისებური ფორმის პირი აქვს და გახსნილი მასრა. მისი საერთო სიგრძე 36 სმ-ია. დანარჩენ სამ შუბისპირს დაფნის ფოთლისებურ პირზე მკვეთრი ქედი დაუყვება. ტარის დასაგები მასრა მრგვალგანიკვეთიანია, გვერდზე გაუხსნელია. ამ შუბისპირის საერთო სიგრძე 16-17 სმ-ია. რკინის შუბისპირი ორი ტიპითაა წარმოდგე-

ნილი: ცხრა ლანცეტისებურპირიანია და ორი დაფნის ფოთლისებურპირიანი. სატევარი ყუნწიანია, სატარე პირზე გრძივი ქედით, წვერი მოტეხილი აქვს. სიგრძე 30სმ-ია. მძივები მომრგვალო, პატარა ზომის. აღმოჩენილია 1969 წელს სამშენებლო სამუშაოების დროს შემთხვევით, სოფ. ეშერაში მდებარე ვერეშჩაგინის ბორცვის ნაწილში, 0.4-0.5 მ სიღრმეზე მიწის ზედაპირიდან. ეს აღმოჩენები 50 მ-ით არის დაშორებული 1930-1934 წლებში ბ. კუფტინის მიერ გათხრილი სამარხი ურნებიდან (Шамба Г. К. 1984: 25-29, სურ. 13, 13ა, 14, 1ა, 2; აფაქიძე ჯ. 2006: 69).

ლერქოფის განძი შეიცავს ბრინჯაოს ცულს და რამდენიმე სეგმენტურ იარაღს. აღმოჩენილია 1933 წელს ლერქოფში, სოხუმის დასავლეთ ნაწილში. დაცულია აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში (Воронов Ю. Н. 1969: 31; აფაქიძე ჯ. 2006: 69).

ბრინჯაოს ნივთის განძი სოხუმის მთის სამხრეთ წვერზე. 12 მსხვილი და მცირე ზომის ცულები (XXXIV 18), ცულები ასიმეტრიული პირებით, სამად დაკუთხული სატარე ნახვრეტით და ლურსმისებურ ნამახვილებული ყუით. ზოგიერთ შემთხვევაში ყუა ცულის გარეშეა შესქელებული (XXXV, 15). ცულების სიგრძე-17.5-21.8 სმ. გარდა ამისა აღმოჩნდა ორი ნატეხი ზემოთ აღწერილი ცულების მსგავსი იარაღები, დანისპირები, ორი სპილენძის ზოდი. განძი დათარიღებულია ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოთი და I ათასწლეულის პირველი ათეული წლებით. დაცულია აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში (Воронов Ю. Н. 1969: 32; კალანდაძე ა. 1954: 74-76; აფაქიძე ჯ. 2006: გვ. 66).

§2. აფხაზეთის აღმოჩენილი ბანძები.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხურ-აფხაზური კულტურის შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ ლითონის ნივთების შემცველ „განძებს“, ანუ ბრინჯაოს ნივთების ჯგუფს ჩანყობილს სხვადასხვა ჭურჭელში ან შეხვეულს საგანგებო საფენში და ჩაფლულს მიწაში.

განძების არსებობა ძირითადად კოლხეთში აღინიშნება, თუმცა ვხვდებით საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. რაც შეეხება მეზობელ რაიონებს, სომხეთსა და აზერბაიჯანს, მათი იქ მოპოვების შემთხვევები არ აღირიცხება. ჩრდილო კავკასიაში მათი აღმოჩენის სულ რამდენიმე შემთხვევაა ცნობილი.

ევროპაში განძების არსებობას და კვლევას ხანგრძლივი ისტორია აქვს. დაახლოებით 150 წელია იქ „განძები“ აღმოჩენილია სხვადასხვა ადგილებში, სხვადასხვა პირობებში, მაგალითად: ტრიალ მინდორში, ტყეში, გამოქვაბულში, მდინარეთა ნაპირებზე ქვიშაში, ტბებში, ტორფნარებში. მაგრამ არცერთი შემთხვევა არქეოლოგიური სამუშაოების დროს მათი მოპოვებისა არ არის. ევროპელები მათ საკულტო ხასიათის შეწირულობად მიიჩნევენ. კოლხური და აფხაზური განძები ძირითადად ერთგვაროვანია, შედგება სხვადასხვა სახეობის ბრინჯაოს ცულებისაგან, სეგმენტური იარაღების, თოხების, წალღების, ნამგლებისაგან ან მათი ნატეხებისაგან. ვხვდებით მათთან ლითონის ზოდებს, დისკოებს, ყალიბებს. ამგვარად კოლხურ განძებში შემავალი ნივთები შეიძლება სამ კატეგორიად დაიყოს: 1. ცულების, სეგმენტური იარაღების და თოხების შემცველად. 2. შერეულ განძებად, რომელიც სხვადასხვა დანიშნულების ნივთებს შეიცავს: იარაღს, სამკაულებს და სხვას და 3. სპილენძის ზოდების შემცველებად.

განძების არსებობა კოლხეთში შემთხვევითი არ იყო. ამას თავისი წინაპირობა გააჩნდა, რაღაც სხვადასხვა ფაქტებთან იყო დაკავშირებული. მაგალითად მეურნეობის წინსვლასთან, მეტალურგიის განვითარებასთან და ახალი რწმენა-წარმოდგენების დამკვიდრებასთან.

უკვე ადრე ბრინჯაოს ხანაში იწყება კოლხეთის ბარის დასახლება. პირველი სამოსახლოები დასტურდება კოლხეთის ზღვისპირა ზოლში. მაგ. კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ქობუ-

ლეთის მხარეში და ჩრდილო-დასავლეთში მდ. რიონის ქვედა წელის რეგიონში. კოლხეთის ცენტრალური ნაწილის ათვისება უფრო გვიან იწყება. კოლხეთის დაბლობში უკვე ადრე ბრინჯაოს ხანაში ვხვდებით ჩამოყალიბებულ სამეურნეო იარაღებს, განსაკუთრებით თოხისა და ცულის სხვადასხვა სახეობებს. მათ ემატება კიდევ სხვა იარაღები.

ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარში (შუა ბრინჯაოს ხანაში) კოლხეთის დაბლობის ენერგიულ ათვისებასთან ერთად იწყება მეტალურგიის მძლავრი განვითარება. კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე რაჭაში, მთიან აფხაზეთში აღმოჩენილია სპილენძის მოპოვების უძველესი კერები, ძველი მალაროები თავისი გამონამუშევრებით, შრომის იარაღებით, უროებით, გობებით, სანაყებით.

იმ დროს ლითონის ნივთების დასამზადებლად ძირითადად დარიშხანიან, ანთიმონიან სპილენძს იყენებენ, რომელიც მოგვიანებით კალამ შეცვალა. ცალკეული მეტალურგიული კერა ცალკეულ რეგიონთან იყო დაკავშირებული. მელითონობა ამ დროიდან მოკიდებული დამოუკიდებელ დარგად იქცევა. კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც განძების გაჩენით კავშირდება, ეს არის ახალი რწმენის დანერგვა-შემოსვლა.

ო. ლორთქიფანიძემ დამაჯერებლად დაასაბუთა კოლხური კულტურის ნიაღში არსებული განძების საკრალური ხასიათი და მიიჩნია ისინი მინის ღვთაებისადმი მიძღვნილ შეწირულებად. მისი აზრით არა მარტო განძები, არამედ მინაში აღმოჩენილი ცალკეული ნივთი წარმოადგენს ღვთაებათა შეწირულობას. მინაში მათი ჩაფლვა იმით იყო გამოწვეული, რომ არ არსებობდა საგანგებო სამლოცველოები, ისეთები როგორც კახეთში მელილელე, მელაანი, შილდა იყო. ამან გამოიწვია მინაში მათი ჩაფვლის წესი (ლორთქიფანიძე ო. 2001: 178-188).

უცხოელები მინაში ჩაფლული განძების უკან დაბრუნების შესაძლებლობას არ გამოირიცხავენ, რაც კოლხეთში და საქართველოში აღმოჩენილ განძებში არ შეინიშნება.

კოლხეთში არსებულმა ბრინჯაოს ნივთების შემცველმა „განძებმა“ კარგახანია მიიქცია უცხოელ არქეოლოგთა და მეცნიერთა ყურადღება, მაგრამ ვინაიდან ყველა მათგანი შემთხვევით იყო აღმოჩენილი, ეს ართულებდა მათი ქრონოლოგიის დადგენის საკითხს.

აფხაზეთში აღმოჩენილი განძის დათარიღება იოლ საქმეს არ წარმოადგენს, რადგან მათი რიცხვი 65-70 აღწევს. უნდა შევეხოთ არქეოლოგ დომენტი ქორიძის ნაღვანს კოლხური კულტურის, კოლხური „განძების“ გავრცელებისა და დათარიღების საკითხში (ქორიძე დ. 1965). მან აღნიშნა, რომ „განძები შუა ბრინჯაოს ხანიდან იწყებენ გავრცელებას. ყველაზე ადრეული ნივთების შემცველი განძი აღმოჩენილია ურეკის ტერიტორიაზე. იგი შედგება 23 ნივთიდან. აქედან 19 ცული იყო, 4 ბართოხი. აქ ვარაუდობენ ყუამილიან და ყუადაშვებულ ცულებს, აქედან 6 ყუამილიანია, ყუადაშვებული, ვინროტანიანი, 8 ცალი ბართოხია და მისი ფრაგმენტი, 2ც. ბრტყელი საფხეკია. ყველა ეს მონაპოვრები ყუამილიანი ცულების საფუძველზე ძვ. XVIII-XVI საუკუნით დათარიღდა (ტაბ. II-III).

თუმცა ურეკის განძი აფხაზეთის ტერიტორიაზე არ არის აღმოჩენილი, მაგრამ მისი ინვენტარი აფხაზურ კოლხური და სხვა იმ დროის განძების იდენტურია.

დ. ქორიძემ ცალკე გამოყო ძვ. XVI-XIV და XIII საუკუნის სანყისი პერიოდის განძები. განძების დათარიღებისათვის ყურადღება ცულებზე გაამახვილა. მან კოლხური ცულებისათვის განვითარების სქემა შეადგინა: I ეტაპი ძვ. წ. XIV-XII სანყისი პერიოდით დაათარიღა. ამ ჯგუფში შეიტანა ცულების პირველი სახეობა. მეორე ეტაპზე ძვ. წ. XI-VIII საუკუნის ცულები შეიტანა. მანვე მოგვცა მეორე სახეობა თავისე ქვესახეობით. მესამე სახეობა, მეოთხე სახეობა თავისი მეოთხე ქვესახეობით (ტაბ. IV).

დ. ქორიძემ ცალკე გამოყო ძვ. წ. XVI-XIV საუკუნეებისა და XIII საუკუნის სანყისი პერიოდის ადრეული განძები. განძების დათარიღებისათვის, როგორც ავლნიშნეთ, ყურადღება ცულებზე გაამახვილა. ასეთებია პილენკოვოს აღმოჩენები. ეს განძი შედგება ორი ცულისაგან. მათთვის

დამახასიათებელია დაქანებული ორფერდა ყუა, მრგვალი სატარე ხვრელი. ხვრელის ბოლოზე, როგორც შუბლის ისე ილლიის მხარეზე, ქიმისებური შვერილები. ექვსად დანახნაგებული ტანი და მომრგვალებული შედარებით დაბალი პირი.

შემდეგია 1935 წელს აღმოჩენილი გაგრის განძი, რომელიც ბ. კუფტინის ცნობით 10 ცულისაგან შედგებოდა. ა. იესენის მიხედვით განძში შედიოდა პილენკოვოს ცულების მსგავსი ცული. ამჟამად დარჩენილია მხოლოდ ერთი. იგი აღნაგობით პილენკოვოს ცულების მსგავსია, მაგრამ მას უკვე სწორი ტანი აქვს, მეტად მომრგვალებული პირი და სატარის ძირზე უფრო მკვეთრად გამოხატული ქიმისებრი შვერილები.

ძვ. წ. XIV-XIII საუკუნეებს მიეკუთვნება ბიჭვინთაში 1935 წელს აღმოჩენილი განძი, რომელიც 8 ცულისაგან შედგებოდა. აქედან ცულები სხვადასხვა სახეობისაა. ერთი იმეორებს გაგრის ცულის სახეობას იმ განსხვავებით, რომ ყუა დამრეცად აქვს გადაკვეთილი. მეორე ცული კოლხური ცულების პირველ სახეობას განეკუთვნებოდა მახვილი ყუით, შვეული ტანით, დაბალი გორდა და მკვეთრად ასიმეტრიული პირით, წვეტიანი ოვალური სატარე ხვრელით, ფხასთან ოდნავ გაგანიერებული პირით. მეხუთე ცულს მოკლე ფართო ტანი აქვს, ორფერდა ყუა, მილისებური სატარე ხვრელი, სამუშაო ნაწილთან გაფართოებული პირი.

ამავე პერიოდს მიაკუთვნებს დ. ქორიძე ლიხნის განძს. იგი სხვადასხვა 35 ცულისაგან შედგება. ეს ცულები იმეორებენ ბიჭვინთის განძის ცულებს, მაგრამ ლიხნის განძში შედის სხვადასხვა სახის ცულები. ამ ცულებიდან 12 გაგრა-ბიჭვინთის ცულების მაგვარია, 12 ცალი კოლხური ცულების პირველ სახეობას ეკუთვნის, 10 – მეორე სახეობას, ერთიც ბიჭვინთის დაბალტანიანი ცულის ზუსტი გამეორებაა.

ასევე თარიღდება სოხუმის მთის წვერზე 1951 წელს აღმოჩენილი განძი, რომელიც შედგება II სახეობის და II ქვესახეობის 12 დიდი და მომცრო კოლხური ცულისაგან და ცულის ორი ნატეხისაგან, ბარის მოყვანილობის სეგმენტური იარაღის ფრაგმენტებისა და 3 სპილენძის ზოდისაგან.

დიდ ინტერესს იწვევს თავილონის განძის დათარიღების საკითხი. ის განძი ცულებთან ერთად ცულების ყალიბებსაც შეიცავდა (ტაბ. V). ერთერთი ყალიბი ისეთი ცულის ჩამოსასხმელად იყო განკუთვნილი, რომელსაც ყუა და სატარის ზემო ნაწილი გრავირებული ქონდა. მეორე ყალიბი საყოველთაოდ გავრცელებულ კოლხური ცულის ვარიანტს განეკუთვნება. ამგვარად ყალიბების მიხედვით განძი საბოლოოდ ჩამოყალიბებული კლასიკური კოლხური ცულების არსებობის პერიოდს განეკუთვნება. მასში შემავალი დიდი ზომის ბარისებრი იარაღი შედარებით ადრეული ჩანს. ასეთი იარაღი აღმოჩენილი იყო სოხუმის მთის განძში, ხოლო აღნიშნული ძეგლი ძვ. წ. XIII-XII საუკუნეებით თარიღდება. უფრო გვიანდელი არ უნდა იყოს დიდი ზომის სეგმენტური იარაღები ნაპოვნი სოხუმში, თელოვანში, ზემო სიმონეთში. აღნიშნული ძეგლების თარიღი კი დაახლოებით ძვ. წ. II ათასწლეულის უკანასკნელ საუკუნეებს ემთხვევა. თავილონის განძის თარიღი დაახლოებით ძვ. წ. II და I ათასწლეულის მიჯნით ძვ. წ. X-XI საუკუნეებით განისაზღვრება.

დ. ქორიძე მიიჩნევს, რომ ზემო აღნიშნული განძები, რომლებიც შეიცავენ I სახეობის კოლხურ ცულებს, ერთი განსაზღვრული პერიოდის ძეგლები უნდა იყვნენ, მაგრამ განძების ქრონოლოგიური საზღვარი პროტოტიპების მეშვეობით უნდა დადგინდეს.

პილენკოვოს, გაგრის, ბიჭვინთის, ლიხნის განძები მხოლოდ ცულებისაგან შედგება და ძირითადად ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებით თარიღდება (ტაბ. VIII). მათ საერთო დამახასიათებელი თვისება აქვთ, მაგ. მრგვალი სატარე ხვრელი, მახვილი ყუა, დაბალი ოდნავ მომრგვალებული სიმეტრიული პირი, ექვსად დანახნაგებული ტანი და მეტნაკლები სიგრძის ნანაზარდები. ეს ცულები იმეორებენ ურეკის ცულებს, განსხვავება სატარე ხვრელის მოყვანილობაშია. ურეკის განძის თარიღი წინ უსწრებს აფხაზეთის ცულების თარიღს. ბიჭვინთისა და ლიხნის განძების შემადგენლობაში მრავლადაა ადრეული ეტაპის I სახეობის კოლხური ცულები. ასეთი ცულები საყოველ-

თაოდ ყოფილა გავრცელებული ერთიანი დასავლეთ ქართული კულტურის ფარგლებში ძვ. წ. XIII საუკუნიდან ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო პერიოდად და აქ წამყვანი ადგილი კვლავ ცულებს უკავიათ, რომელთაგან მრავალი განირჩევა მხატვრული გაფორმებით, განსაკუთრებით III და IV სახეობის ცულები (ტაბ. VI).

ბიჭვინთის, ლიხნის განძის ზედა ქრონოლოგიური საზღვრის დადგენის დროს, ერთგვარ სამსახურს გვინევს სოხუმის მთის განძი. სხვა ნივთებთან ერთად იგი 13 ერთეულს და II სახეობის კოლხურ ცულს შეიცავს. ამ ცულების ერთი ნაწილის მეშვეობით განძი უკავშირდება ბიჭვინთის, ლიხნის განძს. სოხუმის განძის შესწავლისას ყურადღება გამახვილდა ამ ცულების არქაულობის ნიშნად მიჩნეულ ჩამოსხმის შედგად მიღებულ ნაკლზე. ალ. კალანდაძე პილენკოვოს, ბიჭვინთის და სოხუმის მთის განძის ცულებს ერთიმეორეს მომდევნო ცულთა რიგებში აქცევს და ამდენად შესაძლებლად თვლის სოხუმის განძის ცულების ამ ცულების წინამორბედად მიჩნევას. დ. ქორიძე სოხუმის განძს ძვ. წ. XII-XI საუკუნეებით ათარილებს, თავილონისას – ძვ. წ. XI-X საუკუნეებით.

კოლხური და აფხაზური განძების შემადგენელ ნაწილს სეგმენტური იარაღი წარმოადგენს. ეს სახელწოდება თავისი ფორმის გამო მიიღო. სეგმენტური იარაღები ერთმანეთისაგან განსხვავდება ზომით, მხრების გამართვით. ზოგიერთს მხრები ჰორიზონტალურად აქვს გაშლილი, ზოგს ნამგალა მთვარესავით, ზოგს ტანი ბრტყელი ცულის პირს მიუგავს, ზოგ სეგმენტს ზედაპირი ირიბი ნაჭდევებით აქვს დაფარული. ძირითადად ყველანი ერთნაირია. ნ. ხომტარია (1951) ფიქრობდა, რომ სეგმენტი თოხის ერთ-ერთი სახეობა უნდა ყოფილიყო. ბ. კუფტინი მას ბარის ტიპის იარაღად მიიჩნევდა, რომელსაც ბალში და ბოსტანში ხმარობდნენ (Куфтин Б. 1949: 318).

ბიტელი (1938) სეგმენტს „ნყვილცულად“ თვლიდა. მ. ნიორაძის აზრით თვითოეული სეგმენტი ცალკე უნდა შეისწავლებოდეს (ნიორაძე მ. 2011: 85). მას შესაძლებლად მიაჩნია ზოგიერთი მათგანის ნიჩბად ხმარება, ზოგიერთის – საომარ ცულად, ზოგის – თოხად, ზოგის – ტყავის დასამუშავებელ იარაღად, ტყავის საჭრელ დანად. ო. ლამბაშიძის აზრით თუ ეს ასეა, ეს იარაღი მესაქონლე ტომებთან და მათ ყოფასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული (ლამბაშიძე ო. 1963). არ არის გამორიცხული, რომ მას მიწის ნაკვეთის ტყისაგან გასათავისუფლებლად იყენებდნენ ან ხის ქერქის გასაცლიებლად, შეიძლება სახნისადაც. გამოთქმულია მოსაზრება მისი ფულის ფუნქციად გამოყენებისაც.

სეგმენტის განსხვავებულ ფუნქციაზე შეიძლება ვივარაუდოთ, მაგრამ გამოყენებაზე გადამწყვეტი თქმა ძნელია.

ამგვარად, გალის განძის მიხედვით სეგმენტის ქვედა საზღვარი ძვ. წ. XI საუკუნეს არ უნდა გადასცდეს, ხოლო ზედა – კოლხური ცულის მიხედვით ძვ. წ. VI საუკუნემდე ვრცელდება.

ჯაფარიძის აზრით სეგმენტს ორი ფუნქცია უნდა ქონოდა დაკისრებული, როგორც მიწის დასამუშავებელ იარაღს მებალეობაში, მებოსტნეობაში, მევენახეობაში. პატარა სეგმენტს ხის ქერქის დასამუშავებლად იყენებდნენ ალბათ, არ არის გამორიცხული მისი საცვლელ ნივთად გამოყენება ან ფულის ფუნქციად.

სეგმენტური იარაღის კლასიფიკაცია მოცემული აქვს ლ. სმირნოვს, დ. ქორიძეს, გ. ლორთქიფანიძეს. ზოგადად მოიხსენიება ბ. კუფტინის, ო. ლამბაშიძის, ალ. რამიშვილის ნაშრომებში.

ბ. კუფტინს პატარა პირიანი სეგმენტები დიდ პირიანებზე ადრენდელად მიაჩნია და დიდპირიან სეგმენტებს თვლის მათ სრულყოფილ ფორმად.

ო. ლამბაშიძე (1963) თხმორის განძში შემავალ სეგმენტებს ხუთ ჯგუფად ყოფს და იძლევა მათი განვითარების სქემას.

ლ. სახაროვა (1964) მაცნე №1 გვ. 159, სეგმენტური იარაღის 3 ტიპს გამოყოფს და ეყრდნობა მათ სახეობრივ დანაწილებას. ზომებს, წონას ნაკლებად აქცევდა ყურადღებას. გ. ლორთქიფანიძე გამოყოფს წონის მიხედვით სეგმენტური იარაღის სამ ტიპს 260-200 გრ, 160-100 გრ, 100-50გრ.

სეგმენტი წონის ერთეულად მიაჩნია.

დ. ქორიძეც სეგმენტის სამ სახეობას გამოყოფს: 1. მცირე მორკალურ პირიანს; 2. ძლიერ მორკალურ პირიანს თითქმის მართკუთხა ყუნწით და შედარებით პატარა პირით; 3. ძლიერ მორკალური პირიანს მართკუთხა ფორმის ყუნწით.

მეორე სახის სეგმენტების გამოჩენა არსებული მასალის მიხედვით ძვ. წ. XIII საუკუნის მიწურულსა და ძვ. წ. XII საუკუნეს ემთხვევა. დ. ქორიძის მიხედვით გალის განძში შემავალი ცულების გამოჩენა ძვ. წ. XIV საუკუნით იწყება, ხოლო სეგმენტის – ძვ. წ. XIII საუკუნის მიწურულში და ძვ. წ. XII საუკუნის ბოლოში. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის განძებში, შედარებით ცულებთან და სხვა ბრინჯაოს იარაღებთან, საგრძნობლად მცირეა თოხების რიცხვი.

მაგ. ოჩამჩირის განძიდან ცნობილია ერთი მთელი და სამი დაზიანებული ცული, რვა სეგმენტისებური იარაღი, ერთი სატეხი, სხვადასხვა ფორმის ოცი ზოდი და მხოლოდ ერთი თოხია ცნობილი. თოხს თითქმის სწორი მხრები, სწორი ტანი, ფართო პირი აქვს. პირის სიფართო აღემატება იარაღის სიმაღლეს. გალის განძში შედის ხუთი ბრინჯაოს ცული, ოთხი მთელი და ოთხი ფრაგმენტისებური სეგმენტისებური იარაღი. ექვსი ამორფული ზოდი და ერთი თოხი. თოხი პირფართოა, მხრებდაქანებული, მრგვალი სატარე ნახვრეტით, სწორტანიანი, მოხრილი სამუშაო პირით.

ერთი თოხი შედის თავილონის განძში, ამავე დროს რამდენიმე სეგმენტისებური იარაღი. თოხი ფართოპირიანია, მარჯვენა მხარეს მხარი დაშვებულია, მარცხენა მხარეს კი – თითქმის სწორი, ოდნავ აწეული ნიღრით. სატარე ნახვრეტი მრგვალია, სიგრძე-10.0 სმ, პირის სიგანე-12 სმ. სატარე ნახვრეტის დმ-2.1 სმ.

ქვემო ეშერის განძში ერთი თოხი შედიოდა.

თავილონის მეორე განძში ორი თოხი, რომელთაგანაც ერთი გრძელი ფოთლისებურპირიანია მრგვალ სატარე ნახვრეტით. სიგრძე-18 სმ, პირის სიგანე-5.2 სმ, სატარე ხვრელის დმ-2.4 სმ. მეორეც ფოთლისებურპირიანია მრგვალი სატარე ნახვრეტით. მკვლევართა აზრით თოხის არ არსებობა სხვა სოფლის მეურნეობის იარაღთა გვერდით, ალბათ მეურნეობის, შესაძლოა ნიადაგის თავისებურებიდან უნდა გამომდინარეობდეს.

ნივთები დაცულია აფხაზეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (Воронов 1969: 41, ტაბ. XXXVI, 21; Шамба Г. К. 1984: 23, 12).

კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ყველაზე ადრეულად მიჩნეულია ურეკის განძი ძვ. წ. XVIII-XVI საუკუნით. შემდეგი პერიოდით თარიღდება აფხაზეთში პოლენკოვოში აღმოჩენილი განძი ცულები, რომლებიც მის შემადგენლობაში შედიოდა, აგრეთვე გაგრის, ბიჭვინტის, ლიხნის განძები. მათ ძვ. წ. XV-XIV საუკუნეებით თარიღებენ. მათ მოყვება მთელი წყება განძებისა, რომელიც ძვ. წ. XIII-XII, XII-XI საუკუნეებს მიეკუთვნება. ძვ. წ. XI-X საუკუნეებით თარიღდება თავილონის განძი.

აფხაზეთში წარმოდგენილია ძვ. წ. X-VIII საუკუნეების განძები, ხოლო ყველაზე გვიანდელია ძვ. წ. VIII-VII საუკუნეების ურეკისა და კაპროვანის განძები. მათ მიეკუთვნება ადგილ ბომბორაში აღმოჩენილი განძი, რომელიც სრულიად განსხვავდება ადრეული, ბრინჯაოს სამეურნეო იარაღებისა და ლითონის ზოდების შემცველი განძებისაგან.

§3. აფხაზეთის გვიანი ხანის ბანკები.

აფხაზეთის განძები როგორც ავღნიშნეთ ძირითადად ორ ნაწილად იყოფა – ბრინჯაოს სამეურნეო დანიშნულების შემცველ ნივთების ჯგუფად, ლითონის ზოდებად, მცირე რაოდენობით საბრძოლო იარაღებად და მეორე ჯგუფად, სადაც სამეურნეო ხასიათის ნივთებთან ერთად გვხვდება სხვა ხასიათის ნივთებიც: იარაღი, სამკაულები, საყოფაცხოვრებო ნივთები, საკულტო ხასიათის ნივთები მაგ. ქანდაკებები და სხვა. ყველა საკითხების გასარკვევად, რომელიც კოლხურ კულტურას უკავშირდება, ალბათ საჭიროა განძების დაშლა და მათი შემადგენლობის გულდასმით შესწავლა. განძების ქრონოლოგიაზე მუშაობისას დ. ქორიძემ განძების შემადგენელი ნივთები: ცულები, სეგმენტისებური იარაღები, თოხები ცალ-ცალკე შეისწავლა და დაათარილა.

ჯ. აფაქიძემ შეადგინა რა აფხაზეთის გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის განძების სია, შეეცადა მათ ქრონოლოგიურ დალაგებას. (აფაქიძე ჯ. 2006: 66).

ჩვენი აზრით გვიანდელი პერიოდის განძებად უნდა მივიჩნიოთ სამკაულების და სხვადასხვა დანიშნულების ნივთების შემცველი განძები, მაგ. აბგარხუკის განძი (გუდაუთის რაიონი), რომელიც შედგებოდა ბრინჯაოს ექვსი სამაჯურისაგან, რომელიც დაცულია აფხაზეთის მუზეუმში, ლუკინის კოლექციაში, კატ. №38. აგრეთვე ვორონოვის მიხედვით (Воронов Ю. И. 1969: 23) მსხვილი ფეხის რგოლები (შიდა დიამეტრი-5.9სმ, სისქე-2სმ), ფრაგმენტირებული ბრინჯაოს ფიბულა ბრტყელი რომბისებური ზურგით (ტაბ. XVI).

ორი ბრინჯაოს ოვალური სამაჯური. მსხვილი მარცვლისებური ბურთულებით დაფარული ბოლომჩახვეული კისრის რგოლი. იქვეა ბრინჯაოს ცული ჩაქუჩისებური დაბოლოებით, სიგრძე 18 სმ, მისი შებრტყელებული ბოლოები ჩახვეულია, ახლავს ცხენის ბრინჯაოს ფიგურა (Воронов Ю. И. 1969: 23).

ჭუბურხინჯის განძი იდო სამი ლურსმნით დამაგრებულ სახურავიან ჭურჭელში. შიგნით იყო სამი ოქროს ფირფიტა, ორი სპირალური საყურე, ერთი საკიდი, ერთი საკიდი აგრაფი, ერთი ორნამენტირებული ფირფიტა და ორივე მხარეზე ნაჭედი სამი ზოდი ოქროსი და ვერცხლის ოთხკუთხა განივკვეთიანი “ჯოხი” (სიგრძე-6.5 სმ, სისქე-1.25 სმ), ვერცხლის ათი ცალი პატარა ზომის უფორმო ზოდი, ბრინჯაოს ორი ზოდი, ერთი პატარა ნატეხი “უცნობი ლითონისა” და „უცნობი ლითონის“ სადაფის ნატეხი¹ (აფაქიძე ჯ. 2006: 67) (ტაბ. XVIII).

აჭანდარის განძი ასევე სხვადასხვა სახის ნივთების შემცველია. იგი შედგება ბრინჯაოს ორი ცულისაგან, სამი შუბისპირისაგან, ერთი ბეჭდისა და ხარის თავის ქანდაკებისაგან. ცული მახვილყუიანია ექვსად დაწახნაგებული ტანით, ორნამენტირებული. ცულის პირზე ძალის სტილიზებული გამოსახულებაა მოცემული, ძალის თავის ზემოთ ნაძვისებური ნაკანრია. წელზე დატანილია პატარა წრეების სამი რიგი, წელს ზემოთ ყუამდე სატარე კედლის უკანა მხარეს მოყვანილია ზიგზაგი, წინა მხარეს თევზის თუ თევზისებური ცხოველის გამოსახულება. ცული ზემოთ აღწერილის მსგავსია. ცულის პირი შემკულია ჯვრის გამოსახულებით, რომელიც შედგენილია ოთხკუთხედებისა და მართკუთხედებისაგან, წელი და სატარეს ქვედა ნაწილი შემკულია ნაძვისებური ორნამენტით, ხოლო ყუისა და სატარეს ნაწილი – წრეებით. სამივე შუბისპირს დაფნის ფოთლის მოყვანილობა აქვს.

ოთხარას განძი შეიცავდა ბრინჯაოს ერთ ცულს, ერთ ფეხის რგოლს, ერთ მასიურ რგოლს, ერთ საკისრე რგოლს (აფაქიძე ჯ. 2006: 82). ცული მახვილყუიანია, წვეტიანი, ოვალური სატარე ხვრელით ექვსად დაწახნაგებული ტანით და თანაბრად მორკალული, მაღალი სიმეტრიული პირით. ცულის პირის ორივე მხარე შემკულია გრავირებული ორნამენტით, ხუთი რომბისაგან შემდ-

¹ განძების შესწავლის ისტორია წინა თავშია წარმოდგენილი.

გარი ირიბი ჯვრებით, ნელზე ორმაგ პარალელურ ხაზებს შორის მოთავსებული პატარა მრგვალი ნრეებია ოთხ რიგათ 1-16.0 სმ, პირის სიგანე 5.5 სმ. ფეხის რგოლი ელიფსურგანივკვეთიანია, დაზიანებული (დაცული აფხაზეთის მუზეუმი, კატ. 66 14/21). დაშლილი საკისრე რგოლისაგან (აღმორჩენის ადგილი სოფ. ოთხარა, გუდაუთის რაიონი) დაცული აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში (აფაქიძე ჯ. 2006: 84).

ანუხვას (გუდაუთის რაიონი) განძი შედგებოდა ბრინჯაოს სამი ცულისაგან, ერთი შუბისპირისაგან, ორი საკისრე რგოლისაგან, ხელის სამი სამაჯურისაგან, ერთი სარტყლისაგან აბზინდასთან ერთად, ჯაჭვისაგან, სასმისისაგან, ქვის ცულის ფრაგმენტებისაგან და კიდევ სხვა სულ 40 ნივთისაგან. მასალა დაცულია პეტერბურგის ერმიტაჟში.

მიცარის განძი (გუდაუთის რაიონი) (აფაქიძე ჯ. 2006: 8) შედგება ბრინჯაოს ორი სამაჯურისაგან, რომლებიც ერთად არის აღმორჩენილი მინდვრის სამუშაოების დროს. დაცულია აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში.

სხვადასხვა ბრინჯაოს ნივთებს შეიცავდა „ახალი ათონის“ განძი (აფაქიძე ჯ. 2006: 84). იგი შეიცავდა სამ დაზიანებულ ბრინჯაოს შუბის პირს, ერთ დუგმას, ერთ ფიბულას, ერთ სამაჯურს და ერთ თიხის თასს. ცულს მახვილი ყუა უნდა ქონოდა, მოტეხილი ტანი ექვსად აქვს დანახნაგებული. პირი მაღალი და სიმეტრიულად მორკალული უნდა ქონოდა, პირზე ცხოველის სტილიზებული გამოსახულება დატანილი. ცულის ნელი გეომეტრიული ორნამენტითაა შემკული. შუბისპირი ლანცეტისებურია, პირს შუა ნაწილში მკვეთრი ქედი დაუყვება, მასრა გრძელი და გახსნილია, შუბისპირი სამ ადგილზე გატეხილია. მეორე შუბისპირი ორ მკვეთრქედიანი დაფნისფოთლისებური ფოთლისებურ პირიანია. დუგმის მხოლოდ ნახევარია შემორჩენილი. ფიბულა რკალისებურ მშვილდიანია, რკალის ნაწილი რომბისებურად არის გაბრტყელებული. საერთო სიგრძე-9 სმ, სიფართე-4.4 სმ.

ქვემო ეშერის განძი. (აფაქიძე ჯ. 2006: 8) ამ განძში აღმოჩნდა ბრინჯაოს ორი ოვალური ბეჭედი, სისქე-0.7-0.9 სმ, შიდა დმ-5.5-6.5სმ. დაცულია აფხაზეთის მუზეუმში.

ამგვარად გვიან ბრინჯაოს რკინის ხანის მეორე ნახევარში ძვ. წ. I ათასწლეულში საგრძნობლად იცვლება კოლხური განძების შემადგენლობა. თუ ჯერ ვხვდებით განძებს სამეურნეო იარაღებთან ერთად თითო ოროლა სამკაულს, შემდეგ მათი რიცხვი საგრძნობლად მატულობს და ვხვდებით საბრძოლო იარაღებსაც.

ო. ჯაფარიძემ (2003: 195) ხაზი გაუსვა სხვაობას ადრეულ განძებში შემავალ კოლხურ ცულებსა და მოგვიანო ცულებს შორის. კოლხეთში ცულების სამი ძირითადი ტიპია გავრცელებული: შვეულტანიანი მახვილი ყუით, სწორტანიანი, დანახნაგებული ყუით ტანში ორგზის მოხრილი.

ადრეული ცულები შედარებით ტლანქია. უფრო მოგვიანო შედარებით დახვეწილია, ხოლო შემდგომ ახლო მომდევნო პერიოდის განძებში ვხვდება კოხტა, მსუბუქი ცულები თავისებური ორნამენტით შემკული. ადრეული ტლანქ ცულებს ალბათ სამეურნეო ფუნქცია ენიჭებოდა, ხოლო მოგვიანო განძებში აღმორჩენილი ცულები კი უფრო საომარი, შესაძლოა საკულტოც იყოს.

როგორი გამოსახულებები ამკობს კოლხურ ცულებს? პირველ რიგში ცხოველებია გამოსახული, სავარაუდოდ ასტრალური ბუნების მოვლენებთან დაკავშირებული ორნამენტი, მაგ. გატოტვილრქებიანი ირემი, ცხენის გამოსახულებები, უფრო ხშირად მორბენალი ცხენის. ზოგ მათგანზე ჩვენი ვარაუდით მზეა წარმოსახული, ერთ შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს აგრეთვე ვარსკვლავები, ტეხილი ხაზები ცას ან წყალს განასახიერებენ. ერთ შემთხვევაში რაღაც ფრინველის მსგავსი არსებაა მოცემული. რამდენიმე გვიანდელ განძებში წარმოდგენილი შუბისპირის ძირიც, ორნამენტირებულია. ორნამენტი ასტრალურ ღვთაებათა ძლიერების ხანას მიეკუთვნება.

უნდა აღინიშნოს, რომ კოლხური ცულები და სხვა გრავირებით შემკული ბრინჯაოს ნივთები არც თუ ისე დიდხანს არსებობდა. ძვ. წ. I ათასწლეულის საწყის საუკუნეებიდან გამოჩნდა. ლ. ფანცხავა თვლის რომ, მათი გავრცელების პერიოდი ძვ. წ. IX საუკუნის დასაწყისიდან ძვ. წ. IV საუ-

კუნის საწყისი უნდა ვივარაუდოთ, როცა განსაკუთრებით ყვავის კოლხური კულტურა და როცა იწყება მისი დაცემა. (ლ.ფანცხავა 1988. გვ. 89).

ამგვარად ის აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი განძები, რომლებიც გრაფიკული ნესით შესრულებულ კოლხურ ცულებს შეიცავენ, ამავე პერიოდს მიეკუთვნება.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული გვიანდელი აფხაზური და კოლხური განძების გვიანდლობის ნიშნად უნდა მივიჩნიოთ განძებში სამკაულების ჩაყოლება. თავდაპირველად სამკაულები ბრინჯაოსია, ხოლო შემდეგ ძვირფასი ლითონებიდან დამზადებულებიც გვხვდება. უმთავრესად ეს არის სხვადასხვა ფორმის სამაჯურები, ფეხის რგოლები, ბეჭდები, ხვიები, მძივები. სამაჯურებს ზოგჯერ თავები შეკრული აქვს, მაგრამ ხშირად გახსნილი ან ჩახვეული გველის თვების გამოსახულებებით შემკული (ტაბ. XIX-XXI).

უნდა აღინიშნოს, რომ განძებში შემავალი კოლხური სამაჯურები ძალზე ორიგინალურია, მათ პარალელები ნაკლებად მოეძებნებათ. მაგ. ფეხის რგოლი, შიგნიდან ფუყე, ყულანურხვადან. დმ-5.8 სმ, კვეთი რგოლის-2.2 სმ. სქელი ბრინჯაოს რგოლი მომდინარეობს აბგარხუკიდან. მისი შიდა დიამეტრი 5.9 სმ-ია, სისქე-2 სმ. აქედანვე აბგარხუკიდან, მიმდინარეობს ბრინჯაოს ფიბულა რომბისებური ბრტყელი ზურგით.

აბგარხუკიდან მომდინარეობს ორი ოვალური ჩამოსხმული სამაჯური (შიგნითა სიგრძე-4.8 სმ, სიმაღლე შუაში-1.2 სმ. ძირითადი ფირფიტა დაფარულია მსხვილი მარცვლებით, (16 ბურთულა ორივე მხრიდან) ბოლოში ორივე რიგის ბოლო სამი შეკრული ხვით ბოლოვდება.

ანუხვადან მომდინარეობს ორი ბრინჯაოს რგოლი, ჩახვეული ცილინდრული ბოლოებით. საყურადღებოა მძივისებური ბურცობებით შემკული სამაჯურები.

ამ დროის არის ჭუბურხინჯში (აგრეთვე ნოსირში, ფარცხნაყანებში) აღმოჩენილი განძი, სადაც აღმოჩნდა ოქრო მჭედლობის შესანიშნავი ნიმუშები. ძვირფასი ნივთების აღმოჩენას ადგილი ქონდა ამ პერიოდის სხვადასხვა ძეგლებზე ურეკის, ნიგვზიანის, ერგეტის სამაროვნებზე. ეს ნივთები კოლხური საიუველირო ნაწარმის უძველეს ნიმუშებად მიიჩნევა. შესაძლოა რომ აქედან ეყრება საფუძველი კოლხურ ოქრომჭედლობას, რომელიც შემდეგ ვითარდება და მასზე მაღალ დონეს აღწევს. ჩანს საიუველირო ხელოსნობის განვითარებისათვის საკმაოდ მაღალი ეკონომიური და კულტურული დონე არსებობდა. შესაძლოა ოქრო-ვერცხლის ნივთები შემოტანილიც იყოს, მაგრამ ამისთვის როგორც ზემოთ აღვნიშნეთ როგორც ეკონომიური, ისე სოციალური კულტურული დონე უნდა არსებულებოდა.

ხელოვნების მაღალი დონის მაჩვენებელია ბომბორას განძის ნივთები და მათი რაოდენობა.

ერთნილადი რკალისებური ფიბულები საქართველოში ძვ. წ. II-I ათასწლეულის მიჯნაზე ჩნდება. განსაკუთრებით ნ. სულავას გამოკვლევით, VIII-VII საუკუნეშია გავრცელებული, ძვ. წ. VII საუკუნიდან კი ერთნილადი ფიბულების გვერდით ორნილადი ფაბულებიც ჩნდება. საინტერესოა, რომ აფხაზურ სამაჯურზე მოცემული მძივისებური ბურცობები შემდეგ ფიბულებზე გვხვდება და ესენი ბრილში, ყაზბეგის განძში აგრძელებენ არსებობას (ტაბ. XV).

მძივისებური ბურცობებით შემკული სამკაულები არ გვხვდება სომხეთში, არც აზერბაიჯანში და არც ჩრდილო კავკასიაში, მაგრამ ცნობილია ეგეოსური სამყაროდან და წინა აზიიდან. ის, რომ აფხაზეთში შეინიშნება ეგეოსისა და წინა აზიის სამყაროს გავლენა, შენიშნული იყო მკვლევარების მიერ, მაგ. ი. ვორონოვი და სხვა. ამ შემთხვევაში ასეთი ტიპის სამკაულები ამაგრებს აზრს, რომ კოლხური განძების ერთი ნაწილი გვიანდელია და თავისებური შედგენილობისაა (ტაბ. XVI).

საერთოდ, ბრინჯაოს ფუტურო საწვივე რგოლები აფხაზეთის, ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის გარდა სხვაგან არ გვხვდება. ფართოდ გავრცელებული ვინრო სარტყლები, რომლებსაც შუაში ცხოველის თავის გამოსახულება აქვთ, ასევე კონუსის ფორმის სამკაულები ცხოველის თავებით დაბოლოებული, მაგ. ცხვრის, ძაღლის, ხარის, ფრინველის, ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთისათ-

ვის დამახასიათებელია. მაგრამ კოლხეთისათვის დამახასიათებელი ბოლოებდახვეული მასიური მძივები, სპირალურბოლოებიანი ბრტყელი სამაჯურები, ფიბულები ორივეგან გამოიყენება. ჩახვეული ბოლოიანი სამაჯური აღმოჩენილია ბომბორაში. ასეთი შემკულობა ახლავს მომდევნო ხანის ნივთებს (ტაბ. XVII).

აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ადრეული და მოგვიანო განძების ერთ-ერთ დამატარებელ ნიშანს ქანდაკებების არსებობა წარმოადგენს. ყველაზე დიდი რაოდენობით ქანდაკებები აღმოჩნდა ე. წ. ბომბორას განძში. ბომბორას განძში წარმოდგენილი იყო როგორც ორი ანთროპომორფული გამოსახულება, ისე ზოომორფული (ტაბ. IX-XIV).

ერთ-ერთი მათგანი წარმოადგენს სავარძელში მჯდომ ითიფალური მამაკაცის გამოსახულებას ყანნით ხელში. ამ ქანდაკებამ მიიპყრო მკვლევართა ყურადღება და მას ღვინის მსმელის ქანდაკება უწოდეს¹ (ნითლანაძე ლ. 2011: 77-91).

მეორე ქანდაკება, რომელიც შედიოდა ბომბორას განძში, ბავშვიან ქალს ეკუთვნის. მას მარცხენა ხელში ბავშვი უჭირავს, გულზე მიხუტებული ფეხები განზე აქვს დადგმული. სახე გამოუკვეთავი აქვს, უხეშად დამზადებული თავი და კისერი თითქმის არ არის ერთმანეთისაგან გამოყოფილი. როგორც ჩანს აქ წარმოდგენილია ქალი ღვთაება ბავშვით ხელში, როგორც ნაყოფიერების სათავე (ტაბ. VIII, 12).

ეს კულტი მეცნიერთა აზრით წინა აზიიდან შემოდის ამიერკავკასიაში. დღესაც ანკარის არქეოლოგიურ მუზეუმში დაცულია ძვ. წ. მესამე ათასწლეულით დათარიღებული შიშველი ქალის ქანდაკება ჩვილით ხელში. აღნიშნული ქანდაკება და ბომბორას ქანდაკება დიდ მსგავსებას ამჟღავნებს იერთ. ამ ქანდაკების სახით ბომბორას განძში წარმოდგენილია „დიდი დედის“ დედამიწის კულტი. დიდი დედის კულტი ბევრგან იყო კოლხეთში დადასტურებული. ბომბორას ქანდაკება ქალის გამოსახულება ბავშვით ხელში, წარმოადგენს დედა ღვთაებას, როგორც ნაყოფიერების სათავეს.

ამავე განძში წარმოდგენილია სხვა ქანდაკებები მაგ. ვინრო ცხვირიანი დაცქვეტილყურიან ცხოველები. ერთს კუდი სპირალურად დახვეული და ზევით აწეული, პირი ოდნავ გახსნილი აქვს, ფეხები თათებით ბოლოვდება. მეორე ცხოველს გრძელი კუდი აქვს, რომელიც ფეხებამდე აღწევს, ალბათ ცხენი იგულისხმება, მაგრამ არც ფაფარი აქვს, არც ჩლიქები. შესაძლოა ესეც ძალღი იყოს. გარდა ამისა წარმოდგენილია ჩახვეულ რქებიანი და გრძელკუდიანი ცხვარი. მეორე გამოსახულება ცხვარს უნდა წარმოადგენდეს, მხოლოდ ურქებოს. ყველა გამოსახულება მრგვალ ქანდაკებას მიეკუთვნება (ტაბ. IX-XI).

ესენი წააგავენ აგასტაში აღმოჩენილ ზარისებური ნივთებზე მოცემულ გამოსახულებას. ბ. კუფტინის აზრით აქ მოცემული ძალღი უკავშირდება მესაქონლეობას (Б. Куфтин 1941: 237). რომლითაც უნდა ყოფილიყვნენ დაკავებული აქაური მცხოვრებლები. ძალღის კულტს აფხაზთა შორის ბოლომდე გარკვეული საპატიო ადგილი ეჭირა.

ამავე განძს მიეკუთვნება ფრინველის მოზრდილი ბრინჯაოს ქანდაკება (ზომა-6-7 სმ). ჩიტი თითქოს მფრინავ პოზაშია მოცემული. მას საკმაოდ ძლიერი ფეხები აქვს, კარგად გამოყვანილი თავი. მთელი სხეულის ზემო ნაწილი მრგვალი ორნამენტით აქვს დაფარული (ტაბ. VIII, 8).

ბომბორას განძშიც აღმოჩნდა ოქროს ნივთები. მაგალითად თხელი ოქროს ფირფიტისაგან გამოჭრილი სამყურა სამკაული. მათი დანიშნულება უცნობია. მისი სიგრძე 9 სმ-ია. სამყურა ნივთს გამოჭრის შემდეგ ნაპირები შიგნით აქვს შეზნექილი. შესაძლოა თავსამკაულთან იყოს დაკავშირებული. ამგვარად, ბომბორას განძშიც უკვე ჩნდება ოქროს ნივთები. სამკაულებიდან აღმოჩნდა ბრინჯაოს სამსხვიანი როზეტკები (2 1/2 სმ). ქვევიდან ახლავს მისაკერებელი მარყუჟი. აქვე იყო

¹ დაცული პეტერბურგში ერმიტაჟის საცავში.

ორი ტიპის ბრინჯაოს ზარაკი ერთი დიდი რკალით და პატარა ზარაკი მარყუჭით, ორი ბურთისებური მრგვალი გამჭვირვალე თეთრი და ცისფერი მინის მძივი, საფიქრებელია საყურის დანიშნულების, რადგან ნახვრეტში ლითონის კაუჭია შერჩენილი. აქვე აღმოჩნდა ორი სამაჯური, ერთი მრგვალი ბოლოებშებრტყელებული, ხოლო მეორე სამაჯურის ფრაგმენტია (ტაბ. IX).

საერთოდ ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში აღმოჩენილი სამაჯურები მეტად ორიგინალურია. მ. ტრაპში მათგან გამოყოფდა ბრინჯაოს მილისებურ სამაჯურს სამი ქედით, რომელიც მარტო სამკაულად კი არა, თავდასაცავ თუ საომარ საგნადაც მიაჩნია (Трапш М. 1962: 62, ტაბ. XXX) (ტაბ. XVIII). გარდა ამ სამაჯურისა, კულანურხვაში სამაჯურის 7 სხვადასხვა სახეობაა აღმოჩენილი. ამათგან ზოგიერთი ბრილში აღმოჩენილ სამაჯურებს წააგავს, ზოგი კი ისეთივეა როგორც ბომბორას განძში შემავალი სამაჯური. უნდა ვივარაუდოთ რომ ადგილობრივია.

ამგვარად, განძებში შემოდის ახალი სახეობა – სამკაული, რომელთაგანაც ზოგი ადგილობრივია, ზოგიერთები კი მეზობელ ტომებთან ურთიერთობის შედეგია. ფიქრობენ, რომ ცხოველთა გამოსახულებიანი მრგვალი ქანდაკებები ჩრდილოეთიდან, ყობანიდან შემოდის, რომ ეს ურთიერთობა კოლხური განძების არსებობის პირველ ნახევარში უფრო მკვეთრად შეიგრძნობა, ვიდრე მომდევნო პერიოდში. შემდეგ პერიოდში ჩანს ურთიერთობა კოლხეთის ცენტრალურ რაიონებთან და აღმოსავლეთ საქართველოსთან. აქ აღმოჩენილი კოლექტიური, ინდივიდუალური თუ ქვევრ-სამარხები საინტერესო მასალებს შეიცავენ და ეხმაურებიან განძის მასალებს. განძებს ზოგჯერ მცდარად მდიდრულ სამარხულ მასალადაც მიიჩნევენ ერთგვაროვანი შემადგენლობის გამო.

როგორც ჩანს, როგორც მთლიანად კოლხეთში, ისე კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ჩანს ეკონომიური სიძლიერე, რაც მეტალურგიის განვითარების მაღალი დონით უნდა იყოს გამოწვეული. როგორც ბრინჯაოს წარმოება, ისე რკინის ინდუსტრია ხელს უწყობდა განვითარებას. არ არის გამორიცხული ხე-ტყის დამუშავებაც. ყურადღებას უთმობენ ნივთების დეკორის დამუშავებასაც. ამ დროს მთის და ბარის მოსახლეობაც განსაკუთრებით ახლოვდება. როგორც ჩანს ცხოვრების საერთო დონე საკმაოდ მაღლდება. ნამოსახლარების კვალი მრავალგან შეინიშნება, რაც მოსახლეობის სიმჭიდროვის მაჩვენებელია.

ამგვარად, ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში აღმოჩენილი განძებად წოდებული ნივთების ჯგუფი ორად შეიძლება დაიყოს: ადრეულად, რომელიც ქრონოლოგიურად ძვ. წ. XIII საუკუნიდან ჩნდება და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისამდე არსებობს და მეორე ჯგუფი, რომელიც ძვ. წ. VIII საუკუნეზე გვიანდელად არ შეიძლება მივიჩნიოთ. მათი შემადგენლობაც იცვლება. ძირითადად დადასტურებულია სამეურნეო დანიშნულების ბრინჯაოს ნივთები და ლითონის ზოდებთან ერთად სამკაულები, საბრძოლო იარაღები, პირადი მოხმარების და სულიერ სამყაროსთან დაკავშირებული ნივთები, რაც არსებულ საზოგადოებაში არსებულ ცვლილებებზე და მათი განვითარების მაღალ დონეზე მიგვითითებს, რაც შემდგომ კოლხეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბების წინაპირობას წარმოადგენს.

ლიტერატურა

1. აფაქიძე ვ. 1984, გალის განძი. ძეგლის მეგობარი, №66. თბილისი.
2. აფაქიძე ვ. 1985, აფხაზეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ახალი ძეგლები ცენტრალური კოლხეთიდან. „ძეგლის მეგობარი“, 70. თბილისი.
3. აფაქიძე ვ. 2006, აფხაზეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძები. კრებული აფხაზეთი, I. არქეოლოგიური ძეგლები და პრობლემები. თბილისი.
4. ბარამიძე მ. 1979, განძების გავრცელების ქრონოლოგიის საკითხები. სიღნაღში ჩატარებული კონფერენციის თეზისები.
5. გობეჯიშვილი გ. 1959, გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლები დასავლეთ საქართველოში. საქართველოს არქეოლოგია. თბილისი.
6. გოგაძე ვ., დავლიანიძე ც., ფანცხავა ლ., რამიშვილი ალ. 1986, მუხურჩის ექსპედიციის მუშაობის შედეგები 1980-88, VIII. თბილისი.
7. კალანდაძე ა. 1954, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები. სოხუმი.
8. ლორთქიფანიძე ო. 2001, განძები კოლხურ-ბრინჯაოს კულტურაში. ფუნქციის დიფერენციაციისა და კულტურულ-სოციოლოგიური ინტერპრეტაციის ცდა. კრებ. კავკასიის ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები. თბილისი.
9. ნიორაძე გ. 2011, მიცვალებულის ჰაერზე დამარხვა. შრომები I. თბილისი.
10. სახაროვა ლ. 1976, გვიანბრინჯაოს ხანის ლეჩხუმის სამინათმოქმედო იარაღების შესწავლისათვის ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან. თბილისი.
11. სადრაძე ვ., ამირანაშვილი ვ. 2005, ურეკის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.
12. ქორიძე დ. 1965, კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბილისი.
13. ლამბაშიძე ო. 1963, თხმორის განძი. თბილისი.
14. ნითლანაძე ლ. 2011, ბომბორას განძი. კრებული „აფხაზეთი II“. თბილისი.
15. ჯაფარიძე ო, 1953, მიწათმოქმედების იარაღები დასავლეთ ქართულ კულტურაში. თსუ შრომები, 42. თბილისი.
16. ჯაფარიძე ო. 1975, რეცენზია თ. მიქელაძის ნაშრომზე. თსუ შრომები, 162.
17. ჯაფარიძე ო, 2003, საქართველოს ისტორიის სათავეებთან. თბილისი.
18. ჯიბლაძე ლ., ხვისტანი რ. 2006, გალის რაიონის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლების არქეოლოგიური რუკა. ძეგლები და პრობლემები. კრებული აფხაზეთი I. თბილისი.
19. Воронов Ю. Н. 1969, Археологическая карта Абхазии. Сухуми.
20. Иващенко М. М. 1935, Исследования археологических памятников материальной культуры в Абхазии, ЦНИИК, 3. Сухуми.
21. Иессен А. А. 1935, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. ЦГАИМК. Ленинград.
22. Иессен А. А. 1939, Древняя металлургия Кавказа и ее роль в Передней Азии. Москва.

23. Лукин Л. Н. 1941, Материальная по археологии Бзибской Абхазии. ТОИПКГЭ I. Ленинград.
24. Лордкипанидзе Г. О. 1977, О домонетской форме денежного обращения. Нумизматический сборник посвященный памяти Капанадзе. Тбилиси.
25. Стражев В. И. 1936, Бронзовая культура Абхазии ИАНО, IV. Сухуми.
26. Трапш М. М. 1962, Памятники Колхидской и скифской культуры в сел. Куланурхва Абхазской АССР. Сухуми.
27. Трапш М. М. 1970, Памятники эпохи бронзы и раннего железа в Абхазии. Т. I.
28. Трубникова И. 1947, К вопросу о назначении Кобанских сечек. КСИИМГ вып. XVIII. Москва.
29. Шамба Г. К. 1984, Раскопки древних памятников Абхазии. Сухуми.
30. Хоштария Н. В. 1955, Археологические исследования Уреки. მსკა ტ. I. Тбилиси.

ტაბულების აღწერილობა

- ტაბ. I** აფხაზეთში აღმოჩენილი განძების რუკა (ჯ. აფაქიძის მიხედვით).
- ტაბ. II** ურეკის განძი.
- ტაბ. III** ურეკის განძის ცულები.
- ტაბ. IV** კოლხური ცულების განვითარების სქემა.
- ტაბ. V** თაგილონში აღმოჩენილი კოლხური ცულის ყალიბი, სეგმენტისებური იარაღი.
- ტაბ. VI** კოლხური ცულები (ძვ. წ. I ათასწლეული).
- ტაბ. VII** ნივთები აფხაზეთის განძებიდან.
- ტაბ. VIII** ბომბორას განძი (ი. ვორონოვის მიხედვით).
- ტაბ. IX** ბომბორას განძი.
- ტაბ. X** ბომბორას განძი.
- ტაბ. XI** ცხენის ბრინჯაოს ქანდაკება ბომბორას განძიდან.
- ტაბ. XII** ორნამენტირებული ყანწის ფრაგმენტი ბომბორას განძიდან.
- ტაბ. XIII** ორნამენტირებული ყანწი ბომბორას განძიდან.
- ტაბ. XIV** ყანწი ცხოველის ფიგურით.
- ტაბ. XV** ფიბულები აფხაზეთის ძვ. წ. I ათასწლეულის ძეგლებიდან.
- ტაბ. XVI** სამკაულები გუდაუთის რაიონიდან.
- ტაბ. XVII** სამკაულები და სამკაულების ფრაგმენტები ახალი ათონიდან.
- ტაბ. XVIII** სხვადასხვა სამკაულები აფხაზეთის განძებიდან. კისრის რგოლები აბგარხუკიდან.
- ტაბ. XIX** სამკაულები აფხაზეთის განძებიდან.
- ტაბ. XX** სამკაულები აფხაზეთის განძებიდან.
- ტაბ. XXI** სამკაულები აფხაზეთის განძებიდან.

DESCRIPTION OF PLATES

- Pl. I** The map of the sites discovered in Abkhazeti.
- Pl. II** The hoard of Ureki.
- Pl. III** The axes of Ureki hoard.
- Pl. IV** The scheme of development of Colchian axes.
- Pl. V.** The mould of the Colchian axe found in Tagiloni. The segment-type implement.
- Pl. VI** The Colchian axes (I mill. B. C).
- Pl. VII** The objects from the hoards of Abkhazeti.
- Pl. VIII** The hoard of Bombora (accord. I. Voronov).
- Pl. IX** The hoard of Bombora.
- Pl. X** The hoard of Bombora.
- Pl. XI** The bronze sculpture of a horse from the hoard of Bombora.
- Pl. XII** The fragment of the ornamented horn-shaped wine vessel from the hoard of Bombora.
- Pl. XIII** The ornamented horn-shaped wine vessel from the hoard of Bombora.
- Pl. XIV** The horn-shaped wine vessel with the animal figure.
- Pl. XV** The fibulas from the sites of I mill. B. C. of Abkhazeti.
- Pl. XVI** The jewellery from Gudauta District.
- Pl. XVII** The jewellery and the fragments of jewellery from Akhali Atoni.
- Pl. XVIII** Various jewellery from the hoards of Abkhazeti. The necklets from Abgarkhuki.
- Pl. XIX-XXI** The jewellery from the hoards of Abkhazeti.



გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის
ხანის
განძების გავრცელების რუკა აფხაზეთის
ტერიტორიაზე


- განძები
- სავარაუდო განძები

1 პილენკოვო/განთიადი, 2 გავრა, 3 კოლხიდა, 4 ბიჭვინთა-ლიძაუა, 5 ოთხარა, 6 ბომბორა, 7 თაშრაყვა, 8 ლიხნი, 9-11 აბგარსუკი (სამი განძი), 12 აბგარსუკი (სავარაუდო განძი), 13 აჭანდარა-ჯაკუარზვა (სავარაუდო განძი), 14 დიდრიფში, 15 მიცარა, 16 ანუხვა, 17 ახალი ათონი, 18-21 ქვემო


ეშერა, 22 ქვემო ეშერა (სავარაუდო განძი), 23-26 სოხუმი/ლექოფი (ოთხი განძი), 27 სოხუმის მთა, 28 სოხუმი (გუადიხუ), 29 სოხუმი (), 30 ნოვო ჩერნიგოვკა, 31 ფშაფი-ბოგოფოშთა, 32 ფარნაუტი, 33 აგუქერა, 34 წებელდა, 35 ლემსა, 36 ლათა, 37 ათარა-არმიანსკაია, 38 ათარა-აფხაზსკაია, 39 კვიტოული, 40 მერკულა, 41 ლაბრა, 42 კოჩარა, 43 ჭლოუ, 44 მოქვი, 45-46 არადუ (ორი განძი), 47-49 ოჩაშჩირე (სამი განძი), 50 კვეზანი, 51 წარჩე, 52 ლეკუმზარა/პირველი გალი, 53 რეჩხი, 54-58 გალი (ხუთი განძი), 59 ფიჩორი, 60 ჭუბურხინჯი, 61-63 თავილონი (სამი განძი), 64 საბერიო


(გაკეთებულია ჯ.აფაქიძის მიხ.)


ურეკის განძის ინვენტარი




ურეკის განძის ინვენტარი, ცულები










1-4) თაგილონში აღმოჩენილი კოლხური ცულების ყალიბები ა.იესენის მის.
 5) კოლხური ცულის ყალიბი თაგილონიდან გ.ნიორაძის მიხედვით





სეგმენტური იარაღი თაგილონიდან









ვორბორანის მხედევით

















(ნ.სულღვას ნაშრომის მიხ.)

626 (III13d) - წიფლი მუქურა/Tsiteli Shukura; 628 (III13d) - აფსტა/Aafstia;
 632, 633 (III13d) - იაშხუ/ashkhva; 634 (III13d) - სოხუმის მია/Sokhumis Mia;
 638 (III13d) - გუადიხუ/Guadikhu; 639 (III13c) - ეზნეპლი/Ezhnepli.


641 (III13f) - წიფლი მუქურა/Tsiteli Shukura;
 642-644 (III13f), 653 (III14) - გუადიხუ/Guadikhu; 650 (III13f) - აბგარხუ/Abgarkhki;
 651 (III13g) - მუხურა/Mukhureha; 654 (III15) - ეზნეპლი/Ezhnepli; 655 (III16) - მცარი/Mtsar.




სამკაულები გულაუთას რაიონიდან




1. მსიური რგოლი ანუხვადან
2. სამაჯირი ჟამბდან. ბრინჯაო




სამაჯურები



2. პრინჯაოს რგოლები აფხაზეთიდან




1. სამკაულები და სამკაულების ფრაგმენტები ახალი ათონიდან





სხვადასხვა სამკაულები აფხაზეთის განძებიდან



კისრის რგოლები აბგარხუკიდან







თავი VI

აფხაზეთის გვიანბრინჯაო-აღრეპკინის ხანის სამაროვნები.

§1. აფხაზეთის გვიანბრინჯაო-აღრეპკინის ხანის სამაროვნების შესწავლის ისტორია.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია არქეოლოგიურ ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი თავისი მრავალრიცხოვანი და ნაირგვარი ძეგლებით. შეიძლება ითქვას, რომ ფაქტიურად დასავლეთ საქართველოს თითქმის არცერთი რეგიონი არ იყო ისეთი სისტემური კვლევის არეალი, როგორც აფხაზეთი. ამის მიზეზი უპირველეს ყოვლისა ისაა, რომ სადღეისოდ ამ ტერიტორიაზე გამოვლინდა სხვადასხვა პერიოდისა და შინაარსის 1000-მდის არქეოლოგიური ობიექტი. ბუნებრივია, რომ ყოველი მათგანი არც გამხდარა და ვერც გახდებოდა სისტემური, მეცნიერული კვლევის საგანი და მათი მხოლოდ ერთი ნაწილი არის არქეოლოგიურად სრულყოფილად შესწავლილი.

აფხაზეთის არქეოლოგიური შესწავლა ფაქტიურად იწყება XX საუკუნის 20-იანი წლებიდან. ამ დრომდის მოყვარული სიძველის მცოდნეების მიერ ხდებოდა ამ რეგიონში ძირითადად მინისზედა კულტურის ძეგლთა ფიქსირება. გაბატონებული იყო მოსაზრება, რომ ამ რეგიონში არაა ისეთი არქეოლოგიური ძეგლები, რომელიც წინ უსწრებს ანტიკურ ხანას და უნდა განეკუთვნოს ბრინჯაოს ხანას. უფრო მეტიც როდესაც შავიზღვისპირეთის და დასავლეთ კავკასიის მხარეთმცოდნეთა პირველ ყრილობაზე 1924 წ. ა. ლუკინმა წარმოადგინა გუდაუთის რაიონის ბრინჯაოს ხანის მასალა, საზოგადოებას ამ ფაქტისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. მხოლოდ 1926 წ. ვ. სტრაჟევემა მოგვცა აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ბრინჯაოს ხანის ძეგლთა მოკლე მიმოხილვა. მის მიერ ვერ დაფიქსირდა პირველი ცნობა აფხაზეთში დოლმენების არსებობის შესახებ. 1927 წელს ა. ლუკინმა შეისწავლა ააგსთის ორმო-სამარხი, რითაც საბოლოოდ უარყოფილი იქნა მოსაზრება აფხაზეთში ადრეული ძეგლების არარსებობის შესახებ (Трапш М. М. 1970: 90-97). მაგრამ მაინც აფხაზეთის რამდენადმე სისტემატური არქეოლოგიური შესწავლა და პირველი მეცნიერული დასკვნის მიღება დაკავშირებულია მ. ივაშენკოს სახელთან (Иващенко М. М. 1935: 68). მის მიერ მიკვლეული და შესწავლილი იქნა ეშერის დოლმენების ჯგუფი და 4 მათგანი გაითხარა კიდევ. ამასთანავე იქვე მახლობლად გაითხარა აფხაზეთისთვის სფეციფიური ძეგლი ადრეული რკინის ხანის რამდენიმე ოსუარიუმი მეორადი დაკრძალვის რიტუალით.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ადრეული სამაროვნები უცნობია და ერთეული, ძირითადად III ათასწლეულის სამარხებით არის წარმოდგენილი. ამასთანავე კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი და შესწავლილია I ათასწლეულის პირველი ნახევრის 2 ათეულზე მეტი სამაროვანი. სამწუხაროდ მათი უმრავლესობა კოლექტიურია და მათში კომპლექსთა გამოყოფა შეუძლებელია. აღნიშნულის გამო მასალის განხილვა და შესაბამისად ქრონოლოგიის გარკვევის თვალსაზრისით, იძულებული ვართ ვისარგებლოთ ძირითადად ტიპოლოგიური სქემებით და არა სამარხეული კომპლექსებით. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა, სწორედ აფხაზეთის ტერიტორია, სადაც ინდივიდუალური სამარხების არსებობა დოკუმენტურად დადასტურებულია. სამწუხაროდ ისინიც ძირითადად ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ფარგლებში ექცევა. არის მართალია ცდა ამ პერიოდის სამარხების კომპლექსებში გამოიყოს რამდენიმე ადრეული სამარხი (ბარამიძე მ. 1998; დოლიძე ნ. 1999), თუმცა მკვლევართა უმრავლესობა არ იზიარებს. ამ მიმართებით უდაოდ საყურადღებოა მთიანი კავკასიონის ტერიტორია, რომლის სამხრეთ კალთაზე კოლხური კულტურის 2 უაღრესად საყურადღებო სამაროვანია შესწავლილი (ბრილი, თლია). მაგრამ აქ არცერ-

თი მომენტი ალსანიშნავი. აღნიშნული სამაროვნების ქვედა საზღვარი II ათასწლეულის ხანებით თარიღდება და მათი გაჩენა სამხრეთული (კოლხური) მეტალურგი ტომების მიერ მთის რეგიონების ინტენსიური ათვისებით უნდა აიხსნას. ამაზე უადრესი სამარხები კავკასიონის მთიან ზოლში უცო-ბია. მეორე საკითხია რამდენად მისაღებია ამ კომპლექსების გამოყენება ქრონოლოგიური შკალების შედგენის დროს. სიძნელე უპირველეს ყოვლისა იმაშია, რომ მთა მაინც კონსერვატულია და ადრეულ ფორმებს ხშირად გვიანამდის ინახავს.

§2. სამარხის ტიპები და ღაპრძალვის ფუნქციები.

აფხაზეთის ტერიტორიაზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში გვხვდება კოლექტიური და ინდივიდუალური სამარხები, რომლებიც წარმოდგენილია შემდეგი სახეობებით: ორმოსამარხები, ქვევრსამარხები (ოსუარიუმები), დოლმენები და კრომლებები.

ორმოსამარხებში სხვადასხვა ფორმა-მოყვანილობის სამარხი ორმოები განირჩევა, რომლებშიც დაკრძალვის სამი წესი ფიქსირდება: ინჰუმაციური, კრემაციული და მეორადი დაკრძალვა. ჩვენი დაკვირვებით სამარხი ორმოს ფორმა მეტწილად შეესაბამება დაკრძალვის გარკვეულ წესს: მოგრძო და ოვალურ ორმოსამარხებში დაკრძალვა უმეტესად ინჰუმაციურია; ოთხკუთხა ორმოსამარხებში არის ნაწილობრივი კრემაცია, ხოლო მრგვალ ორმოსამარხებში ისრული ან მეორადი დაკრძალვა ნაწილობრივი კრემაციით. ეს უკანასკნელი წესი (მეორადი დაკრძალვა) დამახასიათებელია დოლმენებისთვის, კრომლებებისთვის და ქვევრსამარხებისათვის.

მოგრძო ორმოსამარხებში მიცვალებული ესვენა პირაღმა: ყულანურხვას №2 სამარხი (Трапш М. М. 1970: 105), (ტაბ. VI) სოხუმის მთის ზოგიერთი სამარხი (კალანდაძე აღ. 1954: 20), წითელი შუქურას 77 სამარხი (Трапш М. М. 1969: 149) (ტაბ. VII-XXI), გაგრის სამაროვნის №7, 4, 12, 13, 17, 28, 32, 33, 35, 36, 37, 42, 50, 54, 57 სამარხები (Бжания В. В., Бжания Д. С. 1991: 21) (ტაბ. XII-XIII).

ოვალურ ორმოსამარხებში მიცვალებული ესვენა მარჯვენა მხარეს მოხრილ მდგომარეობაში თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ: წითელი შუქურას 7 სამარხი (Трапш М. М. 1969: 150), გაგრის სამაროვნის 3 სამარხი (Бжания В. В., Бжания Д. С. 1991: 23) (ტაბ. X), მუგუძირხვას ზოგიერთი სამარხი (დოლიძე ნ. 1999: 65) (ტაბ. I).

ოთხკუთხა ფორმის სამარხებში ნაწილობრივი კრემაცია ეწყობოდა თვით სამარხში. ძვლები და ინვენტარი თავსდებოდა სამარხის ძირზე: გუადიხუს 17 სამარხი (Трапш М. М. 1969: 46), სოხუმის მთის ზოგიერთი სამარხი (კალანდაძე აღ. 1954: 19) (ტაბ. XXII).

მრგვალი გრუნტული ფორმის ორმოსამარხები, სადაც მიცვალებულს ათავსებდნენ სრული კრემაციის შემდეგ. კრემაცია ეწყობოდა სამარხებიდან მოშორებით. დარჩენილი ძვლები და ინვენტარი თავსდებოდა სამარხის ძირზე: გუადიხუს 15 სამარხი (Трапш М. М. 1969: 45), სოხუმის მთის სამარხები (კალანდაძე აღ. 1954: 19) (ტაბ. XXII).

უნდა აღინიშნოს, რომ მრგვალი ფორმის ორმოსამარხები არის ინდივიდუალური და კოლექტიური მეორადი დაკრძალვის წესის გამოყენებით, მხოლოდ ინდივიდუალურში ცეცხლის კვალი არ ჩანს, ხოლო კოლექტიურში ხდება ნაწილობრივი კრემაცია. გამონაკლისს წარმოადგენს აკარმარის (ჯანტუხი-ტყვარჩელი) სამაროვანი, სადაც ინდივიდუალურ და კოლექტიურ სამარხებში დაფიქსირდა ცეცხლის გამოყენება. ინდივიდუალურია: წითელი შუქურას 18 სამარხი №52, 52ა, 53, 54ა, 56ა, 66ა, 70-75, 75ა, 76, 76ა, 95 ორმოსამარხები (Трапш М. М. 1969: 150) (ტაბ. XL), სოხუმის მთის ორმოსამარხები (კალანდაძე აღ. 1954: 25), აბგარხუკი (ტაბ. XVII). ამავე ტიპის კოლექტიური ორმოსამარხებია აკარმარას სამაროვანი, როგორც კოლექტიური ისე ინდივიდუალური სამარხებით

ნანილობრივი კრემაციით და დასაკრძალი მოედნით (Шамба Г. К., Шамба С. М. 1990: 19) (ტაბ. XIV-XVI), ფიჩორის (Барамидзе М. В, Чигოшвили Т. Э. 1985: 43-44) (ტაბ. XLIV-XLV), გაგიდის(?) და მერხეულის სამაროვნები (დასაკრძალავი მოედანი) (ბარამიძე მ. 1977: 1-15) (ტაბ. XXV).

როგორც ჩანს ერთი ასეთი სამარხის ნაშთი შესწავლილ იქნა 1976 წელს აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ზემო ეშერაში. სამწუხაროდ შემორჩენილი იყო მხოლოდ სამარხი-ოსუარიუმის ნაწილი მიცვალებულის ძვლების ნაშთებით. სამარხეული ინვენტარიდან შემორჩა მხოლოდ მოყავისფროდ გამომწვარი თხელკედლიანი ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები და ბრინჯაოს რგოლის ნაწილი.

სამარხების მეორე სახეობას წარმოადგენს ქვევრსამარხები (ოსუარიუმები), სადაც მიცვალებულს მეორადი დამარხვის წესით თავით ჩამხობილს ათავსებდნენ ჭურჭელში: წითელი შუქურას ქვევრსამარხები №47, 48, 49, 55, 79, 90, 92, 94 (ტაბ. XXI, XLII-XLIII), ზემო ეშერას (ტაბ. VIII), პრიმორსკოეს (Воронов Ю. Н. 1969: 153), გაგრის, ზვანდრიპის (Воронов Ю. Н. 1978: 257-258) (ტაბ. I), ბოგოფრიპის, ვერემაგინას მთის, ყულანურხვას ქვევრსამარხები (Воронов Ю. Н. 1975: 270-271) (ტაბ. II).

ქვევრსამარხებში (ინდივიდუალური ოსუარიუმები) და მრგვალ ორმოსამარხებში (კოლექტიური და ინდივიდუალური), დადასტურებულია მეორადი დაკრძალვის წესი, რომელიც აფხაზეთის სამარხების გათვალისწინებით ნაკლებადაა შესწავლილი. ამასთან დაკრძალვის ამ წესში თითქოს შესაძლოა დავინახოთ გენეზისი დოლმენებიდან (III ათასწ. შუახანები) და კრომლესებიდან (II ათასწ. I ნახ.-I ათასწ. I ნახ.) გვიან ბრინჯაოს პერიოდის სამარხებზე და შევეცადოთ აფხაზეთის ოსუარიუმებსა და კოლხეთის ადრე ელინისტურ ქვევრსამარხებს შორის რაიმე კავშირის დანახვა.

აფხაზეთის ტერიტორიაზე მეორე ათასწლეულში გაბატონებული ჩანს კოლექტიური სამარხები – დოლმენები და კრომლესები.

დოლმენები და კრომლესები მეგალითური კულტურის ნაირსახეობაა, რომელიც მთელ მსოფლიოშია წარმოდგენილი (ინდოეთი, მთელი ხმელთაშუაზღვისპირეთი, ევროპა, აზია, სამხრეთკავკასია). დოლმენებში გამოიყოფა სამი ჯგუფი: მომცრო, საშუალო და მოზრდილი. ადრეულია მომცრო და ტლანქი, უფრო კვადრატული ფორმის, ინვენტარიც არქაულია (III ათასწ. შუახანები) (Шамба Г. А. 1974: 35). აფხაზეთში ქვის ფილებისგან შეკრული ყუთი – სამარხი საკმაოდ ადრე ჩნდება: ხუაჩისა და ფსირცხას შორის აღმოჩენილი ქვაყუთი არქაული ინვენტარით (კაჟის შუბისპირი, ქვისცული), ეშერის, ოთხარას და ხუაპის ადრეული დოლმენები (Цвинариа И. И. 1989:10). საშუალო ზომის დოლმენები ტრაპეციის ფორმისაა. იგი იგებოდა ყორღანის შუა ნაწილში, რომლის წინ იყო ქვებისგან ნაგები ე. წ. მცირე ეზო. დოლმენსა და ამ მცირე ეზოს თუ დერეფანს გარს ერტყა ბლოკებისაგან შეკრული წრე. წრის ქვების სიმაღლე თითქმის უტოლდებოდა დოლმენის სახურავს. დოლმენს წინა ფასადზე ჰქონდა წინასწარ გაკეთებული ხვრელიანი დოლმენის შესასვლელი. კიურდერეს, აზანტის, სულის, ოთხარას, ეშერას დოლმენები, სადაც ძვლებთან ერთად აღმოჩნდა დიდი ზომის ბირთვისებრი, კასრისებრი, ბიკონუსური წვრილი და ბეჭდისებრი ბრინჯაოს, სარდიონის და ქვის მძივები, ოვალური ფორმის ობსიდიანის საკიდები, ბრინჯაოს რგოლები, ნახევრადსფეროსებრად ფანჯრული ჭვირული საკიდები, რომელიც დოლმენური კულტურის ერთ-ერთი მახასიათებელია, ოვალური და მრგვალი ფორმის 1,5 ხვიის სასაფეთქლე რგოლები, სპირალური ხვიები. ცხვრის რქისებრ თავჩახვეული, თავხვია და სოკოსებრი მაღალყუნწიანი საკიდები, ჩიტისებრი საკიდები სამკუთხა ფორმის კუდებით, ლუზისებრი ნივთები, ბრტყელი სატევრისპირები, ბრინჯაოს დათვის პატარა ქანდაკება, ღორის გახვრეტილი ეშვი, საშუალო და მინიატურული ზომის თიხის ტოლჩები, ობსიდიანის და კაჟის ნატეხები. კიურდერეს ქვედა ფენა ო. ჯაფარიძემ ძვ. წ. მეორე ათასწ. მეორე ნახევრით ანუ შუაბრინჯაოს დასასრულით დაათარილა. ამავე პერიოდისაა აზანტის და სულის დოლმენები. ა. სოლოვიოვმა ეშერის №1 დოლმენი დაათარილა ძვ. წ. 1700-1300 წლებით ოთხ-

არას დოლმენები მეორე ათასწლეულის მეორე ნახევრით თარიღდება. შუა ბრინჯაოს პერიოდიდან დოლმენური კულტურა თანდათანობით კარგავს თავის აქტიურობას, როგორც კულტურა, მაგრამ სამარხად მისი გამოყენება რალაც პერიოდის განმავლობაში კიდევ ხდება და მას თანდათანობით ცვლის კრომლენი დაკრძალვის ანალოგიური წესით, მხოლოდ სამარხიდან ქრება ქვის ფილები. კრომლენიც სარიტუალო ნაგებობაა, სადაც ხდებოდა დაკრძალვა და რელიგიური ცერემონიალის ჩატარება. ერთ-ერთი თეორიის თანახმად, იგი დაკავშირებულია მზის კულტთან, კრომლენი გამ-ოიჩევა თავისი გეომეტრიული სისწორით. შეიძლება ითქვას, რომ როგორც დოლმენებში, ასევე კრომლენებში განვითარება ჰპოვა კაცობრიობის არქიტექტურულმა იდეებმა. კრომლენიც კოლექ-ტიური სამარხია, ოვალური ფორმის, ოთხი კონცენტრირებული წრე – ქვებისგან ნაგები. ემერაში აღმოჩნდა ორი კრომლენი, კრომლენის ძირითადი ნაწილია ცენტრალური მოედანი ანუ პირველი წრის შუაგული, რომელიც იფარებოდა დიდი ზომის ფილებით. სწორედ აქ ხდებოდა მიცვალებუ-ლის დაკრძალვა (მასალაც სწორედ აქაა თავმოყრილი). ძვლებთან და კბილებთან ერთად ინვენ-ტარი აღმოჩნდა წრეებს შორის და კრომლენის გარეთაც. მასალა: პატარა ტოლჩები ჰორიზონ-ტალური ყურით და შევრონისებრი ორნამენტით, მინიატურული ცრუ ყურისანი სასმისები ქუს-ლგამოყვანილი, ვარდისებრსარჩულიანი, ნაძვისებრორნამენტისანი ქოთნები, ბრინჯაოს ფოთლისე-ბრი და ალისებრი სატევრები, ბრინჯაოს ისრისპირები, შუბისპირები, რკინის სამკაპა ისრისპირი, რკინის კვერთხის პირი, რკინის დანა-ხანჯალი, ჭვირული სფეროსებრი დაფანჯრული სამკუთხა ფორმის, თავკვერიანი და წყვილი ცხვრის სტილიზებული გამოსახულებიანი საკინძეები, ბრინჯაოს ლუზისებრი ნივთი, მრგვალი და ოვალური ფორმის სასაფეთქლე რგოლები, ბრინჯაოს ბეჭდები, სამაჯურები, ბრინჯაოს პინცეტები, ბრინჯაოს ჭვირული ნივთის ორი ნატეხი, ბრინჯაოს ხოჭო, ბრინჯაოს ხვია, კასრისებრი, ასიმეტრიული, მრგვალი სეგმენტისებრი სარდიონის მინის, პასტის მძივები, უმბონისებრი და კონუსური ფორმის აბზინდები, ოთხკუთხა ბალთა, რკინის ვოლუტისე-ბრი საკინძი, რკინის წურბლისებრი ფიბულა. კრომლენი დროის დიდ მონაკვეთზე გამოიყენებოდა ადამიანის მიერ როგორც დასაკრძალი ადგილი. ქვედა ზღვარი მისი არსებობისა არის ძვ. წ. მეორე ათასწ. პირველი ნახევარი (ცრუ ყურისანი მინიატურული ჭურჭელი, პატარა ტოლჩები, უტარო სატევრები, ჭვირული სფეროსებრი საკინძი, ბრინჯაოს მასიური კასრისებრი და წვრილი პასტის მძივები), ხოლო ზედა ზღვარი კი გვიან ბრინჯაოს ადრეული საფეხურია (ბრინჯაოს ალისებრი სატევარი, პინცეტი, ბრინჯაოს სავარცხელი, სარდიონის მძივები, რკინის ნივთები). ძვ. წ. პირველი ათასწ. პირველ ნახევარში კრომლენი წყვეტს არსებობას (Шамба Г. К. 1974: 18-25).

დოლმენებისა და კრომლენების დამახასიათებელი ნივთებია:

1. სფეროსებრი დაფანჯრული ჭვირული საკინძი.
2. ცხვრის რქისებრ ჩახვეული საკინძი.
3. ოვალური და მრგვალი სასაფეთქლე რგოლები.
4. ბრინჯაოს მასიური კასრისებრი მძივები.
5. წვრილი პასტის მძივები.
6. მინიატურული ჩიტებისა და ცხოველების საკიდები.
7. ლუზისებრი ნივთი.
8. ფოთლისებრი სატევარი.
9. მინიატურული თავსახურიანი და საშუალო ზომის ტოლჩები.
10. ობსიდიანის ოვალური ფორმის საკიდი ორივე მხარეს გამჭოლი ხვრელით.

საყურადღებია, რომ ამ ნივთების უმრავლესობა განაგრძობს არსებობას გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაშიც.

ამით მეგალითური კულტურა აფხაზეთში არსებობას წყვეტს, მაგრამ რჩება დაკრძალვის რიტუალი (მეორადი დაკრძალვა) და წრიულობის ფორმა ორმოსამარხების სახით, სადაც აღმოჩნდა

როგორც კოლექტიური, ასევე ინდივიდუალური სამარხები (წითელი შუქურა, ფიჩორი, მერხეული, აკარმარა, გაგიდა, გაგრა). ანალოგიური კოლექტიური ორმოსამარხები დასტურდება ამავე პერიოდში მთელ კოლხეთში (ურეკი, ერგეტა, პალური, ნიგვზიანი, მუხურჩა, ლარილარი, ბრილი). მათ შორის ურეკის, ერგეტას, ფიჩორის, ნიგვზიანის სამაროვნებზე რამდენიმე ათეული მიცვალებული ორმოებშია დაკრძალული (ისინი პირამიდის სავსეა ძვლით, მიწით და მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალით. ცალკეული მიცვალებულის ჩონჩხის გამოყოფა შეუძლებელია, ხოლო აკარმარაში, მერხეულში, მუხურჩაში, ნიგვზიანის მოედანზე, პალურის „საძვლეზე“, ბრილის აკლდამაში დასაკრძალი მოედანია, სადაც მიცვალებულთა ჩონჩხები და ინვენტარი უსისტემოდაა მიმოფანტული). ჩონჩხი ზოგიერთ შემთხვევაში ცეცხლში ყოფნის ნიშნებსაც ატარებდა, მაგრამ ძვალი მთლიანად დამწვარი არაა, აქ უფრო სავარაუდოა, რომ ცეცხლში გატარება ხდებოდა, შესაძლოა ავი სულის საწინააღმდეგოდ. ამ მხრივ მერხეულის აკარმარას და ფიჩორის სამაროვნები იდენტურია და თავის მხრივ ანალოგიურია კოლხეთის სხვა კოლექტიური ორმო სამარხებისა, სადაც მეორადი დაკრძალვის რიტუალში ცეცხლის მონაწილეობა ივარაუდება. მაგრამ მერხეულისა და აკარმარას სამაროვნებზე მოპოვებული სამარხეული ინვენტარიც ატარებს ცეცხლში ყოფნის აშკარა ნიშნებს და ამ მხრივ ახლოსაა გუადიხუს სამაროვნის იმ სამარხებთან, სადაც დადასტურებულია მიცვალებულთა და თანჩატანებული ინვენტარის ნაწილობრივი, არასრული კრემაცია.

§3. აფხაზეთის გვიანბრინჯაო-ადრეპროკინის ხანის სამარხების ქრონოლოგია-პერიოდიზაცია.

აფხაზეთის ტერიტორიაზე დღესდღეობით აღმოჩენილი გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანის სამაროვნები ძირითადად ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარს ძვ. წ. X-IX სს-VI-Vსს. მიეკუთვნება.

სამარხეული მასალების კომპლექსური განხილვა შესაძლებლობას იძლევა მასში რამდენიმე თანამიმდევრული, ქრონოლოგიური ეტაპის მასალები გამოიყოს.

1. აღმოჩენილი სამაროვნებიდან ყველაზე ადრეულია გაგრის და ზვანდრიფშის ქვევსამარხები (ძვ. წ. X-IX სს) (ტაბ. XII-XXIII, I). ამ დროიდან ჩნდება აფხაზეთის ტერიტორიაზე თხელი ფირფიტოვანი სადა სარტყელი და პატარა, ცილინდრული ფორმის სამაჯურები. ამასთან ერთად, ჯერ კიდევ ხმარებაშია შუა ბრინჯაოს პერიოდიდან მოყოლებული სასაფეთქლე რგოლები, ბიკონოსური მძივები, დაბალკონუსური აბზინდები.

გაგრის სამაროვანი.

1963 წელს ენგურჰესის პიონერბანაკის მშენებლობის დროს ზღვიდან 100 მ დაშორებით ახალი გაგრის აღმოსავლეთით დაზიანდა სამაროვანი, სადაც მხოლოდ 14 სამარხის გადარჩენა მოხერხდა. გათხრების დროს დაფიქსირდა სამაროვნის სტრატეგრაფიული ქრილი:

1. თანამედროვე მცენარეული ფენა 0,5-0,1 მ სისქისა.

2. თიხნარი მოყავისფრო მსხვილხორკლიანი 0,3-0,8 მ სისქის, სადაც აღმოჩნდა ანტიკური ჭურჭლის ფრაგმენტები. თიხნარის ქვეშ რამდენიმე ადგილას დაფიქსირდა ტორფის კვალი.

3. ქვიშნარი ნაცრისფერი ლეგა და ღია-მონაცრისფრო ლაქებით, წვრილლორდიანი 0,5 მ სისქით, სადაც ყველაზე მეტი აღმოჩნდა.

4. ქვიშნარი მუქი ნაცრისფერი მსხვილლორდიანი, 1 მ სისქის ფენაშიც აღმოჩნდა.

5. ქვიშნარი მუქი ნაცრისფერი ძალიან წვრილი ღორღითა და ქვიშით ნარევი, 0,6 მ სისქის ფენაში აღმოჩნდა უძველესი სამარხები.

სამაროვანზე დაფიქსირდა 4 ინჰუმაციური სამარხი, 5 სამარხი მეორადი დაკრძალვით (ურნის

ქვეშ მოთავსებული თავის ქალით), 1 ინდივიდუალური ორმოსამარხი, 1 ქვევრსამარხი, 4 სამარხში დაკრძალვის წესი ვერ დადგინდა.

№5 ქვევრსამარხი III ფენაში ძლიერ დაიზანებული აღმოჩნდა. გადარჩენილი ნივთები: მაღალი გადმოკეცილყელიანი ქვევრის ნაწილი, რომელსაც ყელის ქვეშ დაუყვება 3-4 ბურცობი, რომლის გვერდით უწესრიგოდ მიმოფანტული იყო ლულოვანი ძვლები და 2 ფალანგის ფრაგმენტი.

№1, 3, 4, 6, 8, 9 ორმოსამარხები (ზომები 0,9X0,5 მ, 0,7X0,8 მ) მეორადი დაკრძალვის წესით. სამარხის კედლები ძირისკენ ვიწროვდება. ძირზე ერთ ადგილას ეწყობოდა „გადარჩენილი“ ძვლები, ხოლო ურნის ქვეშ მოთავსებული თავის ქალა იდო მათ გვერდით. ოდნავ პირგადმოკეცილი სფერული ფორმის თიხის ქოთანის, რელიეფური ტალღისებრი ბურცობებით. №4 სამარხის ძირზე იდო ქვის ფილა, ხოლო ბრტყელი ქვები შემონახული ჰქონდა ქოთანს გასამყარებლად. ინვენტარი: ბრინჯაოს სპირალური ხვიები 1,5 ბრუნვით ბოლოებგაფართოებული და ყუნწი სავარაუდოდ ქინძისთავის (№9 სამარხი) და კაჟის სახვრეტი (№3 სამარხი).

№7, 10, 12 სამარხებში მიცვალებული ესვენა პირაღმა თავით სამხრეთით, მარჯვენა ხელი სხეულის გასწვრივ, მარცხენა მოღუნული, უინვენტარო. დათარიღება ძვ. წ. III ათასწ. ბოლოთი.

1979 წელს გაგრძელდა გათხრები და აღმოჩნდა 6 სამარხი (5 სამარხი მეორადი დაკრძალვით და 1 კენოტაფი), 1 ინდივიდუალური და 1 წყვილი ორმოსამარხი, 5 ქვევრსამარხი და 3 ურნა-სამარხი.

ქვევრსამარხად გამოიყენებოდა მოზრდილი თიხის ჭურჭელი, სამარხის ორმო 0,8-0,9 მ დიამეტრისაა, 0,6-0,9 მ სიღრმით, სამარხის ძირზე ეწყობოდა თავის ქალა და ძვლები, რომლებიც მოთავსებული იყო დიდი ჭურჭლის ქვეშ. №1 სამარხში ქვევრი ფარავდა მხოლოდ ძვლებს, ქალა გვერდზე იდო ქვაფენილზე. ჭურჭელი დიდი ზომის ღია მოყავისფრო, ფართო მსუბუქად გადმოკეცილი ყელით და ვიწრო ძირით, ყელს დაუყვება ნაჭდევი ორნამენტი, ზედაპირი ხელით მოსწორებულია და ეტყობა სავარცხლისებრი შემკობა. სიმაღლე 50 სმ, ყელის დიამეტრი 52X45 სმ, ძირის დიამეტრი 12სმ.

№5 სამარხის ჭურჭელი – სქელკედლიანი, ვიწრო ყელიანი და ფართო მრგვალტანიანი შავი ფერის, გარედან ხელით მოსწორებული, ძირი და პირი არ აღმოჩნდა, ყელის დიამეტრი 23 სმ, მუცლის 60 სმ. ჭურჭლის ფრაგმენტებში არეული იყო ძვლები და სერდოლიკის ცილინდრისებრი მძივი.

№3 სამარხის ძირზე იდო დიდი ზომის მუქი ყავისფერი თიხის ჭურჭელი თავჩამხობილი, ორნამენტირებული ღრმა ვერტიკალური და ირიბი ხაზებით (ზომები 49,5 სმ, ყელის დიამეტრი 45 სმ, ძირის-17 სმ). იგი ფარავდა ძვლებს, რომლის ქვეშ იდო თავის ქალა, აქვე იყო 2 ბრინჯაოს გრეხილდეროიანი ნიჭისებრი ქინძისთავი, სიგრძე 27 სმ.

№2 სამარხის ძირზე აღმოჩნდა ძვლები, რომელზეც იდო თავის ქალა ქვედა ყბის გარეშე (იგი იყო გვერდით), 2 გადაჯვარედინებული ბრინჯაოს დისკოსებრთავიანი ქინძისთავი, რომლებსაც ზევით ჰქონდათ 2 ბურცობი და 6 მმ დიამეტრის ნახვრეტი, ქინძისთავის სიგრძე 15,19 სმ.

№4 სამარხში აღმოჩნდა 4 ჰორიზონტალურად დანყობილი ქვები (ბრტყელი, თეთრი, მომგვრალეული ფორმის). ყველაზე დიდი ქვის დიამეტრი 34 სმ. ქვების ქვეშ აღმოჩნდა ორმოსამარხი (60X70 სმ), ქვებისგან 0,6 მ სიღრმეზე. 1 თავის ქალა იდო სამარხის ძირზე, ღორღზე. სახით სამხრეთ-დასავლეთით, 12 სმ დაშორებით იყო მეორე თავის ქალა სახით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. მათზე ეწყო ფალანგები და ძვლის ერთი ნაწილი, ხოლო მეორე ნაწილი აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთით, რომელთა შორის იყო 2 ბრინჯაოს ცილინდრული სპირალური ხვიები (7,3X1,3 სმ; 6X1 სმ).

1980-84 წლებში ქ. გაგრაში პანსიონატებს “ისკრასა” და “ენერგეტიკს” შორის, თევზის მეურნეობის ტერიტორიაზე, ზღვის სანაპიროზე, 700 მ² ფართობზე აფხაზეთის სახელმწიფო

მუზეუმის ექსპედიცია (ხელმძღვ. ვ. ბჟანია) აგრძელებს გათხრებს, სადაც დაფიქსირდა 58 სამარხი, აქედან 37 მეორადი დამარხვის წესით (ინდივიდუალური ორმოსამარხები №2, 6, 8, 10, 11, 16, 18, 19, 24, 25, 26, 27, 34, 38, 41, 43, 44, 45, 46, 48, 53, 55; №14, 20, 40, 52 წყვილი სამარხები, ურნა-სამარხები №9, 15, 17ა, სადაც ურნის ქვეშ თავის ქალა იყო მოთავსებული. წყვილი სამარხი №5, სადაც ურნით 1 ქალა იყო დაფარებული, ურნა-სამარხები №22, 39, 47, 51, 56. ქვევრსამარხები №1, 29, 49. №15 სამარხში მიცვალებული ზურგზე გამოტილი ესვენა, 1 სამარხში მარჯვენა მხარეს, 3 კენოტაფი, ერთში დამარხვის წესი ვერ დადგინდა.

ინდივიდუალური ორმო სამარხები მრგვალი ან ელიფსური ფორმისაა, საშუალოდ 0,7X0,8 მ, 1,0X0,7 მ დიამეტრისაა, სიღრმით 0,6-0,8 მ, პროფილში ორმოს კედლები ბოლოსკენ ოდნავ ვიწროვდება, №10 სამარხში დაფიქსირდა ქვის მხოლოდ იატაკად გამოყენება. ძირითადად ძვლები ეწყობოდა ერთ ადგილას, მხოლოდ თავის ქალა იდო ძვლებს შორის (№6, 11, 19, 26, 27, 44, 53 სამარხებში), ზედ ძვლებზე (№10 სამარხი) ან მის გვერდით სამარხის ძირზე (№16, 18, 24, 41, 43, 45, 46, 48 სამარხები), ინვენტარი აღმოჩნდა მხოლოდ №41 სამარხში: 2 ბრინჯაოს კონუსისებრი გაფართოებულთავიანი ქინძისთავი, სიგრძე 12,7 სმ და 12,9 სმ, 4 ბრინჯაოს ბიკონუსური სპირალური ხვია, ზომები 4,9X1,5X0,8 სმ, 4,8X1,5X0,7 სმ, 5,1X1,7X0,6 სმ, 4,6X1,4X0,6 სმ).

წყვილი სამარხები (№20, 40, 52 სამარხები) მომგვალო ფორმის, თავის ქალები სამარხის ძირზე ერთმანეთისგან დაშორებული იყო საშუალოდ განსაზღვრული მანძილით იდო და მათ შორის ეწყობოდა დანარჩენი ძვლები, სადაც აღმოჩნდა ხის ნახშირის ნატეხები. №52 სამარხის ინვენტარი: 4 ბრინჯაოს უმბონისებრთავიანი ქინძისთავი, 6 ბრინჯაოს საკიდი სპირალისებრ ორივე მხრივ ჩახვეული, 1 ბრინჯაოს აბზინდა ოთხნახნაგა ლეროსაგან დისკოსებრი სპირალებით შემკული, 26 ბრინჯაოს ბიკონუსური სპირალური ხვიები, 2 ბრინჯაოს მძივი სამნახნაგა ლეროსაგან ბოლოებგახსნილი, 2 ზურმუხტის ფერი მინისებრი მსხვილი მძივი ინკუსტრირებული ზიგზაგებით ღია მოყავისფრო პასტით.

ინდივიდუალური ორმოსამარხი (№9, 15, 17ა), სადაც ურნის ქვეშ მოთავსებული იყო თავის ქალა, რომელიც იდო ძვლების გვერდით სამარხის ძირზე, №9 სამარხის ცენტრალურ ნაწილში იდო 3-12 სმ სისქის ქვა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა ურნა ლეგა ფერის გამოწვით, ფართო ყელიანი, მსუბუქად პირგადმოკეცილი და ვიწრო ძირით, გარედან მოსწორებული, ყელზე 4 ღრმა ვერტიკალური ნაჭდევი, ყელის გასწვრივ ნაძვისებრი ორნამენტი შესრულებული ფართო კბილანა ჯოხით.

№15 სამარხის ურნა მუქი ყავისფერია, ზედაპირი მოსწორებულია ხელით, მსუბუქად გადმოკეცილი პირით, მრგვალი მუცლით, რომელიც ძირისკენ ვიწროვდება, ყელს დაუყვება ტალღისებრი ორნამენტი, ჭურჭლის ზედაპირი ორნამენტირებულია 4 მოკლე ნაჭდევი ლილვაკებით. ყელის დიამეტრი 26 სმ, სამალლე 31 სმ, ძირის დიამეტრი 11 სმ. სამარხის ძირზე იდო თეთრი ბრტყელი რიყის ქვები.

№17ა სამარხის ურნა შავი ფერისაა, ოდნავ პირგადმოკეცილი ორნამენტირებული ირიბი ჩაღრმავებული ხაზებით, ყელის დიამეტრი 19 სმ.

№5 წყვილი სამარხის ძირი მოფენილი იყო ზღვის კენჭებით, სადაც ეწყობოდა ძვლები და 2 ქვედა ყბა, გვერდით იდო თავის ქალა, ხოლო მოშორებით მეორე თავის ქალა ურნის ქვეშ იყო მოთავსებული. ქოთანი – მუქი ყავისფერი თეთრი ქვიშანარევი, ფართო ყელის ირგვლივ ლილვაკებით ვიწრო ძირით. ქოთნის სიმაღლე 20 სმ, ყელის დიამეტრი 17 სმ, ძირის – 10 სმ.

№22, 39, 47, 51, 56 მრგვალ ორმოსამარხებში თავის ქალა იდო ურნაში (სამარხის ზომები 1X0,6 დიამეტრის, სიღრმე 0,6-0,8 მ, რომელიც პირით იყო სამარხში ჩამხობილი). ურნა სფეროსებრი, მუქი ყავისფერი ან ნაცრისფერი, უხეში, პირგადმოკეცილი, ვიწრო ძირით, №39 სამარხში აღმოჩნდა თავის ქალასთან 1 ცილინდრისებრი სარდიონის მძივი. ზომები 0,6X0,5 სმ.

№1, 29, 49 ქვევრსამარხები იყო მრგვალ სამარხებში 0,8-0,9 დიამეტრით, სიღრმე 0,6-0,9 მ. მოყავისფრო გამოწვის ჭურჭელი, ფართო ყელით, სწორი ორნამენტირებული თითისებრი ნაჭდევებით, ძირისკენ გაფართოებული ტანით. სიმაღლე 50 სმ, პირის დიამეტრი 45 სმ, ძირის – 16 სმ. მასში იყო მოთავსებული ძვლები და 2 ბრინჯაოს ნიჩბისებრი გრეხილდეროიანი ქინძისთავი (ზომები 14,8 სმ), 1 ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლი 1,5 ხვით (2,1 X1,4 სმ). №29 ქვევრსამარხის ჭურჭელი მაღალი ფართობიანი, ოდნავ გადმოკეცილი სუსტად გამომწვარი ღია ყავისფერი, ორნამენტირებული ვიწრო სორსალით. სიმაღლე 58 სმ, პირის დიამეტრი 52 სმ, ძირის – 21 სმ, ძვლებს შორის დაფიქსირდა წვრილი ხის ნახშირის ნატეხები.

1971 წელს გაგრის თევზის ქარხნის ტერიტორიაზე განადგურდა ყველაზე ადრეული ქვევრსამარხი, გადარჩენილი ინვენტარი ელაგა სხვებთან ერთად მუქ ყავისფერ ჭურჭელში, რომელსაც გარედან ეტყობოდა თითების ანაბეჭდები. ორი დისკოსებრი ქინძისთავი, ორი სპირალური სამაჯური, 16 მძივი, ბალთა დაბალკონუსური ფუყე მარყუჟიანი დიდი დიამეტრის თავით, ორი სასაფეთქლე რგოლი, ექვსი სპირალისებრი ხვია. დათარიღება ძვ. წ. X-IX სს.

გაგრის სამაროვანზე გაითხარა 78 სამარხი, ამათგან 50 – მეორადი დაკრძალვის წესი (24-ინდივიდუალური, 5-წყვილადი, 8-ინდივიდუალური თავის ქალის ურნის ქვეშ მოთავსებით, 1 წყვილადი, რომელშიც მხოლოდ 1 თავის ქალა იყო ქოთნით გადაფარებული, 5 სამარხი, სადაც ჭურჭელში ჩასვენებული იყო მხოლოდ თავის ქალა, 7 ქვევრსამარხი. ინდივიდუალურ ორმოსამარხებში (6-79, 2, 6, 8, 10, 11, 16, 18, 24, 25, 26, 27, 34, 38, 41, 43, 44, 45, 46, 48) აღმოჩნდა კონუსისებრი და დისკოსებრთავიანი საკინძეები, ბიკონუსური სპირალური ხვები, წყვილად სამარხებში (4-79, 14, 20, 40, 52) აღმოჩნდა ცილინდრული და ბიკონუსური სპირალური ხვები, უმბონისებრთავიანი საკინძი, სათვალისებრი საკიდი და აბზინდა, ბოლოებგახსნილი ბრინჯაოს და პასტით ინკუსტრირებული მძივები. ინდივიდუალურ სამარხებში, სადაც თავის ქალა ურნის ქვეშა მოთავსებული (1-63, 3-63, 4-63, 8-63, 9, 15, 17ა) აღმოჩნდა კაჟის სახვრეტი, სპირალური ხვები. წყვილად სამარხში, ერთი თავის ქალაა ურნის ქვეშ მოთავსებული, აღმოჩნდა ბრინჯაოს ისრის პირი, ურნა-სამარხებში მხოლოდ თავის ქალით (22, 39, 47, 51, 56) აღმოჩნდა ცილინდრული სარდიონის მძივი. ქვევრ სამარხებში (5-63, 1-79, 5-79, 1, 22, 49) სარდიონის მძივი, სპირალური ხვები, ნიჩბისებრი საკინძი). როგორც ვხედავთ, მეორადი დაკრძალვის სამარხების ერთგვაროვნად მწირი ინვენტარი არ იძლევა მათში სოციალური უთანასწორობის ან სქესობრივი განსხვავების დანახვას (Бжания В. В., Бжания Д. С. 1991: 2--30)¹. (ტაბ. XII-XIII).

ქვევრსამარხი ზვანდრიფში აღმოჩნდა 1969 წელს მმდ. ხიფთის დასავლეთით ზღვის სანაპიროდან 3 კმ-ში. ქვევრი დამზადებულია ქვიშანარევი უხეში მოყავისფრო თიხისაგან, ოდნავნაპრიალები ზედაპირით (შემორჩენილია მხოლოდ ძირი). ინვენტარი: სარტყელი ზოომორფული აბზინდით, ორი სპირალური სამაჯური, ორი მავთულისებრი საკინძი, მსხვილი და წვრილი ბიკონუსური მძივები. დათარიღება ძვ. წ. X-IX სს (დოლიძე ნ. 1999: 15; Воронов Ю. Н. 1978: 259) (ტაბ. I).

გაგიდის სამაროვანი მდებარეობს (გალის რაიონი) ფიჩორის ნასახლარიდან 2 კმ-ში ადგილ გაგიდაში. ნივთები შეგროვილ იქნა შავი ზღვის სანაპიროზე. კოლექციაში შედის 5 ბრინჯაოს სატევრისპირი. I ქვეტიპი პატარა დაფნის ფოთლისებრპირიანი, ყუნწიანი, ნაჭედი, ერთი მხარე ბრტყელია, მეორე მხარე ოდნავ ოვალური მსუბუქი ქედით. II ქვეტიპის სატევრის პირი სამკუთხა ფორმისაა ოვალურგანიკვეთიანი პირით, მომრგვალებული ფართო სატარე ყუნწით. III ქვეტიპის სატევრისპირს ახასიათებს მოგრძო სამკუთხა ოვალურგანიკვეთიანი გამოყოფილი სატარე ყუნწი მკვეთრი ქედით. 4 ლითონის შუბისპირი (ყველა მოკლე მასრიანი და მასრაგახსნილი), 2 ლითონის

¹ მიცვალებულის სქესის პირობითი განსაზღვრა ხდება სამარხეული ინვენტარის მიხედვით. სამწუხაროდ, ძვლის ანთროპოლოგიური შესწავლა მათი ფრაგმენტულობის გამო არცერთ ძეგლზე არ ჩატარებულა, რაც აძნელებს მათ შესახებ მსჯელობას.

ისრისპირი (1 ბრტყელ ფირფიტოვანი ფურცლისგან დამზადებული, ორფრთიანი ქუსლამოღარული და მხრებდამკვეთი). 2 ისრისპირი მოკლე ფოთლისებრიპირიანი და ძალზე გრძელი ყუნწით (ეს უკანასკნელი აფხაზეთის გვიანბრინჯაოს პერიოდის დამახასიათებელი ნივთია), 6 დისკოსებრი საკიდი, 3 სპირალურად ჩახვეული მამალი დუგმა, ნაღვენთი წიდა და თიხის ჭურჭლის მონაცრისფრო უფორმო ნატეხი. კოლექცია 2 პერიოდისაა: უადრესი ნივთები (I და II ქვეტიპის სატევრისპირი, მოკლე მასრაგახსნილი შუბისპირი შუა ბრინჯაოს ხანის დასაწყისით – ძვ. წ. II ათასწლეულის საწყისით შეიძლება დათარიღდეს. ძირითადი მასალა შუაბრინჯაოს ხანის დასასრულის ან შუადან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდისაა (ძვ. წ. I ათასწლ. შუახანა). არ არის გამორიცხული ზოგიერთი ნივთი (გრძელყუნწიანი ისრისპირი) რამდენადმე მოგვიანო ხანისა იყოს.

ძვ. წ. IX-VIII სს. თარიღდება ბომბორას ველის, ახალი ათონის, სოხუმის მთის, ზემო ეშერას, იაშთხვას, მუგუძირხვას, შუბარასა და აჭანდარას სამაროვნები, ბოგოფრიშციის, პრიმორსკოეს და ქვემო ეშერას ქვევსამარხები, სადაც პირველად ჩნდება მასიური ცილინდრული ფორმის სამაჯურები, მასიური ბრინჯაოს თავებჩახვეული საკისრე რკალი, შესქელებულრკალიანი ფიბულა, ნახევრად ოვალური და უმბონისებრი აბზინდები, ბრინჯაოს რგოლები, ამასთან ერთად, კვლავ გვხვდება შუა ბრინჯაოს პერიოდის ნივთები – ბიკონუსური სპირალური ხვიები, სათვალისებრი და ლუზისებრი აბზინდები.

ზემო ეშერის სამარხი

ზემო ეშერაში ავეტისიანის მიწის ნაკვეთზე დაზიანდა ძვ. წ. IX-VIII სს სამარხი, სადაც იდო ბრინჯაოს შუბისპირი, II ტიპის კოლხური ბრინჯაოს ცული (სიგრძე 15,4 სმ სიგანე 7 სმ), ლურსმნისებრ-სოლისებრი ყუათი, ასიმეტრიული პირით, ხელშუბი (Трапш М. М. 1970: 189) (ტაბ. VIII).

სოხუმის მთის სამარხები.

სოხუმის მთა ქ. სოხუმს ეკვრის ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან. იგი მდ. პაქე-ფსის და მდ. ბესლეთის წყალგამყოფ ქედს წარმოადგენს. აღმოსავლეთით ესაზღვრება მდ. ბესლეთი, სამხრეთით შავი ზღვა, ჩრდილო-აღმოსავლეთით ეროზიული დაბლობი ზღვის დონიდან 150 მ-ზე. მთას აქვს ორი გუმბათოვანი წვერი და მათ შორის კარგად პროფილირებული უნაგირა; ვ. ჩერნიავესკი ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს აღნიშნავდა, რომ უნაგირაზე ხშირად ამოდიოდა თიხის ჭურჭლის ნატეხები, შუბისპირები. 1938 წელს სოლოვიოვმა გორაკის სამხრეთით დაადასტურა კულტურული ფენის არსებობა (თიხის ჭურჭელი); 1951 წელს მთის სამხრეთ წვეროზე აღმოჩნდა ბრინჯაოს იარაღი-ხელსაწყოების განძი. ამავე წელს გ. ლომთათიძე და ალ. კალანდაძე იწყებენ არქეოლოგიურ გათხრებს. აღმოჩნდა განძი, ორი კულტურული ფენა და სამარხული კომპლექსი. სამარხი №1, რომელიც მ. თრაფშმა შეისწავლა, დაზიანებული იყო. იგი აღმოჩნდა უნაგირას შუა წელის აღმოსავლეთ მხარეზე, სამარხი იყო ზედაპირიდან 0,80 მ-ზე. მიცვალებული ზურგზე გაჭიმული უნდა წოლილიყო, თავით აღმოსავლეთით. ნივთები აღმოჩნდა სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში; ბრინჯაოს სამი კოლხური ცული (სამუშაო პირი მიცვალებულისკენ), ცალყურა დოქი, თიხის ჭურჭლის ნატეხი, პირმოტეხილი კოჭობი, ბრინჯაოს სამაჯური. ალ. კალანდაძის ვარაუდით ძველი თარიღდება ძვ. წ. IX-VIII საუკუნეებით (კალანდაძე ალ. 1954: 20-25) (ტაბ. XXII).

გუდაუთის რაიონში ბომბორას ველის აღმოსავლეთ ნაწილში 1960 წლის 25 აპრილს სამშენ-ებლო სამუშაოების წარმოების დროს დაზიანდა სამაროვანი. დაზიანების გამოსამარხების ტიპის განსაზღვრა ჭირს. სავარაუდოა, რომ სამარხები წყვილადი იყო (ყოველ შემთხვევაში სამარხების მდიდრულობა ამის მანიშნებელი უნდა იყოს. აღმოჩენილი მასალა: ადამიანის კბილები და მწვანედ შეღებილი ძვლები, ბრინჯაოს ცული (ო. ჯაფარიძის მიხედვით I ტიპისა) სოლისებრი ყუით, თითქმის სიმეტრიული პირით, სიგრძე 16,6 სმ, სიგანე 5,2 სმ. მეორე ბრინჯაოს ცული ორ-ჯერ გადაღუნული ტანით, ჩაქუჩისებრი და ამობურცულზურგიანი ყუით. ორნამენტირებული 5

პარალელური სარტყლით და შტრიხებით, ო. ჯაფარიძის მიხედვით III ტიპისა. 3 რკინის ცული, სიგრძე 18 სმ, სიგანე 5,7 სმ, მესამე რკინის ცული სიგრძე 9 სმ, სიგანე 3 სმ. უორნამენტო, ბიკონისური სპირალეები ხვიები, 3 სათვალისებრი აბზინდა, სარტყელის ცხოველისსახოვანი აბზინდა, ოთხი მასიური რგოლი, სიგრძე 9,5-1,5 სმ, სისქე 2,5-2,7 სმ. ინახება სახელმწიფო ისტორიის მუზეუმში №968-77. მ. თრაფშმა იგი ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით დაათარილა (Трапш М. М. 1970: 190) (ტაბ. XI).

ბომბორას ველის მასალა: ბრინჯაოს ფირფიტოვანი სამნეკნიანი სამაჯური ბოლოებჩახვეული, ბომბორას ველის ჩრდილოეთით VI კმ-ზე. გუდაუთიდან, 1,25 მ სიღრმეზე.

ძვ. წ. VIII ს. სამარხი 1 კმ-ზე ზღვის ნაპირიდან ველის დასავლეთ ნაწილში. 25 ბრინჯაოს ფიგურა ცხოველებისა: 15 ცხენი, 5 ძაღლი, ციკანი, ცხვარი; ადამიანებისა: ფუგურა ღვინის მსმელისა, ქალი ბავშვით ხელში; ზარები, 2 მინის მძივი, 2 ოქროს ფირფიტა, ბრინჯაოს მრგვალნაკვეთიანი ბოლოებგაფართოებული სამაჯური, ვარდულებიანი სამაჯური, გველისთავიანი სამაჯური (აღმოჩნდა 1910 წელს). იქვე 1930 წელს აღმოჩნდა ხატისუღელი (Трапш М. М. 1879: 192) (ტაბ. X).

1926 წელს იქვე აღმოჩნდა მამაკაცის სამაროვანი: ლენტისებრი სამაჯურები.

პრიმორსკოეს სამაროვანი. გუდაუთა, გლუხ რეპინის ეზოს ტერიტორიაზე შემთხვევით მინის დამუშავების დროს აღმოჩნდა რამდენიმე ბრინჯაოს ნივთი, რომლებიც მოგვიანებით მოიტანა და შეისწავლა სტრაჟემა, რომელმაც ქვის ფენაზე აღმოაჩინა ადამიანის ძვლების, რამდენიმე ბრინჯაოს ფრაგმენტი და ქვევრის ნატეხები (ორი ქვევრის), რომელშიც აღმომჩენის თქმით იყო ნივთები. მისი ვარაუდით ეს იყო ორი ქვევრსამარხი მეორადი დაკრძალვის წესით. ნივთები: ორი მთელი და ორი ნატეხი ბრინჯაოს ცულისა, ერთ-ერთზე გამოხატული უფროთო დრაკონი ("გვერა") ბრინჯაოს სატევარი, ბრინჯაოს ფიბულა ნაძვისებრი ორნამენტით, მასიური ბოლოებჩახვეული საკისრე რკალი, ბიკონისური სპირალური ხვიები, ბრინჯაოს შუბისწვერი, მუზარადის ნატეხები, სათვალისებრი საკიდი (ტაბ. XXIII).

ბოგოფრიშტის ქვევრსამარხი. აღმოჩნდა ბრინჯაოს აბზინდა უმბონისებრი, დაფანჯრული, პატინით დაფარული, უკანა მხარეზე ყუნწებით და კავით, ფრინველის გამოსახულებით, ლუზისებრი ნივთი, ბრინჯაოს სეგმენტისებრი იარაღი, ბრინჯაოს შუბის მასრის ნატეხი, ბრინჯაოს ცულები (II და III ტიპი), თოხი. ძვ. წ. IX-VIII სს.

სამაროვანი ეშერის ნაქალაქარის ტერიტორიაზე. გადარჩენილი ნივთები: ლუზისებრი ნივთი, ბრინჯაოს პინცეტი, სპირალისებრი სხმულა 1,5 ბრუნვით, ბრინჯაოს სარტყლის აბზინდა სეგმენტისებრი ფორმის კაკვისებრი შესაკრავით, 5 გამჭოლი ხვრელით სარტყლის შესაკრავად, აბზინდა ორნამენტირებულია 3 ჩაღრმავებული ტეხილი ხაზებით და ემჩნევა ინკუსტრირების ნიშანი.

ეშერის ქვევრსამარხები. 1930 წელს სოფ. ეშერაში აღმოჩნდა 3 ქვევრსამარხი. გათხრებს ხელმძღვანელობდა ივაშენკო. პირველ ორ ქვევრსამარხში აღმოჩნდა: ფირფიტოვანი სარტყელი ცხოველსახოვანი აბზინდით (12 ფრაგმენტი), 4 კონუსური აბზინდა წყვილი ცხოველის გამოსახულებით, ფუყე ცხოველების თავები ემსგავსება ფანტასტიკურ ცხოველებს. მთელი სამკაულის სიმაღლე 6 სმ, დიამეტრი კონუსისა 5 სმ. ბრინჯაოს კოლხური ცული, სატევარი, შუბისპირის ნატეხები ფართე პირი, ცილინდრული სამაჯურები 4 მკვეთრად გამოყოფილი მრგვალი ღარით, გარე დიამეტრი 9 სმ, შიდა 7,5 სმ, ბიკონისური მძივები, ბრინჯაოს მასიური რგოლები, გარე დიამეტრი 11,5 სმ, შიდა 6.5 სმ, სისქე 2,5 სმ. ბრინჯაოს ფირფიტის 14 ფრაგმენტი (სავარაუდოდ მუზარადის ან საისრეს ნაწილი), მუქი ლურჯი მძივი-საკიდი ნაკვეთილი პირამიდის ფორმისა. ჩგულსაკიდის ნაწილი აღმოჩნდა ცალკე იქვე ახლოს, რომელზედაც გამოსახულია გველები, ხოლო ბოლოში 3 კონცენტრირებული წრე (თვალეები?) (ტაბ. VIII).

შუბარას სამაროვანი. ეშერაში კარიერის აფეთქების დროს აღმოჩნდა ბრინჯაოს ნივთები.

გამთხრელი ი. კვიციანია ვარაუდობს 2 სამარხის არსებობას, მაგრამ კომპლექსების აღდგენა შეუძლებელია. აღმოჩენილი ნივთები: ლითონის სატევარ-ამულეტი ანტენისებრსახელურიანი, პინცეტი ფართოპირიანი ერთიანი, რომელიც ეკუთვნის მარყუჟიანი პინცეტების რიგს. სიგრძე 15,5 სმ, პირის სიგანე 5,5 სმ, წონა 80 გრ. ლუზისებრი ნივთი – მისი კორპუსი სამკუთხედისებრია, რომელიც შედგება ბოლოებგახსნილი ორმაგი ღეროსაგან, სოლისებრი თავისაგან და გამჭოლი სამკუთხა ნახვრეტებისაგან, თვით ღერო გარშემო მორთულია ხშირი ჩაჭრილი ტალღისებრი ხაზებისაგან. ნივთის მთლიანი სიგრძეა 6,5 სმ, ლუზის სიგანე 6,6 სმ, წონა 50 გრ. იგი მიჩნეულია ბალთად, ქინძისთავად ან საკიდად. ბრინჯაოს მძივი 2 სახის: I-სხმული, II-რგოლისებრი, ფართო ცილინდრული ხვრელით, ბოლოებჩახვეული გრეხილრკალიანი საკისრე რკალის ნატეხები. 2 სპირალური ხვრელები. სასაკმევლე ნივთი, კონუსური აბზინდები, უმბონისებრი ბალთა. ბრინჯაოს სარკე. ძეგლი თარიღდება II ათასწ. მიჯნა – ძვ. წ. IX-VIII საუკუნეებით (Квициния И. И. 1980: 18) (ტაბ. XXXVII).

ახალი ათონის სამაროვანი 1928 წელს აღმოჩნდა, სადაც იყო მრგვალგანიკვეთიანი სამაჯური, რომელთა ბოლოები ორნამენტირებულია 6 რიგად ჩაღრმავებული წერტილებით. ბრინჯაოს სიტულა, სათვალისებრი აბზინდა, რომბულრკალიანი ფიბულა ირიბი ქდეების ორნამენტით, საერთო სიგრძე 9სმ. სიგანე 4,4 სმ, I ტიპის კოლხური ცული ბადისებრი ორნამენტით, ორი ბრინჯაოს ფოთლისებრი შუბისპირი, სარტყლის აბზინდა მასიური სათვალისებრი მავთულისაგან დამზადებული (ტაბ. XIV).

იაშთხვას სამაროვანი გაითხარა 1935 წელს. ნივთები: სამი მასიური ოვალური მომრგვალეულთავიანი სასაფეთქლე რგოლი, ბრტყელი სარტყლის აბზინდა ღრმა ნახევრადოვალური ფორმის, ინკუსტირებული თეთრი ლითონისაგან ჩარჩოში მოთავსებული სამკუთხედებით, დიდი აბზინდა-შესაკრავი, პატარა ლუზისებრი აბზინდა, ორი მასიური ნატეხი და 5 თხელი ბრინჯაოს ფირფიტისა, სათვალისებრი აბზინდა.

ლეჩკობის სამაროვანი. ნივთები: ბრინჯაოს მასიური საკისრე რკალი, შიდა დიამეტრი 12-12,5 სმ, ღეროს დიამეტრი 1,4 სმ, ბოლოებგაფართოებული 3,3 სმ-მდე და გარედან ჩახვეული, ხვეულის დიამეტრი 1,6 სმ, ბრინჯაოს სატევარი ოდნავ შესამჩნევი წახნაგით პირთან, სიგრძე 28,5 სმ, პირის სიგრძე 26 სმ, სიგანე 2,2 სმ, ტარი ნახვრეტით 2,5 სმ.

სამაროვანი სოხუმის ჰესზე. 1934 წელს სოხუმის ჰესის რაიონში აღმოჩნდა ქვის ყუთის სამარხი: ბრინჯაოს შუბისპირი, სპირალური აბზინდა, სპირალის დიამეტრი 6 სმ, სიგრძე 11,5 სმ, მრგვალგანიკვეთიანი საკისრე რკალი (Воронов Ю. Н. 1959: 32-34).

მუგუძირხვას სამაროვანი, სადაც აღმოჩნდა ორი ფირფიტოვანი სარტყელი ცხოველსახოვანი აბზინდით, ანტენისებრსახელურიანი სატევარი, ორი ცილინდრული სამაჯური, ორი ბრინჯაოს რგოლი, კონუსური აბზინდა, სპირალური ხვია, ჯვრისებრი საკიდი, ორი მრგვალგანიკვათიანი სამაჯური.

1939 წელს აღმოჩნდა ბრინჯაოს ორი ცული სოლისებრი ყუთით სოფ. ზვანდრფშის სამარხიდან, I ცულის გვერდით მხარეზე ფრინველის სქემატური გამოსახულება, რომელიც გამოყოფილია პირისგან ორი ბადისებრი ქამრით, რომლებიც შეერთებულია ზიგზაგური ხაზით. ცულის ყუა მორთულია ასეთივე ბადისებრი ორნამენტით, რომლებიც ერთმანეთს ზიგზაგებით უერთდება, ქამრიდან ყუამდე მიდის 5 პატარა ღარი, რომელიც იყოფა ოთხი ნიბოთი. შემდეგი ცული ჩამოტეხილი სოლისებრი ყუთით, ყელი შემკული აქვს ირიბი ხაზებით, რომელიც მას 8 რკალად აქვს სპირალისებრად მოხვეული, პირის გვერდით მხარეს აქვს მზის გამოსახულება 8 მკაფიოდ გამოსახული სხივით, პირით და დახუჭული თვალებით. მზე გამოყოფილია პირისგან ორი პარალელური ბადისებრი სარტყლით, რომელთა შორის რგოლების 8 რიგია შევსებული პუნქტირებით. გარე ქამარი შეერთებულია პირის ბოლოსთან 8 სამკუთხედით.

ბრინჯაოს ორნამენტირებული ცული სოლისებრი ყუთით და სიმეტრიული პირით ძვ. წ. IX-VIII

საუკუნეების სამარხიდან აბაა-ახუს დასახლებაში სოფ. ზვანადრიფშთან ზ. გიცხას უბანზე. პირის გვერდით მხარეებზე გამოსახულია ფანტასტიკური ცხოველი “გვერა”, ყელი დამტრიახულია სამკუთხა სარტყლით. ცულის სიგრძე 16,4 სმ, სიგანე 5,8 სმ. (Воронов Ю. Н. 1969: 17-19).

აჭანდარის სამაროვანი. 1955 წელს სოფ. აჭანდარას აღმოსავლეთით მდ. ცვინდირტას მიდამოებში მ. ხაძბას მინის ნაკვეთზე აღმოჩნდა დანგრეული სამაროვანი, რომელშიც აღმოჩნდა ორი ბრინჯაოს ორნამენტირებული I ტიპის კოლხური ცული ოდნავ ასიმეტრიული. პირველი ცული შემკული ჭადრაკისებრი ორნამენტით (რომბები, წრეები, ორი ჩიტის სქემატური კონტური. სიგრძე 16 სმ, პირის სიგანე 5,5 სმ. მმეორე ცული ორნამენტირებულია ფანტასტიკური ცხოველის “გვერას” გამოსახულებით, რომლის ირგვლივ დატანებულია წრეები, სიგრძე 15,5 სმ, სიგანე 5,2 სმ. ძვ. წ. IX-VIII სს (Трапш М. М. 1970: 188-189) (ტაბ. XXXIII).

ძვ. წ. IX-VIII საუკუნეების სამარხი, რომელიც მდებარეობს ოთხარას დოლმენტა ჯგუფში. ამოღებულია ბრინჯაოს შუბისწვერი და 2 ცული სოლისებრი ყუით, ვინრო ოვალური ღრუთი და ოდნავ ასიმეტრიული პირით, შუბისპირი 6 სმ, სიგანე 2,6 სმ. ცულები ორნამენტირებული პირის გვერდით მხარეებზე ძალისმაგვარი არსების გამოსახულებით, ცულის ყელი გაფორმებულია ღრმა ზიგ-ზაგებით, ჯვრისებრი შტრიხებით, ქვედა ნაწილი ნაძვისებრი ორნამენტით. ხოლო ზედა ნაწილი თევზის გამოსახულებით. ყუის ზემოთა მხარეები ორნამენტირებულია სამკუთხედებით, ცულის სიგრძე 16 სმ, პირის სიგანე 5 სმ. გვერდითა მხარეები და ღარები II ცულისა ორნამენტირებულია შტრიხებით ხვრელთან ზედა მხარეზე. გამოხატულია სტილიზებული ფრინველის კონტურები, ყუა მოტეხილია. აღმოჩნდა 1967 წელს.

1969 წელს სოფ. ბეშკარდასში სოხუმის ჩრდილო-დასავლეთ მთაზე აღმოჩნდა სამაროვანი, მისი გადარჩენილი ნივთებია ბრინჯაოს ნიჭისებრი წერტილოვანი ხაზებით შემკული ქინძისთავი, სხმული ხარის ფიგურა, 1,5 ხვია, 13 ბრინჯაოს მძივები, კაჟის ისრისპირი (Воронов Ю. Н., Гунда М. М. 1978: 259) (ტაბ. I).

ძვ. წ. VIII საუკუნით თარიღდება წითელი შუქურას №62, 89 სამარხები (Трапш М. М. 1968: 132), ზემო ეშერას სამაროვანი (Воронов Ю. Н. 1969: 23). ასევე აჭანდარას (Воронов Ю. Н. 1975: 272) და აბგარხუკის სამაროვნები (Бжания В. В., Кобахия Б. И. 1982: 14), სადაც გვხვდება ოდნავ გრეხილრკალიანი, თავებჩახვეული საკისრე რგოლები, რომლებიც ერთგვარ შუალედურ ჯაჭვს წარმოადგენს მასიურ ბოლოებჩახვეულ დაგრეხილრკალიან რომბულთავიან საკისრე რგოლებს შორის, გვხვდება ორნამენტირებული ფიბულები და სწორკუთხა აბზინდები.

ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით თარიღდება ყულანურხვას №2, 3, 6, 7, 8, 11 ორმოსამარხები (Трапш М. М. 1970: 105-111), ყულანურხვას ზოგიერთი ქვევრსამარხი (Воронов Ю. Н. 1975: 270-271), წითელი შუქურას №10, 16, 23, 30, 33ა, 35, 34, 38, 39, 42, 43, 49, 52, 58, 59, 64, 67, 76, 92, 91, 99, 104 და გუადიხუს №4, 11, 14, 19, 25, 26, 28 სამარხები (Трапш М. М. 1969: 140, 94-100) ქვემო ეშერას, ჯანტუხი-აკაარმარა (Шамда Г. К., Шамда С. М. 1990: 19), ჩობანლუქის, ეშერის ნაქალაქარის ტერიტორიის სამარხები, ეშერის ქვევრსამარხი (Воронов Ю. Н. 1980: 180) და ბომბორას ველის სამაროვანები (Трапш М. М. 1970: 193). ამ დროიდან ხმარებაში შემოდის მასიური ცილინდრული ფორმის და სპირალურთავიანი სამაჯურები, კონუსური ბალთები ცხოველების სკულპტურული გამოსახულებით, ლენტისებრიფორფიტოვანი და ოვალური ფორმის ბურცობებიანი სამაჯურები, ორნამენტირებული პინცეტები, უმბონისებრი და ოვალური აბზინდები, რომბულრკალიანი და გრეხილრკალიანი ფიბულები, ჯვრისებრი საკიდები და H-ს მსგავსი ქინძისთავები. წითელი შუქურას №31, 44, 65, 68, 69, სამარხები ღარიბულია და ზუსტ დამათარიღებელ ნივთებს არ შეიცავს, ამიტომ სადა ფირფიტოვანი სარტყლით თავისივე ცხოველსახოვანი აბზინდით ზოგადად ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით დათარიღდა (დოლიძე ნ. 1999: 23).

ძვ. წ. VII საუკუნით თარიღდება ააგსტის, ყულანურხვას №1, გუადიხუს №6 სამარხები,

სადაც ჩნდება წურბლისებრი და ჭვირული ფიბულები, სარდიონის მძივები.

ძვ. წ. VII-VI საუკუნეების მიჯნას მიეკუთვნება სოხუმის მთის კრემაციული სამარხები, გუადიხუს №6, 8, 9, 12, 18, 21, 23, 28, 29 და წითელი შუქურას №3, 6, 8, 12, 18, 19, 22, 24, 29, 47, 82, 84, 89 და აყულანურხვას სამარხები (Трапш М. М. 1970: 106-110; Трапш М. М. 1969: 25-43, 84-140.), ასევე გუდაუთის, ზემო ეშერას და ბამბორის ველის სამაროვნები. ამ პერიოდიდან გვხვდება გრეხილრკალიანი რომბულთავიანი საკისრე რგოლები, ჭვირული ქინძისთავები, ჭვირული ოვალურფირფიტოვანი ცხოველსახოვანი სამაჯურები, საყურეები ცხოველის გამოსახულებით, ფირფიტოვანრკალიანი ფიბულები, ცილინდრული გვერდნაჭრილი და კონუსური ფორმის ზარაკები.

ძვ. წ. VI ს-ით თარიღდება იაშთხვას №1, 2, (კვირკველია გ. 1978: 76), წითელი შუქურას №4, 5, 26, გუადიხუს №15, 18, 25 სამარხები, ფიჩორის, მერხეულის, აკარმარას და კისტრიკის (Бжания В. В., Кобахия Б. И. 1982: 13) სამაროვნის ზოგიერთი სამარხი, სადაც გვხვდება გველისებრთავიანი და გრეხილრკალიანი სამაჯურები, ნახნაგოვანრკალიანი ფიბულები.

აფხაზეთის ლოკალური კულტურის ზოგიერთმა ნივთმა, კერძოდ, ჭვირულვარდულებიანმა ფიბულებმა და რომბულთავიანმა საკისრე რგოლებმა თავისი შემდგომი განვითარება ჰპოვეს კოლხურ დიადემებში. იგივე ითქმის ცხოველსახოვან სამაჯურებზე, რომელთა ფორმები მეორდება ოქროსა და ვერცხლის სამაჯურებზე (ვანისა და ითხვისის სამაროვნები, საირხე, რაჭა) (დოლიძე ნ. 1999: 71).

აბგარხუკის სამაროვანი. 1979 წელს გუდაუთის რ-ნში მდინარე ააბრას მარჯვენა მხარეს არქეოლოგ გ. შამბას დედის დაკრძალვის დროს აღმოჩნდა სამაროვანი. ესაა ორმოსამარხი 40-50 სმ სიღრმეზე, ძვლები არ შემოინახა. მასალა: ბრინჯაოს ანტენისებრი სატევარი, პინცეტი, ოვალური ბალთა არწივის გამოსახულებით, შუბისწვერი, სარდიონის მძივი. ვ. ბუჩინამ, რომელიც ხელმძღვანელობდა გათხრებს, სამარხი ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით დაათარილა (Бжания В. В., Кобахия Б. И. 1982: 14) (ტაბ. XIX).

აბგარხუკის სამაროვანის გადარჩენილი ნივთები (1907 წელს): ბრინჯაოს მასიური რკალი, ბრინჯაოს შესქელებულრკალიანი ფიბულა.

აბგარხუკის სამაროვანი (1927 წ.) ნივთები შემთხვევით აღმოჩნდა, სამაროვანი დაზიანებული იყო. აღმოჩნდა რომბულრკალიანი ფიბულა ორნამენტირებული ორ რიგად განლაგებული ირიბი ხაზებით, ჯვრისებრი საკიდი ხუთი ბოლოთი, H-ს მსგავსი ქინძისთავი (Воронов Ю. Н. 1969: 22) (ტაბ. XVII).

აბგარხუკის სამაროვანი. აბგარხუკის ნასახლარიდან დასავლეთით 900 მ-ში 2003 წელს აღმოჩნდა სამაროვნის ნაწილი, ტრანშეის ძირზე აღმოჩნდა ბრინჯაოს ცული, ბრინჯაოს ხატისუდელი, ბრინჯაოს ისრისპირი, გასუფთავების შემდეგ 15-20 სმ. სიღრმეზე შეინიშნა მართკუთხა ფორმის ორმო, რომლის მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი გადარჩა. ორმოს შემორჩენილი ნაწილის სიგრძეა 1,47 მ, სიგანე 1 მ, დაკრძალვის შემდეგ ორმო ამოვსებული ყოფილა რიყის ქვებით, ამიტომაც გასუფთავების დროს რიყის ქვის ფენის კონტურები დაიკარგა. სამაროვნის ძირი მოპირკეთებული ყოფილა მოყავისფრო თიხისა, ნაცრისფერი თიხნარისა და რიყის ქვების ნარევით. რიყის ქვისფენის დონეზე სამაროვნის სამხრეთ-დასავლეთი კუთხის დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა ქვის კვირისთავი, ორმხრივ გახვრეტილი, კონუსური ფორმის, ზედა ნახვრეტი დიდი დიამეტრისაა და კარგად დამუშავებული, ქვედა ნახვრეტი მხოლოდ მონიშნულია, მთლიანად კვირისთავი უხეშადაა დამუშავებული. სამაროვნის შემორჩენილ ნაწილში 30-40 სმ სიღრმეზე აღმოჩნდა ბრინჯაოს პინცეტი და პექტორალი. პექტორალი მოხრილრკალიანი და ჩახვეული, ამისი ერთი ბოლო გატეხილი იყო. მის გვერდით აღმოჩნდა ცუდად შემონახული ძვლების გროვა (მხოლოდ ლულოვანი ძვლები). მათ შორის გამოირჩა თავის ქალა, სავარაუდოდ ახალგაზრდა კაცისა, სწორედ თავის ქალის ქვეშ იდო ძვლები. ხოლო მათზე აღმოჩნდა პინცეტი. სამაროვნის კედელთან ეწყო ხელით ნაძ-

ერწი კერამიკის 11 ფრაგმენტი. სამაროვანში დაფიქსირდა მეორადი დამარხვის წესი. პექტორალი ბრინჯაოსი, ფირფიტის სისქე 2-3 მმ. შემორჩენილის სიგრძე 4,94 სმ, ფირფიტის სიგანე ბოლოებზე იყო 3.5-4 სმ, შუა ნაწილში 5-5,6 სმ. აქვე შეინიშნება რამდენიმე რგოლისებრ-საფეხურისებრი შვერილები 3,2-4 დიამეტრით, კარგად შემორჩა მხოლოდ ერთი შვერილი, ხოლო სამი ნაწილობრივ. ნივთი უორნამენტოა.

სამაროვანი ყულანურხვა. სოფელი ყულანურხვა მდებარეობს გუდაუთიდან 7კმ-ზე ჩრდილო-დასავლეთით ორ მდინარეს შორის, დასავლეთით მდ. უადიუ, აღმოსავლეთით მდ. დახუარტა (ბორცვი ანუ შემალღება ყულანგვარისა). ამ გვარის სხვადასხვა წარმომადგენლები ცხოვრობდნენ აქ XX საუკუნის დასაწყისამდე. თვით სიტყვა შედგება ორი ნაწილისაგან: საგვარეულო სახელი ყულან მრავლობითის მაჩვენებელია და ბორცვი ან შემალღება – ხუა. სოფლის ჩრდილოეთი ნაწილი შემალღებულა, მას აჭრას უწოდებენ, რაც აფხაზურად მუხის ტყეს ნიშნავს. ეს ადგილი დაფარული ყოფილა მუხის ტყით, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში გაუკაფავთ, რამაც გამოიწვია ნიადაგის ეროზია და შემდეგ ეს შემალღება ჩამოირეცხა. მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გლეხები მინის დამუშავების დროს ნახულობდნენ სხვადასხვა ნივთებს. კოლხური ცული, ფირფიტოვანი სამაჯური, ცილინდრული ფორმის სამაჯური, აბზინდები, რგოლები. გლეხები ბრინჯაოს ნივთებს უყურადღებოდ ყრიდნენ, მხოლოდ რამდენიმე ნივთი, აღმოჩენილი 1925 წელს, შეიძინა მ. თრაფშმა 1948 წელს. ამის შემდეგ მეცნიერი იწყებს აქ არქეოლოგიურ გათხრებს 1948, 1951, 1952წლებში. ამ პერიოდში გათხარა 12 სამარხი: 11 ადამიანის და 1 ცხენის. ამათგან №1, 3, 6, 9, 11, 12 ტიპური კოლხური ინვენტარიტაა წარმოდგენილი. ხოლო №4, 5, 10 ტიპური სკვითური ინვენტარით. მთელი სამაროვანი განლაგებულია 100X40 მ, 15-35 სმ სიღრმეზე რუხი ფერის თიხის ფენაში. ყულანურხვას სამაროვანის სამარხები წაგრძელებული ორმოს მოყვანილობისაა, სადაც მიცვალებული ზურგზე გაშობილ მდგომარეობაში ასვენია და არ შეინიშნება ძირის მოკირწყელის რამე კვალი. ყველა სამარხი ინდივიდუალურია. არის ერთი ცხენის სამარხი (№4). №1 და №5 სამარხი ტიპური მამაკაცისაა (კოლხური ცულები, ბრინჯაოს თოხი, ბრინჯაოს სატევარი, ისრისპირები). ტიპური ქალისაა №2, 3 სამარხები (ბრინჯაოს სამაჯური, ბრინჯაოს სავარცხელი, ბრინჯაოს ქინძისთავი, საყურეები, ფიბულები). ძნელია ან შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რომელ სქესს ეკუთვნოდა №9 და №11 სამარხები, ვინაიდან მასში აღმოჩნდა როგორც რკინის დანები, ასევე მძივები, სამაჯურები. №10 სამარხში აღმოჩნდა მიცვალებულთან ცხენის ჩონჩხი, სკვითური ისრისპირი, ბრინჯაოს დანა და ცხენის ალკაზმულობა.

№1 სამარხი მამაკაცის: სამარხის სიგრძე 20-30 სმ, სიგანე 80 სმ, სიღრმე 2 მ. მიცვალებულის სიგრძე 170 სმ, ხელები სხეულის ვერტიკალურად. ჩონჩხს ახლდა ბრინჯაოს ინვენტარი: თავის ქალის ირგვლივ იდო მძივები, ქალიდან 20 სმ-ზე იდო ბრინჯაოს კოლხური ტიპის ცული, პირით მიცვალებულთან, ორი ორნამენტირებული ცული, ერთს ძალის ფიგურა ამშვენებს და ხის სახელური აქვს, მარჯვენა ხელთან იყო კოლხური III ტიპის ცული, ცულებსა და ჩონჩხს შორის იდო ბრინჯაოს ჭურჭლის ნატეხები, მარცხენა მხარეს იდო თიხის ორნამენტირებული ჭურჭლის ნატეხები, ბრინჯაოს ძეწკვი თხელფირფიტოვანი, ყელის არეში აღმოჩნდა რკალისებურად განლაგებული ლითონის ნატეხები რუხი ფერის (სავარაუდოდ კირკლის), მკერდის არეში იდო დიდი რაოდენობით სარდიონის მძივები, მინისა და ქარვის მძივები, 18 ცალი კონუსური ბალთა, მათ ქვევით ორი კოლხური ცული, დაზიანებული სამაჯური, ერთი მათგანი ცილინდრული ფორმისა, მეორე ფიგურული ბოლოებგაფართოებული. აქვე აღმოჩნდა ფრინველის ჩონჩხის ნაწილი. მარცხენა ხელთან იდო ფართო ცილინდრული ფორმის სამაჯური. წელის არეში იდო ცხოველსახოვანი აბზინდა სარტყლისა, ბრინჯაოს ფიგურა აფრენილი ფრინველისა, ცხოველის ძვლის ნაწილი და თიხის ჭურჭლის უორნამენტო ფიგურები.

სამარხი №2 (ქალის) – ცოტა ქვემოთ 1X1,7 მ ფართობზე 18 სმ სიღრმეზე აღმოჩნდა ჩონჩხის

არეული ძვლები და ნივთები. ცილინდრული ფორმის სამაჯური, ბრინჯაოს ფირფიტები (სავარაუდოდ ჭურჭლისა), ლითონის ნაცრისფერი ნატეხები (სავარაუდოდ კირკლისა), ბრინჯაოს სავარცხელი, ბიკონუსური მძივები (100 ცალი), ნიბურებიანი სამაჯური და ამობურცულზედაპირიანი სამაჯური, თიხის ჭურჭლის ნატეხების, ბრინჯაოს ცხოველსახოვანი აბზინდა სარტყელისა, ფანტასტიკური ცხოველის ბრინჯაოს გამოსახულება, სამკუთხა ფორმის ფირფიტოვანი საკიდი.

სამაროვანი №3 (ქალის) აღმოჩნდა №1 სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთით 18 სმ სიღრმეზე, მიცვალებული ზურგზე გამოტილი იყო, თავით სამხრეთ-დასავლეთით. ხელები სხეულის ვერტიკალურად. ჩონჩხს ახლდა თავის ორივე მხარეს ვრცხლის საყურე, ყელის ირგვლივ იდო წვრილი ბრინჯაოს ნივთები, მკერდის მარცხენა მხარეს აღმოჩნდა ბრინჯაოს H-ს მსგავსი ქინძისთავი, რომელიც დამაგრებული იყო ბრინჯაოს ძეწკვზე. იქვე იდო დაზიანებული რკინის ბეჭედი. დიამეტრი 2,2 სმ, გარე დიამეტრი 4 სმ. მკერდის არეში იდო 2 ფირფიტოვანრკალიანი ფიბულა ნემსის გარეშე, რკინის ფიბულა, ჯვრისებრი ნივთი ბრინჯაოს ქვიკარტისებრი თავით. ბრინჯაოს ღორი ან სხვა ცხოველი, რომლის ერთ მხარეზე სქემატურად გამოსახულია ფრინველი, აქვე იყო ბრინჯაოს სპირალი, მრგვალნიკვეთიანი სამაჯური, ბრინჯაოს ჭურჭლის ნატეხი. №4 ცხენის სამარხი, ჩონჩხთან ერთად აღმოჩნდა ლაგამი, ბრინჯაოს საყბურები, თიხის ჭურჭლის ნატეხები. სამაროვანი მთლიანად მ. თრაფშმა დაათარიდა ძვ. წ. VIII-VII საუკუნეების I ნახევრით, ხოლო სკვითური ინვენტარიანი სამარხები კი ძვ. წ. VII-VI საუკუნის I ნახევრით (Трапш М. М. 1970: 102-111) (ტაბ. VI, XXXVIII, XXIII, XLII).

ყულანურხვას ქვევრსამარხი. ბორცვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოკვეთილ კონგლომერატში 1969-71 წლებში აღმოჩნდა ქვევრსამარხი და ნამოსახლარი, სადაც იყო ფირფიტოვანი სარტყელი ცხოველსახოვანი აბზინდით, ცილინდრული სამაჯური, ბრინჯაოს მასიური რგოლები, ორი მავთულისებრი საკინძი, ბიკონუსური მძივი, ბრინჯაოს ჯვრისებრი საკიდი, კონუსურ-ზარაკისებრი აბზინდა, ბრინჯაოს ორი ცილინდრული ხვია, რკინის პინცეტი, ანტენისებურსახელურიანი სატევეარი. ქვევრი მონითალო-მოყავისფრო უხეში თიხისაგან ნაძერწი იყო დიდი რაოდენობით კვარცის დამატებით. მომდევნო სამაროვნები იყო ჩანგრეული, სადაც გამოჩნდა სარტყელი აბზინდით ძაღლის თავის გამოსახულებით, ბრინჯაოს კონუსურ-ცილინდრული სამკაული, ბრინჯაოს ქინძისთავი, ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლი, ბრინჯაოს ხატისუღელი, ბრინჯაოს ძეწკვი, ბრინჯაოს სამაჯურები (Воронов Ю. Н., Вознюк А. С. 1975: 270) (ტაბ. II).

1976 წელს აჭანდარაში აღმოჩნდა სამაროვანი, რომელშიც 3 ტიპის აბზინდა აღმოჩნდა. ფირფიტოვანი სარტყელი ზოომორფულთავიანი აბზინდით (ცხოველის ყურები აწეულია, ყელი გრძელი, რომელიც მიერთებულია ლენტისებრ სარტყელთან), მართკუთხა და უმბონისებრი აბზინდა. ძვ. წ. VIII-VII სს (ტაბ. III).

აჭანდარის სამაროვანი. 1970 წელს გაითხარა სამაროვანი მდიდრული ინვენტარით: ოთხი ბოლოებჩახვეული ხატისუღელი, გეომეტრული და გრაფიკული დეკორით შემკული I, II, III ტიპის კოლხური ცული, სატევეარი, შუბუსპირი, ორი მასიური რგოლი (ტაბ. XXXIII).

1990 წელს გაზაფხულზე სოფ. აჭანდარის მაღალმთიან ადგილას ცოუხუას მცხოვრებმა შალიკო აბგაჯამ არხის თხრის დროს აღმოაჩინა ძველი სამაროვნის ნაწილი ოქროს ნივთებით. ბორცვი, სადაც მოხდა აღმოჩენა, მდებარეობს მდ. ჩაარტას მარჯვენა ნაპირზე და გადაშლილია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. მისი ციცაბო ფერდობები, განსაკუთრებით აღმოსავლეთი და სამხრეთი, ამ ადგილს ძნელად მისასვლელს ხდის. ასეთი ბუნებრივი თავდაცვითი სისტემა განაპირობებს ბორცვის ათვისებას ადამიანის მიერ უხსოვარი დროიდან. ის შეიძლებააჩაივალოს ერთგვარ ციხე-ქალაქის ნაირსახეობად. აქვე აღმოჩნდა განვითარებული შუასაუკუნეების დროინდელი სამაროვანი, სადაც სამაროვნის ორმოში იდო 3 ადამიანის თავის ქალა. გაითხარა შუა ნაწილი 11X16 მ ბორცვისა იქ, სადაც 1990 წლის დასაწყისში აღმოჩნდა ოქროს ნივთები. გათხრილ ფართობზე გამოვლინდა 1

დაზიანებული სამაროვანი. მის გარეთ 2 საბრძოლო რკინის ცული ყუამოტეხილი (ძვ. წ. VI-V სს.), ზოომორფულთავიანი ვერცხლის სამაჯური, ოქროს მძივი-საკიდი ცხვრის თავის გამოსახულებით, ბრინჯაოს ფირფიტა გამჭოლი ნახვრეტით ჯავშნისა, ბრინჯაოს ფირფიტის ნატეხი ცხოველის გამოსახულებით, რომლის ტანი დაფარულია ნაჭდევებით (იმიტაცია ბენვისა). აქვე აღმოჩნდა ტახის ეშვები, 14 ფრაგმენტი შავლაკიანი კერამიკისა (ძვ. წ. VI-V სს), იმპორტული ამფორის ყურის ფრაგმენტი. აღმოჩენილი მასალა იყო 30-40 სმ სიღრმეზე. აქვე აღმოჩნდა ადრე შუასაუკუნეების დროინდელი 3 ისრისპირის ყუნწი.

სამარხი №1; Nსიღრმე 0,35 მ. ბორცვის დასავლეთ ნაწილში, გრუნტული სამარხი, რომელიც არ ყოფილა მოპირკეთებული არც ქვებით და არც სხვა რამით. სამარხში აღმოჩნდა გულმკერდის ძვლები და თავის ქალა. სავარაუდოდ სამარხი ეკუთვნოდა დაახლოებით 25 წლის ქალს. ჩონჩხი ესვენა თავით ჩრდილო-დასავლეთსკენ. ნივთები მოთავსებული ყოფილა შემდეგი თანმიმდევრობით: ჩონჩხის მარჯვენა მხარეს იდო შავი დამწვარი ჭურჭლის გვერდები. მარჯვენა ყურის არეში აღმოჩნდა ოქროს საყურე. კისერთან ოქროს ყელსაბამი და ბრინჯაოს 38 მძივი, მარცხენა მკლავთან იდო ოქროს თხელი ფირფიტის ფრაგმენტი და გრეხილღეროიანი ხატისუღლის ნატეხი. თავის ქალის ჩრდილო-დასავლეთით აღმოჩნდა რკინის ისრისპირის მასრა.

სამარხი №2 აღმოჩნდა №1 სამარხის სამხრეთ-დასავლეთით 8 კმ-ზე. სავარაუდოდ ამ სამარხიდანაა ის ოქროს ნივთები, რომლებიც მოსახლემ შემთხვევით აღმოაჩინა. ფიბულა, 6 მძივი-საკიდი ცხვრის თავის გამოსახულებით, 2 სფეროსებრი მძივი და საბეჭდი ბეჭედი ზოომორფული გამოსახულებით.

№1 სამარხის ნივთები: ბრინჯაოს მძივი-საკიდი (38 ცალი), ზომა 80X110 მმ, ნახვრეტის სიღრმე 60 მმ. მძივი ნაკვეთილი ბიკონუსური ფორმისაა ფართო ნახვრეტით, 2 მათგანს აქვს მარყუჟი. ზოქროს საყურე-საკიდი შედგება 2 ნახევრადწრიული ერთმანეთს დაშორებული ჰორიზონტალური სარტყელისგან. მასზე ვერტიკალურად მიცვირულია პირამიდის ფორმის ყუნწი. ასეთივე პირამიდიტაა დამშვენებული ყუნწის ქვედა ნაწილი, თავის მხრივ ეს ნახევარი დაფარულია სამკუთხაპირამიდების 2 მწკრივით (I რიგში-9, II-ში-13) და ყოველი მათგანი დაცვირულია. საყურის ზედა ნაწილი თხელღეროიანია. ქვედა ნაწილი შემკულია მიცვირული მცირე ზომის სამკუთხედების 2 რიგით. საყურის მთლიანი ზომა 4-9 მმ, დიამეტრით-13 მმ, წონა-6 გრ. ოქროს მძივი 13 ცალი 2 ტიპისაა სფეროსებრი და წახნაგოვანი. ყველა მათგანი მთლიანად სხმულია. სფეროსებრი მძივი გლუვზედაპირიანია და შედგება 2 ნახევრისაგან, რომლებიც ერთმანეთზე გადაბმულია რჩილვით. 1 მძივის წონა 0,8 გრ. სამარხი თარიღდება ძვ. წ. V ს ბოლო მეოთხედი-IV ს დასაწყისით.აა

№2 სამარხის კომპლექტში შედის 10 ოქროს ნივთი, რომლებიც აიკრიფა 1 კვ. მ. ფართობზე, ამიტომ სავარაუდოა რომ ისინი ერთი სამაროვნიდან მომდინარეობენ. აქედანაა ფიბულა, ფიგურული მძივები, საბეჭდი-ბეჭედი. ფიბულა ოქროსი ღია ფერის რომბისებურად გაფართოებული ზურგით, ნემსი, რომელიც რკალის გაგრძელებას წარმოადგენს თავში ჩახვეულია. ჩამკეტი ერთ მხარესაა მოღუნული, ფარაკი ორნამენტირებულია რომბისებრი ხაზებით, კიდეებზე დატანებულია ირიბი ხაზები ერთ რიგად. ფარაკის შუა და სიგრძეზე ნაძვისებრი ან პარკეტისებრი ორნამენტია. ფარაკის შიდა მხარეს ამოჭრილია 2 წრე და 4 წყვილ-წყვილად განლაგებული ნახევრადწრე ნამგალა მთვარის ფორმის. რკალიდან ფარაკამდე ორივე მხარე შემკულია ირიბი ხაზებით, მთლიანი სიგრძე ნემსთან ერთად 4-5 სმ, სიმაღლე 1.5 სმ, წონა-5 გრ. მძივი-საკიდი ცხვრის თავის გამოსახულებით (6 ცალი) მკვეთრად გამოკვეთილი წინ გადმოწეული რქები, თვალები, სახე და პირი. საკიდი შედგება 2 ნაწილისაგან ერთმანეთთან მირჩილული, ყელზე 2 გამჭოლი ხვრელით, სიგრძე 160-180 მმ, სიგანე 76-77 მმ, წონა 7 გრ. (ტაბ. IV).

1944 წელს ხაბიუს სამარხში აღმოჩნდა მრგვალგანაკვეთიანი სამაჯური H-ს მსგავსი დაბოლოებით (დიამეტრი 5,6 სმ).

ბარმიშის სამაროვანი. გადარჩენილი ნივთები: ბრინჯაოს საკიდი ცულის გამოსახულებით. ი. ვორონოვი მას VIII-VII საუკუნეებით ათარილებს (Воронов Ю. Н., Гумба М. М. 1978: 259) (ტაბ. I).

ახალი ათონის სამკურნალო კომპლექსის მშენებლობის დროს დაზიანდა ძვ. წ. VIII-VII საუკუნეების სამაროვანი. გადარჩენილი ნივთები: შუბისპირი დანახნაგებულ ორფერდად, საერთო სიგრძე 34,8 სმ, პირისა 16,2 სმ, მასრა ორნამენტირებულია 6 პარალელური ხაზების სარტყლით, ყუამომტვრეული ცული, სიგრძე პირიდან შუა გამჭოლამდე 12,1 სმ, პირის სიგანე 5,5 სმ, ორნამენტირებული ირიბი მსხვილი შტრიხებით, კიდეების შტრიხი 1 სმ სისქისაა, ქვევით პირდაპირი შტრიხების კუთხეებს დატანებული აქვთ წრეები. მეორე ცულიც ყუამომტვრეულია, სიგრძე 12,2 სმ, სიგანე პირისა 5,4 სმ, კიდეების შტრიხულ ორნამენტში გამოსახულია ფანტასტიკური ცხოველი "გვერა". ყუის ნახნაგის ნაწილი გამოყოფილია რელიეფური სორსლებით. დაფნისფოთლისებრი 2 შუბისპირი სახელურმომტვრეული, სიგრძე 8,4 სმ და 6,8 სმ, წვერის სიგანე 3 სმ. სარტყლის აბზინდა ნაჭდევი წვრილი მავთულით რომბისებული ხაზები. აბზინდის სიგრძე 10,5 სმ. მრგვალგანიკვეთიანი სამაჯური, შიდა დიამეტრი 7 სმ, სისქე 0,4 სმ, ბოლოები გაშლილია 1 სმ სიგანეზე, ორნამენტირებულია 6 რიგად განლაგებული განივი ჭდეებით. რომბულრკალიანი ფიბულა, რომლის ზურგიც დაფარულია განიკვეთებით, საერთო სიგრძე 9 სმ, სიგანე 4,4 სმ, ბრინჯაოს სიტულა, სიმაღლე 4,4 სმ, უმაღლესი დიამეტრი 4,2 სმ, სისქე კედლის 0,2 სმ (Воронов Ю. Н. 1969: 19).

ნითელი შუქურას სამაროვანი. სოხუმის დასავლეთით, სოხუმის დაბლობზე პირველი არქეოლოგიური დაზვერვები დაიწყო 1935 წელს (სამაროვნის ნაშთი: მოკირწყლული იატაკის ფრაგმენტები, რომელზეც იდო 2 თიხის ჭურჭელი). 1947 წელს არხის გათხრის დროს აღმოჩნდა 2 სამარხის ნაშთები, რომლებშიც აღმოჩნდა 2 თავდაყირა მდგომი ჭურჭელი ძვლებით და თავის ქალით, ჯამი, პირველი ქვევრის თავსახურავი, რკინის გადაღუნული ღერო. მესამე ქვევრში იდო ბრინჯაოს მართკუთხა აბზინდა, მრგვალი სარტყლის ბალთა ინკუსტრირებული სოლარული ნიშნებით, ასხმულა, 2 ბრინჯაოს რკალისებრი ფიბულა, რიყის ქვის სანაფი. 1956 წელს იწყება არქეოლოგიური გათხრები მ. თრაფშის ხელმძღვანელობით. სამაროვანზე აღმოჩნდა 104 სამარხი ნაგრძელებული ორმოს მოყვანილობის. სამარხები (77 სამარხი), მომრგვალო, ოვალური ფორმის (7 სამარხი), ორმო-სამარხები (17 სამარხი) და ქვევრსამარხები (8 სამარხი). ინდივიდუალური სამარხები: ნაგრძელებული ორმოს მოყვანილობის სამარხები, მიცვალებული ზურგზე გამოტილი ესვენა და შეინიშნება ძირზე ზღვის კენჭები (სიგრძე 1,8-2 მ, სიგანე 80-100 სმ, სიღრმე 1-1,3 მ). მომრგვალო ოვალური ფორმის სამარხებში მიცვალებული მოხრილ მდგომარეობაში ესვენა მარჯვენა მხარეს თავით ჩრდილო-დასავლეთით. ძირი მოფენილი იყო ზღვის წვრილი ქვებით (სიგანე 80-100 სმ, სიგრძე 1,8-2 მ).

ორმოსამარხები მეორადი დაკრძალვის წესით (სიღრმე 1-1,40 სმ, დიამეტრი 80-90 სმ), ქვევრსამარხებში მეორადი დაკრძალვის წესით ათავსებდნენ ჭურჭელს პირით ძირისაკენ (სიღრმე 1,40 სმ, დიამეტრი 80-90 სმ).

მომრგვალო-ოვალური ორმოსამარხები (№1, 2, 9, 10, 12, 13, 39) აღმოჩნდა ფიბულები, რკინის მოხრილი დანები, შუბისპირები, პინცეტები, ქინძისთავები, ამიტომ სავარაუდოა ისინი უფრო მამაკაცს ეკუთვნოდა, ზოგიერთ ქვევრსამარხებში (№47, 48, 49, 55, 79) აღმოჩნდა მძივები, სამაჯურები, აბზინდები, სასაფეთქლე რგოლები, ფიბულები, ამიტომ ისინი შესაძლოა ქალის სამარხები ყოფილიყო. ხოლო №90, 92, 94 სამარხებში, სადაც აღმოჩნდა ცულები, შუბისპირები, პინცეტები, მამაკაცებს ეკუთვნოდა.

ორმოსამარხები მეორადი დაკრძალვის წესით №52, 52ა, 54ა, 56ა, 66ა, 70, 75, 75ა, 76, 76ა, 77, 95ა ძლიერ ღარიბულია, ხოლო №11, 14, 21, 39, 38, 28, 43, 62, 89, 88, 104 აღმოჩნდა შუბისპირები, დანები, პინცეტები, ბრინჯაოს ცულები, რომლებიც ტიპური მამაკაცის სამარხებია, ხოლო №18, 23, 24, 26, 28, 62, 100 ტიპური ქალისაა, სადაც აღმოჩნდა ჭვირული ქინძისთავი, ზოომორფულთავიანი სამაჯური, საყურეები, ხვიები.

სამარხი №4 მომრგვალო ოვალური ფორმის ორმოსამარხია (200X80 სმ), მიცვალებული ესვენა მოხრილ მდგომარეობაში მარჯვენა მხარეს, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ. ჩონჩხის ჩრდილოეთით იყო ორი რკინის მოხრილი დანა (11,8 სმ-2,3 სმ), დანას შენარჩუნებული ჰქონდა ხისა და ქსოვილის ნაშთები. ყელის არეში იდო სარდიონისა და ქარვის მძივები; სარდიონის მუქი ვარდისფერი და ლელისფერისაა, მომრგვალო ფორმის, ხოლო ქარვისა ოვალური ფორმისაა. მკერდის არეში აღმოჩნდა ორი ბრინჯაოს ფიბულა; ერთი რომბისებურკალიანი ორნამენტირებული ჭრილი წრეებით, ნაძვისებრი და ირიბი ხაზებით (სიგრძე 4 სმ, სიმაღლე 2,4 სმ), მეორე ფიბულა რომბისებურკალიანი სადა ზედაპირი (სიგრძე 4,8 სმ, სიმაღლე 3,4 სმ). მარცხენა ხელთან აღმოჩნდა ცილინდრისებრი ფორმის ოვალური ჭვირული სამაჯური, ორი რკინის შუბუსპირი; ერთი ფოთლისებრი ფორმის, სიგრძე 34 სმ, სიგანე 6 სმ, შუა ნაწილში 3,2 სმ, ბოლოს 2 სმ. მეორე დაფნისებრი ფორმის, სიგრძე 22 სმ, სიგანე 2,6 სმ. იქვე აღმოჩნდა რკინის ცული (სიგანე 12,5 სმ, სიგანე 5,5 სმ). მარჯვენა ხელთან აღმოჩნდა მრგვალგანიკვეთიანი სამაჯური გველისებრთავიანი (დიამეტრი 5,8 სმ), იქვე იდო რკინის ოდნავ მოხრილი დანა (სიგრძე 26,5 სმ, სიგანე 3 სმ). დანას ემჩნეოდა ქსოვილისა და ხის ნაშთები. გ. ლორთქიფანიძე სამარხებს №42, 43, 56, 58, 69, 90, 94, 104 ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით ათარილებს, ხოლო სამარხებს №2, 4, 7, 9, 39, 63, 66 – ძვ. წ. VI საუკუნის I ნახევრით (ლორთქიფანიძე გ. 1978). გ. კვიციანი სამარხებს №3 და №9 ათარილებს ძვ. წ. V-IV საუკუნეებით, ხოლო სამარხებს №4, 5, 10, 12, 17, 18, 20, 21, 23, 37, 29, 61, 82, 84 – ძვ. წ. VI-V საუკუნეების I ნახევრით. მისი მიხედვით სამარხები №2, 9, 14, 28, 7, 8, 11, 13 ძვ. წ. VIII-VI საუკუნეებით თარიღდება, ხოლო სამარხები №32, 34, 35, 41, 42, 43, 47, 49, 52, 53, 54, 56, 71, 74 – ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით (კვიციანი გ. 1981). მ. თრაფში სამაროვანს გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდით ათარილებს (Трапш. М. М. 1969: 82-209) (ტაბ. VII, XVIII, XXI, XXIV, XXVII, XXXII, XXXIV, XXXVIII, XL, XLI-XLIII).

გუადიხუს სამაროვანი მდებარეობს ქ. სოხუმში, სოხუმის მთის ჩრდილოეთ ბორცვზე „გუა-დაზე“, სოხუმის მთისა და სოფ. ბირცხის შორის. ბორცვიდან იშლება მშვენიერი ხეობები, ხოლო მის ქვემოთ კი გაშლილია სოფ. ბირცხა აბჯაკვა.

სამაროვანის საერთო ფართობი არის 900 კმ (140 მ აღმოსავლეთ-დასავლეთით, 130 მ ჩრდილო-სამხრეთით). 1952 წელს სოხუმის შემოგარენში წარმოებულ სარეკონსტრუქციო სამუშაოების დროს მუშებმა აღმოაჩინეს ჭურჭლის ნატეხები. დაზვერვითმა სამუშაოებმა გამოავლინეს შავლაკიანი კერამიკის ნატეხები, რასაც მოჰყვა 1952-53-54 წლების მ. თრაბშის მიერ გათხრილი 91 სამარხი, აქედან 32 სამარხი გვიანბრინჯაოს-ადრერკინის პერიოდისაა (ძვ. წ. VIII-VII სს), ხოლო დანარჩენ ძვ. წ. V-II საუკუნეების სამაროვანზე შეინიშნება მრგვალი ფორმისა და ოთხკუთხა ფორმის სამარხები. მრგვალ სამარხებში მიცვალებულს ათავსებდნენ სრული კრემაციის შემდეგ, ძირითადად მოკირნეული არ ყოფილა. კრემაცია ეწყობოდა სამარხის ძირზე (სამარხის ზომები: დიამეტრი 50-60 სმ, სიღრმე 40-50 სმ). სამარხებში №3, 4, 5, 6, 14, 15, 16, 17, 18, 20, 21, 22, 27, 28 აღმოჩნდა ფიბულები, ჭვირული ქინძისთავები, ბრინჯაოს ჭვირული სამაჯურის ნატეხები, ზარაკები, რომლებიც სავარაუდოდ ქალისაა, ხოლო რაც შეეხება №23 სამარხს, სადაც ბრინჯაოს გრეხილრკალიანი კირკალი და სამაჯური, რკინის მოხრილი დანა და რკინის შუბისწვერი აღმოჩნდა, მამაკაცისა უნდა ყოფილიყო.

ოთხკუთხა ფორმის სამარხებში დასტურდება მეორადი დაკრძალვის წესი ცეცხლის გამოყენებით (ნაწილობრივი კრემაცია). ამგვარი კრემაცია ეწყობოდა თვით სამარხებში, ძვლებიც და ნივთებიც იქვე ეწყობოდა (სამარხის ზომები: სიგრძე 1,90-2 მ, სიგანე 90 სმ, სიღრმე 40-60 სმ) სამარხებში №1, 2, 7, 8, 10, 11, 13, 19, 29, 30, 31, 32 აღმოჩნდა შუბისწვერი, რკინის დანები, ბრინჯაოს ცულები გვიჩვენებს, რომ ისინი მამაკაცს ეკუთვნოდა, ხოლო რაც შეეხება ნაწილობრივი კრემაციის კიდევ 3 სამარხში №9, 24, 25 აღმოჩნდა ბრინჯაოს სამაჯურები, ფიბულები და საყუ-

რეები, რაც ნიშნავს, რომ ის ქალს ეკუთვნოდა. სამარხი №8 ოთხკუთხა ორმოს ფორმის (ზომები 190X80 სმ) 60 სმ სიღრმეზე აღმოჩნდა სამარხი ნაწილობრივი კრემაციით. მიცვალებული ესვენა ზურგზე გამოტილი თავით აღმოსავლეთით. ჩონჩხის ჩრდილოეთით იდო რკინის ცული (სიგრძე 175 სმ, ძირის სიგანე 6,5 სმ). ცულის გვერდით იყო უხელო, მუცელგამობერილი თიხის ჭურჭელი რუხი ფერის გამოწვით (სიმაღლე 16,8 სმ). მიცვალებულის ყელის არეში იდო გიშრის ცილინდრული ფორმის მძივები, რომელსაც ძლიერ ეტყობოდა ცეცხლის კვალი, იქვე ახლოს აღმოჩნდა ერთი მინის მძივი. მკერდის არეში იყო ბრინჯაოს ბალთები ფანტასტიკური ცხოველების სკულპტურული გამოსახულებით (ცხოველები გამოსახულნი იყვნენ მოძრაობაში (რბენა, აწეული ყურები, ღია ხახით, ჩახვეული კუდებით, რკალისებრი რქები), ფიგურები შემკობილი იყო რელიეფური ხეური კანტით. მიცვალებულს მარცხენა ხელზე ეკეთა მრგვალგანიკვეთიანი ზოომორფულთავიანი ბრინჯაოს სამაჯური, მარცხენა ხელის თითზე ეკეთა ფართორკალიანი ბეჭედი ფრინველის ჭრილი გამოსახულებით. წელზე ეკიდა სკვითური ტიპის სატევარი (სიგრძე 21 სმ), იქვე იდო ბრინჯაოს ძენკვი (სიგრძე 5სმ), მარცხენა ხელის ახლოს მინაში ჩარჭობილი იყო რკინის დანა, რომლის სახელურს შემორჩა ხის ნაშთები, იქვე იდო სალესი ქვა (სიგრძე 9 სმ), ორი რკინის შუბისწვერი (ერთი ფოთლისებრი ფორმის, მეორე დაფნისფოთლისებრი ფორმის). სამარხი №23 მრგვალი ფორმის კრემაციული ტიპისაა (დიამეტრი 70 სმ, სიღრმე 45 სმ), სადაც აღმოჩნდა ადამიანის წვრილი ძვლები, ბრინჯაოს გრეხილრკალიანი, რომბისებრკალიანი კირკალი. რომბისებრ გაფართოებული თავები შემკულია წერტილოვანი შტრიხული და თვალისებრწვერებიანი ორნამენტაციით (შიდა დიამეტრი 11 სმ, სიგანე 1,9 სმ), ორი ბრინჯაოს ამობურცულთავიანი ბალთა, ოდნავ წახნაგოვანი ოვალური ფორმის ღილები, ზოომორფულთავიანი ბრინჯაოს სამაჯური გრავირებული ირიბი ჭდეები, 3 რკინის შუბისწვერი, ორი ფოთლისებრი ფორმის. ერთის სიგრძე 29 სმ, სიგანე 12,5 სმ, მეორეს სიგრძე 11,5 სმ. მესამე დაფნისფოთლისებრი ფორმისაა, სიგრძე 18 სმ, სიგანე 2,2 სმ. რკინის დანა, სიგანე 3,5 სმ, სიგრძე 12,4 სმ. მ. თრაფში სამაროვანს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანით ათარიღებს (ძვ. წ. VIII-VII სს). გ. კვირკველია №1, 2, 8, 13, 31, 25, 32 სამარხებს ძვ. წ. VI-V სს, ხოლო №7, 14, 22 უფრო მოგვიანო პერიოდისად მიიჩნევს (კვირკველია გ. 1981; Трапш М. М. 1969: 76-78). (ტაბ. XVIII, XX, XXVI, XXVII, XXVIII, XXIX, XXXVI).

ზემო ეშერას სამაროვანი გაითხარა ლუკინის მიერ 1953 წელს სამაროვანში აღმოჩნდა სადა ფირფიტოვანი სარტყელი (სიგრძე 6 სმ, სისქე 0,5-0,6 მმ, სიგანე 55 მმ) აბზინდით, სხმული ორად გადაღუნული მასიური ბრინჯაოს ფირფიტისაგან, ფირფიტის შუა ნაწილიდან მიემართება მომრგვალებული ღერო, რომელიც წარმოადგენს ცხოველის წაგრძელებულ ყელს, რომელიც მთავრდება ყურებიანი ცხოველის თავის სქემური გამოსახულებით. აბზინდის სიგრძე 56 სმ, სიგანე 10 მმ, საერთო სისქე 28-38 მმ; შემორჩა სარტყლის 8სმ სიგრძის ნაწილი (სისქე 0,5-0,6 მმ, სიგანე 55 მმ). აბზინდის სიგრძეზე ორივე მხარეს შეინიშნება სუსტი გრძივი ღარები. კონუსური ოთხი ზარაკი, კონუსის ზედა ნაწილი გადადის მრგვალ ლურსმნისებრ ჩხირში, რომელიც მთავრდება ოდნავ ამობურცული, გამოკვეთილი თავით, ოთხივე ზარაკს შემორჩა მხოლოდ ნაწილი მილძაბრისა, რომელიც ღეროს ეკვროდა. ძლიერ საინტერესოა ამ ზარაკების დასამაგრებელი ყურები, რომლებიც მოთავსებულია ფუყე კონუსში, დაგრეხილია, მიემართება ქვევით, თითქოს ღეროს გაგრძელებას წრმოადგენენ. 30 სარდიონის მძივი; ბრინჯაოს მძივი 2 სახის, I ჯგუფი – ფუყე სხმული, 127 მმ დიამეტრის და 19-20 მმ სიგრძის. II ჯგუფი – 24 მმ დიამეტრით და 23-24 მმ სიგრძის (17 ცალი), 2 წვრილი მძივი ნაჭედი, ორკუნუსური ნივთის მსგავსია, გრეხილი სასაფეთქლე რგოლი ოვალური ფორმის (ღეროს სიგრძე 12,5 სმ, სისქე 6 მმ, წონა 27 გრ), რომელიც ბოლოებში თანაბრად სქელდება, ღეროს ბოლოები ზევითაა აწეული. კვერთხისთავი შესანიშნავი ან სიმბოლური ნიშანი, რომელიც შედიოდა მოკვდავის ყოველდღიურ ცხოვრებაში. 20 მმ ბურთულა გამჭოლი, სწორხაზოვანი, რომლზედაც გარშემო ჯვარედინად მრგვალი ღარების საშუალებით დამაგრებული იყო 4 პატარა

16 მმ დიამეტრის ბურთულა, ორი ფირფიტოვანი ქინძისთავი ორნამენტირებული კუთხეებში ხუთ-ხუთი ბურთულებით. ქინძისთავის მრგვალი ღერო (11 სმ) ზემოთ ფართოვდება და მთავრდება ოვალური ნახვრეტით (14X9 მმ), ფირფიტა კვადრატულია და სამ კუთხეზე აქვს ბურთები. კვადრატის ფართობი 22X22 მმ, სისქე 3,5 მმ, ქინძისთავის საერთო სიგრძეა 16 სმ. ნივთი ჩამოსხმულია ცვილის მოდელით, ორი რთული ოთხიარუსიანი საკიდი, თითოეული მათგანი შედგება 9 რგოლისაგან. საკიდის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ხოჭო, ფუყე, ნახევრად მრგვალი ქაცვისებრი ამობურცვით, რომლის ქვედა ნაწილში არის ბეჭდისებრი მარყუჭით. მეორე იარუსი წარმოადგენს 2 ფუყე ჭვირულ გადმოტრიალებულ კონუსს, რომელიც ხოჭოს მარყუჭს უკავშირდება კონუსის ზედა ყუნწით, როგორც ძენკვის რგოლი, ხოლო კონუსის ქვედა ყუნწი უკავშირდება სამხრეს. იგივე წესით 2 ჩიტის ზურგს თვით ჩიტები წარმოადგენენ გაშლილი ფრთებითა და კუდით. ხოჭოს უკანა ნაწილი ოდნავ ამობურცულია, გაჭრილია 6 სწორკუთხა ფანჯრებად. 10 კონუსური ქიმიდან, რომელიც განლაგებულია ხოჭოს ზედა ამობურცულ ნაწილზე, 5 განლაგებულია კიდეებზე წრიულად და ქმნიან ხუთქიმიან ვარსკვლავს, 1 მოთავსებულია ცენტრში, 4 მის ირგვლივ ჯვრისებრივ არიან განლაგებული, ხოჭოს დიამეტრია 3,7 სმ, სიმაღლე 24 სმ, ქიმებისა 10 მმ. ოდნავ მცირე ზომის, სამკუთხედის ფორმის. მეორე საკიდის ხოჭო ოდნავ მასიურია, ქიმების განლაგება ოდნავ შეცვლილია, ცენტრში მოთავსებული ქიმი და მის ირგვლივ 4 ქიმი ჯვარს კი არ ქმნის, არამედ მიმართულია კვადრატისაკენ. 16 მმ სამხრეზე კიდია პრიალა გადმოტრიალებული კონუსები. საკიდის ყველა ნაწილი ჩამოსხმულია. ბუნიკი ფირფიტოვანი პროტომისა – ფანტასტიკური მტაცებელი ცხოველისა, მან მიიღო გერას (გვერას) სახელი, ის წარმოადგენს ცხოველის მხოლოდ თავს, მასიური ყელს და წინა თათებს, ნივთი ნეკა თითს არ აღემატება. ბუნიკის შემოსაკრავი დეკორირებულია სწორი ხაზებით და მეანდრისებრი ელემენტით. ანტენისებრსახელურიანი სატევარი, სიგრძე 28 სმ. ბრინჯაოს ფურცლები რამდენიმე ათეული. 3 სუსტად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (ტაბ. VIII).

ჩოხანლუქის სამაროვანში აღმოჩნდა ადამიანის ძვლების ნაწილი, რომელიც დაფარული იყო დაშლილი ბრინჯაოს ფურცლით, ბრინჯაოს სატევარი ცალკე სხმული სახელურით, სიგრძე 28 სმ, ბრინჯაოს ცული ასიმეტრიული პირით, სამი ღარით შიდამხარეს წაკვეთილი ყუათი ოდნავ გამოკვეთილი ზურგით, სიგრძე 19,8 სმ, პირის სისქე 7,5 სმ, სარდიონის მრგვალი მძივი დიამეტრი 1,3 სმ. აღმოჩნდა 1917 წელს.

ჩოხანლუქის სამაროვანი. აღმოჩნდა ბოლომომტვრეული 3 ისრისპირი, ერთის სიგრძე 17,2 სმ, მეორეს – 21 სმ, წვერი თხელი, გამოკვეთილი ღარით რომბისებური, პირის და სახელურის შეერთების ადგილას გრავირებული სარტყელი 3,3 სისქის პარალელური ხაზებით და მათ შორის წრეებით, მესამე ისრისპირი 14 სმ გამოკვეთილი ღარით, აყველა ისრისპირს ქვევით აქვს ხვრელი, სარტყლის გორგოლაჭი, სიგრძე 3,8 სმ, დიამეტრი 1,3 სმ, სარტყლის რამდენიმე რგოლი დიამეტრით 1,1X0,4 სმ, ცილინდრული ასხმულა დიამეტრით 0,6 სმ, ლურსმანა 1,5 სმ, ლითონის გაპრიალებული რომბისებური ღერო სიგრძით 5,5 სმ, სისქით 10 მმ, სხვადასხვა ნატეხები სამაჯურებისა და გაურკვეველი ნივთებისა, საკისრე რგოლი მსხვილი გრეხილრკალიანი ბოლოებგაფართოებული, დიამეტრი 12,1 სმ (Воронов Ю. Н. 1969: 25) (ტაბ. XXXIV).

ფსირცხასთან ნამოსახლარიდან დასავლეთით 100 მ-ზე 2 მ სიღრმეში ფენის ზედა ჰორიზონტზე აღმოჩნდა 2 სამაროვანი. I სამაროვანი იყო მოკირწყლულ ადგილზე დიამეტრით 0,4 მ, სისქე 0,5 მ წვრილი რიყის ქვით, ადამიანის ძვლებით, ჭურჭლის ნატეხებით, II სამაროვანი, რომელშიც აღმოჩნდა ჭურჭლის ფრაგმენტები და ადამიანის ძვლები, იდო მოკირწყვლის ქვეშ.

ვერეშაგინის მთა. მთის ჩრდილოეთ ნაწილში აღმოჩნდა გვიანბრინჯაოს პერიოდის სამაროვანი, 4 მეორადი დაკრძალვით შესრულებული სამარხი ერთმანეთისაგან 15 მ დაშორებული, ქვევრის სიგრძე 100 სმ, დიამეტრი 85 სმ, ორნამენტი ნაჭდევი სამკუთხედისებრი ფორმის, რომელიც თავის

მხრივ დაფარულია პარალელური და ირიბი ხაზებით, ქვევრები იდო სქელ კირქვის ფილაზე 0, 5 მ სიღრმეზე. №1 სამარხში ივარაუდება 2 ჩონჩხის არსებობა. პირველ ორ სამარხში აღმოჩნდა შემდეგი ნივთები: ბრინჯაოს ცული სოლისებრი ყუათი ბრინჯაოსვე სახელურით სიგრძით 29 სმ (№1 სამარხი), ცულის სიგრძე 16 სმ. სატევარი ღეროთი, რომლის პირს შუაში გასწვრივ დაუყვება სამი ნიბო, რომელიც ქმნის 2 ღარს, სატევრის სიგრძე 28 სმ, ღეროს სიგრძე 3 სმ. 2 ანალოგიური სატევარი, რომლის პირსაც გასწვრივ დაუყვება 4 ზოლი გამჭოლი ხვრელით ღეროზე. I სატევრის სიგრძეა 24 სმ, ღეროს სიგრძე 2,5"სმ, სიგანე 3,3 სმ, II სატევრის სიგრძეა 23,5 სმ, ღეროს სიგრძე 3,5 სმ, მოკლე ვიწრო სატევარი 3 ზოლით პირზე, სიგრძე 20,1 სმ, ზედა ნაწილი 3 სმ. 4 შუბისპირი სწორკუთხა მოკლე პირით, რომელიც გადადის გრძელ ზედა ნაწილში, I შუბისპირის სიგრძე 26 სმ, მასრისა 16,5 სმ, პირის სიგანე 3,5 სმ, II შუბისპირის სიგრძე 27 სმ, მასრის სიგრძე 16,5 სმ, სიგანე პირისა 4 სმ, III შუბისპირის სიგრძე 25 სმ, მასრისა 15,5 სმ, პირისა 3,3 სმ, IV შუბისპირისა 23 სმ, მასრისა 15,5 სმ, პირისა 3,4 სმ. 3 მასიური მრგვალი რგოლი ჩაჭრილი გარეთა დიამეტრით 11,5-11,8 სმ, სისქე 2,5-2,9 სმ. ცილინდრული სამწიბოიანი ბოლოებგახსნილი სამაჯური, ცილინდრის სიმაღლე 10-15 სმ, დიამეტრი ნიბოებთან 9,5 სმ, შიდა დიამეტრი 7,5 სმ. 4 ბრინჯაოს სხმული კონუსი ორმაგი ცხოველის თავის გამოსახულებით, კონუსებს შიგ აქვთ მარყუჟი, სიმაღლე 6 სმ, დიამეტრი 5 სმ. 4 ბიკონუსური მძივი სიგრძე 4 სმ-მდე. 12 ფრაგმენტი 2 ფირფიტოვანი სარტყლისა ცხოველსახოვანი აბზინდით, სიგანე 4,3 სმ (№1 სამარხი), 14 ფრაგმენტი ფირფიტოვანი ბრინჯაოსი, რომელსაც ემჩნეოდა სამაგრების კვალი, სავარაუდოდ შლემისა ან საისრისა. 100 სარდიონის მძივი. ლურჯი მინის პირამიდისებრი საკიდი. 2 ნატეხი ბრინჯაოსი და 2 ნატეხი კალისა. №3 სამარხი შეიცავდა მხოლოდ ჩონჩხს უინვენტაროდ.

1930 წელს აღმოჩნდა სამარხი №4, მეორადი დაკრძალვა განხორციელდა თიხის ოსუარიუმში, რომელიც იდო ყელით ქვის ფილაზე ნიშაში, ჭურჭელი მუცელგანიერი, ვიწროყელით და გარედან გადმონეული პირით, ხელით ნაძერწი და კარგად განლექილი ქვიშის დამატებით. მხრებზე ნაძერწი სარტყლით გამოყოფილია პრიალა მუცლისაგან. შიგნიდან სავარცხლისებურად გადასწორებულია. კედლების სისქე 0,8 სმ. ძირის დიამეტრი 25 სმ, სიმაღლე 100 სმ, ჭურჭელში იდო თავის ქალა, ხელის და ფეხის გრძელი ძვლები, ხერხემლის 3 კისრის ძვალი, ორივე ბეჭის ძვალი, ნეკნის ფრაგმენტები. ნივთები: ბრინჯაოს ცული სოლისებრი ყუათი, სიმეტრიული პირით, ორნამენტირებული 2 წყვილი დაშტრიხული ზონრებისაგან კიდეებზე და შუანაწილში მოთავსებული წრეებით, ერთიანობაში სარტყელი, რომელიც ეკვრის ცულის ყველაზე ვიწრო ადგილს. პირის თითოეულ მხარეს გამოსახულია ფანტასტიკური ცხოველი "გვერა", ყუას კიდურა ნახნაგებზე გამოსახულია თევზები. ცულის სიგრძე 17,4 სმ. 2Bბრინჯაოს შუბისპირი, I – შუაში გამოკვეთილი ნახნაგით, სიგრძე 17 სმ, წვეროს სიგანე 3,4 სმ, II შუბისპირის სიგრძე 21 სმ, წვეროს სიგანე 2,7 სმ. რკინის შუბისპირი ვიწრო წვეროთი, სიგრძე 28 სმ. Bბრინჯაოს სატევრის პირი, სიგრძე 24,4 სმ, სიგანე 4,2 სმ, 2 სამკუთხა გამჭოლი ხვრელი ბრინჯაოს ღეროს სახელურისათვის. კკალის მასიური საკისრე რკალი ბოლოებგაფართოებული (სიგანე 1,8 სმ) და ჩახვეული, რკალის სისქე 1,1 სმ, დიამეტრი 12 სმ. 31 ბრინჯაოს მძივი, ჩგაურკვეველი დანიშნულების პატარა ღერო. ზემოთ ჩამოთვლილი ნივთები აღმოჩნდა 1934 წელს. სამაროვნის ტერიტორიაზე აღმოჩენილი დარღვეული სამარხის ნივთები: 2 რკინის ცული, I – კვერისებრი ამობურცული ყუათი, სიგრძე 17,7 სმ, პირის სიგანე 6,5 სმ, ყუნწის დიამეტრი 2,4X2,8 სმ, II – ყუნწთან ნიბოს ფრაგმენტებით, ბრინჯაოს ცულის ნატეხები სოლისებური ყუათი, კიდეებზე ოდნავ შესამჩნევი ნიბო, რომელსაც დაუყვება ორივე მხრივ წრეები. ყუადან ყუნწზე გადასასვლელ ადგილას კიდეებზე და ზემოთა ნაწილში დატანებულია ნაძვისებრი ორნამენტი, ხოლო ზედა ნახნაგზე 2 რომბი შევსებული 3 რიგი წერტილებით. რომბიდან ყუნწისკენ მიემართება ნაძვისებრი ბილიკები. Bბრინჯაოს ცული სოლისებრი ყუათი, პინცეტი, შუბისპირი მასრამომტვრეული სამკუთხა პირით, სარტყლის ნაჭუჭისებრი აბზინდა კაკვით, 2 სხმული კონუსური ბალთა მარყუ-

ჟით, რომელზედაც გამოსახულია საწინააღმდეგო მხარეს მოცქირალი 2 ზომორფული ცხოველის თავი, ორმაგთავკვერიანი საკინძის თავი გამჭოლი ნახვრეტით, თიხის ტოლჩა. აღმოჩნდა 1927 წელს. ბრინჯაოს შუბისპირი გრავირებული 2 სხვადასხვა მხარეს მორბენალი ცხოველი ზურგ-ბმიკრული შევსებული ფრჩხილისებრი ორნამენტით. საკულტო დანიშნულების ნივთი-სამკერდე ბრინჯაოს ფირფიტისაგან 2 გველის გამოსახულებით (პროტომი), რომელიც თითქოს ერთი სხეულიდან გამოდის, მათ შორის დარჩენილი ნახევრადმრგვალი სივრცე 19 სმ დიამეტრის ყოველმხრივ ორნამენტირებულია წერტილოვანი ხაზებით, ნივთის შუა ნაწილში გამოხატულია 3 მრგვალი ოთხსაფეხურიანი კონცენტრირებული ბურცობი. პროტომის გასწვრივ ამოკვეთილია მსხვილი წერტილოვანი ხაზი და მოხაზულია წვრილი წერტილებით დაკლავილი გველის ტანი ნაკვეთილი თავით. აღმოჩნდა 1930 წელს 3 ბრინჯაოს მასიური რგოლი (Воронов Ю.Н. 1969: 28).

ვერეშაგინას მთაზე 1970 წელს გაითხარა სამაროვანი, მასში აღმოჩნდა შემდეგი ნივთები: ირმის სკულპტურული გამოსახულება, რქიანი ჩიტის გამოსახულება ნიჩბისებრი კუდით, 2 უმბონისებრი ბალთა, 13 ბრინჯაოს მძივი, 40 ბრინჯაოს მძივის ნაწილი. იქვე ცალკე აღმოჩნდა შემდეგი ნივთები: ბრინჯაოს ფიბულა, საკისრე რგოლი, ქინძისთავი 4 მრგვალი ქიმით თავში, 6 მასიური რგოლი, ბრინჯაოს ქსაკიდი სპირალისებრი 1,5 ბრუნვით, ბრინჯაოს სარტყლის აბზინდა გველისებრი ორნამენტით და 6 გამჭოლი ხვრელით შესაკრავად.

სოხუმის მთის სამარხი. მ. თრაფშის მიერ სოხუმის მთაზე აღმოჩნდა დაზიანებული სამარხი. მისი გადარჩენილი ნივთები: ბრინჯაოს მრგვალგანიკვეთიანი სამაჯური პირი-პირზე მისული შებრტყელებული ბოლოებით, რომელთაც ამკობს განივი ქდეები, კვადრატები, ღია სამკუთხედებისებრი ორნამენტი, დიამეტრი 5,7 სმ, სისქე 0,3 სმ, ოდნავ შენარჩუნებული აქვს კეთილშობილი პატინა.

1929 წელს გუდაუთაში სოფ. მუგუძირხვაში ნასახლარ ააქსტას გარეუბანში 1 კმ-ში ზღვიდან და 1,5 კმ-ზე დასავლეთით მდ. მჩიშტიდან, 50 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან აღმოჩნდა გვიანბრინჯაოს პერიოდის სამარხი. იგი გათხარა და შეისწავლა ლუკინმა. ეს იყო სამარხი მოზარდის ჩონჩხის ნაწილებით, რომლებსაც შემონყობილი ჰქონდა რიყის ქვა. აქვე იყო ბრინჯაოს სამი ცული სოლისებრი ყუით: სიგრძე 16-დან 19 სმ-მდე, პირის სიგანე 5,4-6,7 სმ, მცირე ზომის ცული მოხატული უწესრიგოდ მიმოფანტული სხვადასხვა ზომის ჯვრისებრი ხაზებით. საშუალო ზომის ცულის პირი მოხატულია დაკბილული ორნამენტით. გვერდითი მხარეების უკანა ნაწილები შევსებულია გრძივი კვეთილი ნიბოებით, 6-6 თითო გვერდზე. იქვე იყო ბრინჯაოს ქამარი ცხოველსახოვანი აბზინდით, დამზადებული პატინით დაფარული თხელი ფირფიტოვანი ბრინჯაოსგან, რამდენიმე ფრაგმენტი მრგვალი საგნისა, რომელიც მოპირკეთებულია ბრინჯაოს ფურცლებით, 32 სარდიონის მძივი, 5 მცირე ზომის წითელი, ნაცრისფერი და შავი თიხის ჭურჭლის ნატეხები, რამდენიმე ბიკონუსური მთლიანადსხმული მძივი, 6 ჩამოსხმული კონუსური ბალთები ცხვრების, ძაღლების, ხარისა და ფრინველების გამოსახულებით. ბალთების დიამეტრია 5,8-6 სმ, სიმაღლე გამოსახულებიანად 6-7,5 სმ. იქვე იყო ბრინჯაოს ფუყე მასიური რგოლები, შიდა დიამეტრი 5,7-9 სმ. კაჟის რამდენიმე ნატეხი და ყვითელი ჟანგმინის ნამტვრევი. დათარილება ძვ. წ. VII სს (ტაბ. XI).

გუდაუთის სამაროვანი. 1915 წელს გუდაუთის გარეუბანში აღმოჩნდა დაზიანებული სამაროვანი, რომელიც ჩაშლილი იყო. გადარჩენილი ნივთები: 3 თხელი ლენტისებრფირფიტოვანი სამაჯური, ზედაპირი დაფარულია ოთხი გამჭოლი ერთნაირი ხაზით, ხაზებს შორის ირიბი შტრიხებით, რომლებიც ქმნიან ნაძვისებრ ორნამენტს, სამკაული ბოლოებმომრგვალებულია, (დიამეტრი 4,7 სმ, სიგანე 1,5-2 სმ), ბრინჯაოს ფირფიტა, მინის მძივი.

ახალი ათონი. ყვავილების მეურნეობის ჩრდილოეთ კუთხეში აღმოჩნდა ძვ. წ. VIII-VII საუკუნეების სამაროვანი. გადარჩენილი ნივთები: ბრინჯაოს შუბისპირი და ბალთა (Воронов. Ю. Н. 1969: 18).

უმერის კრომლები. 1969 წელს ეშერაში გაითხარა რამდენიმე კრომლები. ინვენტარი: ბრინ-

ჯაოს მილისებრი სხმულები, სამაჯურები; 4 მინიატურული მრგვალგანიკვეთიანი ბოლოებგადასული სამაჯური (ორი მათგანი იდენტურია, მესამე – ლენტისებრი), ბალთა-ლილები კონუსურ-რკალისებრი მარყუჯით, ორნამენტირებული ირიბი ხაზებით. ბრინჯაოს პინცეტი დამზადებულია მთლიანი ფირფიტისაგან, გადაღუნული, ნიჩბისებრი ბოლოებით, სიგრძე 8,2 სმ, სიგანე 1,5 სმ. ბრინჯაოს სავარცხელი ჩამოსხმული, ანტენისებრი, შუაში მრგვალი ხვრელით (დიამეტრი 0,8 სმ), კიდებზე 2 სიმეტრიული ხვრელი, კბილანების რაოდენობა უნდა ყოფილიყო 13. ნივთის სიგანე 8 სმ. ბრინჯაოს ფირფიტოვანი სარტყლის აბზინდა მარყუჯით და 6 გამჭოლი ნახვრეტი ძენკვისათვის, ზედაპირი გრავირებულია ბადისებრი ორნამენტით შუაში სამკუთხა კბილანებით, 2 ჭვირული ბრინჯაოს ნატეხი სავარაუდოდ საკიდისა. მძივები ბრინჯაოსი: ბოჭკოსებრი (დიდი და მცირე ზომის), ასიმეტრიული ბრტყელი მძივები, მრგვალსეგმენტისებრი მძივები. რკინის ნივთები; ბეჭდის ნაწილი, ქინძისთავი ვოლუტისებრი თავით, მრგვალგანიკვეთიანი ღეროთი. რკინის ფიბულა გრეხილრკალიანი მშვილდისებრი მარყუჯით (Шамна Г. А. 1974: 7-43) (ტაბ. XLVI-XVII).

ოთხარას დოლმენები. ოთხარიდან 100 მ სამხრეთით 1966 წელს დაათვალიერა ი. ვორონოვმა დოლმენების ჯგუფი, 5 დოლმენი: 1 დოლმენი შენარჩუნდა მთლიანად, მხოლოდ გაძარცვული იყო; ადგილობრივი მოსახლეობა მიუთითებს, რომ იქ აღმოჩნდა ბრინჯაოს სამაჯური, ძვალი, ნახშირი და ქვა, რომელიც ერთ მხარეს ადამიანის სახეს გამოხატავდა. დოლმენი №2: ზომები 2,6X2 მ სისქე 0,25 მ. 1975 წელს ი. წვინარია აგრძელებს ამ ადგილის შესწავლას და გაითხარა 3 ყორღანი, თითოეულში რამდენიმე დოლმენით. №1 ტრაპეციის ფორმის დოლმენი, რომლის წინ იყო პატარა შესასვლელი მრგვალი ფორმის. დოლმენი და შესასვლელი შემოვლებული იყო მეორე წრით ბლოკებისგან. სტრატეგრაფია: I ფენა – ჰუმუსური ფენა არეული გვიან შუასაუკუნეების მასალით, II ფენა – ყორღანის უშუალო ყრილი, III ფენა – კულტურული ფენა დოლმენის კამერიდან გამოყრილი ნივთებით, IV სამშენებლო ფენა – წვრილი რიყის ქვებისგან შემდგარი, V ფენა – ქვის ნაყარი, VI ფენა – ორმო შევსებული თიხით, VII ფენა – ორმო ამოვსებული უძველესი ნამოსახლარის ნარჩენებით, VIII ფენა – უძველესი ნამოსახლარი ნიადაგი, რომელზედაც აღმართული იყო დოლმენი, IX ფენა – ძველი ჰუმუსური ფენა, რომელიც ნამოსახლარის ქვეშ იყო, X ფენა – წინარემატერიკის ნიადაგი. თვით დოლმენი: ქვის კედელი დოლმენსა და მის გვერდით კონფორსებს შორის, ქვის ძელი დოლმენის შესასვლელს და მეორე წრეს შორის. ფენა, რომელიც წარმოიშვა დოლმენის ფუნქციის დაკარგვის შემდეგ. სამშენებლო პერიოდის ფენა წვრილი ქვებისგან დოლმენის პერიოდისაა, უძველესი სამარხეული ნიადაგი (ნამოსახლის კულტურული ფენა, რომელზედაც აიგო დოლმენი). ორმო ამოვსებული მოყვითალო მიწით, რომელსაც ებჯინებოდა დოლმენი. კერამიკა – თიხის მინიატურული ტოლჩები, ქვის იარაღები – ობსიდიანის საკიდი, კაჟისა და ობსიდინის ნატეხები. სამკაულები – სასაფეთქლე რგოლები, ჭვირული საკინძეები, სარდიონის მძივები. ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარი.

დოლმენის ნაწილი. აჭანდარაში ააპსა და მდ. გუდლოეს შორის აღმოჩნდა მინიატურული დოლმენის ნაწილი. ფორმით ტრაპეციული: სიგრძე 1,6 მ, სიგანე 1,25 მ. 30-იანი წლებიდან მოსახლეობა აქ ნახულობდა შუბისპირებს, ისრისპირებს.

სამი ნახევრადდანგრეული დოლმენი აჭანდარას ცენტრში.

ხუაჰის დოლმენები (Цвинариа И. И. 1990:8,10). 1982 წელს წარმოებდა გათხრები ვ. ბჟანიას ხელმძღვანელობით გაითხარა 4 დოლმენი. №1 დოლმენი ყველაზე პატარა, №2 – ყველაზე დიდი, №3 – ნახევრად დანგრეული, №4 – ზემო ნაწილი ჩამონგრეული.

კიურ-დერეს დოლმენები. დოლმენები განლაგებულია ტერასაზე ერთ რიგად ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. დოლმენი შედგება 5 ფილისაგან, ზოგჯერ დამატებით არის მეექვსე ფილა, რომელიც იატაკის როლს ასრულებს: წინა ნაწილი მაღალია ვიდრე უკანა, წინა კედელს შუაში აქვს ნახვრეტი.

დოლმენი №1 გაითხარა 1930 წელს. ზომები: წინა ფილის სიმაღლე 2.1 მ, სიგანე 2.93 მ, დიამეტრი ნახვრეტის 0,42-0.36 მ, სისქე 0,2 მ. გვერდითი ფილების სისქე 0,4 მ, სიგრძე გვერდითი ფილების 3,68-3,69 მ, უკანა გვერდის სიმაღლე 1,7 მ. იატაკი არ იყო. დოლმენ გაძარცვული აღმოჩნდა. ნივთები: სხმული სფერული ღილები 2 ან 4 სამკუთხა ქრილებით ამობურცულ მხარეზე, დიამეტრი 1,3-დან 4,9 სმ-მდე. ბრინჯაოს მრგვალი და კასრისებრი მძივები. საყურეები სპირალურად ჩახვეული და ბოლოებგაფართოებული, სიგრძე 2,1 სმ. სასაფეთქე რგოლები. ორი ქინძისთავი სამკუთხა ქრილებით (დაფანჯრული) თავზე, სიგრძე 9,5 სმ. ორი წყვილი ჩიტისებრი სამაგრები სამკუთხა კუდებით დიდი ნახვრეტით და ორი დიდი ყურით. სიგრძე 4,2 სმ. სპირალური სამაჯურის ფრაგმენტები და სხვა ბრინჯაოს ნატეხები. სალესავი ქვა, სიგრძე 11 სმ. რამდენიმე შავი და წითელთიხიანი ჭურჭლის ნატეხები.

დოლმენი №2. მასში აღმოჩნდა მეორადი დაკრძალვა დაახლოებით 30 ჩონჩხი, ძირიდან 41-55 სმ სიმაღლეზე. ინვენტარი: ლითონის კაკვი, პატარა ქოთანის ვინრო ყელით, მძივები. ლითონის პატარა დანა, ორი პატარა ჭურჭელი: პატარა თასი კონუსური კედლებით, ნაჭუჭისებრი სასმისი, მინიატურული ქოთანის.

დოლმენი №3. წინა ფილის სიგანე 2,5 მ, სისქე 0,35 მ. მარჯვენა გვერდითი ფილის სიგანე 2,65 მ, მარცხენას სიგანე 2,55 მ, უკანა ფილის სიგანე 2,02 მ, ზედა ფილის სიგანე 3,5 მ. ეს დოლმენიც გაძარცვული იყო და აღმოჩნდა მხოლოდ ჩონჩხი და შუბისპირი.

დოლმენი №4. დიამეტრი ნახვრეტის 0,49X0.51 მ, ზედა ფილის სიგანე 2,94 მ, სისქე 0,25 მ. ინვენტარი: დოლმენის წინა ნაწილში იდო ცული ყუადაშვებული, სიგრძე 18 სმ, პირის სიგანე 4,5 სმ, ბრინჯაოს კაკვი ოთხნახნაგოვანი, თითოეულ ნახნაგზე გველის ორნამენტი, ნახნაგები ერთმანეთისაგან დაშორებულია ლარებით, კიდეებზე ნახვრეტით, სიგრძე 17 სმ. სამი ბრინჯაოს ფოთლისებრი სოლი, სიგრძე 11,5-20 სმ, სიგანე 3,5-დან 6-სმ-მდე, 1 შუბი, კასრისებრი საკიდი, სიგრძე 3 სმ, 5 ბრინჯაოს და 1 ქვის მძივი, 5 წითელთიხიანი ჭურჭელი, 4 – წკირიანი ყურით, შემორჩენილი ჭურჭლის სიმაღლეა 12,5 სმ, ყელის დიამეტრი 12 სმ, ძირის დიამეტრი 8 სმ, ყელის სიმაღლე 2 სმ. ყელის ქვეშ მრგვალი ნაჭდევი ორნამენტები. სახელურზე ნაძვისებრი ორნამენტი. ქვის იარაღები: რიყის ქვის სალესი, ხელსაფქვავე, ლითონის კაკვი, ყუადაშვებული ცული, სამკუთხა დანები, მინიატურული სასმისები და ქოთნები.

დოლმენი №5. წინა ფილის სიგანე 3 მ, სიმაღლე 2,28 მ, სისქე 0,28 მ, ნახვრეტის დიამეტრი 0,46X0,37 მ. ინვენტარი: აღმოსავლეთ კუთხეში რამდენიმე თავის ქალა. ნივთები: ლითონის ცული, სიგრძე 14,5 სმ, პირის სიგანე 4 სმ. ორი ფოთლისებრი ლითონის შუბი, სიგრძე 18 სმ, სიგანე 3,2 სმ.მ ეორეს სიგრძე 13 სმ, სიგანე 2 სმ. ორი თხელი ლითონის ისრისებრი ფირფიტა, სიგრძე 3,5 სმ და 8 სმ. სამი ოვალური ფორმის გარსაკრავი. 17 კასრისებრი ლითონის მრგვალი მძივები, საკიდი, ბეჭედი, 4 სპირალური საყურე ბოლოებგაფართოებული და ერთმანეთში გარდამავალი, 3 მომრგვალო ფორმის ბეჭედი, ზომები 1,5X1,6 სმ, 2 სფეროსებრი სამკუთხა ქრილებით ღილები, ლითონის ცილინდრული ბუნიკი სამი ცხვრის თავის გამოსახულებით, სიმაღლე 2,5 სმ. ჩიტისებრი სამაგრი ფართო კუდით და ცხვრის თავის ჩახვეული რქების გამოსახულებით, სიგრძე 5,5 სმ, სიმაღლე 3,4 სმ. ფიქალის სალესავი ქვა ნახვრეტით, ზომები 12 სმ. ფრაგმენტები 4 ნაცრისფერი და წითელთიხიანი ჭურჭლისა.

დოლმენი №6 გაითხარა 1937 წელს ლ. სოლოვიოვის მიერ. სამხრეთ-აღმოსავლეთით კუთხეში აღმოჩნდა 6 მეორადი დაკრძალვა, ინვენტარი: რამდენიმე ჭურჭლის ფრაგმენტი, წვრილი და მსხვილი ლითონისა და ბრინჯაოს მძივები, სამკაული 2 სამკუთხედის წვეროების გადაჯვარედინებულის ფორმით, 2 ბრინჯაოს ქინძისთავი, სასაფეთქე რგოლები, 2 ბრინჯაოს საყურე ბოლოებგადასული, აღმოსავლეთ კედელთან 3 მეორადი დაკრძალვა. ინვენტარი: ბრინჯაოს ხოჭოს ფრაგმენტი, დიდი ბრინჯაოს მძივის ფრაგმენტი.

დოლმენი №7. აღმოსავლეთი ფილას სიგრძე 3,75 მ, სიმაღლე 1,6 მ, სისქე 0,38 მ, დასავლეთი ფილა 2,9 მ, სიმაღლე 1,8 მ, სისქე 0,32 მ, ჩრდილო ფილა 2,3 მ, სიმაღლე 1,6 მ, სისქე 0,25 მ, ხვრელის დიამეტრი 0,41X0,48 მ. აღმოჩნდა 2 კულტურული ფენა: ზედა გვიანბრინჯაოს პერიოდის 2 სამაროვნით: ქვებზე ძვლები, ბრინჯაოს შუბისპირი, 2 ბრინჯაოს სარტყელი აბზინდით ზომორფული ცხოველის გამოსახულებით, 56 ბიკონუსური ბრინჯაოს მძივი, 2 ბრინჯაოს ხვია და 2 სპირალური ხვია. ქვედა ფენაში აღმოჩნდა ბევრი სამაროვანი: უნესრიგოდ თავმოყრილი ძვლები ინვენტართან ერთად (ფენა თარიღდება ადრებრინჯაოს ბოლოთი).

1937 წელს ბ. კუფტინმა გათხარა კიდევ 2 დოლმენი, ერთ-ერთში დაფიქსირდა 4 პერიოდის ფენა, რომელშიც ბოლო კოლხური პერიოდისაა (Воронов Ю. Н. 1969: 28-29).

კისტრიკის სამაროვანი. გუდაუთის რ-ნი, ფართობი 100-50 სმ. 1979-80 წლებში კურორტის მშენებლობისთვის ფართობის მოსამზადებლად წარიმართა დაზვერვითი სამუშაოები, რომლის დროსაც აღმოჩნდა დარღვეული სამარხები, რომელთაგან მხოლოდ ერთის გადარჩენა მოხერხდა. იგი აღმოჩნდა 30 სმ სიღრმეზე – ოვალური ფორმის ორმოსამარხი. იგი გვიანბრინჯაოს-ადრეკინის პერიოდისაა. მასში აღმოჩნდა 2 ბრინჯაოს სამაჯური, 3 ბრინჯაოს ფიბულა, ბრინჯაოს საკიდი, რკინის ცულის ფრაგმენტი, 5 სარდიონის მძივი, მინის მძივის ფრაგმენტები, ოქროს ბეჭედი, ოქროს სამკუთხა საკიდი. ვ. ბჟანია ძვ. ნ. VII-VI საუკუნეებით ათარიღებს (Бжания В. В., Кобахия Б. И. 1982: 13) (ტაბ. XIX).

მერხეულის სამაროვანი. სოხუმის რაიონში სოფ. მერხეულში, სოფ. ცენტრიდან 300 მ მანძილზე სამხრეთით მდ. მაჭარის მარცხენა ნაპირის პირველი ბორცვოვანი ზოლის ერთ-ერთ შემალღებაზე, რომელსაც “ლაკადა” ეწოდებოდა, აღმოჩნდა სამაროვანი. იგი მდინარის დონიდან 60-70 მ-ზე იყო. სამაროვანს ეკავა ბორცვის თხემის დასავლეთი ნაწილი – 40 კვ. მ. 1969 წელს შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერვო ჯგუფმა (რაზმის უფროსი მ. ბარამიძე) ჩაატარა მცირე ზომის არქეოლოგიური სამუშაოები ძეგლის განადგურების თავიდან აცილების მიზნით და გამოავლინა საინტერესო სამაროვანი. სტატიგრაფიული ქრილი: I – 10 სმ სისქის კორდოვანი ფენა, II – მოშავო-მონაცრისფრო თიხნარი, კულტურული ნაშთის შემცველი 40-50 სმ სისქის, III – მოყვითალო ფერის გრუნტული თიხნარი, სამწუხაროდ მასალის შემცველი ორივე ზედა ფენა ტრაქტორის მიერ სრულიად ამოტრიალებული იყო და უძრავ მდგომარეობაში ექსპედიციამ მიაკვლია მხოლოდ პატარა მონაკვეთს. გაირკვა, რომ პატარა მოედანზე მიცვალებულები დაკრძალული იყო მეორადი დაკრძალვის რიტუალით. ძვლები დანანეგრებულია, ცეცხლში ყოფნის სუსტი კვალით. ჩონჩხები არეულია და კომპლექსებად გამოყოფა ვერ მოხერხდა. სავარაუდოა, რომ საქმე გვაქვს პატარა საგვარეულო კოლექტიურ სამაროვანთან. კერამიკა: ყურმილიანი დოქები, მონაცფრისფრო, თხელკეციანი (სხვა ფორმების განსაზღვრა ვერ მოხერხდა). იარაღი: რკინის სატევარი, ყუაკვერიანი ცულები, მოხრილი დანისპირები, რკინის ისრისპირები, სალესი ქვა, კვირისთავი, რკინის აკინაკი, რკინის მასრაგახსნილი შუბისპირები. სამკაული: ბრინჯაოს ნაირგვარი სამაჯურები, საკისრე რკალები, პინცეტები, ამულეტები, კირკლები, დიადემები, ბეჭდები, ფრინველისა და ცხოველთა ქანდაკებები, საკინძეები, საყურე, ხვები, სარდიონის, კვარცის და ქარვის მძივები. მ. ბარამიძე ათარიღებს ძვ. ნ. VI-V საუკუნეებით (ბარამიძე მ. 1977: 14) (ტაბ. XXV).

იაშთხუას სამაროვანი. სოფელ იაშთხუაში აღმოჩნდა ნახევრადდაზიანებული 2 სამარხი. სამარხი №1, ნივთები: ბრინჯაოს სარტყელი, რომელიც შედგება სამასამდე მოგრძო რგოლისაგან. ისინი განლაგებულია სამ რიგად და მოგრძო ღეროები დაყოფილია რვა მონაკვეთად. ქამარი ბოლოვდება სამკუთხედისებრი აბზინდებით, ერთ-ერთს დაუყვება წნული ორნამენტი, მეორეს მოკლე ხაზებიანი ბილიკები. აბზინდა ბოლოვდება ვერძის რქების სტილიზებული გამოსახულებით. ზარაკები: ერთი დიდი კვეთილი ზარაკი, რომელთა კედლები დაფარულია ამობურცული მცენარეული ორნამენტით, სიმაღლე 4 სმ, დიამეტრი 2,7X1,6 სმ. ორი პატარა ბრინჯაოს ზარაკი და რამდენიმე

ნატეხი ნახვრეტი. ბრინჯაოს გარსაკრავები, ორი მთელი და ოცი ნატეხი. სასაფეთქლე რგოლები მრგვალგანიკვეთიანი ბოლოებგახსნილი, ერთი მთლიანი და რამდენიმე ნატეხი. ორი ფიბულა, ერთი მათგანი რომბულრკალიანი ნაძვისებრი ორნამენტით და ორთავე მხარეს ორნამენტით. სამაჯურები: ზოომორფულთავიანი სამაჯური, ლენტისებრი სამაჯური (I – ბოლოებგაფართოებული ვინრო ზურგით, ირიბი ჭდეებით და წრეებით ორნამენტირებული, დიამეტრი 5 სმ. II – კაუჭისებრი ორნამენტი, III – კაუჭების რიგი გადაჭდეულია და შევსებულია წერტილოვანი ორნამენტით, IV – ოდნავ ზურგგაფართოებული კაუჭისებრი ორნამენტი). რკინის ნივთები: რკინის შუბისპირი, რკინის სამაჯური. გ. კვირკველია ათარილებს ძვ. წ. VI-V საუკუნეებით.

იაშთხუას სამარხი №2 აღმოჩნდა ბრინჯაოს თხელ ფირფიტოვანი სამაჯური, რომელსაც შუაზე დაბალი ქედი გასდევს, ხოლო გვერდზე ბურთულოვანი რიგები, ბრინჯაოს ფირფიტოვანი სამაჯურის ფრაგმენტები, ბრინჯაოს აბზინდა ბაყაყის გამოსახულებით, ბრინჯაოს ზარაკი, ბრინჯაოს საკინძი ირმის რქის სკულპტურული გამოსახულებით, ბრინჯაოს ძენკვი, ბრინჯაოს რომბის ფორმის აბზინდა, ბრინჯაოს ფირფიტა ვოლუტისებრჩახვეული. ძვ. წ. VI-V სს (კვირკველია გ. 1978: 76-79).

ფიჩორის სამაროვანი. გალის რაიონში ფიჩორის ნასახლარის ცენტრალური ბორცვის ჩრდილოეთით 400 მ-ზე, ჩაის პლანტაციისა, პლანტაციის განახლებისა და ჩრდილოეთით ფართობის მომატების მიზნით ჩატარებული სადრენაჟო სამუშაოების დროს თავი იჩინა მიცვალებულის ძვლების ფრაგმენტებმა და მძივებმა. 1982 წელს გალის რაიონის სოფელ ფიჩორში აფხაზეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი მ. ბარამიძე, რაზმის უფროსი გ. კვირკველია). გაითხარა კოლექტიური სამაროვანი მეორადი დაკრძალვის რიტუალით, ნაწილობრივი კრემაციით, სამაროვანზე დაფიქსირდა ალაპის ნაშთები. სამარხი წარმოადგენს თიხნარ ფენაში ჩაჭრილი 1,2 მ სიმაღლის ორმოს, დიამეტრით 4,2 მ. ორმოს ირგვლივ შემოუყვება რიყის ქვის ფენილი სიგანით 3-3,5 მ. ქვის ფენილზე შეინიშნება თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (კოლხური სასმისის ძირები, ყურმილიანი ხელადას ფრაგმენტები, სამწახნაგანიკვეთიანი ბრტყელბაკოიანი ლანგრები), რომელიც ადრეანტიკური ხანისა ჩანს. ამ ფენილზე სავარაუდოდ მიცვალებულის მოსახსენებელი ალაპის ნაშთები უნდა ყოფილიყო. თვით ორმო პირამდის იყო ავსებული მიწით, მცირე რაოდენობით რიყის ქვით, მიცვალებულის ნაწილობრივ დამწვარ-დანანევერებული ძვლებით და მასალით. სამარხი ორმო ჩაჭრილია მოყავისფრო თიხნარში, რომელიც შეიცავს საკმაოდ არქაულ, პროტოკოლხური კერამიკის ფინალური საფეხურის მასალებს. სამაროვნის ნივთები: ბრინჯაოს სამაჯურები (ცილინდრისებრი, წაკვეთილთავიანი), კონუსური და ცილინდრისებრი ზარაკები, კირკალი, საკინძეები, სასაფეთქლე რგოლები, ბოლოებმევიწროებული ბრინჯაოს საყურეები, უმბონისებრი, მართკუთხა და პეპლისებრი აბზინდები, ქარვის, სარდიონის, მინის, ბრინჯაოს ბიკონუსური და კასრისებრი მძივები, ჯვრისებრი საკიდი, ძენკვები, ბრინჯაოს ცულები, თოხები, სახნისის პირები, სეგმენტური იარაღი, ყუნწიანი და უყუნწო სატევრები და სატევრისპირები, რკინის ბრტყელი და ყუაკვერიათი ცულები, რკინის სატევრები და შუბისპირები. გ. კვირკველია სამაროვანს ათარილებს ძვ. წ. VI საუკუნის შუა წლებით-V საუკუნით. მ. ბარამიძე – ძვ. წ. VII საუკუნის მეორენახევრით-V საუკუნის საწყისით (Барамидзе М. В., Квириквелиა Г. Т. 1985: 42-43) (ტაბ. XLIV-XLV).

მდ. უნაგირას ჩრდილოეთის ნაწილში წყალსადენის არხთან ახლოს აღმოჩნდა სამარხეული ნივთების კომპლექსი ძვ. წ. V-II საუკუნეების. ორი კრემაციული სამარხი (№1, №2), ფართობი 0,35X0,45 მ. ჭურჭელი, რომელშიც ძვლებს ან ფერფლს ათავსებდნენ, არ აღმოჩნდა. იყო მხოლოდ ბრინჯაოს სამაჯურები და ვერცხლის ფიბულები. №1 სამარხი: 2 ჭვირული თავებგაფართოებული სამაჯური, ვერცხლის რომბულრკალიანი ფიბულა, მეორე ასეთივე ფიბულის ნატეხი. ძვ. წ. VII-VI სს. №2 სამარხი: მსხვილბურთულაკიანი სამაჯურის ნატეხები, ვერცხლის ფიბულა, კაჟის ნატეხები (კალადაძე აღ. 1954: გვ. 19).

აჭანდარაში ციურუხუას ბორცვზე გაითხარა V საუკუნის III მეოთხედის-IV საუკუნის დასაწყისის მდიდარი სამაროვნი შუა საუკუნეების ნამოსახლართან ახლოს. იქვე აღმოჩნდა 15 სამაროვანი, რომლებიც ერთმანეთს ფარავდნენ, ორ ადგილას აღმოჩნდა სააღაპო. ერთში იყო ამფორის დამსხვრეული ძირები და უმორგოდ დამზადებული ჭურჭლის ნატეხები. Eმეორეში – ჩაღრმავებული საფქვაკი, თიხის გველის თავის სკულპტურული გამოსახულება, სამნაწილიანი სასმელისა და ორი თიხის ჭიქის ფრაგმენტები. დაკრძალვის წესი ნაწილობრივ გარკვეულია: რვა შემთხვევაში მიცვალებული ესვენა თავით ჩრდილო-დასავლეთით, ორ-სამ შემთხვევაში – ჩრდილო-აღმოსავლეთით, ერთში – დასავლეთით, ერთში – ჩრდილოეთით. აღმოჩნდა 2 კრამიტ-სამარხი. ერთში იყო ხერხემლის 2 ძვალი, მეორეში – თითების ფალანგის 3 ძვალი, XI სამარხში ჩონჩხის ფეხებს შორის იყო სპეციალურად ჩატანებული კიდევ ერთი კრამიტი, გაურკვეველია ხელების მდგომარეობა, რომელებიც ჩვეულებრივ მოხრილია მკლავში და დევს ან მუცელზე ან მკერდზე ან წელზე. XIV სამარხში აღმოჩნდა შესანიერი საკვები ფეხებს შორის. XII სამარხი უძველესია, მათ შორის აღმოჩნდა ორი რკინის სამკაული (ერთ-ერთი ხვეული), ბრინჯაოს ხვია 1,5 ბრუნვით, რკინის ნამგალი. VII სამარხში აღმოჩნდა ფეხებს შორის ორი თხელკედლიანი ცალყელა დოქი. IX სამარხში აღმოჩნდა ფეხებს შორის დოქი ან ქოთანის. I სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს სხივისებრი ფიბულა ორნამენტირებული ზედა ნაწილით. VI სამარხში – სამაჯური და ვერცხლის საყურე. X სამარხში – რკინის დანა, სამაჯური, ბალთა და ბეჭედი. XI სამარხში – რკინის დანა და ბეჭედი. XIII სამარხში – რკინის დანა. XIV სამარხში – რკინის ფიბულა.

ტყვარჩელის რაიონი. ტყვარჩელში ჯანტუხის მთის ფერდობზე 1981 წელს აღმოჩნდა სამაროვანი, კოლექტიური. სამაროვნის მასალები: სამაჯურები: I ფირფიტოვანი ბრინჯაოს სამაჯური, ბოლოებჩახვეული, შუაში დატანებულია დაკლაკნილი 2 გველი. II ფირფიტოვანი სამაჯური ორნამენტირებულია რომბებით, მრგვალი წრეებით, წერტილებით და ფრჩხილისებრი ორნამენტით, III ფირფიტოვანი სამაჯური სამი გრძივი წიბოთი, IV ფუყე სამაჯური, შიდა გრძივი კავებით, ბოლოები გაფორმებულია ორი ძალისებრი თავით, გაღებული ხახით. რამდენიმე მრგვალგანიკვეთიანი სამაჯური, რომელთაგან ერთი ორნამენტირებულია ჭდეებით. ხატისუღლები: I – მასიური ბრინჯაოს ბოლოებჩახვეული, II – ოდნავ მცირე ზომის, ჩაჭყლეთილი ბოლოებით, ჩახვეულია 1.5 ბრუნვით, III გაფართოებულბოლოებიანი ხატისუღლები, ერთ-ერთ მათგანს აქვს გველისებრი ორნამენტი და დაშორიშორებული წრეები. IV გრეხილრკალიანი ხატისუღელი, ზოგიერთ მათგანს აქვს კაუჭი. პინცეტები: ბრინჯაოს პინცეტი დამზადებულია გადაღუნული ოვალური ფირფიტისაგან. რკინის პინცეტი, სპირალური ორი ხვია, 1.5 ბრუნვით, ერთი ოვალური ფორმის, მეორე მრგვალი ფორმის. ბრინჯაოს გარსაკრავი დამზადებული ოვალური ფორმის გადაჭრილი ბრინჯაოს ზოდისგან. ზარაკები: I – ცილინდრული ფორმის, ოდნავ მომრგვალებული, რომელთა მარყუჟები მომრგვალებულია (6-13 სმ), დიდ ზარაკებს აქვს წყვილი ხვრელი დასაკიდებლად. II კონუსური ფორმის პატარა ზომის ზარაკები (2-6 სმ), თითქმის ყველას ეტყობა ხანძრის კვალი. ბრინჯაოს ჯვრის მსგავსი საკიდები: I. ბრინჯაოს საკიდი ტოლგვერდა, მრგვალი ხვრელით შუაში, ჯვრის გვერდები გაფართოებულბოლოებიანი და ჩამოჭრილი, II. საკიდი შუაში ხვრელით, ცენტრიდან მიმართული 4 ღეროთი, რომელთა ბოლოები ბურთულებით მთავრდება. III. საკიდი ოდნავ მომრგვალებულბოლოებიანი. ორმაგი ცულისებრი საკიდი, სიმაღლე 4.6 სმ, სათვალისებრი საკიდი სპირალურბოლოებიანი, მეორე ჩვეულებრივი ბოლოთი (ორი მათგანი ბრინჯაოსია). ერთი რკინის ანალოგიური საკიდი. ფიბულები ბრტყელბოლოებიანი: I. ასიმეტრიული რკალით, ფიბულები ძირითადად უერნამენტოა, მხოლოდ ერთ შემთხვევაში რკალს დაუყვება გრძივი ხაზები. II. წურბლისებრი ოვალური ფიბულა ლილვისებრი ქიმებით ბოლოებზე, ფიბულები ძირითადად დამზადებულია მრგვალი ფირფიტისაგან, ზოგიერთი მათგანი რომბისებრია, ორნამენტი ნაძვისებრი ან ურთიერთგადამკვეთი შტრიხებით. რკინის ფიბულები ძირითადად ოვალურრკალიანია. სარტყლის აბზინდა: ოთკუთხა ამბურცული

აბზინდა კაუჭით შუაში, ბოლოში აქვს გრძივი ღარი და 8 გამჭოლი ხვრელი სარტყელთან დასამაგრებლად. აბზინდა ორნამენტირებული 5 ერთნაირად მოღუნული ხაზით და წყვილი ტეხილი ხაზით ბოლოებზე. II აბზინდა მცირე ზომისაა და უორნამენტო. III აბზინდას ზედა კონტური გადაღუნული აქვს ორ ტალღად, თითოეულ ამ ტალღას აქვს კაუჭი და 4 გამჭოლი ხვრელი. ბრინჯაოს ბალთები: I. ქვირული ბალთა 6 სამკუთხედისებრ დაფანჯრული, რომლებიც ბოლოვდება გირჩებით, აქვს მარყუჭი. II. დაბალკონუსური ბალთა მარყუჭით შიდა მხარეს. III. ბრტყელი ბალთა ხუფით შუაში და მარყუჭით. IV. მომრგვალებულთავიანი და კიდებამობურცული ბალთა. V. სამკუთხა ფორმის ბალთა. VI. არასწორი კონუსის მქონე ბალთა. შინაური და გარეული ცხოველების გამოსახულებები: მოღუნულრქიანი ცხოველების (ცხვარი) სკულპტურული გამოსახულება, აღმოჩნდა საკიდი სავარაუდოდ ქინძისთავისთვის, რომელიც მორთულია სანინააღმდეგო მხარეს მდგარი ცხოველებით, შუაში აქვს გამჭოლი ხვრელი. II. აღმოჩნდა ერთი ფიგურა ცხოველის (კრავი?), პატარა რქებით. მთელ ფიგურებთან ერთად აღმოჩნდა ნახევრადფიგურული გამოსახულებები, მარყუჭით ან კაუჭით დასაკიდებლად. თხის ფიგურა და ნახევარფიგურები, ერთი მათგანი მთლიანადსხმულია და აქვს ბუნებრივი სახე. მსხვილი ცხოველის ფიგურა დაკლაკნილრქებიანი. მგლის, ძაღლის და მელიის ფიგურები მარყუჭით ან გამჭოლი ხვრელით დასაკიდებლად. ძლიერ საინტერესოა მელის ფიგურა, რომელსაც პირში აქვს თავისი ნანადირევი კურდღელი. ჩიტების გამოსახულება: არწივი, ბულბული, მტრედი. დოღის მსგავსი ნივთი, რომელიც მორთულია სამკუთხედებით და სხვადასხვა ფიგურებით, მარყუჭებით. ბრინჯაოსა და რკინის სატევრები, რკინის დანა, ბრინჯაოს ცული, ბრინჯაოს ძეწკვები, სხვედასხვა ზომის ქოთნის ნატეხები (Шамна Г. К., Шамна С. М.1990: 24-43) (ტაბ. XIV-XVI).

2006 წელს ჯანხუტის მთაზე დაბა აკარმირაში მდ. ლალიძას ხეობაში გაგრძელდა წინა პერიოდში დაწყებული გაძარცვული სამაროვნის შესწავლა. I ორმო სამაროვანი შესწავლილ იქნა ნანილობრივ. მისი ორმო (სიგანე 5.6 მ, სიგრძე 8 მ) ორიენტირებულია სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, სიღრმე 0.5-0.6 მ, კედლები დამრეცი, ორმო მოპირკეთებული იყო ქვით, რომელთა შორის ცეცხლში ნამყოფი ადამიანთა ძვლებია, სავარაუდოდ წინასწარ დამტვრეული დასამარხად, და დანახშირებული მერქნის ნაშთები. №1 სამაროვანში აღმოჩნდა 24 იმპორტული კერამიკის ნატეხები ძირითადად ატიკური შავლაკიანი (ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევარი-ძვ. წ. I ს.). ფრაგმენტები არაატიკური კერამიკისა, სკიფოსები – ძვ. წ. I საუკუნის მეორე ნახევარი და ძვ. წ. III საუკუნის პირველი ნახევარი. აღმოჩნდა ბრინჯაოს ზოომორფული პლასტიკები, მათ შორის ძაღლისა და ირმის თავის გამოსახულებით, პეპლისებრი აბზინდა, ჯვრისებრი საკიდები და მათი ფრაგმენტები, სხვადასხვანაირი ბალთები, ლილები, სამაჯურების ფრაგმენტები, ხატისუღლები, ფიბულები და ბრინჯაოს ძეწკვები, რკინის დანები და მათი ფრაგმენტები, ცულები, აკინაკების სახელურები, სატევრის ვადის ფრაგმენტები, მასრები, ისრისპირები, თიხისა და ხის ხელსაფქვავეები, კოჭისებრი საკიდები, მრავალრიცხოვანი სარდიონის, მინის, პასტის, ძვლის (ორნამენტირებული) მძივები და სხმულები.

№2 ორმო-სამარხი ორიენტირებული იყო სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, ჰქონდა ოვალური ფორმა, კედლები ნანილობრივ მოპირკეთებული იყო ქვით, ორმოს ჰქონდა ქვისავე იატაკი, მისი ზომებია: 5,22X2,5X2,7 მ. სიღრმე 0,4-0,7 მ. ორმოს კედლები ვერტიკალურია. ორმოსამარხში ფიქსირდება მეორადი დაკრძალვის წესი ნანილობრივი კრემაციის გამოყენებით. აღმოჩნდა მნიშვნელოვანი რაოდენობით დამუშავებული ქვები. ორმოს აღმოსავლეთ ნაწილში შეინიშნა ხელოვნურად მოსწორებული ფართობი, სადაც აღმოჩნდა ორი ორმო ზომებით: 0,52X0,9 მ, 0,82X1,06 მ, სიღრმე 0,33-0,6 მ. ერთ-ერთი ორმო ამოვსებული იყო საშუალო ფორმის ქვებით, იქვე აღმოჩნდა 6 ანტიკური იმპორტული კერამიკის ნატეხი, მეორე ორმოში 2 კოჭისებრი საკიდი, ფრინველის სკულპტურული გამოსახულებით, ლილები, სხმულები, ბეჭდის ზედა ნაწილი, გარსაკრავები,

სხვადასხვანაირი მძივები, მარყუჟიანი კავები.

მოედანზე აღმოჩნდა ბრინჯაოს ბისპირალური საკიდები, ლილები, ბალთები, ზარაკები სხვადასხვა ზომის, სპირალური ხვიები 1,5 ბრუნვით, სხვადასხვანაირი სამაჯურები და ხატისუღლები, ფრაგმენტები ძენკვების, რკინის დანები, ქვის სალესი.

№2 ორმო-სამაროვნის შესწავლის დროს აღმოჩნდა ორი ნანილობრივ დაზიანებული უფრო ადრეული პერიოდის ორმო-სამარხი, ინდივიდუალური, მეორადი დაკრძალვით, კრემაციით სამარხის გარეთ, ზომები: 1,15X1,2 მ, სიღრმე: 0,5-0,7 მ. ერთ-ერთში აღმოჩნდა ბრინჯაოს არქაული ფიბულა, ორნამენტირებული არაგაფართოებული რკალით და ვინრო მიმღებით, სატევარი სამკუთხა პირით, ხატისუღელი ბოლოებჩახვეული, 7 საშუალო ზომის ბალთა. ფიბულა, სატევარი და ხატისუღელი გახვეული იყო ორგანულ მასალაში.

№2 ორმოში აღმოჩნდა ბრინჯაოს ბოლოებჩახვეული ხატისუღელი და ბალთა, ორმო-სამაროვნები შეიძლება დათარიღდეს ძვ. წ. IX საუკუნით.

ბორცვის მეორე მხარეს, სადაც გათხრა მიმდინარეობდა ოთხმოციან წლებში, აღმოჩნდა 4 ჯამისებრი ქვა, რომლებიც გამთხრელების მიერ არ იქნა შესწავლილი. ანალოგიური ქვის ფრაგმენტი აღმოჩნდა №2 ორმო-სამარხის გვერდით. ასეთი ქვების სხვადასხვა საკულტო დანიშნულებით, მათ შორის დაკრძალვაში, გამოყენება ეჭვს არ იწვევს (ტაბ. XII, XIII).

მეტად საინტერესო ნივთებს აკარმარადან მივაკვლიეთ ეროვნული მუზეუმის ფონდებში, ესაა ბრინჯაოს ცხოველის სტილიზირებული მინიატურული ფიგურა, რკინის მინიატურული დანა ორი მანჭლით, პასტის და მინის მძივები, ანალოგიური ზემოთაღწერილი სამაროვნის მასალისა და როგორც ჩანს აქედან მომდინარეობს. ეს პატარა კოლექცია დღემდის უცნობი იყო და სამეცნიერო მიმოქცევაში ეხლა შემოდის.

როგორც ცნობილია, აპოლონიოს როდოსელი (ძვ. წ. III ს) „არგონავტიკაში“ გადმოგვცემს, რომ იქ, ეხლაც კიდევ კოლხებს დიდ ცოდვად მიაჩნიათ გარდაცვლილი მამაკაცის ცეცხლში დაწვა, მათი დაფვლა მინაში და ამიტომ ხეზე ჰკიდებდნენ ქალაქიდან შორს, მაგრამ მინაც ლებულობს თავისას ისე როგორც ჰაერი, ვინაიდან ქალებს მინაში მარხავდნენ. პროფ. ბ. კუფტინის აზრით, აპოლონიოს როდოსელს ეს ცნობა აღებული აქვს მისი უფროსი თანამედროვის ნიმფოდორ სირაკუზელის „პერიპლუსიდან“: კოლხებში არ არის მიღებული მიცვალებულ მამაკაცთა არც დაწვა და არც მინაში ჩაფვლა. გვამებს ისინი ახვევდნენ ნედლ ტყავში და კიდებენ ხეზე, ხოლო ქალებს კი ასაფლავებდნენ მინაში. მსგავსი ცნობები დაცულია სხვა ავტორებთანაც: ნიკოლოზ დამასკელი (ახ. წ. I ს), კლავდიუს ელიანე (ახ. წ. II საუკუნის ბოლო-III საუკუნის დასაწყისი). არქეოლოგიური მონაცემებით დასტურდება, რომ არგონავტების მიერ შემჩნეული დაკრძალვის წესი კოლხებში უფრო ადრეც ყოფილა გაბატონებული. თქმა იმისა, რომ მარტო მამაკაცთა ცხედრებს ჰკიდებდნენ ხეზე არადა-მაჯერებლად გამოიყურება, რადგან როგორც ზემოთ სამარხეული ინვენტარის ანალიზმა გვიჩვენა, მეორადი დაკრძალვის წესი ვრცელდებოდა როგორც მამაკაცებზე, ასევე ქალებზეც. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დაკრძალვის ეს წესი არსებობდა არა მარტო კოლხეთში (ნიგვზიანი, ურეკი, პალური, ბრილი, ფიჩორი, ერგეტა, დღვაბა), არამედ მთლიანად კავკასიაში (დალესტანი, ჩრდილო კავკასია, სამხრეთ კავკასია, სომხეთი), ასევე საზოგადოების განვითარების სხვადასხვა პერიოდში წინა აზიაში (მესოპოტამია, ურარტუ, სამხრეთ სპარსეთი და ბაქტრია). მეორადი დაკრძალვის წესი აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებული იყო ჯერ კიდევ ენეოლითსა და ადრებრინჯაოს პერიოდში (ადრეული დოლმენები, გრუნტული ორმოსამარხები, გამოქვაბულების სამარხები). იგი დასტურდება ძველი გაგრის ტერიტორიაზე კარსტულ გამოქვაბულში და კალდახვარას გრუნტულ ორმოსამარხში (ადრებრინჯაოსხანა), მეორადი დაკრძალვის წესზე აქ არაერთი მოგზაური თუ მეცნიერი მიუთითებდა. პირველად ამაზე ყურადღება გაამახვილა მეოცე საუკუნის დასაწყისში ა. მილერმა (Миллер В. С. 1911: 80), რომელიც გაკვრით აღნიშნავდა ამგვარი რიტუალის არსებობას

გაგრასთან აღმოჩენილ თიხის ჭურჭელში, სადაც ადამიანის ძვლები აღმოჩნდა. მეორად დაკრძალვაზე ცნობები მოგვეპოვება ვ. სტრაჟევეთან, რომელმაც სოფ. პრიმორსკოესთან დაადასტურა ურნებში ეს რიტუალი. XVII-XVIII სს მოგზაურები აღნიშნავდნენ, რომ ამ რეგიონში მიცვალებულს არ მარხავდნენ, არამედ დებდნენ ხის სკივრში, რომელსაც ყურძნის ლერწმით ამაგრებდნენ ხის ნვეროზე, იქვე კიდებდნენ მიცვალებულის მთელ იარაღს (XVII ს. იტალიელი მისიონერები ჯოვანო ლუჩა, არქანჯელო ლამბერტი, თურქი გეოგრაფი ევლია ჩელები და ქართველი გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი). აღსანიშნავია აფხაზი ეთნოგრაფის სოლომონ ზვამბაიას ჩანაწერები, სადაც აღნიშნულია, რომ მეხით სიკვდილის შემთხვევაში მიცვალებულს (მამაკაცებს) ან საქონელს ათავსებდნენ ოთხ ბოძზე აღმართულ სპეციალურ ხის კოშკში მანამ, სანამ მისგან მხოლოდ ძვლები არ დარჩებოდა, შემდეგ მიცვალებულს ჩამოხსნიდნენ და მის ძვლოვან ნაშთს მიაბარებდნენ მიწას. როგორც ვხედავთ, მეორადი დაკრძალვის წესი აფხაზეთში დროის დიდი მონაკვეთის განმავლობაში არსებობდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, იგივე წესი დაფიქსირებული იყო სპარსეთში, ბაქტრიაში და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, მაგრამ ერთი განსხვავებით: თუ აღმოსავლეთში სხეულის ხელოვნური დეკორპაცია ხდებოდა, კოლხეთში გვამს ხეზე ჰკიდებდნენ, იგი ბუნებრივად იხრწნებოდა და გარკვეული დროის შემდეგ აბარებდნენ მიწას. სამართლიანია მ. თრაფმის შენიშვნა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ მეორადი დაკრძალვის წესს არაფერი აქვს საერთო ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში ცნობილ ამ რიგის დაკრძალვის სახეობასთან. დაკრძალვის ამ წესის იდეოლოგიური საფუძველი უნდა იყოს წარმოდგენა სულისა და სხეულის ერთიანობის შესახებ. სული შეიძლება განთავისუფლდეს სხეულისაგან მხოლოდ მისი გახრწნის შემდეგ. ამიტომ ივარაუდება, რომ ხორცისაგან ძვლების სრულ განთავისუფლებამდე სული ჯერ კიდევ სხეულში იმყოფებოდა. სხვადასხვა მეთოდით (ბუნებრივი თუ ხელოვნური) სხეულის გახრწნა, მიზნად ისახავს სულის დროულ განთავისუფლებას. ამავე მიზნით ხდება კრემაცია. კრემაცია ბოროტის განდევნა უნდა იყოს. მეორადი დაკრძალვის წესის გარდა არსებობდა დაკრძალვის სხვა სახეობაც. რადგანაც დაკრძალვის წესთა მრავალფეროვნება არ აიხსნება სქესობრივი, სოციალური ან ეთნიკური ფაქტორით, ერთადერთ სავარაუდო საყრდენად რჩება სამარხთა გვაროვნული პრინციპი. სამარხეული ინვენტარის ანალიზმა დაგვანახა, ერთსა და იმავე სამაროვანზე სხვადასხვა დაკრძალვის წესის არსებობა და ტიპოლოგიური განსხვავება არ შეიძლება აიხსნას სქესობრივი სხვადასხვაობით. გამოსარიცხია სოციალური ფაქტორიც, რადგანაც სამარხეული ინვენტარი იმდენად ერთნაირია და მცირე, რომ მათში სოციალური უთანასწორობის დანახვა შეუძლებელია. საფუძველად არც ეთნიკური მხარე გამოგვადგება. მ. თრაფში მიუთითებს, რომ მიუხედავად წითელი შუქურას და გუადიხუს სამაროვნების სიახლოვისა, ისინი სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს ეკუთვნიან. იგი აღნიშნავს რომ, წითელი შუქურას სამაროვანზე არ შეინიშნება კრემაციის და საერთოდ, ცეცხლის არავითარი კვალი, რითაც იგი განსხვავდება გუადიხუს ნაწილობრივი კრემაციული ტიპის სამარხებისაგან (Трапш М. М. 1969: 149-150). მიუხედავად დაკრძალვის წესში არსებული ასეთი განსხვავებისა, ორივე სამაროვანზე ერთნაირი, კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი მასალა აღმოჩნდა. ყულანურხვას სამაროვანზე, სადაც სკვითურ ინვენტარიანი სამი სამარხი დადასტურდა, დაკრძალვის იგივე წესია გამოყენებული, რაც კოლხური ნივთებით მდიდარ ამავე სამაროვანის სამარხებში. ამიტომ მათი მრავალფეროვნება არ აიხსნება არც ეთნიკური ფაქტორით.

ამრიგად, აფხაზეთის ტერიტორიაზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში არსებული სამარხთა ტიპებისა და დაკრძალვის წესების განხილვამ მოგვცა საფუძველი ზემოთ მოყვანილი მოსაზრების გასამაგრებლად.

ლიტერატურა

1. ბარამიძე მ. 1977, მერხეულის სამაროვანი. თბილისი.
2. ბარამიძე მ. 1998, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ. წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძირითადი პრობლემები). სადოქტორო დისერტაცია, ხელნაწერი. თბილისი.
3. დოლიძე ნ. 1999, ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის მხატვრული ნაწარმი (ლითონის სამკაულები). ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი.
4. კალანდაძე ალ. 1954, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები. სოხუმი.
5. კვიციანი გ. 1978, იამთხვას ადრეანტიკური ხანის სამარხები. კრ. საქართველოს არქეოლოგიის საკითხები. თბილისი.
6. კვიციანი გ. 1981, ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის მატერიალური კულტურა ძვ. წ. VIII-VII სს. ავტორეფერტი. თბილისი.
7. ლორთქიფანიძე გ. 1978, კოლხეთი ძვ. წ. VI-II სს. თბილისი.
8. Барамидзе М. В., Чогошвили Т. Э., Квицквелия Г. Т., Джибладзе Л. В., Хубутия Г. Ц. 1985, Археологические исследования вс. Пичорив 1981-1982 гг. АОА – 1981-1982 гг. Тбилиси.
9. Бжания В. В., Бжания Д. С. 1991, Древний могильник в Гагре. Сухуми.
10. Бжания В. В., Квициния В. К. Шепкао Н. К. 1975, Раскопки в Шубаре. „АО-1974“ Сухуми.
11. Бжания В. В., Кобахия Б. И. 1982, Охранные раскопки Кистрика. АО 1980 г. в Абхазии. Тбилиси.
12. Воронов Ю. Н. 1969, Археологическая карта Абхазии. Сухуми.
13. Воронов Ю. Н. 1980, О хронологических связях киммерийско-скифской и Колхидских культур. Сб. Скифия и Кавказ. Киев.
14. Воронов Ю. Н., Гунба М. М. 1978, Новые памятники колхидской культуры в Абхазии. СА. №2. Москва.
15. Воронов Ю. Н., Вознюк А. С. 1975, Новые археологические находки в Гудаутском районе Абхазской АССР. СА. №2.
16. Иващенко М. М. 1935, Исследование архаических памятников материальной культуры в Абхазии. Тбилиси.
17. Квициния И. И. 1980, Шубарские находки. Труды. вып. Сухуми.
18. Куфтин Б. А. 1949, Материалы к археологии Колхиды. т. 1. Тбилиси.
19. Миллер В. С. 1911, О некоторых древних погребальных обрядах на Кавказе. Этнографические обозрение. 1-2 СПбЮ.
20. Стражев В. И. 1926, Бронзовая культура в Абхазии. Известия АБНИ. вып. 4. Сухуми.
21. Трапш М. М. 1970, Труды. т. 1. Сухуми.
22. Трапш М. М. 1969, Труды. т. 2. Сухуми.
23. Цвинария И. И. 1990, Новые памятники дольменной культуры в Абхазии. Тбилиси.
24. Шамба Г. А. Археологические открытия в Абхазии 1980 г. ПАИ. Тбилиси 1982
25. Шамба Г. К., Шамба С. М. 1990, Археологические памятники верховья в реки Галидзга (Джантух). Тбилиси.
26. Шамба Г. К. 1974, Эшерские кромлехи. Сухуми.

ტაბულების აღწერილობა

აფხაზეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვნების გავრცელების რუკა.

- ტაბ. I** ზვანდრიფშის ქვევრსამარხი, მუგუძირხვას სამაროვანი, ბემკარდანის სამაროვანი, ბარმიშის სამარხი, პრიმოსკოეს დანგრეული სამარხი.
- ტაბ. II** ყულანურხვას ქვევრსამარხი.
- ტაბ. III** გუმისთას II ჩაჭრილი სამარხი, აჭანდარას სამარხი.
- ტაბ. IV** აჭანდარას სამარხი 1980 წელი.
- ტაბ. V** წითელი შუქურას №62, 64, 58 სამარხები.
- ტაბ. VI** ყულანურხვას სამარხები.
- ტაბ. VII** წითელი შუქურას №65, 104 სამარხები.
- ტაბ. VIII** ზემო ეშერას სამაროვანი, წითელი შუქურას №30, 33ა სამარხები.
- ტაბ. IX** იაშთხვას №1 სამარხი. ქვემო ეშერას სამაროვანი.
- ტაბ. X** ბომბორას ველის სამარხები, სოხუმის მთის კრემაციული სამარხი.
- ტაბ. XI** ააგსტის სამარხი, ბომბორას ველის სამარხები.
- ტაბ. XII-XIII** გაგრის ქვევრსამარხი
- ტაბ. XIV-XVI** აკარმარას (ტყვარჩელი) სამაროვანი.
- ტაბ. XVII** აბგარხუკი, გუდაუთა, ბომბორას ველი.
- ტაბ. XVIII** წითელი შუქურას №4 სამარხი, გუადიხუს №22 სამარხი.
- ტაბ. XIX** კისტრიკის სამაროვანი, აბგარხუკის სამაროვანი.
- ტაბ. XX** გუადიხუს №9, 4, 28, 6 სამარხები.
- ტაბ. XXI** წითელი შუქურას №47, 23, 38 სამარხები.
- ტაბ. XXII** სოხუმის მთის კრემაციული სამარხები.
- ტაბ. XXIII** ყულანურხვას №3 სამარხი, წითელი შუქურას №52 სამარხი.
- ტაბ. XXIV** წითელი შუქურას №26, 18, 82, 21 სამარხები.
- ტაბ. XXV** მერხეულის სამაროვანი.
- ტაბ. XXVI** გუადიხუს №8, 9, 29 სამარხები.
- ტაბ. XXVII** წითელი შუქურას №29, 33 სამარხები.
- ტაბ. XXVIII** ყულანურხვას №5 სამარხი, გუადიხუს №3, 14 სამარხები, წითელი შუქურას №1 სამარხი.
- ტაბ. XXIX** გუადიხუს №18, 21, 23, 24 სამარხები.
- ტაბ. XXX** გუდაუთა. გუადიხუს №19 სამარხი.
- ტაბ. XXXI** წითელი შუქურას №89 სამარხი.
- ტაბ. XXXII** წითელი შუქურას №24, 22 სამარხები.
- ტაბ. XXXIII** აჭანდარას სამაროვანი.
- ტაბ. XXXIV** წითელი შუქურას №34, 67 სამარხები, ჩობანლუქის სამაროვანი, გუდაუთა.
- ტაბ. XXXV** პრიმორსკოეს სამაროვანი.



- ტაბ. XXXVI გუადიხუს №11 სამარხი.
 ტაბ. XXXVII ეშერას (შუბარა) სამაროვანი.
 ტაბ. XXXVIII ნითელი შუქურა №43, 42 სამარხები.
 ტაბ. XXXIX გაგრის სამაროვანი.
 ტაბ. XL ნითელი შუქურას №98, 99, 51, 40, 52 სამარხები.
 ტაბ. XLI ნითელი შუქურას №12 სამარხი.
 ტაბ. XLII ნითელი შუქურას №78, 90 სამარხები, ყულანურხვას №9 სამარხი.
 ტაბ. XLIII ნითელი შუქურას №92, 88, 87 სამარხები.
 ტაბ. XLIV-XLV ფიჩორის სამაროვანი,
 ტაბ. XLVI-XLVII ეშერის კრომლეხი.


DESCRIPTION OF PLATES


The map of distribution of Late Bronze-Early Iron Cemeteries of Abkhazeti.



- Pl. I The ossuary of Zvandripshi, the Mugudzirxva cemetery, the Beshkardani cemetery, the burials of Barmishi, the destroyed burial of Primorskoe.
 Pl. II The ossuary of Kulanurkhva.
 Pl. III The grave of Gumista II, the grave of Atchandara.
 Pl. IV The grave of Atchandara 2006.
 Pl. V The graves #62, 64, 58 of Tsiteli Shukura.
 Pl. VI The burials of Kulanurkhva.
 Pl. VII The graves #65, 104 of Tsiteli Shukura.
 Pl. VIII Zemo Eshera cemetery. Tsiteli Shukura #30,33a
 Pl. IX The burial #1 Iashtkhva, Kvemo Eshera cemetery.
 Pl. X The burial of Aagsta, the burials of Bombora Valley.
 Pl. XI The burials of Bombora Valley. The cremated burial of the Sokhumi Mountain.
 Pl. XII-XIII The ossuary of Gagra.
 Pl. XIV-XVI Akarmara (Tkvarcheli) cemetery.
 Pl. XVII Abgarkhuki, Gudauta, Bombora valley.
 Pl. XVIII The burial №4 of Tsiteli Shukura, the burial №22 of Guadikhu.
 Pl. XIX Kistriki cemetery. Abgarkhuki cemetery.
 Pl. XX The burials №9, 4, 28, 6 of Guadikhu.
 Pl. XXI The burials №47, 23, 38 of Tsiteli Shukura.
 Pl. XXII The cremated burials of the Sokhumi Mount.
 Pl. XXIII The burial №3 of Kulanurkhva, the burial №52 of Tsiteli Shukura.


- Pl. XXIV** The burials №26, 18, 82, 21 of Tsiteli Shukura.
- Pl. XXV** Merkheuli cemetery.
- Pl. XXVI** The burials №8, 9, 29 of Guadikhu.
- Pl. XXVII** The burials №29, 33 of Tsiteli Shukura.
- Pl. XXVIII** The burial №5 of Kulanurkhva, the burials №3, 14 of Guadikhu, the burial №1 of Tsiteli Shukura.
- Pl. XXIX** The burials №18, 21, 23, 24 of Guadikhu.
- Pl. XXX** Gudauta. The burial №19 of Guadikhu.
- Pl. XXXI** The burial №89 of Tsiteli Shukura.
- Pl. XXXII** The burials №24, 22 of Tsiteli Shukura.
- Pl. XXXIII** Atchandara cemetery.
- Pl. XXXIV** The burials №34, 67 of Tsiteli Shukura, Chobanluki cemetery, Gudauta.
- Pl. XXXV** Primorskoe cemetery.
- Pl. XXXVI** The burial №11 of Guadikhu.
- Pl. XXXVII** Eshera (Shubara) cemetery.
- Pl. XXXVIII** The burials №43, 42 of Tsiteli Shukura.
- Pl. XXXIX** Gagra cemetery.
- Pl. XL** The burials №98, 99, 51, 40, 52 of Tsiteli Shukura.
- Pl. XLI** The burial №12 of Tsiteli Shukura.
- Pl. XLII** The burials №78, 90 of Tsiteli Shukura, the burial №9 of Kulanurkhva.
- Pl. XLIII** The burials №92, 88, 87 of Tsiteli Shukura.
- Pl. XLIV-XLV** Pichori cemetery.
- Pl. XLVI-XLVII** The cromlech of Eshera.



























ზეზომ ეზეზად

















ბაბრა
სამართკანის გეგმა











0 1 2 cm.






1








2














გუაღობუ № 9





გუაღობუ № 4






გუაღობუ № 28

















სოხუმის მიმის
დაზიანებული
კრემაციული სამარხი

















გვერდები №3




გვერდები №14









პუნდობეჲ №24









პუნდობეჲ № 9






















პედაგოგ № 11









№43







№42






№44



























THE ANCIENT MATERIAL CULTURE OF ABKHAZETI

Summary

In the Late Bronze age (14th-11th cent. BC) in whole Colchis, on Abkhazeti and Atchara territories a very famous Colchian culture is spread, which is older than the North Caucasian Koban culture and its bases are fixed in the Early Bronze age of Colchis.

In the same period the picture of demographic outburst is noticed and the “Protourbanistic Civilization” takes origin, with the characteristic settlements and artisan manufacturing. By the end of the period the population had passed on to the iron metallurgy and started to obtain the iron ore from the magnetic sand. This process is reflected in the so called “Dune Settlements” (8th-6th cent. BC) in the sea coast zone. Thus, all the essential signs of the final formation of Colchheti kingdom are obvious.

Bronze and Early Iron Age Monuments of Abkhazeti (M. Baramidze). Archaeological expedition of Abkhazeti (1976-1991) revealed and fixed the monuments in the new construction zone. There were discovered and studied almost 100 new sites of different periods (from Stone age to Medieval period) on the territory of Abkhazeti.

In the III millennium BC in the plains of North-West Colchis (Abkhazeti) mainly prevailed the artificial moun-settlements: Pichori, Nakargali, Ganmukhuri, Tagiloni, Shesheleti, Refi, Gagida, Tamish, Tskemi, Sagvichio and others).

The artificial mounds are of the two types: the first was made by means of layering of the cultural formations; the second type is an artificial mound made by means of truncated ground, containing the material of earlier period.

In the north-west Georgia several artificial mounds of another type are found. Several hundreds of tons of ground are piled up and around it artificial canals are dug.

One more construction type is spread in the North-West Colchis. It is a half dugout, the upper wall of which is a wattle-and-daub.

In the village Pirveli Gali on the natural raised platform of the first hilly zone in the sand soil a vast structure is dug. Supposedly, the construction is a cult complex of the beginning of the 1st millennium BC.

Reclamation of the North-West Colchis plain with the artificial settlements dates from the epoch of the early bronze. The early settlements are located in a great distance from each other. On the late stage of the bronze epoch the demographic outbreak had place throughout the whole Colchis. Around the central – earliest and mostly biggest and highest mound – there are grouped relatively small platforms of different shape. They date back from the first part and middle of the 1st millennium BC. Those “accompanying” mounds are located around or side by side with the central mound. Each of them is surrounded with the artificial ditches and the whole system of the complex is surrounded with the wide moat. They apparently have multifunctional usage. it was used as a water-route, water-supply for fishing and defense.

The many-sidedness of the function and the unearthed archaeological material (ceramics, art objects, imported material) mean that we deal with the proto urban civilization.

The main ore of the Bronze Age metallurgy – copper – was frequently identified on the south slopes of the Caucasus Mountain Range. In the Kodori-Bzipi river basin where the old mines were met – Shkhabzia, Tvibrashera, Bashkapsara, the primary processing of the ores is likely to have place near the mines and casting was done near the settlements. The proof to this is the number of sites of Abkhazeti: Sokhumi park, the territory of the I school in Gali, Maksania Cave, Pichori and others. At some places even the furnaces were found. The ore of Abkhazeti seems to have been of little amount and met only the local demands. But nearby the mountainous region of Georgia – Ratcha was rich in numerous mines from where copper was exported to Phoenicia and from there through the transit towns it was exported even to Egypt. The abovementioned is confirmed with the imported material – scarabs with hieroglyphs, perfume vessels with perfumes, beads, etc.

As for the iron ore it was widely concentrated alongside the Black Sea littoral on the territory of Abkhazeti. The sandy dunes contained magnetite, the mineral from which iron was extracted. The furnaces for casting the iron tools were often met also. The iron implements were local and reflected the forms of the bronze ones. The process began in 9th-8th cent. BC. After the definite time in the middle of I millennium BC the dunes terminated their existence and so called wetland iron ores came into use.

Abkhazeti Hoards (L. Tsitlanadze). The paper represents groups of specially buried metal items called “hoards” (Gali, Bombora, Sokhumi, Ochamchire, Zvandripsh and others). These items, discovered on the territory of Abkhazeti, are attributed to Late Bronze-Early Iron period (XVIII to VIII BC). The researchers divide those items into two groups: earlier period – consisting of agricultural tools and metal ingots; later period – together with the agricultural items, consisting of weapons, jewelry, statues of animals and humans having cultural and spiritual functions.

Presence of a number of different metal products of an agricultural character demonstrates the well-developed metallurgy and a high level of agriculture while appearance of jewelry – the things made of precious metals, implies a high material welfare of the population that was a good precondition for the formation of Colchis State in the future.

The Burials of the Late Bronze and Early Iron Ages with the Secondary Burial Rite (N. Dolidze). The burials on the territory of Abkhazeti are of the following types: individual and collective. They are burial pits, jar-shaped (ossuary) graves, dolmens and cromlechs.

According to our data each of the burial-pits corresponds with a certain type of burial ritual. In the oval-shaped burial was performed an inhumation burial ritual, in the oblong-shaped pits – partial cremation and in the round pits – full cremation. The secondary burial ritual is met in the jar-shaped graves (ossuary), dolmens and cromlechs.

In the oval-shaped pit the dead was put in the straight position on the back (#2 grave of Kulanukhva, 14 burials of the Gagra cemetery, 77 burials of the Tsiteli Shukura cemetery) or the deceased lay crouched on the right side with the head towards north-west or south-east (7 burials of the Tsiteli Shukura cemetery, 3 burials of the Gagra cemetery and some graves from the Mugudzirkhva cemetery).

In case of the roundish grave-pits with the full cremation, the deceased together with the jewellery and other articles were burnt not in the pit but alongside it and then the ashes together with the funerary gifts were put into the burials pit: 15 burials of the Guadikhu cemetery, cremation burials of

the Sokhumi mount.

In the square, long pits the partial burning of the deceased had. It was performed in the grave-pits: 17 burials of the Guadikhu cemetery, cremation burials of the Sokhumi mount.

The roundish pit with the ritual of the secondary burial and individual burials are met in the Tsiteli Shukura cemetery and in the burials of the Sokhumi Mount. In the same type pits the collective burials with a partial cremation and full cremation are identified: Akarmara, Pichori, Gagra and Merkheuli cemeteries.

Different types of burial are the jar-shaped (ossuary) of the urn-type ones with the ritual of the secondary burial, dolmens and cromlechs: Tsiteli Shukura, Zemo Eshera, Primorskoe, Gagra, Zvandripshi, Bogopripsh, Mount of Vereshchagina and Kulanurkhva Ossuary.

In spite of such variety of the burial rituals, this process can be explained neither with the social nor the ethnic and gender factors. Supposedly, each ritual can be explained with the family belonging.

The objects found in the cemeteries discovered in the Abkhazeti area are the inseparable part of the Colchian culture. They are noteworthy as some of them are found only in north-western Colchis and consequently are specific and characteristic only to this region. Firstly these are: the bracelets of a large size, the animal-headed clasps, the images of the same animals on the conical buckles. The ornamented objects are identified only in this region. These are: bracelets, fibulae, pins. The rhomb-shaped fibula with the rhomb-shaped necklet originates the famous Colchian diadems.

The Late Bronze-Early Iron Age cemeteries discovered in the Abkhazeti area are mainly dated by the 1st half of I millennium (the 10th-9th – 6th-5th centuries B.C.).

The jar-burials (ossuaries) in Gagra and Zvandripshi are of the earlier period (the 10th-9th centuries B.C.).

The cemeteries in Primorskoe, Achandara, Akhali Atoni, Iashtkhva, Mugudzirkhva are dated by the the 9th-8th centuries B.C.

The graves #62, 89 of Tsiteli Shukura and the cemeteries in Zemo Eshera, Achandara, Shubara and Abgarkhuki are dated by the 8th c B.C.

The burial pits #2, 3, 6, 7, 8, 11 and some jar-burials in Kulanurkhva, the graves #10, 16, 23, 30, 33a, 34, 35, 38, 39, 42, 43, 49, 52, 58, 59, 64, 67, 76, 91, 92, 99, 104 in Tsiteli Shukura, the graves #4, 11, 14, 19, 25, 26, 28 in Guadikhu, the graves in Kvemo Eshera, Chobanluk, in the area of the Eshera town remains, the jar-burial in Eshera and the cemeteries in the Bombora valley belong to the 8th-7th centuries B.C.

The graves #1 in Kulanurkhva, #6 in Guadikhu and those in Aagsti are dated by 7th c B.C.

The cremated graves at the Sokhumi Mount: the graves #6, 8, 9, 12, 21, 23, 28, 29 in Guadikhu, the graves #3, 6, 8, 12, 18, 19, 22, 24, 29, 47, 82, 84, 89 in Tsiteli Shukura and the graves in Kulanurkhva are dated by the turn of the 7th-6th centuries B.C. The cemeteries in Gudauta, Zemo Eshera and Bombora Valley also belong to the same period.

The graves # 1, 2 in Iashtkhva, the graves #4, 5, 26 in Tsiteli Shukura, the graves #15, 18, 25 in Guadikhu and some graves from the Kistriki cemetery are dated by the 6th century B.C.

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ო ა გ ა ნ მ ა რ ტ მ ბ ა

ABBREVIATIONS

- აკც** – არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. თბილისი.
- ენიმკის მოამბე** – ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე. თბილისი.
- თსუ** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- იიშ** – ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები. თბილისი.
- კაემ** – კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. თბილისი.
- კაკ** – კავკასიურ-აზლოლმოსავლური კრებული, თბილისი.
- მაცნე – ისტორიის... სერია** – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. თბილისი.
- მსკა** – მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი.
- მსკი** – მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი. თბილისი.
- სას** – საქართველოს არქეოლოგიის საკითხები. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. თბილისი.
- სდსმ** – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები. ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. თბილისი.
- სიგკ** – საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი.
- სსმაე** – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები. თბილისი.
- სმამ** – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. თბილისი.
- სსმმ** – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი.
- ქსე** – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. თბილისი.
- ძიებანი** – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი. თბილისი.
- ძმ** – ძეგლის მგობარი. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება. თბილისი.
- АГМ** – Абхазский Государственный музей. Сухуми.
- АИНГС** – Археологические исследования на Новостройках Грузинской ССР. Тбилиси.
- АО** – Археологические открытия. Институт археологии. Москва.
- АСГЭ** – Археологический сборник Государственного Эрмитажа. Ленинград.
- ВГМГ** – Вестник Государственного музея Грузии им. С. Джанашиа. Тбилиси.
- ВДИ** – Вестник древней истории. Институт всеобщей истории. Москва.
- ГАИМК** – Государственная академия истории материальной культуры. Москва.
- ГИМ** – Государственный исторический музей Москва.
- ИАИЯЛИ** – Известия Абхазского института языка, литературы и истории им. Д. Гулия. Сухуми.
- ИАК** – Известия Императорской археологической комиссии. Санкт-Петербург.
- ИАБНИИ** – Известия Абхазского научно-исследовательского института.
- ИА АН РФ** – Институт археологии АН Российской Федерации.
- ИГАИМК** – Известия Государственной академии истории материальной культуры. Москва–Ленинград.
- КСИА** – Краткие сообщения о докладах и полевых исследованиях Института археологии. Москва.
- КСИИМК** – Краткие сообщения Института истории материальной культуры. Москва.
- ММА** – Материалы по археологии Абхазии, Тбилиси, 1979.
- МАГК** – Материалы по археологии Грузии и Кавказа. Институт истории им. И. а. Джавахишвили академии наук Грузии. Тбилиси.
- МАК** – Материалы и исследования института археологии АН СССР. Москва
- МИА** – Материалы и исследования по археологии СССР. Москва.
- НИТ** – Наука и техника
- ПАИ** – Полевые археологические исследования. Центр археологических исследований. Тбилиси.
- РА** – Российская археология. Институт археологии. Москва.
- СА** – Советская археология. Институт археологии. Москва.
- САИ** – Свод археологических источников. Археология СССР. Москва.
- САНГ** – Сообщения АН Грузии.
- СЭ** – Советская этнография
- ТАИЯЛИ** – Труды Абхазского института языка, литературы и истории. Сухуми.
- ТГЭ** – Труды Государственного Эрмитажа. Санкт-Петербург (Ленинград).
- AS** – Anatolian studies.
- BSA** – The annual of the British school of Athens
- OG** – Ostbeierche Grenzmarken
- RE** – Pauly-Wissowa. Kroll, Realenziklopadie des Altertumswissenschaft.
- RLO** – Der Romishe limes im Osterreich.

